

ლიტერატურა

ეს

სეროვნება

ბ. 03  
საქართველოს მთავრობის  
მინისტრის მიერ გამოცემის  
სამსახური

N9

9/2008

1522  
2008



კაცი

არა მარტივი აზოვი  
კებილების შიგი

სისხლი სარჩევლის გრძი

ახალ ცხობა

ვავ ქართველი ერი

კორი

კავკავი გადასახაზე მდგრადი

ერა ერა ხაბი

უფას სახელის მინი

თეატრი ცეკვის

ახალი

ვავ გადასახაზე

კულტურის დღი

თეატრი არა მარტივი

კაცი





გეგა ქუთათელაძე

მაიას სარკმელ



სოფო



ახალი ბინ

# ლიტერატურა და ხელოვნება

ISSN 1512-3189

N9(33)

9/2008



ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:

vaja otarashvili

Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ლიტერატური

მთ. რედაქტორი

ჭარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი

მდივანი

დავით კახაბერი

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

გეგა ქუთათელაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი

მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;  
(+995 32) 31 70 47;  
(+995 99) 25 60 14.

E-mail: litandart@yahoo.com

vaja.otorashvili@yahoo.com

Web: www.litandart.com.ge

ნომრის სკონსორია

საქართველოს პოლიტექნიკური  
ინსტიტუტის 838 ჯგუფის 1977  
წლის გამოშვება: გია ბლიაძე,  
გელა დეგსურაშვილი, ზურა  
ალიხანაშვილი, ოთარ(ბენო)  
დუდუშაური, გია (სანდრიკ)  
შამანაძე, ზურა მემარიაშვილი.  
ალიკა შავლიაშვილი.

სარჩევი

კუმისიონური

- ძმა ვახეშვილი, ჭაბუა ვახ, გესაცმები

ერი

- ვისთან გვაქვს საქმე!

რომელი, რომელი

- ღესები

- ვაკახა ადამიანი

- ღესები

- მოთხოვდები

- მინიაცებები

კუმისიური

- თქმა მაჩიტისა...

ისრკმისი

- მონაზონი

/თახმინა ღავით კახაბერა/

კუმისიური

- კლასიკური მოტივი: ზედამდგომელები  
და მაჩვიდები

51 კახიერ ხახედაური

- იმაზე ცოდა მეტი ვახ...

კუმისიური მსწორი

- ტოციან ჭაბიძის ეკნობი ნაშემები

პეტი

- ქათური მესიქალეური ფოდელი

კუმისიური

- ქმედებების ინაცეცები

მისიური

- ყველაფერი თქმა ას ასხ...

იუსტინი

- ჩობებს სცენება - 70

კუნი

- მოღით, ვიქმნათ...

მსწორი

- შემოქმედების გენი (გეგა ქუთათელაძე)

81 ვერიკო ზამთარაძე

„როგორც უფასო, სამშინეულო, ერთიან ქვეყნაზე და!”


რაფიელ ერისთავი

## არ შეგებინდეს საქართველო!

გერ დაგაჩოქებს  
გერა რუსი, გერა ურჯულო,  
ქართლის ქედებო,  
ბარბაროსთა გადარუჯულო!  
ყველა გორაზე  
წინაპართა წმინდა ძვლებია,  
კი არ მომკვდარან,  
ომით დაღლილთ ჩასძინებიათ...  
იბერთ გელები,  
როცა გმირთა სისხლს  
გერ იშრობენ...  
იცოდეთ მაშინ,  
ცრემლი სცვიგა  
დედადგოსმშობელს...  
ყველა საყდართან, მონასტერთან  
გალობს ხანძოელი:  
არ შეგეშინდეს საქართველო!  
ღმერთით, გასძელი!

ვაჟა ოთარაშვილი

უურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება” ღრმა  
სამძიმარს უცხადებს რუსი აგრესორების  
წინააღმდეგ სამამულო ომში დაღუპულთა  
ოჯახებს, ახლობლებსა და სრულიად  
საქართველოს



## ძმაო ვახუშტი, ჭაბუა ვარ, გესალმები!

ძმაო-მეთქი, ცოტასთვის თუა ცნობილი, რომ მართლა ძმები ვართ. ეს მაშინვე ჩაისახა, როდესაც სამმა კეთილშობილმა ქალიშვილმა — ნუსია დილევსკაიამ, ნინო ხარატიშვილმა და მარიამ ნაკაშიძემ ქვაშვეთის ტაძარში ერთსა და იმავე დღეს ჩაბარეს სამ რაინდს — ვახტანგ კოტეტიშვილს, ქრისტეფორე რაჭველიშვილს და ერეკლე ამირეჯიბს თავიანთი მომავალი ოჯახებისა და ნაშიერების ბედ-ილბალი.

მეორედ ჩვენი ძმობა დიდმა ქართველმა, შენმა მამამ ვახტანგმა ჩემი ნათლიობით განამტკიცა, ხოლო საბოლოოდ მაშინ გავხდით ნამდვილი ძმები, როცა ორთავემ ასაკის გამო სხვადასხვა დროს სიცოცხლის მიზნად სამშობლოსთვის სამსახური, თავდადება და იოანე მახარებლის სიბრძნე — „პირველთაგან იყო სიტყვა, სიტყვა იგი იყო ლვთისა თანა და ლმერთი იყო სიტყვა იგი“ სიცოცხლისა და ლვანლთქმნის დევიზად დავისახეთ.

ეჲ ვახუშტი, ვახუშტი, თვალი არასოდეს მომიშორებია შენი იმ მედგარი, თავგან-ნირული ბრძოლისგან, რითაც მშვენიერებისა და სიბრძნის ვარაყით შემოვლებული ქართული სიტყვა მიიტანე და ჩადე ჩვენი სულიერების მრავალსაუკუნოვან კიდობანში.


ქართველთა საამაყო შვილო, შენ არ მომკვდარხარ, მხოლოდ გარდაიცვალე და დარჩი უკვდავად, სანამ ერთი ქართველი მაინც ივლის მზისა ქვეშე.

მაპატიე, ვერ გეახელი, ვერ ვემთხვიე შენს ნათელ შუბლს, შენზე თოთხმეტი ნლით უფროსი, მიხრნნილი ბერიკაცი ვარ, მუხლი აღარ მემორჩილება.

უკვდავი ხარ, ვახუშტი! გეხვევი და იგივეს ვიქმ, როცა იქ ერთმენეთს კვლავ ვნახავთ. ეს შორი არ არის.

ჭაბუა ამირეჯიბი  
თბილის, 08.08.2008.

საქართველოს  
პარლამენტის  
ინტელექტუალი  
კიბელი იმპრენატურა



# ჭავჭავაძე

30ს 30-იანი სახე !

მეცხრე ათეულის ბოლო წლებს ვასურდავებ. ამ ხნის მანძილზე საქართველოსთვის თუ რამ მნიშვნელოვან ვითარებას შევესწარი ქართველობას ყოველ მათგანზე ვამცნე ჩემი დამოკიდებულება. ვერც ამ ბოლო ხანებში ჩამოყალიბებულ ტრაგიკულ ამბებს გავუჩუმდები, მკითხველს ჩემ აზრს გავუზიარებ, ჩემეულ შეფასებას მოვახსენებ.

ამ წერილის დანიშნულება სათაურად გამოვიტანე და ვგონებ დაყოვნება საჭირო არ არის, პირდაპირ მივხედავ საქმეს, რისთვისაც ჯერ XVII-XVIII საუკუნეების რამდენიმე ეპიზოდს მოვიყვან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობიდან.

## პირველი

იმპერატორმა პეტრე პირველმა ქართლის მეფე ვახტანგ მეექვსე სპარსეთის ნინააღმდეგ ლაშქრობაში მოკავშირედ გამოიყენა, საკმაო რაოდენობის არმიით, ქართველთა ლაშქრის მეგზურობითა და თანამებრძოლობით სპარსთა კუთვნილი კასპიის ზღვის სანაპიროები მიარბ-მოარბია, ათასექვსას ოცდაორ წელს ლაშქრობა შეწყვიტა, ჯერ ასტრახანაში გამაგრდა და შემდეგ, ჯარში ქოლერის გავრცელების მომიზეზებით, შინისკენ გასწია; ამან სპარსთაგან ჩვენი ქვეყნის განადგურება, მოსახლეობის ამონიკეტა მოიტანა და ვინც ყოველივე ამას გადაურჩა, სამშობლოდან გაქცევა არჩია, ძირითადად — რუსეთში. ეს ეპიზოდი ქართველთა მიერ გადატანილ ტრაგედიებიდან უმძიმესთაგანია.

## მეორე

ათასშვიდას სამოცდასამ წელს ეკატერინე მეორემ, ადრე სახელმწიფო ღალატისთვის სიკვდილმისჯილ ყოფილ გენერალ-მაიორ კურტ გოტლიბ ტოტლებენს სასჯელი ქონების კონფისკაციით შეუცვალა, ათასშვიდას სამოცდარვა-სამოცდათოთხმეტი წლების რუსეთისმალეთის ომის დროს რაზმი ჩააბარა და იმერეთის “დასახმარებლად” გამოგზავნა. ტოტლებენი ათასშვიდას სამოცდაცხრა წელს ერეკლე მეორეს დაუკავშირდა, რუსეთის მოკავშირეობა და სამხედრო დახმარება აღუთქვა, ათასშვიდას სამოცდაათ წელს ქართველებთან ერთად ახალციხეზე გაილაშქრა, მაგრამ იქ ერეკლეს თბილისისკენ გამოექცა ქართლ-კახეთის რუსთათვის დაქვემდებარების მიზნით; ეს განზრახვა ასპინძის ომში ქართველთა გამარჯვებამ ჩაუშალა. მაშინ მან ქსნის, არაგვის ერისთავები და სხვა ქართველი ფეოდალები დაძარცვა და ეს საქმიანობა იმერეთში განაგრძო. ვითომდა იმერეთის მეფის დახმარების მიზნით ფოთთან თურქებს შეება, დამარცხდა, რაზმის ნარჩენები

გენერალ სუხოტინს ჩააბარა და პეტერ-ბურგს დაბრუნდა. იქ, ეკატერინე მეორემ ერთობ მდიდარი ნაძარცვი ძლვნის ფასად ტოტლებენს გენერალ-მაიორის ნოდება აღუდგინა, დივიზია ჩააბარა, პოლონეთში გაამნესა, სადაც იგი გარდაიცვალა კიდეც.

## მესამე

ათასშვიდას ოთხმოცდასამ წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული “გეორგიევსკის ტრაქტატიდან” გამომდინარე, რუსეთს, როგორც მოკავშირეს, ჩვენი ქვეყანა არამარტო მტრის შემოსევებისგან ჩვენთან ერთად უნდა დაეცვა, არამედ სპარსთა და თურქთაგან ადრე მიტაცებული მიწების დაბრუნებაც უნდა განეხორციელებინა. ტრაქტატის ეს მუხლი მხოლოდ ახალციხისა და ახალქალაქის რეგიონებს შეეხო, რუსებმა აქ სამხრეთული ლაშქრობებისთვის საჭირო პლაცდარმი გაინალდეს, ხოლო ათასშვიდას ოთხმოცდათხუთმეტი წლის აღა მაჰმად ხანის შემოსევაზე რაიმე რეაგირება საერთოდ არ გაუმულავნებიათ. შედეგად-კრნანისის ომში განცდილი მარცხი, სპარსთაგან აკლებულ-ამონტეტილი ქართლ-კახეთი და ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ათასრვაას პირველ წელს ალექსანდრე პირველის მიერ ანექსირებული რუსეთის იმპერიის ნანილად გადაქცეული მეთვრამეტე საუკუნის მთელი საქართველო.

რა დღეშიც ჩაგვყარეს რუსებმა ამის კალენდარი შემდეგნაირია — ათასრვაას ოცდათორმეტი წლის შეთქმულების მონაწილეთა, გლეხთა 1804, 1810, 1812, 1819, 1841, 1856, 1875-76, 1878 წლების აჯანყებების ჩახშობა და მონაწილეთა უმრავლესობის განადგურება.

როგორც ყოველთვის, ქართველმა ხალხმა ამ უბედურებასაც მნარე იუმორით გასცა პასუხი. ვიღაც რუსი სალდათები ქართველ ფეიქარს სახელოსნოში შეუვარდნენ და ფული რომ ვერ გამოსალეს მოწყობილობა დაულენეს. ამან სიმღერა შეთხზა — “ვაი, შენ ჩემო საფეიქრო, მასტიკო და მასრა-მაქო, მე იმისი დედა რა ვთქვი, ვინც პირველში რუსი აქო”.

## მეოთხე

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში კაცობრიობას თავს დაატყდა ახალი ჭირი — მარქსიზმის კომუნისტური იდეის გავრცელება, რუსეთსა და ევროპაში სწავლა-მიღებული ქართველების ერთმა ნაწილმა ამ მოძღვრების საქართველოში გავრცელება განახორციელა, რასაც ქართველ ერში იდეოლოგიური განხეთქილება და აქედან გამომდინარე მსხვერპლი მოჰყვა. ეროვნულად მოაზროვნე ქართველობა უმცირესობაში აღმოჩნდა. მრავალმა ქართველმა ციხეებსა და ციმბირში დალია სული.

რუსთა თვითმშეყრობელობის ჯალათურმა სულმა მეოცე საუკუნის დასაწყისშივე გაინავარდა. არავინ იცის ათასცხრაას ხუთი-ჩვიდმეტი წლის მონაკვეთში რამდენი ქართველი მოსპეს უანდარმებმა. ათასცხრაას ოცდაერთ წელს რუსებმა დამოუკიდებლობა წაგვართვეს. მას მერე, ათას ცხრაას ორმოც წლამდე, ქართველი ერი რუსეთის ქართველი ლაქიების აქტიური დახმარებით განუწყვეტელ რეპრესიებს განიცდიდა. მარტო ათასცხრაას ოცდაჩვიდმეტ-ოცდათვრამეტ წლებში სამასორმოცდაათი ათასი ადამიანი გადასახლებულ-დახვრეტილთა სახით დაკარგა ქართველმა ერმა, ხოლო რუსების კომუნისტური იმპერიის გადარჩენას კიდევ ოთხასი ათასი ქართველი შეენირა მეორე მსოფლიო ომში.

Sapienti sat — გონიერისთვის საკმარისია! რუსების საქართველოში შემოყვანას მხოლოდ ის საჭიროება განაპირობებდა, რომ ქართველი ერის სარწმუნოებრივი სამხრეთელი მტრების ალაგმვა ნანილობრივ მაინც განხორციელდებოდა. თუმცა, ჩვენმა ნინაპრებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ რუსეთის იმპერიას თავისი ინტერესები ჰქონდა — სამხრეთული ლაშქრობებისთვის პლაცდარმის შექმნა და არა ერთმორწმუნეთა მიმართ გულმოწყალება, ან მათი მფარველობა. რუსების პლაცდარმი, რა თქმა უნდა, ქართველთაგან ადრე წართმეული მიწების შემოერთებასაც გულისხმობდა და,

ადრეთუ გვიან, დამოუკიდებელი საქართველოს გამთლიანებაც მოხერხდებოდა. ეს ორმხრივი ინტერესი ეფო საფუძვლად რუსებთან ურთიერთობას, რაც, სამნუხაროდ, დალატისა და ორპირობის რუსულ ნიმუშად გამომჟღავნდა. დროთა ვითარებაში გამოაშკარავდა, რომ რუსების მიზანი კავკასიური გზაჯვარედინიდან ქართველთა აყრა და რუსებით დასახლება იყო. ეს საშიშროება რუსების შემოსვლასთან ერთად დაისახა და დღემდეც არსებობს.

ხრუშჩოვის მიერ განსვენებული მამობილის გალანძღვისა და კრემლის უფლებამოსილების ხელში ჩაგდებიდან დაახლოებით ერთი წლისთავზე საქართველოს კომუნისტთა ბელადმა — ვასილ მუავანაძემ ახალგაზრდა ქართველ მწერალთა და ხელოვანთა შეკრება მოაწყო ბორჯომში, სადაც გვაცნობა, რომ თუ რუსების იმპერიის ლანძღვასა და ზოგ შემთხვევაში სანინააღმდეგო ქმედებასაც არ დავიშლიდით, ხრუშჩოვი ქართველებს რუსეთის რომელიმე ნაწილში გადავვასახლებდა და ჩვენს მინა-ნუალს სოციალიზმის ერთგული რუსებით დაასახლებდა. ნათქვამის დამაჯერებლობისთვის ცნობილ კრიტიკოსსა და პუბლიცისტს, გურამ ასათაინს, რაღაც პუბლიკაციისთვის მუავანაძემ “დვურუშნიკი” საჯაროდ უნდა და ხრუშჩოვის მუქარაც გაიმეორა.

ამ გაფრთხილებამ აუდიტორიაზე ხრუშჩოვ-მუავანაძისთვის სასურველი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, რადგან გადასახლების მუქარები სტალინის სიკვდილისთანავე გაისმა, ახალი არა იყო რა. პირადად მე მაშინვე გამახსენდა თბილისში მცხოვრებ დეკაბრისტთაგან პეტერბურგში მიწერილი შეხედულება, რომ თანამებრძოლთა განზრახვა-საქართველოდან ქართველთა გადასახლება, დეკაბრისტების მიერ ხელისუფლების დაუფლებისთანავე უნდა განხორციელებულიყო, რაც იმპერიას სამოთხის ნაწილს შესძენდა და პლაცდარმის საიმედობასაც უზრუნველჰყოფდა. ამის ნაკითხვამ დამაინტერესა, დეკაბრისტებზე არსებულ სხვა მასალასაც გავეცანი და დავრნმუნდი, რომ ქართველი

ერის თავის მინა-ნუალზე განდევნის გეგმა რუსების მიერ იმთავითვე იყო შემუშავებული. დღეს ამ განზრახვის ახდილი განაცხადით, საქართველოს ოკუპაციით, მათ კიდევ ერთხელ დაუდასტურეს მსოფლიოს თავისი ვანდალიზმი. ვის როგორ ჰგონია, რისთვის ანგრევენ საცხოვრებელ ფართს, რა მიზნით ახდენენ მცხოვრებთა გამოყრას ბინებიდან ცის ქვეშ, რისთვის იყენებენ ნადგურის-ცემის მათი მამაპაპეული ხერხების იმ კომპლექსს, რომლის ერთადერთი მიზანია მივატოვოთ მრავალათასწლეული ნამოსახლარი და სამშობლოდან გაქცევით გადავარჩინოთ საკუთარი და ნაშიერთა სიცოცხლე?.. მკითხველს რუსების სისხლისსამართლის დანაშაულთა ჩამოთვლით თავს აღარ შევაბეზრებ, ამას ინფორმაციის წყაროები საკმარისად აშუქებენ, გარდა ერთი საკვირველი გამონაკლისისა — ხალხს არაფერს ეუბნებიან რუსების ნამდვილი მიზნის შესახებ და არც სახელმწიფოს ხელმძღვანელები ამახვილებენ ყურადღებას ამ განზრახვის გამო. დავაკვირდეთ რუსებთან ურთიერთობის ისტორიას და სიმართლეს მივაგნებთ.

ორიოდ სიტყვა იმაზეც უნდა ითქვას, თუ ვისი ხელმძღვანელობით სრულდება ჩვენს მიმართ დაწყებული გენოციდი.

დღევანდელივით მახსოვს ელცინმა პუტინი ლამის ყურით რომ შემოათრია ტელევიზიოთა და მედიით ავსებულ აუდიტორიაში. მაშინვე თვალში მეცა პუტინის “ყოჩალი” ნაბიჯი და დაუკაებელი სურვილი სრულყოფილ ორგანიზმად ნარმდგარიყო ასეულ მილიონიან მაყურებლის ნინაშე. შემდგომში გამოირკვა, რომ მას ჭიდაობის ილეთებიც ჰქონია შესწავლილი.

ყოჩალად სიარულის მანერა ტანმორჩილ, სუსტი აღნაგობის ადამიანთა ერთი, მცირე ნაწილის თვისებაა. ასეთნი არც ჯალათობას ეუცხოებიან და საზოგადოებაში საპატიო ადგილის მოსაპოვებლად საკუთარი ძლევამოსილების სხვათა მიერ აღიარებისთვის “ყველაფერს კისრულობენ”. არ ვიცი, შევძელი თუ ვერა ჯალათ პუტინის მიახლოებით დახასიათება, მაგრამ ის კი ნამდვილია,

რომ იგი ქართველი ერის ისტორიაში უმ-  
ძვინვარესი დამპყრობლის სახელს გა-  
ინაღდებს, მიუხედავად იმისა, რომ თა-  
ვისი ჯალათი წინაპრების ხელოვნებაში  
ახალი ვერაფერი შეიტანა იმის მეტი,  
რომ მან, პირველმა გამოიყენა რუსული  
პასპორტი, როგორც სამხედრო ექსპან-  
სიის „იარალი“. ახლა ეს ხერხი სამეგრე-  
ლოშიც გამოიყენება რუსთა მიერ.

მართალია, მიუხედავად არაერთგზის  
ხმამაღალი განცხადებებისა ცივილიზა-  
ცული მსოფლიო რუსების ბოროტმოქ-  
მედებისგან ქართველი ერთის გადარ-  
ჩენასა და ჩვენი ტერიტორიული მთლი-  
ანობის იდეას „საფლავში ვერ ჩაჰვება“,  
რადგან რუსებს მსოფლიო ბატონობა  
აქვთ განზრახული, ბირთვულ ომსაც კი  
არ დაერიდებიან. და, მიუხედავად ამისა,  
ქართველი ერი იცოცხლებს, როგორც  
მან თავისი ტრაგიკული ისტორიის მან-  
ძილზე არაერთხელ დაამტკიცა.

ახლახან მაცნობეს, საქართველო-  
ში ისეთი ადამიანებიც გაჩენილან, ვინც  
დაახლოებით ასეთ იდეას ავითარებს, —  
რუსები? იყვნენ, მერე და რა? ორასი წე-  
ლინადი აქ ბრძანდებოდნენ, რა ფეხები  
მოგვჭამეს? მათი აქ ყოფნა სჯობს, თუ  
იმ ერთაგანი გავხდეთ, ვინც სტალინმა  
მოსწყვიტა თავის მიწა-წყალს და ზო-  
გი მთლიანად განადგურდა, ზოგისგან  
კი, როგორც იტყვიან „ნალრღენებილა“  
დარჩა...

ვერ ვიტყვი, გაიცნობიერა თუ არა  
დღევანდელმა მსოფლიომ რუსები რომ  
გლობალური შანტაჟის ხერხს დაადგნენ  
და ბირთვულ ომსაც კი არ დაერიდებიან,  
— როგორც ზემოთ ვთქვი, — მიუხედა-  
ვად იმისა, რომ ორმხრივ ბირთვულ პი-  
რისპირობას მსოფლიო რადიაცია მოჰ-  
ყვება და ყველასთან ერთად რუსი ერიც  
განადგურება. ეგ არის, რუსები ქვეცნო-  
ბიერად გრძნობენ საკუთარი იმპერიის  
აღსასრულის გარდუვალობას და ყოვე-  
ლი მათი ქმედება სიკვდილის წინა კონ-  
კულსიაა.


რაც შეეხება რუსების სისხლისმსმელ  
იმპერიას, ამის გამო ჯერ კიდევ გასული  
საუკუნის სამოციან წლებში პრესაში გა-  
ვახმაურე კანონზმოიერება, რომ კაცობ-  
რიობის ისტორიაში ვერცერთმა იმპერი-

ამ ექვსას წელზე მეტ ხანს ვერ იარსება,  
გარდა ბერძნებისამ და ეს იმის წყალო-  
ბით მოხდა, რომ ბიზანტიია დარჩენილი  
მსოფლიოსთვის მისაღები იდეოლოგი-  
ის ემისიონერი გახლდათ. ლენინმა და  
დასმა მისმა, როგორც სჩანს, ეს კანონ-  
ზომერება გაითვალისწინეს, რუსეთის  
სახენაცვალი იმპერიის დაარსებისთვის  
გამოიყენეს; მაგრამ, დროთა ვითარებამ  
ცხადჰყო, რომ, ქრისტიანულის საპი-  
რისპიროდ, კომუნისტური იდეოლოგია  
ძალადობაზეა აგებული.

იმ პუბლიკაციაში რუსეთის კომუ-  
ნისტურ იმპერიას არსებობის კიდევ ოც-  
დახუთი წელი „ვუნინასნარმეტყველე“.  
შევცდი, იგი თხუთმეტიოდე წლის შემ-  
დეგ დაიშალა. ეგ არის, საშველი კაპი-  
ტალისტური იმპერიის სახით გამოჩენდა,  
იმპერიამ ე.ნ. დსთ-ს სახით განაგრძო არ-  
სებობა, მაგრამ იგი ისტორიით დადას-  
ტურებულ კანონზომიერებას ვერსაით  
გაექცევა, რადგან საფუძვლად ჩეკიზმი,  
ბოროტება უდევს და დასაშლელად არის  
განწირული. თხუთმეტ, ოც წელიწადში  
მოეღება ბოლო კაცობრიობის ისტორი-  
აში უსაძაგლეს იმპერიას.

ნუ მოვიტყუებთ საკუთარ თავს, სა-  
ქართველო ოკუპირებულია და უარესის  
მოლოდინშია და მაინც, უნდა შევინარ-  
ჩუნოთ სიცოცხლე. ამას მოთმინება, გო-  
ნიერება და მკვიდრად დგომა სჭირდება.

მხნედ და ჭკუით ქართველებო! და-  
ვუმტკიცოთ კაცობრიობას: ჩვენ, მარ-  
თალია ობოლი, მაგრამ მარადისი ერი  
ვართ!



# მუსიკი მუსიკის ძვირი

პოეტის შესახებ

იყო პოეტი, როგორც სურდა ისე იცხოვრა,  
მეტს არ ეძებდა, არც ნაკლებზე იყო  
თანახმა.

ინანიებდა რაც შეეძლო, ცოდვებს იხოცდა,  
და რას ენია, ან რა სურდა — უწყის ალაპმა.  
დაფარფატებდა, როგორც ერთი ვინმე  
ყორანი,

ბუღნარაობდა, როგორც ვინმე — უცხო  
მარტორქა,

ჰქონდა იარა, მაგრამ ისიც ნადიღგორალი,  
და ამიტომაც მუხთალ უამმა ვერ დააჩოქა.  
ნერდა ლექსებს და — სხვათაშორის —

ასე ეგონა —  
მთლად უსქმოდაც არა ვარო დინგი დუნია,  
რაც უამ ხდებოდა, ბევრი რამე არ მოენონა,  
რაც უამ რჩებოდა, არც აღარა დაუნუნია.  
დრო კი მიხტოდა ვით ეზოში ბეცი ბოცვერი,

რათა და რატომ — თავში აზრად არც კი  
მოსვლია,

გზას მიკვალავდა ხან ჭაობში ლელთა  
მოცელით,

ხანაც პარკეტზე აცეკვებდა პოლკას  
ფროსიას.

ზაფხულში ღუმელს ეფიცხებოდა არყის  
ბოკალით,

ზამთარში ნაყინს მიირთმევდა წელს-ზე  
შიშველი,

ნაბახუსევზე ჩაესმოდა: მიდი... მოკალი...  
და ღმერთს ჩურჩულით ევედრებოდა: შენ  
თუ მიშველი.

ვა ბანკს იძახდა წამდაუნუმ შორის  
შულერთა

და მათხოვრებთან შხამსა სვამდა ლამის  
დილამდე,

ვალადა ჰქონდა მართლის გეში, როგორც  
ომერტა,

ორმხრივი სევდა გულს უჭერდა, როგორც  
გირაგი

არც მიწის იყო და არც ცისა, როგორც  
აღნიშნა

ნერეთელმა და ბოლო-ბოლო თვითონაც  
მიხვდა —

რამდენი რამე შეეშალა ფუჭ იაღლიშად —  
მიხვდა და ყველა კონტაქტები გათიშა  
რისთან.

თავჩაღუნული დასცეკეროდა ტყვიისფერ  
ასფალტს,

თავოჩემოო — ღილინებდა გულარხეინად —  
ნარჩევ სიტყვებით ადევნებდა გასაცდელს  
ლაზათს:

გმადლობთო გენავ-შენ მიქციე შარი ხეირად.  
რა ედო გულში, ხშირად თავად ვერა  
ხვდებოდა —

აფაციცებდა მაცილების ყალბი გრაცია,  
და როგორც სტრიქონს, გამკრთალ ხალისს  
თავს ევლებოდა

რათა ძირშივე აღმოეფხვრა პროფანაცია  
და არ ეგონა მოკვდებოდა — თურმე  
კვდებოდა,

იმის გარეშე აერჩია იღბალს მიზანი,  
თუმცა უმეცარს კვლავ ჯიუტად  
ესიზმრებოდა

სივრცე უმიჯნო და ბჭეკარნი სამოთხისანი.

იყო ხიზანი, მაგრამ თავი სახლში ეგონა,  
ყველა შეცდომა, მასპინძლურად თავად  
ეტკინა,

თვითონეულ-ყველას უსაზმანოდ  
გადაჰგებოდა,

რადგან სხვაგვარი ყოფა ვერც კი  
ნარმოედგინა.

ჯიუტი იყო, თავქეიფა — როგორ არ იყო,  
ღვინის ჩარექი სულ თან ჰქონდა როცა  
ტყუოდა,

ნისლიან მზერით დაუბლვერდა ხშირად  
ბარიგებს

და ნისიადაც წაიღებდა რაც კი უნდოდა.  
დაბანცალებდა დაღალული თავსხმა-

ლეგმაში,

და ბარში ბარმენს შეულრენდა: ასი

დამისხი...

ჰარმონიაში იჭრებოდა ჯახის დემარშით —  
თავისებურად ისიც იყო იგორ სტრავინსკი.

წამონვებოდა ფრიალოს პირ ვითარცა პანი,  
თუმც გადაჩეხილს დაუეუშილი ჰქონდა

ფერდები,

იმეორებდა მოგუდული, ჯიუტი ბანით:  
— დიახ. მოვკვდები. მაგრამ მაინც არ

დავბერდები.

არა გააჩნდა, მაგრამ განა თუ მათხოვროდა,  
თუ რამ ახარა — გაზაფხულის ლურჯმა  
ბალახმა...

იყო პოეტი, როგორც სურდა ისე იცხოვრა,  
მეტს არ ეძებდა, არც წაკლებზე იყო  
თანახმა.

## რთველი

რთველი დაინტე — ალი ქოხ ეცა,  
გოდორ ყურ უნნავს — ყურძნის პატრონი.  
ლვინო იქნება — ლხენა მოგვეცეს —  
პურმარილებიც საბელადონი.

წალმი წაკვერჩხალ მწვადი შიშხინებს,  
აზრი არა აქვს სხვა ყველაფერსადა დიონისე აშლის იშკილებს,  
ჩანმენდინებს ხახას საფერავს.
მზერა ეჩვევა ზეცის მოღრეცვას —  
უკვე ითვრები სუფრის გამძლოლო —
რთველი დაინტე. ალი ქოხ ეცა...  
ვინც ვერ მოესწრო, ლმერთმა აცხონო

## მთავარი ლეგენდა

ვის რა აგიუებს: გუშინ შემხვდა ერთი

ნაცნობი

და გატაცებით აგინებდა სულით ფაქიზებს —  
სისუფთავეო არ არისო მარტო კაცობა,  
ამ ცხოვრებასო ანარეკლი უნდა სარკისებრ.  
მე გამეცინა... ჩემო ძმაო, ჩემებრ ცოდვილო,  
ერთი მითხარი სიკვდილის წინ თუ რას

აპირებ —

ჭუაზე ყოფნა აღარ არის უკვე ადვილი —  
ფიქრი აწყდება უაზრობის მჩქეფარ  
ნაპირებს —

მაგრამ ვინ იცის, ეს ტინგიცი მახა-მაია,  
რომლის სიზმარში ვის ყოფას და დედას  
ატირებს,

რომელს მოუტანს ზედაშეთი სავსე ფიალას,  
რომელს შვილივით მოვლილ ვენახს

გააკაფინებს...

თქვი აღსარება, ეზიარე, ვინძლო შეგენდოს,

იქნებ აზრები შეგიცვალოს მადლმა წამიერ,  
იქნებ შენც გაჰყვე სიყვარულის მთავარ  
ლეგენდას  
და შეიყვარო ის ვინც გძულდა...  
მრავალუამიერ.

## ელეგია

ქუჩაში არავინ არ არის, უბანში არავინ არ  
არის,  
ქალაქშიც არავინ არ არის — სიცარიელე  
სუფევს.

ან რას იპოვი — რას არა, რჩები იმედის ამ  
არა,  
ანუ ოცნების ამარა და ახდენას სთხოვს  
უფალს.  
ვეღარ წახავო მეგობარს — სამძიმარს  
მითვლის ჰეკუბა:  
მოთმინება არ გეყოფა — მოლოდინს არ აქვს  
აზრი...

საქართველოში თითქოს და ისევ გრძელდება  
ლეკობა,  
ისევ ქართველნი გამხდარან ხარკი  
ჯანდაბის ბაზრის.  
და ისევ დასტურ მარტო ხარ, მარტოდ  
შობილი მარტოდენ,  
ძლივს გახსენდება წარსულის დღეები  
როგორ გარბოდნენ,  
გარნა-ღა ცრემლით მომდგარით — ჩუმად  
რომ უპეს ადნება —  
სიმარტოვეში წარსულის წამებაც  
მოგენატრება...  
წუთისოფელიც წამია, მაგრამ რა კარგი  
რამეა —  
ის მთვარიანი ღამეც ხომ, ლამის მზიანი  
ღამეა...

უამთასვლის წატისუსალი საუკუნეთა  
ყროლია.

— მიმინო გვყავდა?..

— გაფრინდა...

— ჩათვალე: არ გყოლია.

\* \* \*

ეჰ... სასაფლაო მომინდა —  
სასაფლაოზე მკვდრებია.  
ნეტავ ვინ იტყვის ამქვეყნად:  
დარდი არ გამკარებია  
მივდივარ მიტომ მინდობით —  
იქ ხომ სანთლებსაც ანთებენ —  
იმათთან ყოფნა მინდება —  
მკვდრები არ მიღალატებენ.

## პლიაზი

როცა გადაქრა ცის ტატნობზე ფთილა  
ფოფინა,  
ვიღაცამ ნიშას მზეში ქედი გააოფლინა,  
შრომობდა კაცი, მაგრამ შრომას აზრი არ  
ჰქონდა —  
კლიპი ყოფილა ეს ცხოვრება. კლიპი ყოფილა.  
უსამშობლოთა ფესტივალი როცა აგორდა,  
ფასი დაცა მშობლიური ქვეყნის მთავორთა,  
ჰედოფილები გაიშხვართენ წითელ  
ლორფინად —  
კლიპი ყოფილა ყველაფერი კლიპი ყოფილა.  
ადრე რაც იყო იმის მადლი უარყოფილა  
და ცა ფირუზი მკვლელთა თოფით  
გამოთოფილა,  
რაღაც საზარი ჯიში მოდის უბარაქოთა —  
კლიპი ყოფილა, განსაცდელიც კლიპი  
ყოფილა.  
ლამის რომ კაცი მიუღიათ კაცებს დობილათ,  
ტერორისტები ბავშვებს ხოცენ დედიშობილა  
ხოდა მაგათი იყოს წილი ცოდვის დოვლათის —  
ალაპ აკბარ და ფანატიზმიც კლიპი ყოფილა.  
ალაპ აკბარ და შენი ჯიშიც თურმე ინშალა —  
წინასწარმეტყვლის ხმა თუ სისხლში  
ამონობილა,  
თუ მადლი გინდა მართლის გეში ვინ  
დაგიშალა —  
კაცი მართალი არასოდეს არ დაგმობილა.  
დათვს ვინაც თათი თაფლის ჯამში  
ჩააყოფინა —  
სულით მეძავი გვევლინება ახლა დოფინად:  
სატახტო ქალაქს მერად ჯდება ყუმი  
სოფლელი —  
ნუთისოფელი სასაცილო კლიპი ყოფილა.  
კლიპი ყოფილა ან უფრორე ბლეფი ყოფილა —  
ჭეშმარიტება მონასავით წამოჩოქილა —  
კაცების ყურზე საყურე და თავზე ჩიხტები  
ქოსა ევნუხის — რეალობის — კლიპი  
ყოფილა.

## ირიგი იღგალი

ვუყურებ ზეცის მოღუშულ გრიმასს —  
თითქოს მძაღე რამ დაუღეჭია,  
ვენევი ძალუმ, სიგარეტ „პრიმას“ —  
მახრჩობელას და ფილტვებგლეჯიას.  
მთის ბერიკები იცვლიან გრიმებს,  
მიზანსცენებსაც ალბათ შესცვლიან,  
სპექტაკლი მიდის — ბუტაფორიის  
უამს საღებავი აუქერცლია.  
იღბალი თმენის აღვირებს ჭიმავს,  
არ ყოფილიყო სულაც — ერჩია,  
მაგრამ რას ნიშნავს მოკვდავის ჯიბრი,  
როს ყველაფერი უფლის ხელშია.

და უცნაური ურიალი ისმის  
უღელტეხილზე — ქედის იღლიას —  
და ვინც კი უსმენს მოღრეცილ კისრით,  
ეყურებოდეს ირიმ იღბლიანს:  
სიმებიანი ორკესტრის სიმნი,  
თითქოს ბერებთან ერთად მიჰქრიან...  
სიკვდილის შემდეგ მიიღებ იმას,  
რაც სიცოცხლეში არც გიფიქრია.


## იძულება

კუთხურ აქცენტით, ხელში კითხვარით  
და ბრიყვულ მზერით მთვალავს მოწყენა —  
რა ბედენაა, ერთი მითხარით  
თავიდან ბედის გადამოწმება.  
ერთი მითხარით ვინ პირველია —  
მე რომ ვიყავ და ის კი არ იყო —  
ვერ ვიშორებ და საფიქრალია,  
თუმც სჯობს შეხვედრა არც შემდგარიყო.  
აღარ მოსწყინდა დაჭერობანა —  
ექსპერიმენტით ალბათ ერთობა.  
განა ეთქმის, რომ მეგობრობაა  
იძულებითი ურთიერთობა.  
ირგვლივ საზღვარი შემოვიხაზე —  
მაინც არ ამცდა თარსის მარნუხი —  
ამიტომ დასმულ ყოველ კითხვაზე  
იძულებითი არის პასუხი.

## შემოდგომა

როგორ გაფითრდა ქედი ნისლში, როგორ  
დაბერდა —  
გახედე: ტყეშიც დაწყებულა ფერთა ანძლაგი —  
უანგი მოედოთ ცხენის წაბლებს და  
კაკლებსაც ოხრად მოედოთ უანგი.  
ფლატესთან, ვიცი, ხე არის ერთი  
ძლიერ ყვითელი ან ოქროს ფერი —  
არ ვიცი მურყანია თუ ვერხვი —  
მართლა არ ვიცი...  
ნარინჯისფერიც გამოკრთა მკვეთრი  
და სისხლისფერიც ეტყობათ ფოთლებს  
და ფერნაცვალი იალღუნები  
ალაზნის ბურში გასაოცრად იცრიცებიან —  
თითქოს სეზონს შენდობას სთხოვენ...  
ფლატესთან, ვიცი, ხე არის ერთი —  
ვერ შეედრება ბაჯაღლო ფერში —  
ერთი ფოთოლის მოწყვეტაც არ

მიკადრებია,  
უბრალოდ ჩუმად დავუდექ გვერდში.



# ნუკომი რეაცია

## პატაჩა აღამიანი

მეორე ნაწილი

\*\*\*

პატარა ადამიანი ძალზე დაიღალა... და მოტყდა! თავიდახარა — რამდენიმე ნამი კიდევ უნდა გაეძლო იმისთვის, რაც თავს დაატყდა და მერე ფრთხილად გაძურნულიყო ოთახიდან “ჯანდაბისაკენ”! “შეყვარებულს”, რა თქმა უნდა, ვეღარ ესროდა მზერას და მასზე ფიქრის-თვისაც რომ დაეღწია თავი, რამდენადაც გამოუვიდა, ყურადღება სხვა თანამშრომლებისაკენ გადაიტანა. გადაიტანა და მაშინვე თვალში ეცა ერთი აქტიური ქალი, რომელიც ხმამაღლა უამბობდა დანარჩენებს რომელილაც ახალი ტელე-

დასაწყისი იხ. №6,7,8-2008

სერიალის შინაარსს, ტელევიზიას ჯერაც რომ არ გაეშვა ეთერში და ამ ქალბატონს, როგორც გამონაკლისს, საშუალება მისცემოდა, ორმოც-დაათამდე სერია პირატული გზით მოპოვებული ვიდეოესეტების მეშვეობით ეხილა. ძალზე საინტერესო ტელესერიალი ყოფილა! სხვათა შორის, პატარა ადამიანსაც უყვარდა მძაფრსიუჟეტიანი ტელესერიალები, მაგრამ ახალი სერიალის ზეპირად ხილვის თავი ახლა ნამდვილად არ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ფილმში თვითმევლელობაზეც ყოფილა რაღაც-რაღაცები და ამაზე კიდევ რაღაც ახლის გაგებას ვეღარ აიტანდა. როგორც იცოდა, თვითმევლელს კარგი დღე არ უწერია იმ ქვეყნად — პირდაპირ ჯოჯოხეთში მიექანებაო! უზენაესის ბრძანებით ადამიანს არა ჰქონია ასეთი ნაბიჯის გადადგმის უფლება!

ნამით განვლილი ცხოვრება გაახსენდა, ზოგიერთი შემთხვევა და ისე, უზენაესის ნინააღმდეგ ნასვლა რომ არც უფიქრია, თვითმევლელს თანაუგრძნო. თუმცა მაშინვე მიხვდა, რაც ჩაიდინა და თითქოს პატივება ითხოვაო, სხვა თემაზე გადაიტანა ფიქრი. ამასობაში ტელესერიალის სიუჟეტში სიკვდილი სიცოცხლემ შეცვალა და ამ გარემობამ პატარა ადამიანს კიდევ უფრო გაუადვილა ფიქრი. მართალია, არც ეს „სხვა თემა“ იყო მთლად დალაგებული, მაგრამ პატარა ადამიანი ახლა უკეთესს ვერც ვერაფერს ინატრებდა. იგი ოთახის დასატოვებელი გეგმის დამუშავებას შეუდგა — რამდენიმე ნამი გავიდა მას მერე, რაც ტახტზე ნამომჯდარიყო. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მაშ, ნელ-ნელა შეუძლია ნამოდგეს და გასასვლელისაკენ ნავიდეს. მთავარია, ნელი ნაბიჯით იაროს, მის შინაგან დაძაბულობასა და ნერვიულობას რომ არ გაესვას ხაზი... ჰო, ყველაფერი მშვიდად, სასურველია, ღიმილითაც კი გავაკეთოო, შეახსენა თავს და ფრთხილად ნამოდგა. თვალი ოთახს მოავლო, მზერა თითქოს ოთახში მყოფებისაკენ ჰქონდა მიმართული, სინამდვილეში, არც ერთისთვის არ შეუხედავს — ეშინდა! ერთი-ორი ფრთხილი ნაბიჯი, კიდევ და კიდევ და კარსაც მიაღწია, ფრთხილად გამოაღო და მგონი, გასვლისას თავშეკავებამ უღალატა — სწრაფად გახტა ლია კარში, თანაც ოთახში მყოფებისთვის გასვლის ნინ მაღლიერების ნიშნად არაფერი უთქვამს და კარიც ზომაზე მეტად მიიჯახუნა.

\*\*\*

დერეფანს, რომელსაც პატარა ადამიანი მიუყვებოდა, ორივე მხრიდან კარების მნკრივი მიუყვებოდა — ზოგი დახურული იყო, ზოგი ღია. ხალხი მრავლად ირეოდა დერეფანში. შესაძლოა, მათგან ბევრმა იცოდა პატარა ადამიანის ეპილეფსიური შეტევის შესახებ და ახლა ცნობისმოყვარედ აკვირდებოდნენ, მაგრამ მა-

თი ცნობისმოყვარეობა პატარა ადამიანისათვის უკვე სულერთი იყო — ვიღას უნდა ენახა ასე დაპეჩავებული იმაზე მეტს, ვინც უკვე ნახა? დიახ, იმ მბეჭდავ გოგოს, ეგრეთ წოდებულ მის შეყვარებულს! და კიდევ მეგობრებს — დონუანს, შავგვრემანს... პატარა ადამიანის უცნაურობების შესახებ ბევრი რამ იცოდნენ ბიჭებმა და ახლა ეს წყეული ეპილეფსიაც დაემატა. ნაცემივით მიღასლასებდა ჩვენი გმირი ამ გულცივ, ადამიანთა გაუთავებელი მოძრაობით გაცვეთილ დერეფანში. მიუხედავად იმისა, რომ აქ მუდამ ბევრი ხალხი ირეოდა, მაინც ყრუ, ადამიანური სითბოსაგან დაცლილი ადგილი იყო!

ასე გაიარა ჩვენმა გმირმა დერეფანი, მთელი უსასრულობა — (თუმცა სინამდვილეში დერეფანი მხოლოდ ოციოდე ნაბიჯს თუ მიითვლიდა) — და მეორე (კიდევ უფრო მოკლე) დერეფანში გადაუხვია, საიდანაც დაწესებულების ცენტრალურ კიბემდე ძალიან ცოტა მანძილი რჩებოდა. მეორე დერეფანი თითქმის არაფრით განსხვავდებოდა პირველისაგან, ოღონდ ოდნავ განიერი იყო და შედარებით მეტად განათებული, მაგრამ ამ დერეფანში პატარა ადამიანს კიდევ უფრო მეტად შემოაწვა სევდა, რისი მიზეზიც მთლად კარგად თვითონაც ვერ ახსნა. მან მხოლოდ ერთი რამ იცოდა დაზუსტებით — იგი პირდაპირ "ჯანდაბისაკენ" მიაბიჯებდა და ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ სულ უფრო მცირე მანძილი რჩებოდა მასსა და "ჯანდაბას" შორის.

ისე გაბრუებული იყო პატარა ადამიანი, იმ "ჯანდაბამდე" მიღწევაც გაუჭირდებოდა, მაგრამ თავს რის ვაივაგლახით ძალა დაატანა და რამდენადაც მოახერხა, ყურადღება გარემოზე, დერეფნის სივრცეზე გადაიტანა. ნაღვლიანი თვალები იატაქს, კედლებსა და კარებს აადევნა. მგონი, თვლაც იწყო კარების, მაგრამ მექანიკურად, თავისდა შეუმჩნევლად. რატომდაც რიცხვი "ექვსი" აეკვიატა თავში და თითქოს რიცხვმა მისგან განსაკუთრებული ყურადღება მოითხოვა, ტვინში რამდენიმეჯერ უცნაურად გაეჩირა. ეუცნაურა ეს პატარა ადამიანს, შედგა, შედგა და უეცრად შეამჩნია, თვალი ერთერთ კარზე გაშტერებოდა — ეს სწორედ მეექვსე კარი უნდა ყოფილიყო! რატომ იყო მეექვსე, ამას ვეღარ გეტყოდათ. გონება დაძაბა და ყურადღებით მიაცეკრდა: კარს ნომერი არ ჰქონდა — ეს ცხადლივ გაარჩია. ნაბიჯი გადადგა და უფრო ახლოდან შეათვალიერა. შეათვალიერა და უცებ მიხვდა, კარს ნომერი ექვსი (ყოვლად უმიზეზოდ) თვითონვე მიანერა, მიანერა მაშინ, როდესაც თავისდა შეუმჩნევლად ითვლიდა დერეფანში განლაგებულ კართა მნერივს. ისიც კი გაახსენდა, როგორ ითვლიდა: ერთი, ორი, კიდევ რამდენიმე და ბოლოს, ექვსი. ამაში თითქოს არაფერი იყო საგანგაშო და ის იყო ნაბიჯის გაგრძელებას აპირებდა, რომ ისევ შედგა და ახ-

ლა იმან დააფიქრა, რატომ გაჩერდა მაინცდამაინც რიცხვ ექვსზე, ანუ იმ კართან, რომელსაც რიგით მოუნია ამ ციფრმა. რაღაც აზრი ულრღნიდა გონებას, მაგრამ პატარა ადამიანი ჯერ კიდევ იმდენად იყო გაბრუებული, რომ ამ არაცნობიერი აზრის გასაცნობიერებლად უნარი არ ჰყოფნიდა. მუხლებში სისუსტეს გრძნობდა და და ყურები უნიოდა.

— კარი... კარი... კარი... — და უეცრად პატარა ადამიანს გონება გაუნათდა — მიხვდა, რა საიდუმლოც იმალებოდა მეექვსედ წოდებულ კარს მიღმა. მიხვდა, მაგრამ ვაი ამ მიხვედრას. კარი, ანუ ოთახი, რომელსაც ჩვენი გმირი მიახლოებოდა, კადრების განყოფილების უფროსის "საშინელი კაბინეტი" იყო! რატომ საშინელი? რატომ და იმიტომ, რომ ასე ნაუცპადევად სხვა მეტად შესაფერი სიტყვა, უბრალოდ, ვერ შეარჩია პატარა ადამიანმა. შეიძლება, ამ კაბინეტში ვიღაცებს წვავდნენ... ვიღაცებს ჭამდნენ კიდეც...

კარი ნახევრად შეღებული იყო და ხმები ისმოდა! პატარა ადამიანს ურუნატელმა დაუარა: ამ ხმებში მან თავისი მეგობრების (თუ უკვე მტრების...), დონ უუანისა და შავგვრემანის ხმა გაარჩია. ისედაც სულიერად გატეხილი პატარა ადამიანი მთლად მოტყდა, ნაიშალა, თითქოს გაქრა ამ ქვეყნიდან — მას მეგობრებმაც ულალატეს...

ერჩივნა, ნამდვილად ერჩივნა ჩვენს გმირს ხელმეორედ დაეკარგა გონება, ოღონდ ამ კარის ნინ არ გაევლო. ამ დროს რომელილაც კარი გამაყრუებლად მიაჯახუნეს და თითქოს ზურგში მოხვდაო ეს ხმა, ნინ გაისროლა. გამოჩნდა "ქაჯეთის ციხის" პირველი მკვიდრი, პირველი ეშვი ამ დაბჩენილი ხახისა!

ვინ იყო ეს "ეშვი"? არც დონ უუანი, არც შავგვრემანი და მით უმეტეს, არც კადრების განყოფილების უფროსი ყოფილა. სულ სხვა აღმოჩნდა — მორიგი "მხეცი" პატარა ადამიანის რეალობაში! ქალი თუ კაცი? ეჲ, ვინ იცის, ვინ იცის — საერთოდ, ქაჯებსა და ალქაჯებს აქვთ კი სქესი? მართალია, გარეგნობით ზოგიერთი კაცებს ჰგვანან, დანარჩენები კი ქალებს, მაგრამ სინამდვილეში... სინამდვილეში ეს არავინ იცის! ყოველ შემთხვევაში, პატარა ადამიანის მიერ "ეშვად" შერაცხული ავსული გარეგნულად ქალს ჰგავდა. ჴო, ქალი იყო, პირობითად! პატარა ადამიანი დიდი ხანია იცნობდა მას, იცნობდა ამ დაწესებულებაში მოსვლის პირველი დღიდანვე. პირველად ჩვენი გმირი სწორედ ამ ოთახში შემოიყვანეს და "ეშვი" იქ დახვდა. არადა, პატარა ადამიანმა იცოდა, რომ „ეშვს“ სამუშაო კუთხე სრულიად სხვა ოთახში ჰქონდა! უბრალოდ, ძალიან ხშირად სტუმრობდა კადრების განყოფილების უფროსს, მეგობრობდა მასთან. ეს ქალი (ეგრეთ წოდებული ეშვი!) ლამაზი იყო. თუმც ძალიან ჰგავდა კატას — არამხოლოდ გა-

რეგნობით, ხასიათითაც! თითქმის არასოდეს ლაპარაკობდა უცხოებთან — მოკალათდებოდა სავარძელში და საათობით გაუნძრევლად იჯდა. ადამიანების თვალიერება უყვარდა. გვერდული მზერით გაუთავებლად ათვალიერებდა ყველას.

პატარა ადამიანმა კიდევ ნაინია ნინ, კიდევ უფრო მეტად ჩარგო თავი ურჩხულის ხახაში და უბედურების მოლოდინში რომ იყო, მოვლენები სრულიად სხვაგვარად განვითარდა. ისე, რომ პატარა ადამიანმა მოულოდნელობისაგან პირი დააღო: მთავარი ქაჯი, ანუ კადრების განყოფილების უფროსი, ბუნაგში არ დაუხვდა, მხოლოდ სამი ადამიანი იყო იქ — დონ უუანი, შავგვრემანი და „ეშვი“. მთავარი ქაჯის უპატრონოდ დარჩენილ „ტახტს“ დონ უუანი დაპატრონებოდა: იჯდა სავარძელში და ფეხები ნინ გაეშვირა. შავგვრემანიც გვერდით ჰყავდა. საცოდავი მხოლოდ „ეშვი“ იყო — თუმცა ეშვი კი არა, კატა! ჴო, სწორედ რომ კატა, დამფრთხალი კატა, სადღაც კუთხეში მიკრუნჩხულიყო. კატა ტყვე იყო! ან მძევალი! მძევალი? ის უეჭველად ტყვე იქნებოდა! თანაც, როგორი ტყვე? უთუოდ ბრძოლის გარეშე დანებდებოდა ბიჭებს — ის ხომ კატაა, მისთვის სულერთია, ვინ იქნება მისი ბატონი!

სად იყო ამ დროს კადრების განყოფილების უფროსი, დამარცხებული მთავარი ქაჯი? სად და, პატარა ადამიანის აზრით, ის სადღაც იქვე, იატაკზე ეგდებოდა განგმირული, დონ უუანის ან შავგვრემანის ფეხთით — ის სხვაგვარად არ დანებდებოდა ბიჭებს.

პატარა ადამიანი ოთახში შევიდა. ზღურბლზე, ცოტა არ იყოს, ფეხი დაება — უხერხულობისა თუ შიშისმაგვარი გრძნობა დაეუფლა. თუმცა ეს არცთუ ისე თვალში საცემი იყო და ამ არასასიამოვნო წვრილმანის დაფარვის მიზნით პატარა ადამიანმა, ახლა უკვე დაბნეულობისაგან, უფრო თვალში საცემი შეცდომა დაუშვა: „შეიძლება?“ — იკითხა შესვლისას. ოთახში შესავლელად მეგობრებისაგან ნებართვის აღება ნამდვილად ზედმეტი იყო და ამით დარცხვენილმა პატარა ადამიანმა ოთახში ისე შეაბიჯა, ისე იპოვა იქვე, კართან თავისუფალი სკამი, თავი არ აუნევია — ელოდა, რა მოხდებოდა.

მეგობრებმა გულწრფელად გაიხარეს მისი დანახვით — ისაო, ესაო, თავს როგორ გრძნობო, როგორ ხარო, ნუ გეშინია, ეგ არაფერია, ჩვენაქვართო... ცოტა გადაიღალა კიდეც პატარა ადამიანი ზედმეტი ყურადღებისგან. თუმცა ეს მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. იცოდა, რომ რაღაცებს უეჭველად გამოჰკითხავდნენ, ამისთვის წინასწარ შემზადებული იყო.

შეხვედრის პირველმა წუთებმა, შეიძლება ითქვას, მშვიდობიანად ჩაიარა. ბიჭებმა ჩვენი გმირის მოკითხვით გული იჯერეს და მალე იგი ყველას გადავიწყდა და პატარა ადამიანმა

შვებით ამოისუნთქა. თვალი მოსწყვიტა თავის წითელ ფეხსაცმელს და იქაურობას მოკრძალებულად მოავლო მზერა, ოლონდ ადამიანებს თვალი ვერ გაუსწორა და ისევ ოთახის თვალიერებას დასჯერდა.

სხვათა შორის, ეს ოთახი ჩვენს გმირს აქამდეც კარგად ჰქონდა შესწავლილი. ზეპირად იცოდა, რომელ კუთხეში რა ნივთი იდო. მართალია, აქ ძალზე იშვიათად უნევდა შესვლა, მაგრამ ყოველი იშვიათი ვიზიტი თავს ძალიან დიდი ხნით ამახსოვრებდა, ძალზე მძაფრი შთაბეჭდილებებით დატვირთული გამოდიოდა ხოლმე იქიდან. შთაბეჭდილებები, ძირითადად, უარყოფითი იყო, თუმცა იყო ისეთებიც, რომელთა ნყალობით ჩვენს გმირს მხეობა ემატებოდა. ისევე როგორც მისი ბინა, ეს ოთახიც ათასი წვრილმანი ნივთით გამოეტენა კადრების განყოფილების უფროსს. სამუშაო ინვენტარის გარდა, აქ საყოფაცხოვრებო ნივთებსაც მრავლად ნახავდით. ზოგიერთი თითქოს სრულიად ზედმეტი იყო იქაურობისათვის, მაგრამ თითოეულს ისე უცნაურად, იდუმალი კანონზომიერებით ჰქონდა ადგილი მიჩენილი, რომ რაღაც განუყოფელი მთლიანობა იქმნებოდა. კონკრეტული დანიშნულება თუ მნიშვნელობა არა ცალკეულს, არამედ მთლიანობას, ნივთთა კრებულს ენიჭებოდა. აქ ყველაფერი რაღაცისთვის იყო საჭირო...

პატარა ადამიანისათვის ასეთი საჭიროება შემდეგში მდგომარეობდა: ცხოვრებისაგან გარიყულს ტანჯავდა თავისი მდგომარეობა, განიცდიდა, ებრძოდა კიდეც მას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა და ამ მოუშუშებელ იარას, ამ მარტოობის ტკივილს ყველაფერ იმის შემოკრებით იამებდა, რასაც ნამდვილ, მჩქეფარე, მისთვის საოცნებო ცხოვრებასთან ჰქონდა კავშირი, თუნდაც ესენი უსულო საგნები ყოფილიყო. არ დაიჯერებთ და, პატარა ადამიანს შინ მეგაფონიც ჰქონდა. ხშირად ჩართავდა ხოლმე, თუმცა, რა თქმა უნდა, მასში არასოდეს არაფერი ჩაუძახია.

კადრების განყოფილების უფროსის ოთახშიც მსგავსი „თბილი ქაოსი“ იყო. რამდენჯერ უფიქრია, რომ ამ ორ ადამიანს ბევრი რამ ჰქონდა საერთო, ერთმანეთს ჰგავდნენ. მეტიც, ხანდახან სჯეროდა, რომ ოდესლაც ეს ქალიც მასავით იტანჯებოდა. ერთ მშვენიერ დილას (იქნების ესეთივე დილას, როგორიც პატარა ადამიანს გაუთენდა დღეს) — სძლია თავს და... და თავისუფალ ცხოვრებას მონატრებული (თუ უფრო დახარბებული) ერთბაშად თავაშვებულ ცხოვრებაში გადაეშვა.

...ნუთუ მეც ასე დამემართება, როდესაც საკუთარ უმნეობაზე გავიმარჯვებო? — თავს დაეკითხა პატარა ადამიანი და მაშინვე ზიზღით ტუჩი მოეღრიცა. ჯერ ერთი, ძალიან შეეპარა ეჭვი თავის გამარჯვებაში და მეორე — რომც

გაემარჯვა, ვერ წარმოიდგინა საკუთარი თავი თავაშვებულ ცხოვრებაში გადავარდნილი!..

უეცრად პატარა ადამიანს დონ უუანის ენერგიულად აქნეულმა ხელმა გაანუვეტინა ეს ფიქრი. ხომ არ ჩხუბობსო, ვაიფიქრა. არა, დონ უუანი არ ჩხუბობდა, რაღაცას ყვებოდა აღტაცებით. ჩვენმა გმირმა ვერც გაიგო, რას ყვებოდა, მაგრამ დასტურის ნიშნად მაინც თავი დაუკრა, რადგან დონ უუანმა მისკენაც გამოიხედა. ამ უესტით პატარა ადამიანმა ყველას აჩვენა, რომ იგი ვანა საზოგადოებისაგან გარიყულია, მათთან არის!

პატარა ადამიანი ფიქრით ისევ იმ ავადსახსენებელ ქალს გადასწვდა. ქალი აშკარად გაბოროტებული ჩანდა და ბოროტებამ სწორედ მაშინ იჩინა თავი, როდესაც პატარა ადამიანის აზრით, პირიქით, კეთილშობილება უნდა მოჭარბებულიყო მასში და ანგარიში გაეწია ისეთი უმნეო ადამიანისათვის, როგორიც ცოტა ხნის ნინ თვითონ იყო. უმნეო ადამიანებს ხომ შეცნობა უნდა და შეცნობით სხვა ვინ შეიცნობს უკეთესად, თუ არა ის, ვისაც ეს საკუთარ თავზე გამოუცდია! — ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა და რადგან ასე ესმოდა ჩვენს გმირს, გაცნობის ლამის პირველივე დღეს მისთვის გულის გადაშლა სცადა. გადაუშალა კიდეც! იქნებ რაიმე ესნავლებინა, დაერიგებინა, მაგრამ ქალმა ირონიულად ესლა პერიოდი: **Как, прямо оттуда, с психушки?**

სხვა აღარაფერი გაუგონია პატარა ადამიანს — იმ დღიდან დაკარგა ყველაფრის რწმენა! სიკვდილის მოახლოებაც კი იგრძნო... აღარავისთვის გაუმხელია ის საიდუმლო, რაც ამ ქალს გაანდო. მოგვიანებით ქალის გამართლებაც სცადა. პატარა ადამიანს ჯერ კიდევ სჯეროდა, რომ ბოროტება სიკეთეზე ვერ გაიმარჯვებს. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, კეთილი გაუკულმართდეს! ხომ შეიძლება, იმ ქალის ჩვენი გმირისადმი უარყოფითი დამოკიდებულება კეთილი ზრახვებითაც იყო განპირობებული: თავის უმნეობაზე გამარჯვებული კადრების განყოფილების უფროსი აგრესიული მოპყრობით თავისნაირებს ცხოვრებას კიდევ უფრო უმძიმებდა და ამ უმარტივესი გზით თვით ყველაზე პესიმისტსაც აიძულებდა, საკუთარი თავი თუნდ სიკვდილის ფასად გარდაექმნა, გაეძლიერებინა. ასეა, ზრუნვა და ფერება ყოველთვის არ არის შედეგიანი! რომ იტყვიან, ნაზუქს ხანდახან მათრახიც უნდა ნააშველო, თორემ ზრუნვა და მიფერება მკვლელსაც სჭირდება... და იქნებ ყველაზე მეტად მას — რომ აღარასოდეს მოკლას!

ერთი სიტყვით, თუ ქალი შეგნებულად იქცეოდა ასე, ე. ი. ჰუმანური ადამიანი ყოფილა და კეთილი საქმისთვის თავს არ ზოგავდა! არ დაეძებდა, რას იფიქრებდნენ მასზე! ასეთი ადამიანები გმირები არიან! სწორედ რომ გმირები! —

დაასკვნიდა ხოლმე ჩვენი გმირი, ოღონდ მაშინ, როდესაც თავის ბინაში განმარტოვდებოდა გვიან ღამით, ბალიშში თავჩარგული ძილს რომ ამაოდ ელოდებოდა... მერე გაჭირვებით ჩაეძინებოდა და სიზმრად ნანახს კიდევ ერთხელ ანონ-დაწონიდა. დილით სამსახურში მისულს, თუ მესამე სართულზე ასვლა მოუწევდა, ყველაფერი თავიდან იწყებოდა — ნუხანდელი ნააზრევიდან აღარაფერი რჩებოდა — კადრების განყოფილების უფროსი კვლავ ქაჯი ხდებოდა!

— ის ქაჯია! ქაჯი! ახლაც ქაჯია!

უეცრად პატარა ადამიანმა იგრძნო, რომ შიში დაეუფლა. გაფაციცდა, საშიშროება აქვეჩასაფრებულიყო. ოთახის იმ კუთხისკენ გაიხედა, რომელსაც ახლა ტანსაცმლის საკიდი ეფარებოდა — იქ ქაჯი იმყოფებოდა, ცოცხალი და უვნებელი! დაბალ სკამზე იჯდა, თანამშრომლებისთვის ზურგი შეექცია და ელექტროქურაზე შემოდგმულ ყავიან მაღულარას კოვზით ურევდა!

\*\*\*

მეხის გავარდნის შემდეგ ცაზე ღრუბლები გადაიყარა, მაგრამ ცას აღარ ეთქმოდა სიცოცხლის, სინათლის ცა. მისი ადგილი დიდმა, უკიდეგანო რუხმა ლაქამ დაიკავა. ამ რუხი ლაქის ქვეშ, დედამიწაზე, ცივი, ნესტიანი სიკვდილი დაწანწალებდა. სიკვდილიც აღარ იყო ისეთი, როგორიც სინამდვილეში არის. სიმძაფრე გამოსცლოდა, გაუფერულებულიყო. სხვა ყველაფერიც გაუფერულებულიყო და გაუბრალოებულიყო — სამყარო გულგრილობაში იძირებოდა...

\*\*\*

პატარა ადამიანმა თავი ხელებში ჩარგო. ყველაფერი ეს ისე მობეზრებოდა, ახლა ვინმეს ბასრი დანა რომ მოეღირებინა, ოდნავადაც არ გაერიდებოდა, რადგან მისთვის სიკვდილი ღირებულებით სიცოცხლეს წამოენია, ან შესაძლოა, თვითონ სიცოცხლეს გამოეცალა აზრი!

პატარა ადამიანი ისევ თავის მონითალო ფეხსაცმელებს დააჩერდა, თან ფიქრობდა, ფიქრობდა, რამდენადაც შეეძლო. იცოდა, რომ უბედურება კადრების განყოფილების უფროსის შემობრუნების შემდეგ დატრიალდებოდა. საცაა ყავა აღუღდებოდა. ერთი პირობა პატარა ადამიანს თავზე მეტად დონ უუანი და შავგვრემანი შეებრალა. ჩვენს გმირს ვერაფრით აეხსნა, “მთავარმა ქაჯმა” დონ უუანს თავისი “ტახტი” როგორ დაუთმო? ან შავგვრემანს ის სიამაყე, ახლა სახეზე რომ ჰქონდა აწეპებული, აქამდე როგორ არ გადაახია თავზე? თავდაპირველი ვერსია, რომ ბიჭები მოღალატეები და ქაჯებთან შეკრულები იყვნენ, პატარა ადამიანს უკვე აბსურდად ეჩვენებოდა — ბიჭების გულუბრყვილობა მონმობდა ამას, გულუბრყვილობა,

რომელიც ამ წუთში აშეარად იკითხებოდა. ყოველი წამი ავისმომასწავებელ წინათგრძნობას უძლიერებდა ჩვენს გმირს — ძალიან, ძალიან ეშინოდა პატარა ადამიანს თავის ანევის... ეშინოდა და ისევ და ისევ თავის მონითალო ფეხსაცმელებს დასჩერებოდა — მონითალო ფეხსაცმელები კი სირცხვილისაგან ისე განითლებულიყვნენ, საცაა აალდებოდნენ.

აი, წამოდგა ფეხზე კადრების განყოფილების უფროსი (იგივე ქაჯი, იგივე ალქაჯი, იგივე...) და შემობრუნდა. ხელში მაღულარა უჭირავს. ვაითუ ყავა პატარა ადამიანს გადაასხას თავზე. პატარა ადამიანმა საცოდავად ახედა ქვემოდან. არა! ეტყობა, ამჯერად გადაურჩა ყავის თავზე გადასხმას, რადგან მთავარი ქაჯი დონ უუანს დააცხრა. თითქოს პირველად შეამჩნია, რომ "მსხვერპლი" მის "ტახტზე" მოკალათებულიყო. თითოს აქნევა და დონ უუანი სავარძელში აღარ იჯდა! მერე შავგვრემანიც მოიცილა — ის ხომ ახლოს იჯდა "მბრძანებლის" ტახტან... და ბოლოს, "მბრძანებელმა" პატარა ადამიანზე გადაინაცვლა!

დიდი პაუზა...

დიდი პაუზა? არა, დიდი პაუზა არ ყოფილა! ეს ისე (და ცოტა პატარა ადამიანის ხათრითაც...), შევისვენეთ! სინამდვილეში კი აი, რა მოხდა: კადრების განყოფილების უფროსმა პატარა ადამიანს ღიმილით თვალი ჩაუკრა. წინასწარ მომზადებულ ფინჯნებში ყავა დაასხა. ერთი თვითონ დაიდგა, ერთიც მეგობარ ქალს გაუწოდა და მესამე ფინჯანი კი, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ამ ყოვლად ამოუხსნელი ბუნების ქალმა პატარა ადამიანს უბოძა — თვალით ანიშნა, ახლოს მოინი და დალიეო!

პატარა ადამიანმა იმარჯვა და მადლიერების ნიშნად თავიც კი დაუკრა კადრების განყოფილების უფროსს — საოცარ ქალს! ამასობაში შავგვრემანმა თავის სკამიანად ოთახის ერთ-ერთი კუთხისაკენ გადაინაცვლა. საცოდავმა დონ უუანმა კი ელექტროქურასთან მდგომ იმ დაბალ სკამზე მოიკალათა, მცირე ხნის უკან კადრების განყოფილების უფროსს რომ ჰქონდა დაკავებული. ახლა შეიქნა პატარა ადამიანისათვის ნათელი, რა პატივი ერგო დონ უუანს ცოტა ხნით "მბრძანებლის ტახტი" რომ დაიკავა — ცხოვრება მართლაც რომ სასაცილოა...

პატარა ადამიანმა შვებით ამოისუნთქა — ეს იყო გვირაბის ბოლოს გამოჩენილი სინათლე. თუმცა განცდებისა და ეჭვისაგან საბოლოოდ გათავისუფლებამდე ჯერ კიდევ ბევრი აკლდა და ერთი პირობა ისევ მოეჩენა, რომ ყველაფერი, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, წინასწარ იყო გათვლილი, მის დასაღუპად გამოგონილი! დასაღუპად თუ არა, მაში, მასხრად ასაგდებად! ალბათ, გულში ხითხითებდნენ, მის დასანახად კი თავაზიანად იღიმებოდნენ! პატარა ადამიანმა ვეღარ მოითმინა და ოთახში მყოფები მოათვა-

ლიერა. მოათვალიერა და დანახულმა გააოგნა: ცივმა ოფლმა დაასხა — ყველანი მას მისჩერებოდნენ! არა, არა, მას კი არა, მის ზურგს უკან, კარის ზღურბლზე მდგარ სტუმარს მისჩერებოდნენ. პატარა ადამიანმაც მიიხედა ახალმოსულისაკენ — ერთი ახალგაზრდა, შეუხედავი ქალი აღმოჩნდა. სტუმარზე მეტად შინაურს ჰგავდა, ან ცდილობდა, ასეთი შთაბეჭდილება შეექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ოთახში მყოფთაგან არავის მიუპატიულებია და არც ის უცდიათ, ცხვირნინ მიეჯახუნებინათ მისთვის კარი, ზღურბლზე მუავე სახით გაჩერებულიყო და თითქოს გუნებაში ბჭობდა, იქ მყოფთათვის ზურგი მიექცია თუ პირიქით, შესვლით პატივი დაედო. ამ ქალსაც იცნობდა პატარა ადამიანი. "მეტიჩარა" — ასე დაარქვა ჩვენმა გმირმა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ. ერთხანს "მეტიჩარასაც" იკვლევდა და ბევრი რამაც გამოიკვლია, მაგრამ ამ საქმიანობაზე სულ მაღა აუცრუვდა გული, რადგან საკმაოდ პრიმიტიული და მოსაწყენი რამ აღმოჩნდა მისთვის. "მეტიჩარა" ერთი უბრალო, ცოტა არ იყოს, უცნაური ქალი ბრძანდებოდა — უცნაურად თავს განზრახ გაჩერებდა! ოღონდ კი ყველასაგან გამორჩეული ყოფილიყო და რას არ იგონებდა!..

ერთი სიტყვით, ოთახს, რომელიც კადრების განყოფილებად ინოდებოდა, დიდად საპატიო სტუმარი, ეგრეთ წოდებული — "მეტიჩარა", ენვია. როგორც იქნა, გადაწყვიტა და ოთახში შესვლით იქ მყოფნი გააბედნიერა. პატარა ადამიანი სკამიანად კედელს აეკრა, რომ გზა დაეთმო. მეტიჩარა თვალით სკამს ეძებდა — თავისუფალი სკამი აღარ იყო და ადგილის დათმობა მისთვის ფიქრადაც არავის მოსვლია! თუმც მეტიჩარამ პრობლემა ძალიან მარტივად გადაჭრა: ფანჯრის რაფაზე შემოჯდა. გზად, ოთახის შუაგულში, დიდ სანერ მაგიდას რომ გაუსწორდა, იმ მაგიდას, რომელზეც პატარა ადამიანის ხელუხლებელი ყავით სავსე ფინჯანი იდგა, მცირე ხნით შეყოვნდა. იქ მყოფნი კიდევ ერთხელ ყურადღებით შეათვალიერა, დარწმუნდა, ყავიანი ფინჯანირომელიმე მუშათაგანს რომ ეკუთვნოდა და ანუწუნდა — დაბალი წნევის გამო დილიდან თავი მისკდებაო და პატარა ადამიანის ყავა თან გაიყოლა. პატარა ადამიანმა შეამჩნია, როგორ აილენა კადრების განყოფილების უფროსი — აშეარად აღიზიანებდა მეტიჩარა. სიტუაცია საკმაოდ დაიძაბა. პატარა ადამიანმა ყურადღება მოიკრიბა — აბა, რა მოხდებაო? ხომ იცით, ჩვენი გმირი ცნობისმოყვარეც რომ იყო და ცოტა ჭორიკანაც!

მეტიჩარამ ხელჩანთიდან სიგარეტის კოლოფი ამოაძვრინა, ერთი ლერი ამოილო და სანამ თითებში სრესდა, დონ უუანმა საფერფლე მიანოდა. იმან კი, მაღლობის ნაცვლად, სანთებელა მაქვსო, უთხრა და სიგარეტს მოუკიდა. კვამლი ღრმად ჩაისუნთქა, ნათურას ქათამივით ახედა

და დაგუბებული კვამლი წვრილ ზოლად მისკენ მიუშვა. ამ დროს მეტიჩარას კადრების განყოფილების უფროსისაცენ ჰქონდა ყურადღება მიმართული. ქცევაზე ეტყობოდა, რომ აქაურთაგან მხოლოდ მას თვლიდა ტოლად და სწორად. იმასაც ატყობდა, რომ უგუნებოდ იყო "ოპონენტი" და ეს სიამოვნებას ჰგვრიდა. დუმილი ისევ მეტიჩარამ დაარღვია — რაღაც სახიფათოდ აქტიურობდა. ლაპარაკი ზერელედ წამოიწყო, თვითონაც რომ არ აინტერესებდა, ისეთ რამეზე. ვიღაც ახალ თანამშრომელზე ჰკითხა კადრების უფროსს, წინა დღით მისი თანდასწრებით რომ შემოეტანა საბუთები. პროვინციელი იქნებაო, თავადვე დაასკვნა ბოლოს და ისეთი სახე მიიღო, თითქოს უნდოდა ეთქვა — ოლონდაც მასზე არაფერი მკითხოთო!

კადრების განყოფილების უფროსი მოჭუტული თვალებით მიაჩერდა ახალმოსულს და თითქოს ახლადა შეამჩნიაო, ერთიანად გამოიცვალა, გამოცოცხლდა, სრულიად სხვა ადამიანი გახდა, ვეღარ იცნობდით ისევ ის იყო თუ სხვა. თამაში დაინყო! — ეს აშკარად დააფიქსირა პატარა ადამიანმა.

— Ну, რა დება?

ნამდვილად ადამიანებთან ურთიერთობის დიდოსტატი იყო. მისი ირონიული ღიმილი პატარა ადამიანსაც გადაედო. მეტიჩარა მოკითხა, გამოჰკითხა აქეთური, იქითური, ქმარი როგორ გყავსო და რატომლაც ტელეფონი მოინდომა უცბად. დონ უუანს მისდგა, რომ მიმჯდარხარ მანდ დატელეფონი გვერდით გიდევს, ხომ ხედავ, მჭირდებაო. ტელეფონი მართლაც დონ უუანის გვერდით, პირდაპირ იატაკზე იდო. როგორც ჩანს, მისით განყოფილების უფროსმა ცოტა ხნის წინ, ყავის მოდულებისას ისარგებლა. დონ უუანმაც ცუნცულით მიურბენინა ტელეფონი. თურმე კადრების განყოფილების უფროსს თავისი შეყვარებულები გახსენებია. გამოაცხადა, მათთან ვრეკავო. სულ ცოტა სამი ქმარი ჰყავდა გამოცვლილი, მაგრამ რჩევა მაინც მეტიჩარას ჰკითხა, რომელს დავურეკო.

მეტიჩარა ის ჩიტი არ იყო, ხაფანგში იოლად გაბმულიყო. ეტყობა, იცნობდა თავისი ოპონენტის "შეყვარებულთაგან" ვიღაცებს და ირონიულად ერთ-ერთის კანდიდატურა შესთავაზა. თითქოს ჭკუაში დაუჯდაო, "საპატარძლო" წამით ჩაფიქრდა და მერე ნომერი აკრიფა, მაგრამ მაშინვე დააგდო ყურმილი და ერთი ვაჟკაცურად (მაგრამ, რათქმა უნდა, ქალური გულით...) შეაგინა ტელეფონს — არსად რეკავს, ან თუ რეკავს, შინ არავინ მხვდებაო! შემდეგ თითქოს ახლადა დაუფიქრდა მეტიჩარას წინადადებას, შეთავაზებული კანდიდატურა დაუნუნა — არ მინდა, შენს ქმარსა ჰგავსო... სახეც რაღაც წაირად დამანჭა, ალბათ, მისი ქმრის გამომეტყველებას გამოხატავდა.

ეს სერიოზული დარტყმა ალმოჩნდა მეტიჩა-

რასთვის — ქმარი მისი სუსტი წერტილი იყო! აშკარად, არ მოელოდა ამდენს თუ გაუბედავდნენ, თანაც მეორეხარისხოვანი ადამიანების თვალწინ. მეორეხარისხოვან ადამიანებში მეტიჩარა მუშებს გულისხმობდა. სახეზე ალმური მოედო, თვალები აემღვრა — მზად იყო, ბრჭყალებით ძერებოდა კადრების განყოფილების უფროსს და სულ თმით ეთრია, მაგრამ ამ პროვინციული, მდაბიო გამოხდომის უფლებას თავს ვერ მისცემდა! თანაც მისი ოპონენტი პასუხის მოლოდინში მართალია, ირონიული, მაგრამ მაინც ღიმილით მისჩერებოდა. რამდენიმე წამი მეტიჩარამ არათუ საპასუხო დარტყმა, თავდასაცავი რაიმე ფორმულაც კი ვერ შეიმუშავა, რადგან კადრების განყოფილების უფროსს არავინ ჰყავდა ისეთი ძვირფასი ადამიანი, ვისაც მეტიჩარა გულიანად შეუგინებდა. ერთი სიტყვით, აშკარად მარცხი იგემა და როგორც მისი ხასიათის პრაქტიკულობიდან გამომდინარე მოსალოდნელი იყო, სამარცხვინო დამარცხების უპირობო აღიარებას ისევ ნანილობრვი კაპიტულაცია არჩია: თავისი ქმრის საჯაროდ ქებას მოჰყვა! თურმე მის ქმარს დასაწუნი არაფერი ჰქონია! ძალიან თანამედროვე, უკომპლექსო კაცი ყოფილა, დასავლური ორიენტაციისა და რაღაც... აქაური... იქაური... გნებავთ, გარეთ... გნებავთ, სახლში... დღისით... ღამით... სხვათა შორის, ღამესთან დაკავშირებული საქმიანობანი კადრების განყოფილების უფროსის ეშმაკური წაქეზებით მეტიჩარამ უწვრილმანეს დეტალებამდე აღნერა. ზოგიერთ ისეთ საიდუმლოს მოხსნა თავი, რომ არა მარტო პატარა ადამიანს, დონ უუანსაც კი თმა ყალყზე დაუდგა.

დიდხანს ილაპარაკა მეტიჩარამ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ძალიან ჩქარობდა, იქაურობის დატოვება სურდა, ვიდრე კადრების განყოფილების უფროსისაგან მორიგ დარტყმას მიიღებდა. ამავე დროს ქმრის საქებარი სიტყვის შუაზე განყვეტაც ფრიად ეძნელებოდა. ბოლოს, როცა ქება-დიდებას მორჩა, ისე სწრაფად იკითხა, რომელი საათიაო, პატარა ადამიანს ეგონა, ესეც მისი ქმრის საქებარი სიტყვის ნანილიაო. დონ უუანმა მოახსენა რომელი საათი იყო. ოპო, — თქვა მეტიჩარამ. თურმე დიდი დრო გასულიყო. აგერ თხუთმეტი წუთი იქნებოდა, რაც დანესებულებაში შესვენების დრო დამდგარიყო. მეტიჩარამ ოთახიდან ისე სწრაფად მოუსვა, რომ ყავის ფინჯანი, რომელიც უკვე ბოლომდე გამოენრუპა, ლამის თან გაიყოლა. ზღურბლზელა გაახსენდა, შებრუნდა ოთახში, მაგიდაზე დადგა და გარეთ გავარდა.

ბიჭებიც წამოიშალნენ. პატარა ადამიანმა წამოდგომისთანავე პირი კარისაკენ იბრუნა, ერთი სული ჰქონდა, გასცლოდა იქაურობას. უპირველესად კი მესამე სართულის ტერიტორიას და მერე მთლიანად დანესებულებას! მესამე სართულის დატოვება უკვე გარდაუვალი

იყო, აი, დაწესებულების დატოვება შედარებით ძნელი იქნებოდა პატარა ადამიანისათვის. საქმე ის არის, რომ ეს გადაწყვეტილება აუცილებლად ბიჭებთან უნდა შეეთანხმებინა, აუცილებლად, რადგან თუ იმ დღეს კიდევ იქნებოდა რაიმე გადასატან-გადმოსატანი, ბიჭებს მისი ნილი ტვირთიც უნდა ეთრიათ! მე შინ გამიშვით და თქვენ ჩემ მაგივრადაც იმუშავეთო, ცოტა არ იყოს, ძნელად სათხოვარი რამ არის, თუმცა ასეთ შეღავათს ხომ ხშირად უკეთებდნენ ბიჭები ერთმანეთს და ახლა პატარა ადამიანს არ უნდა გასჭირვებოდა მეგობრებისთვის სამსახურიდან გაპარვის ნებართვის გამოთხოვა. პატარა ადამიანი საამისოდ უფრო ხელსაყრელ დროს შეარჩევდა. დრო კი საკმაოდ ბევრი პეტაზად. შესვენება რამდენიმე ნუთის ნინ დაწყებულიყო. ახლა ბიჭები დერეფანს გაუყვებიან, შემდეგ დაწესებულების ცენტრალურ კიბეს მოიტოვებენ უკან, პირველი სართულის ფოიეში აღმოჩნდებიან, იქიდან შიდა, ვინრო საფეხურებით კიდევ ერთი სართულით ქვევით, სარდაფუში დაეშვებიან, სადაც სასადილო იყო განთავსებული. უყვარდა პატარა ადამიანს ბიჭებთან ერთად ამ სასადილოში განმარტოება. სადმე კუთხეში მყუდრო მაგიდას ამოირჩევდნენ, შეექცეოდნენ გემრიელ კერძს, ლაპარაკობდნენ ლამაზ ქალებზე, პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე. რამდენჯერ მოუთათბირებიათ და პირდაპირ სასადილოდანვე გაპარულან სამივენი სახლებში. მართალია, მეორე დღეს საყვედურს ვერ ასცდებოდნენ, მაგრამ ამას დიდი უბედურებად არ თვლიდნენ. ერთხელ პატარა ადამიანმა “თავისუფლების სიმბოლოც” უნდა სასადილოს. იქ ამბოხებაც შეიძლებოდა მომზადებულიყო — რა თქმა უნდა, არეულობის პერიოდში, მაგრამ ჯერჯერობით ისევ ისეთი მდარე მშვიდობა იდგა!

აი, მივიდოდა, მიაღწევდა პატარა ადამიანი სასადილომდე და... თუმცა რატომ სასადილომდე? იქნებ მანამდეც გადაეხვია სახლის მიმართულებით? სასადილოში მისვლამდე სთხოვდა ბიჭებს სახლში გაშვებას! ეჭვიც არ ეპარება პატარა ადამიანს, უყოყმანოდ დასთანხმდებიან! ჰოდა, წავა სახლში, ჩაიკეტება თავის ციცქნა ოთახში, სანოლზე დაემხობა, ბალიშში თავს ჩარგავს და თავის მდგომარეობას გამოიგლოვებს — მერე... მერე ისევ ყველაფერი ახლიდან დაიწყება!

პატარა ადამიანმა ცერად გახედა ბიჭებს, აინტერესებდა, ოთახიდან უკვე გამოდიან თუ არაო. მართლაც გამოდიოდნენ და ის იყო იმ უკანასკნელი ნაბიჯის გადასადგმელად მოემზადა, რომელიც დერეფანში აღმოაჩენდა, უეცრად კადრების განყოფილების უფროსის ხმაშეაჩერა. იმ ქაჯ ქალს ყავის მოსადუდებლად წყალი სჭირდებოდა! შესაძლოა, მოსადუდებლად კი არა, ფინჯნების გასარეცხადაც. მთა-

ვარი ის არის, ბიჭებს სთხოვა, მომიტანეთო. **Ну давайте, ребята!**კონკრეტულად რომელიმე მათგანისათვის არ დაუვალებია, იცოდა, რომელიმე მოუტანდა. პატარა ადამიანს არ ნაუყრუებია, მაგრამ ოთახისაკენ შებრუნება მაინც დააგვიანა. რაღაც საზიზლარი გრძნობა დაეუფლა — მიხვდა, რაც მოხდებოდა და საკუთარი თავი შეზიზლდა!

პატარა ადამიანს ცხოვრებაში არაფერი დაზარებია. პირიქით, სანამ სთხოვდნენ რამეს, ცდილობდა, მანამდე გაეკეთებინა ყველაფერი, თუკი შეეძლო. თუმცა ამას ბევრი ბოროტად იყენებდა — ეჩვეოდნენ მისგან უანგარო მომსახურებას და ლამის ნამდაუნუმ სთხოვდნენ რაღაცებს. რა თქმა უნდა, ამ დროს ზრდილობიანად თხოვნით ტონს ინარჩუნებდნენ, მაგრამ ხშირად პატარა ადამიანს აღიზიანებდა ბავშვად, გულუბრყვილო ადამიანად რომ თვლიდნენ, რომელსაც მათი ეშმაკობისა არაფერი გაეგებოდა! აბა, ეცადა და ასეთ დროს გაურჩებულიყო პატარა ადამიანი — სხვა დანარჩენზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო იმ მთხოვნელის გაოცებას რას გაუძლებდა ჩვენი საბრალო გმირი! ასეა, როცა მიაჩვევ ადამიანებს უანგარო მომსახურებას, ბოლომდე უნდა ემსახურო, ულელი ბოლომდე უნდა ზიდო! რადგან გადაჩევა მიჩვევაზე ბევრად ძნელია — თუკი მიჩვევას ვერ აღუდექი წინ, გადაჩვევასთან რაღას გახდები! ხათრი აღარ არსებობს, ვალდებული ხარ და მორჩა! და რაც ყველაზე ტრაგიკულია, ამაში დამნაშავე მხოლოდ და მხოლოდ შენ ხარ — შენ მიაჩვიე! ამიტომაც შემოაწვა პატარა ადამიანს ზიზლნარევი გრძნობა არა ვიღაცის, არამედ საკუთარი თავის მიმართ!

თავდაპირველად ფეხი კი აითრია, მაგრამ ორიოდე წამის შემდეგ სწორედ ზემოთ აღნიშნულმა ვალდებულების გრძნობამ აიძულა პატარა ადამიანი, ოთახში შებრუნებულიყო — გრაფინი ფანჯრის რაფაზე იდგა. ეს კარგად ახსოვს ჩვენს გმირს. სხვათა შორის, რამდენჯერაც ამ ოთახში მოუნია შესვლამ, იმდენჯერ წყალზე გაგზავნეს! წყლის, სიგარეტისა და სხვა ნვრილმანების მოტანა პატარა ადამიანის სამსახურებრივ მოვალეობაში არ შედიოდა. ის ხომ ჩვეულებრივი მუშა იყო და არა ვინმეს მსახური, მაგრამ ბევრი სწორედ ამ სახის ექსპლუატაციას უნევდა. ოჟ, როგორ უნდოდა ამ დროს პატარა ადამიანს მთელი ქვეყნის გასაგონად ეყვირა, რომ აღარ გააჩნია თავმოყვარეობა, რომ ადამიანებმა წაუბილნეს ეს გრძნობა!

ცუდ დღეში ჩავარდა პატარა ადამიანი, ყველაფრის სურვილი დაკარგა, უკვე აღარ სჭირდებოდა მეგობარი, არც სახლში წასვლა, განმარტოება და აღარც იმ თავისი უხეირო ხასიათისა თუ ბუნების გარდაქმნა! პატარა ადამიანი მოემზადა, რომ ყველაფერი, რაც კი რამ გააჩნდა, არაფერში გადაეცვალა — ეს უკიდურე-

სად გაუსაძლისი მდგომარეობა იყო მისთვის. არადა, ამ მდგომარეობიდან მისი გამოყვანა სულ უმარტივესი გზით შეიძლებოდა: დონ უანს ან შავგვრემანს უნდა დაესწრო ჩვენი გმირისთვის და ნასულიყვნენ წყალზე! მხსნელს პატარა ადამიანიც სიხარულით გაჰყვებოდა და თქვენ ნარმოიდგინეთ ჭურჭელსაც კი ხელიდან გამოსტაცებდა. იქნებ აღარც გაეშვა მხსნელი წყალზე და მარტო ნასულიყო! ეს აღარ იქნებოდა იძულება და პატარა ადამიანიც დამცირებულად აღარ იგრძნობდა თავს! ვის შეეძლო ასეთ მხსნელად მოვლენოდა პატარა ადამიანს — დონ უანს? პატარა ადამიანი დონ უანისაკენ იმედით თვალს აპარებს... არა, დონ უანი არაა ის პიროვნება, ვინც ჩვენი გმირის გადარჩენას იტვირთებს — წყალზე გაქცევა რომ აერიდებინა, ისევ სკამზე ჩამომჯდარიყო და ელექტროჭურას ყასიდად ჩაჰქირკიტებდა! მაშ, იქნებ შავგვრემანმა გადაარჩინოს. ჭურჭელს თუ არ ნაეტანება, მაშ, თან გაჰყვება, მხარში ამოუდება პატარა ადამიანს — ესეც საქმეა, მაგრამ ეს უკანასკნელი საამისო სურვილს არც ისე გულითადად ავლენს, ყოყმანობს! ვერა, ვერც ასეთი ადამიანი გასწირავს თავს სხვისი გულისთვის — ვერც გაამტყუნებ! თანაც, ეს საბრალო პატარა ადამიანი, თავისი ცხოველი სურვილის მიუხედავად, რომ შავგვრემანი წყალზე ნაჰყვეს, თვითონვე, თავისდა უნებურად, ცდილობს თავად ნავიდეს, ყველას დაასწროს ვრაფინის აღება!

ერთადერთ იმედად პატარა ადამიანს იღბალი დარჩა: იქნებ გადაეფიქრებინა „მკვლელს“ მისი წყალზე გაგზავნა, იქნებ სხვისთვის დაევალებინა ეს საქმე! შებრალება ხომ ადამიანური გრძნობაა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს გმირს სულ ახლახან ეპილეფსიური შეტევა ჰქონდა. პატარა ადამიანი იმედის თვალს კიდევ ერთხელ მიმოავლებს ოთახში მყოფთ, განსაკუთრებით კადრების განყოფილების უფროსის ფიქრების გამოცნობას ცდილობს, რადგან იღბლის გარდა, ცოტა ადამიანების იმედიცა აქვს. ახლა ვინმემ უნდა შეაჩეროს, წყლის გრაფინამდე ორი ნაბიჯილა რჩება! უკვე ერთი! არა, არავინ შეაჩერა, არავინ იხსნა პატარა ადამიანი!

პატარა ადამიანმა ვრაფინს ხელი წაატანა, მოსნია თავისკენ და ძლიერ ემძიმა. ლამის ხელიდან გაუვარდა — მას ახლა ბუმბულიც ემძიმებოდა! კარისაკენ მიბრუნება რომ დააპირა, უეცრად კადრების განყოფილების უფროსმა შეაჩერა — რაღაცას ეუბნებოდა. თავიდან ვერ მიხვდა ჩვენი გმირი, ამჯერად რას მოითხოვდნენ მისგან, მაგრამ როგორც შემდეგ გაიგო, თურმე ქალი ეკითხებოდა, ხომ არ გიქირსო წასვლა. ასეთ დროს ჩვევად ჰქონდა პატარა ადამიანს უარის ნიშნად თავის გაქნევა, მაგრამ ახლა ვერაფერი მოახერხა, იდგა და კედელს მიშტერებოდა... და სახის ნაკვთების ოდნავ

მოძრაობით დაეტყო, რომ გულში რაღაც ძალიან სევდიანი წაილულლულა.

პაუზა — (რომელიც ნამდვილად იყო) და...

სასწაული მოხდა — ჭურჭელში, რომელიც პატარა ადამიანს ხელთ ჰქონდა, წყალი აღმოჩნდა, ლამის პირთამდე იყო სავსე. რა თქმა უნდა, წყალზე აღარ გაუგზავნიათ, მაგრამ მისთვის ეს უკვე აღარაფერს ნიშნავდა. თავის ადგილზე დადგა გრაფინი და ოთახიდან გამოსვლისას კადრების განყოფილების უფროსს თვალებში უხმოდ ჩახედა. იცოდა, რომ ქალს წყლის მოტანა განზრას არ დაუვალებია მისთვის. უბრალოდ, გადავიწყებოდა, რომ ჭურჭელში წყალი ესხა. ახლა სხვა რამ აინტერესებდა პატარა ადამიანს, სხვა რამის გარევევა სცადა და გაარკვია კიდეც: ამ ქალს არ გააჩნდა ხელთ არანაირი გარანტია — წყეულიმც იყოს „უსუსურ ადამიანთა გადაარჩენისთვის“ შეთითხნილი მისი აბსურდული თეორია (თუკი საერთოდ არსებობდა ასეთი). არა, ეს ქალი ნამდვილად სიცოცხლეზე ააღებინებს ხელს კაცა!..

\*\*\*

ზღურბლზე მდგარ პატარა ადამიანს ახლა ეჭვი იმაში შეეპარა, რომ ეს დღე მის ცხოვრებაში სხვა დღეებივით აღარ დამთავრდებოდა.

სასადილოსკენ მიმავალ პატარა ადამიანს მთელი გზა ხმა არ ამოუღია, ბრმად მისდევდა ბიჭებს, აღარც ფიქრის თავი ჰქონდა და აღარც რაიმეს განიცდის. მხოლოდ სასადილოსთან მიახლოებისას გამოერკვა. ჰაერი მძიმე, შეხუთული ეჩვენა, კერძების მძაფი სუნისაგან კინაღამ გული აერია. მიხვდა, საჭმელი ეზიზლებოდა! თუმცა ისიც გაახსენდა, რომ იმ დღეს ლუკმა არ ჩაედო პირში და გვარიანად შიოდა. ამკარად ავადა ვარო, — გაიფიქრა. მართლაც მონამლულს ჰგავდა. ეცადა, გაეხსენებინა, წინა დღეს რა ჭამა. სანამ ამას დააზუსტებდა, სხვა რამ უფრო სერიოზულმა ნაართვა ფიქრი. გაოცდა, მის მდგომარეობაში მყოფს რომ კიდევ ჰქონდა ასეთ წვრილმანებზე ფიქრის თავი. ისიც საოცარი იყო, სასადილოში რომ შედგა ფეხი, რადგან მთელი გზა, ცნობიერად თუ არაცნობიერად, შინ წასვლაზე ფიქრობდა. იქნებ ახლა მაინც გადაეხვია გზიდან, გაქცეოდა იქაურობას? სანამ ამაზე ფიქრობდა, მაგიდასთან მიჯდომაც მოასწრო და კოვზითაც უკვე ოხშივარადენილ წვნიანს ურევდა. აქედან გაქცევა არცთუ ისე იოლი საქმე იყო. ნაცვლად იმისა, გამოსავალი ეძებნა, პატარა ადამიანი ერთიანად მოდუნდა, დაჰყვა მოვლენათა ბუნებრივ განვითარებას.

მცირე ხანს მაგიდასთან გაუნძრევლად იჯდა პატარა ადამიანი, წვნიანის კოვზით წვალებასაც კი თავი დაანება, შემდეგ მიმოხედა, იქაურობა შეათვალიერა: კედლები, მაგიდები და

რაც მთავარია, სასადილოში მოტრიალე ადამიანები.

აქ შემოსულს ხალხმრავლობა არასდროს დახვედრია, მაგრამ არც მთლად სიხალვა-თე იყო. რამდენჯერ აქ ისეთ ადამიანსაც გა-დასწყდომია, რომელთანაც პირისპირ შეყრა, იქ, ზემოთ, ალბათ, სულს გააფრთხობინებდა ჩვენს საბრალო, კომპლექსებით დამძიმებულ გმირს. სასადილოში კი ასეთი შეხვედრები უმ-ტკივნეულოდ, გართულების გარეშე ჩაივლიდა ხოლმე. ჩვენი გმირის დაკვირვებით, აქ ადამიანის პიროვნების შეცნობის განსაკუთრებული სტანდარტი არსებობდა. სასადილოში ყველანი თანასწორნი იყვნენ, ყველას შიოდა და ერთი და იმავე გზით იოკებდნენ ბუნებრივ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას! ჭურჭელიც კი ყველას-თვის საერთო იყო — იმ თევზით და კოვზით, რომელიც ამჯერად პატარა ადამიანს ხვდა ნილად, მცირე ხნის შემდეგ, შესაძლოა, ვინმე ძალიან სერიოზულ პერსონას ესარგებლა. უყ-ვარდა პატარა ადამიანს სასადილოს ატმოსფე-როში შერწყმა და ამით განტვირთვა. ახლაც, ნესით, ხასიათი უნდა გამოკეთებოდა, მაგრამ დღევანდელი დღე ხომ უმძიმესი იყო პატარა ადამიანის ცხოვრებაში და სასადილოში კი არა, სიმშვიდეს, ალბათ, ვეღარც სახლში გამოკეტი-ლი მოიპოვებდა! ამიტომაც მოეჩინა აქაურობა დღეს აუტანლად, კერძების სუნმაც გული აურია. ეს ბიჭები რა მადიანად შეექცეოდნენ! ვეღარ გაუძლო მათ ცქერას პატარა ადამიან-მა და მზერა ისევ საკუთარი მათლაფისაკენ გადმოიტანა. ოდნავ ნინ გააჩინა, თითქოს ასე უფრო მარჯვედ შეხვრებდა, თუმცა იმის ვა-აზრებაც ზიზღს გვრიდა, რომ ეს მისი ულუფა იყო. გადაწყვიტა სადმე შორს, კედლების იქით ბრმად გადაესროლა მზერა, იქაურობას გამო-თიშოდა, მაგრამ ისიც იგრძნო, რომ ამით, შე-საძლოა, ბიჭებისათვის ნაეხდინა ჭამის ხალისი — რა უფლება აქვს, საკუთარი უმადობით სხვა-საც დაუკარგოს მადა! პატარა ადამიანმა ერთი კოვზი წვნიანი როგორდაც შეხვრიპა. ვემოს ჩა-ტანების ნაცვლად კბილს კბილი დააჭირა, რომ გული არ არეოდა, შემდეგ კოვზის უაზრო ტრი-ალს მოჰყვა მათლაფაში — ახლა უკვე ჰქონდა უფლება მცირე ხნით დრო გაენელა. გარკვე-ული დროის გასვლის შემდეგ ვალდებულების გრძნობამ კიდევ აიძულა რამდენიმე კოვზი წვნიანის შეხვრება. ბოლოს, რა დაინახა, ბიჭები ჭამას ამთავრებენო, გულზე მოეშვა. ე. ი. მაღა გავიდოდნენ სასადილოდან, მაგრამ ახლა იმა-ზე დაფიქრდა პატარა ადამიანი, სასადილოდან გასულები საით აიღებდნენ გეზს. ნუთუ ისევ ზედა სართულებისკენ დაიძუროდნენ და სამუ-შაო დღის ამონურვამდე დაწესებულებაში მო-უწევდა ჩვენს გმირს ყურყუტი?! ყოფილა შემ-თხვევა (და თანაც არაერთი), სამივენი სასადი-ლოდანვე გაპარულან! ახლა კი ბიჭებს სიტყვაც

არ დასცდენიათ ამაზე, პატარა ადამიანს კი თა-ვად ეძნელებოდა შეთავაზება. მხოლოდ თავის თავზე თუ სთხოვდა ბიჭებს, რომ შინ გაეშვათ. და აი, ჩვენი გმირი უკვე მზად არის სათხოვნე-ლად, მაგრამ ის გარემოება აფერხებს, რომ ბი-ჭები ჯერ კიდევ ჭამით არიან გართული და სხვა რაღაცებისათვის აშკარად არ სცხელათ. არა უშავს, ცოტას მოიცდის პატარა ადამიანი!

თანდათაობით ჩვენი გმირი მოეშვა, თით-ქოს დაწყნარდა კიდეც. თავისი პატარა ოთახი და იქაური სიმყუდროვე ნარმოუდგა თვალ-ნინ. თუმცა უკვე იცოდა, რომ იქაურობა ვეღარ ეყოფოდა ტკივილის მოსაშუბებლად და მოწყე-ნილობა შემოანვა. შიგადაშიგ ბიჭებს შეავლებ-და თვალს — აბა, რამდენი დარჩათო! ერთხელ კითხვაზეც უპასუხა დონ უუანს. ბოლოს, გა-დაწყვიტა, განა პირდაპირ ეთხოვა ბიჭებისათ-ვის, შორიდან ჩამოეგდო სიტყვა შინ გაპარვა-ზე — ეს თხოვნაც იქნებოდა და თავისებურად იდეის შეთავაზებაც. იქნებ ბიჭებს ჭკუაში დას-ჯდომოდათ და ერთად გაპარულიყვნენ! არ მორიდებია, ისე ნამოინყო პატარა ადამიანმა — სამსახურიდან გაპარვის უკანასკნელი შემ-თხვევის გახსენება სცადა. სხვათა შორის, მაში-ნაც სასადილოდან გაიპარნენ. მაშინაც ამ მაგი-დასთან გადაწყვიტეს გაპარვა. ახლაც აშკარად კარგი პირი უჩინდა პატარა ადამიანის ნამოწყ-ებას. შავგვრემანსაც საქმე გამოუჩნდა — ნა-თესავთან ვარ ნასასვლელიო. დონ უუანსაც სადღაც მიეჩარებოდა და უარს არ იქნებოდა, მაგრამ ერთი გაუთვალისწინებელი რამ გამორ-ჩა პატარა ადამიანს მხედველობიდან. თუმცა რაღა გამორჩა, თავისთავად მოხდა, თანაც სა-შინელი რამ: დარბაზში ის გოგო შემოვიდა, პა-ტარა ადამიანს რომ უყვარდა მალულად. დიახ, სწორედ ის მბეჭდავი გოგო იყო, იმ ოთახიდან, შეტევაგადატანილი პატარა ადამიანი რომ შე-იყვანეს მოსასვენებლად!

ეს გოგო, ანუ პატარა ადამიანის ეგრეთ წო-დებული შეყვარებული, კუთხეში, სამზარეუ-ლოს ახლოს იდგა, ხელში ჩაი და ბუტერბროდი ეჭირა და მოკრძალებული მზერით დარბაზში თავისუფალ მაგიდას ეძებდა. პატარა ადამია-ნისა არ იყოს, ეს გოგოც ძალიან რიდიანი იყო — არავის შეანუხებდა. ბიჭებისაგან არცთუ შორს იდგა და მათკენაც გამოიხედა, თავაზია-ნად დაუკარა სამივეს თავი და მაშინვე სხვა მხა-რეს გაიხედა — დარბაზის ბოლოს რამდენიმე თავისუფალი მაგიდა შენიშნა. დააპირა კიდეც იქით წავლა, მაგრამ დონ უუანის ცერემონი-ულმა მისალმებამ შეაფერხა და აიძულა, ლი-მილით ეპასუხა — ეტყობა, ახლოს იცნობდნენ ერთმანეთს.

დონ უუანს თვალები გაუბრნებინდა, იფიქრა, “ნადავლი” მახეში გავაბიო. ზენამოიჭრა, გოგო მოინვია და ზუსტად პატარა ადამიანის პირდა-პირ დაასკუპა. რა მოხდებოდა, ძნელი გამოსაც-ნობი არ უნდა იყოს: პატარა ადამიანს ლამის

გული საგულედან ამოუვარდა! მერე თითქოს გაიძერა გული და მთელ სხეულს შეეზარდა, უცებ კი ისე შეიკუმშა, ერთ პატარა წერტილად ექცა. პატარა ადამიანს თითქოს სხეულიც შეეკუმშა და შეკუმშულივე გულში შთაენთქა. ბოლოს სულ გაქრა, ნაიშალა და პატარა ადამიანი-საგან მხოლოდ სიცარიელე დარჩა...

კარგა ხნის შემდეგდა იგრძნო პატარა ადამიანმა, რომ ისევ არსებობდა — თანაც შეყვარებულის ცხვირნინ და იცით, რა მოიმოქმედა? თავი ლამის მათლაფაში ჩარგო და წვნიანის გამალებით ხვრეპას შეუდგა! იმაზე აღარაფერს ვამბობთ, როგორ ახერხებდა ამას. ოდნავ მოვვიანებით, ისე რომ ჭამა არ შეუწყვეტია, ახალი საფიქრალი დაატყდა თავს. დონ უუანი და შავგრემანი გოგოს გადამეტებულად ელოლიავებოდნენ: რაღაცებს სთავაზობდნენ — ხომ არ ინებებთ, მოგართმევთო. ვაი და, ჩვენი გმირის-თვისაც მოეცალათ — ისაო, ესაო, უმაღლდ რატომა ხარო? რა უნდა ეთქვა პატარა ადამიანს? გაგონილი ექნებოდათ ბიჭებს, ნაავადმყოფარ კაცს კარგი კვება ესაჭიროებაო და ათას რამეს შესთავაზებდნენ, წვნიანსაც ბოლომდე შეახვრეპინდებდნენ. ერთი სიტყვით, სასადილოში ყოფნა კიდევ უფრო გაუხანგრძლივდებოდა ჩვენს გმირს! ჰოდა, სადამდე უნდა ყოფილიყო ჯოჯოხეთში ნებაყოფლობით?!

როცა წვნიანი ნახევრამდე დაიყვანა, ისევ გულისრევა იგრძნო. ეგონა, კბილის კბილზე დაჭერაც აღარ მიშველისო. თავისდა გასაოცრად, თავი კი შეიკავა, მაგრამ მათლაფა გვერდზე გასწია და კოვზიც ხმაურით დააგდო ზედ. დააგდო და მაშინვე მიხვდა, ამას “საჯარო პროტესტად” ჩამითვლიანო და ძალიან დაფრთხა. თუმცა ერთგვარად კმაყოფილიც კი დარჩა იმის გამო, რაც ჩაიდინა! პატარა ადამიანმა თავს უფლება მისცა, სკამის საზურგეს აკვროდა. რამდენიმე ნამს ასე გაჭიმულმა დაპყო და მერე თანამესუფრეებისკენ ფარულად მზერა გააპარა. ისიც აინტერესებდა, აბა, ვის რამდენი დარჩა კერძიო, მაგრამ უფრო მეტად მათი რეაქცია აინტერესებდა თავისი პროტესტნარევი საქციელის გამო. რეაქცია იქ მყოფებს ნორმალური ჰქონდათ, ყოველ შემთხვევაში, ყბა არავის ჩამოვარდნია და პატარა ადამიანმა თავი უფრო მხნედ იგრძნო. ახლა კოვზი ხელახლად რომ სჭეროდა ხელში, ნინანდელზე უფრო ხმაურიანად დაახეთქებდა მათლაფას!

ცოტა ხანიც და, მაგიდიდან ყველანი ერთად აიშლებოდნენ. ჩვენმა გმირმა დროის გასაყვანად მზერა სადღაც შორს, დარბაზის ბოლოში გადაისროლა. ასე იჯდა რამდენიმე ხანს. შემდეგ მზერა შედარებით ახლოს, ჭრზე გადაიტანა, დეკორატიული ნათურების თვალიერებას მოჰყვა და ბოლოს, საკუთარ მუხლებს დააცერდა. ხელიც გადაისვა, თითქოს პურის ნამცეცებს იბერტყავდა, მაგრამ უეცრად თითებმორის სისველე იგრძნო. დააცერდა სისველის ადგილს, ამოჰყვა ზევით, ყელამდე შეკრუ-

ლი ქურთუკის მიმართულებით და რას ხედავს — მთელი გულისპირი წვნიანის წვეთებით აქვს დანინნკლული!..

\*\*\*

შინ მისული პატარა ადამიანი სასადილოს ამბებს რომ იხსენებდა, ისიც მოაგონდა, რომ გამოქცევისას მოსადილეებით სავსე ერთი მაგიდაც გადააბრუნა. გამოსასვლელშიც ვიღაცას შეეჯახა და მასთან ერთად გაიშხლართა კიდეც იატაზე.

პატარა ადამიანს არ ახსოვს, როგორ მიაღნია სახლამდე — ტრანსპორტით თუ ფეხით, სიარულით თუ სირბილით. ალბათ, ფეხით მივიდა და თანაც, გარბოდა, რადგან ძლიერ დაღლილი იყო და ოფლი ღვარად სდიოდა. მიდამო ეცნო: მინგრეულ-მონგრეული ქუჩა, უნესრიგოდ მოფანტული ბარაკები, ნუხანდელი ავდრისაგან შემორჩენილი წუმპეები, რომლებიც კარგა ხანს არ დაშრებოდა. მოზრდილი გუბის ზედ შუაგულში შედგა და თავისი ბინის ფანჯარას მიაჩერდა. გუბეში რომ იდგა და წყალი ფეხს უსველებდა, ვერ გრძნობდა. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვან რამეზე ფიქრობდა. მერე ნაბიჯი გადადგა წინ, მას მეორეც მიაყოლა, მესამეც და ლასლასით გაემართა შინისაკენ. თითქოს სულის მოსათქმელად ეს შესვენება ეყოო, აღარ ქმინავდა. თითქოს უფრო დამშვიდებულიყო, რადგან ამ ორიოდ წუთში ძალიან მნიშვნელოვანი რამ გადაწყვიტა!

სადარბაზოსთან მიახლოებული შეჩერდა — შორიახლო ბავშვებს მოჰკრა თვალი, ყიუინით მისკენ რომ მოექანებოდნენ. ნამით ეკარგებოდა ბავშვები მხედველობიდან, ეგონა, მეჩვენებიანო, მაგრამ მერე ისევ დაინახავდა და მათი ხმაურიც გარკვევით ესმოდა. თითქოს სადღაც ჰყავდა ეს ბავშვები ნანახი, თითქოს იხსენებდა კიდეც. იქნებ მისი ბავშვობის ზღაპრიდან იყვნენ გადმოსულები? ან იქნებ უბნის ბავშვები არიან, სახლიდან გამოსულს ყოველდღე რომ ეგებებოდნენ, გარს ეხვეოდნენ ჭუჭყიანები, ამოგანგლულები, ლამის ზამთარშიც ტიტლიკანები. ნეტა ვინ უშვებს ბავშვებს ასეთ ამინდში გარეთ?

ბავშვებს რამდენიმე ნაბიჯილა დარჩათ პატარა ადამიანამდე. უეცრად ოდნავ მოზრდილებმა სირბილს უკლეს, უკან ჩამორჩნენ, რადგან პატარა ადამიანის სახეზე მოულოდნელი, მათთვის გამოუცნობი გამომეტყველება ამოიკითხეს, დანარჩენები კი ისევ ყიუინით მოექანებოდნენ. ყველაზე პატარა პირდაპირ ჩვენს გმირს მიაწყდა:

— ბიდია, ბიდია, ქუდი დავივარდა, — მიაყარა სხაპასხუპით, იმის შიშით, სხვამ არ დამასწროსო.

მერე დუმილი ჩამოვარდა. პატარებიც მიხვდნენ, რომ ჩვენს გმირს რაღაც ძალიან სერიოზული რამ სჭირდა. რამდენიმე ნაბიჯილ დასცილდნენ და წრე შემოარტყეს. “ბიდია” დიდ-

ხანს იდგა უძრავად და ცას მისჩერებოდა, თითქოს ვიღაცას თუ რაღაცას ეძებდა. ოდნავ რომ შეირხა, შეშინებული ბავშვები შემოეფანტნენ და მანაც გზა გააგრძელა. წავიდა ისე, რომ ქუდის ასაღებად არც დახრილა. არადა, ეჭვი არ შეჰქარვია ბავშვების სიტყვებში, უბრალოდ, ქუდის ასაღები თავი აღარ ჰქონდა.

ბინაში შესული პატარა ადამიანი მავიდას მიუჯდა და თავი ხელებში ჩარგო — იტანჯებოდა, უაღრესად იტანჯებოდა. სადღა უნდა გამოეყო თავი? თავისი ოთახისაც კი ერიდებოდა, თვალს ვერ უსწორებდა, რცხვენოდა იმისა, დილით ასე ცოცხალი, ენერგიული რომ გააცილა აქაურობამ. როგორი დაუბრუნდა? გამოსავალი ერთი იყო... მაგრამ ეძნელებოდა... თუმცა უნდა გაეკეთებინა!

ნამოდგა, კომოდს მიუახლოვდა, ჩაიმუხლა და უჯრას დაეჯაჯგურა, ძალა მაინც არ ეყო. იქ დანა იდო, დასაკეცი, ბოლო ხანებში მუდამ გაშლილი, ხელისგულზე ოდნავ გრძელი დანა. ნუთუ მაინც ამგვარად მოუნევდა ყველაფრის დასრულება? ამაზე ბევრჯერ უფიქრია. წარმოდგენაში ყოველთვის ეძნელებოდა სიკვდილი, მაგრამ არასდროს ეგონა, ასე არანორმალურად ძნელი თუ აღმოჩნდებოდა. სახლისკენ მომავალს არც ეპარებოდა ეჭვი, რომ საკუთარ თავს განაჩენს სწორედ ამ გზით გამოუტანდა, მხოლოდ ამასღა ფიქრობდა, ამაზე ოცნებოდა, ამით ცოცხლობდა, მაგრამ ახლა... ახლა?

უეცრად გაშეშდა პატარა ადამიანი, სხვაგვარი გრძნობა დაეუფლა: გამნარდა, გაბოროტდა, სახე დაემანჭა. ოპ, რა დიდი სიამოვნებით აჩვენებდა ახლა სხვა, თავის მდგომარეობაში მყოფს დანის ხმარების წესს. გაეცინებოდა კიდეც მის რეაქციაზე და სულსაც დალევდა! ამის გაფიქრებაზე კიდევ უფრო აიღენა. უკიდურესად დაიძაბა, ერთ წამს დაპყო ასე და მერე ერთიანად მოეშვა — გულგრილი გახდა. გაეცინა კიდეც დანით გაკვეთილის ჩატარებაზე. თუმცა იმასაც მიხვდა, ახლა “ასეთი მშვიდი” უფრო საშიში რომ იყო და ამით ერთგვარად კმაყოფილიც დარჩა.

კიდევ დაეჯაჯგურა უჯრას, რომელიც პატარა ადამიანის გასაოცრად იოლად დაჰყვა პატრონის ნებას. რას წარმოიდგენდა, თუ ასე ადვილად გამოაღებდა უჯრას, დასწვდებოდა დანას, პირს თავისკენ უზამდა და მუცელზე მიიბჯენდა. არც ეჩქარებოდა — წვერით ადგილიც კი მოისინჯა. იცოდა, რომ გადაწყვეტილებას ახლა ვერაფერი შეაცვლევინებდა. ამას უფრო თამაში ეთქმოდა — მაიმუნობა ყველაფრის წინაშე, იმ ყველაფრის წინაშე, რაც სულ მალე არაფრად უნდა ქცეულიყო. იმდენად ლალად აზროვნებდა, რომ უკვირდა. გულდაგულ არჩევდა, სხეულის რომელი ნანილი აჯობებდა — იქნებ მუცლის ნაცვლად გულის არე? უფრო საიმედო ადგილია. თითებით მოისინჯა გულის მხარე, თითქოს ეფერებოდა კიდეც დამცინავად.

ის იყო დანის პირს ახალ ადგილზე გადანაც-

ვლებას უპირებდა, რომ გულის ჯიბეში რაღაც საგანს გადააწყდა. ამ რაღაცას (საგანს), შესაძლოა, ხელი შეეშალა განზრახულის სისრულეში მოყვანაში — განა დანის წვერს გადაეღობებოდა, უბრალოდ, გარეშე რამ იყო და იქ არაფერი ესაქმებოდა. აუჩქარებლად ჩაიყო ჯიბეში ხელი, ის რაღაც ამოაძვრინა და გადაგდებას რომ უპირებდა, უეცრად ხელი გაუშეშდა: სიგარეტის ლერი აღმოჩნდა, რომელიც დილით ქუჩაში უცნობს გამოართვა და გადაგდების ნაცვლად სხვისთვის, რომელიმე მწეველისთვის შემოინახა. ყველაფერი დაწვრილებით გაახსენდა, თავი ათასმა, ერთმანეთის სანინააღმდეგო აზრმა გამოუჭედა. უეცრად აუტანელი ტკივილი იგრძნო — მერყეობა შეეპარა. ვეღარ გაუნია ნინააღმდეგობა საკუთარ ბუნებას, გატყდა. ახლა იგი აღარც თვითმკვლელი იყო და აღარც... და აღარც თავისი თავი!

ჩამუხლულს მუხლმა უმტყუნა. ისე ჩამოუცურდა დანიანი ხელი, ვერც კი შეამჩნია. ზურგით კომოდს მიაწვა და ამ მდგომარეობაში გაქვავდა. ოთახს მოავლო თვალი. იქაურობისთვის დილანდელი იმედის გაცრუება გულს უთუთქავდა, ტანჯავდა, მაგრამ მაინც შესთხოვა ოთახს: იქნებ შებრალებოდა იქაურობას, ეპატიებინა მისთვის სამარცხვინო საქციელი და ისევ მიეღო ისეთი, როგორიც ჩვენი გმირი სინამდვილეში არის!

მაგრამ არა! იმედგაცრუებულმა თვალები დახუჭა. ოთახმა ვერ ანუგეშა პატარა ადამიანი, უფრო სწორად, ჩვენი გმირი თავის მომავალს ვერ ხედავდა ამ ოთახში! ნუთუ ამის შემდეგ შესაძლებელია სიცოცხლე? მზერა ისევ სიგარეტის ლერზე გადაიტანა. უნდა აკეთოს თუ არა ადამიანმა სიკეთე? — გაუელვა ფიქრმა. პატარა ადამიანმა იცოდა ამ კითხვის პასუხი, მაგრამ ამჯერად (და შესაძლოა, სიცოცხლეში პირველად) გაუჭირდა მისი გამოთქმა და კითხვა უპასუხოდ დატოვა. ართუ უპასუხოდ დატოვა, გამნარებულმა ლერი თითებში მოიქცია. დაიძაბა, არანორმალურად დაიძაბა, სცადა, გადმოენთხია ყოველივე ავი, რაც კი რამ სულში მოეძებნებოდა. გადმოანთხია კიდეც, მაგრამ სიგარეტის ლერი მაინც მთელი დარჩა — იატაკზე თავისგან შორს გააცურა, სადამდეც გასწვდა.

თითქოს დიდი ტკირთი მოიხსნაო, ოდნავი შვება იგრძნო, მაგრამ ეს არ იყო სიცოცხლისაკენ შემობრუნება. პირიქით, სიკვდილი უფრო დროული ეჩვენა — მშვიდი, თავისუფალი სიკვდილი. დანას თითები შემოაჭდო, ერთ წამს დაპყო ასე, სული მოითქვა და წვერი მუცელზე მიიბჯინა — გულს მოერიდა. ახლა ასეთი სიკვდილი უფრო ერჩია — ნელი, არამინიერი. მეორე ხელიც წაატანა ტარს, სული ჩაიგუბა პირში და ნელა მიაწვა. დანის წვერი ჯერ ისევ სხეულის ზედაპირს ეხებოდა, მაგრამ მაინც საშინლად მნვავე ტკივილი იგრძნო. გაუძლო. აი, ცოტაც და... ალბათ, იქ უკვე სისხლის პირველი წვეთი იზრდება — ჯერ ისევ დანის წვერი

ეფერება სხეულს! გააურუოლა! შეეზიზდა ყველაფერი, საერთოდ ყველაფერი — სიკვდილიც და სიცოცხლეც! დანა მუცლიდან მოიშორა და ცრემლიანი სახე მუხლებში ჩარგო — ჩხვლეტა სიკვდილზე უფრო მნარე და მტკიცნეული აღმოჩნდა...

დიდხანს იყო ასე, მუხლებში თავჩარგული. თვითმკვლელობის ხელახლა მცდელობაზე ფიქრიც კი ნარმოუდგენლად ზარავდა. თუმცა კიდევ უფრო ნარმოუდგენლად ეჩვენებოდა ამ გრძელი სიცოცხლის დარჩენილი ნაწილის ნაბიჯ-ნაბიჯგავლა. არა, გადაწყვეტილებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეიცვლიდა — სიკვდილი უნდა ყოფილიყო გამოსავალი! უბრალოდ, რამდენიმე ხნით გადადო ეს საქმე. დანისთვის ხელი არ გაუშვია. ტკივილს ჯერ ისევ გრძნობდა. საზიზღრობა უფრო იყო ეს, ვიდრე ტკივილი. ისიც იცოდა, რომ ახლა, მეორედ ცდისას, უფრო გაუჭირდებოდა. ძალა მოიკრიბა. კიდევ ერთხელ გახედა ოთახს. ამჯერად ოთახისგან შენყალებასა და მფარველობას აღარ ითხოვდა — ბოდიშს უფრო უხდიდა... და მადლიერიც იყო მისი! ყოველ კუნჭულს სინჯავდა, თავზე ევლებოდა, ეთხოვებოდა. მერე სარკმელს გახედა, ნახევრად ჩამოგლეჯილ ფარდასაც შეავლო თვალი. სარკმლის იქით მდებარე სამყარომ მონუსხა. ცხოველი სურვილი აღეძრა, მასაც გამოსთხოვებოდა — იქნებ სამყაროსთვისაც მადლობა ეთქვა. ისიც მოეჩვენა, რომ აქამდე სწორედ ეს (სამყაროსთან გამოუთხოვებლობა) აკავებდა, ხელს უშლიდა მოსახდენის აღსრულებაში.

ფეხზე ნამოდგა, მიუახლოვდა სარკმელს, ხელები ფანჯრის მინას მიაბჯინა და ცას გახედა, მერე ჰორიზონტს და ბოლოს, ძირს, მინაზე გადაიტანა მზერა. რატომდაც არ ფიქრობდა სულიერს, კერძოდ, ვინმე ადამიანს თუ მოჰკრავდა თვალს. ზუსტად არ იცოდა როგორი, მაგრამ სამყარო ახლა როგორლაც აბსტრაქტული ნარმოედგინა. მისდა გასაოცრად, იქ, დაბლა, სწორედ ადამიანს მოჰკრა თვალი. მთელი გულისყურით, მთელი არსებით მას მიეჯაჭვა. იქ პატარა თამაშობდა — ხის ნაფოტი ნავად ექცია და წყალში აცურავებდა. ჯერ ერთი ნაპირიდან გააცურებდა, შემდეგ შემოურბენდა ან პირდაპირ გატოპავდა ვუბეში და მეორე, საწინააღმდეგო ნაპირიდან აპრუნებდა ნავს უკან. იმდენად ჩაითრია პატარა ადამიანი ამ უმანქო, ულამაზესმა სანახაობამ, სრულიად გადაავინუდა, დანა რომ ჰქონდა ხელთ. თითქოს თავადაც ბავშვად იქცა. ინატრა, ფრთები ჰქონოდა. გადაევლებოდა სარკმელს და იქ, დაბლა აღმოჩნდებოდა ბავშვთან. მასთან ერთად ითამაშებდა. მერე პატარასაც გამოასხამდა ფრთებს, ფრენას ას-ნავლიდა და ცაში აიჭრებოდნენ — ნავსაც თან ნაიღებდნენ... და გუბის ნაცვლად ლაუფარდში იცურავებდნენ! მთელ ქვეყანას გადაუფრენდნენ, ღრუბლებს გადაყრიდნენ და მზესთან მივიდოდნენ — სიცოცხლეს აჩუქებდნენ ყველას.


იმდენად ცხადად ნარმოიდგინა პატარა ადამიანმა ეს, რომ ნინ გადაიზნიქა, თითქოს მართლაც გასაფრენად ემზადებაო. ვერ გაუძლო მინამ მის სიმძიმეს და გამაყრუებელი ჭახანით ჩაიმსხვრა. დაფეთებული პატარა ადამიანი უკან გახტა. ხმაურზე მეტად იგი სხვა რამემ შეაშფოთა: სწორედ ამ დროს ბავშვი მეორე ნაპირისაკენ მიეშურებოდა ნავის შესახვედრად. მინის ჩამსხვრევის ხმაზე მოიხედა, ფეხი რაღაცას ნამოჰკრა და პირდაპირ წყალში გაიშხლართა. არ ნამომდგარა, თავი ნამოსნია მხოლოდ და მშველელის მოლოდინში ტირილს მოჰყვა.

გონება საზარელმა აზრმა ამოუთუთქა პატარა ადამიანს: უეჭველად მიუძლოდა მას ბრალი ბავშვის ნაქცევაში! რატომდაც სიკეთის ქმნის სურვილი ჩვენს გმირს მუდამ ბოროტებად უბრუნდებოდა. არა, აშკარად ზედმეტი ადამიანი იყო! სხეულში გაასმაგებულმა ტკივილმა დაუარა. ერთიდა შეამჩნია: დანა ისევ ხელთ ჰქონდა. რაღაც ნაიბუტბუტა ავსა და კარგზე და... ხელმეორედ მიიბჯინა მუცელზე ბასრი ნივთი! ასე გაბოროტებული არასდროს ყოფილა ჩვენი გმირი — ის აღარ იყო ადამიანი, რომელსაც მთელი ცხოვრება პატარა ერქვა. დანას მიანვა, მიანვა იმაზე მეტად, ვიდრე ნეღან, მაგრამ ამჯერადაც რატომდაც დანა ნინ ვერ დაიძრა.

მთელი სხეულით ცახცახებდა პატარა ადამიანი. იცოდა, თუკი ოდნავ მაინც გაუხსნიდა სხეული პირს ბასრ დანას, მერე მას ვერაფერი შეაჩერებდა. აი, ეს ოდნავ გახსნა იყო პრობლემა, არაფრისდიდებით რომ არ ადგებოდა საშველი! არავინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდა ასე. ბოლოს, ვეღარ გაუძლო ჩვენმა გმირმა ამ, ადამიანის ბუნებრივი შესაძლებლობებისათვის შეუთავსებელ მდგომარეობას, კივილნარევი ხმა აღმოხდა და დანა შორს მოისროლა.

დიდხანს იდგა ოთახის შუაგულში თავჩაქინდრული და მხრებში მოხრილი. მერე სანოლთან მილასლასდა, ზედ დაემხო, თავზე ბალიში ნაიფარა და... ჯერ ყრუქვითინმა გამოაღნია ბალიშის ქვემოდან, რომელიც სულ მაღლე ისტერიულ ტირილში გადაიზარდა და იქაურობა გააყრუა.

დასასრული



# ვახტანგ ჭავჭავაძე

## 300 წელი იმპერატორი

(ფიროსმანის ხსოვნას)

ვეძებ ნიკალას უკვდავ ნახატებს,  
უთვალავ ფერს რომ სიცოცხლეს აძლევს,  
მხოლოდ დედნების პოვნა მახარებს —  
არაფრად ვაგდებ ასლების ასლებს.  
მივდევ ნიკალას უშლელ ნაკვალევს,  
გული ფერების გამაში ფეთქავს,  
და მხოლოდ ერთი ნატვრა მანვალებს:  
„აჟა, ვიპოვე“ — ოდესმე მეთქვას.  
მივყები, სანამ ძალა გამიტანს,  
მის „ორთაჭალის ტურფების“ ქებას,  
ჩუმ „მეეზოვეს“, ნაზ „მარგარიტას“,  
თბილი შტრიხების საოცარ წყებას.  
მწვერვალზე ვხედავ შედევრთა ასხმას,  
(რაც სამუდამოდ მემახსოვრება),  
ამ სიმაღლეზე დიდებით ასვლას,  
უნდა ნიკალას ბედით ცხოვრება.

## უფლისციხე

ეგვიპტეში ბევრი ვნახე,  
(გიდთან ერთად),  
აქ ივიწყებ, უნებურად,  
პირად მიზნებს,  
იცი ძმაო, ვაღიარო —  
— გინდა შენთან:  
უფლისციხე მირჩევნია  
პირამიდებს.

## ხაპაზი

ჯერ კიდევ სძინავთ გიუმაჟ ბეღურებს,,  
ვნებას უღვიძებს ტუჩები მარწყვის,  
ცოლიც და ცომიც ელის მეპურეს,  
გარეთ კი წვიმს და როგორლაც არც წვიმს.  
ტრფობაში ჩაფლო ძალი და ღონე,  
ცეცხლად დაენთო, მოიმკო რთველი,  
მერე ლავაში ჩამოხსნა თონეს,  
ძუს სხეულივით რბილი და ცხელი.

## გაუკვალავ გზით

იყოს გაკაშკაშებული,  
თუნდაც სხივით მზის,  
ბავშვობიდან არა მჯერა  
გაკვალული გზის.

მებრძოლად ვარ გაჩენილი,  
სულითა და ზნით,  
და ვერ ვივლი ვერასოდეს  
გაკვალული გზით.

უხილავს და მოშორებულს  
მძლავრს მივაწვდენ ხმას,  
და ყოველთვის გვერდს ავუვლი  
სხვის გაკვალულ გზას.

სანამ ღმერთი საღმერთეში,  
ზის უთვალავ ხნით,  
ვივლი,  
ვივლი,  
ვივლი,  
ვივლი  
გაუკვალავ გზით.

\*\*\*

ტროტუარზე მიქანაობს  
ტანწერნეტა ქალი,  
ჯანდაბის გზას გაგიყენებს,  
თუ მოგტაცა თვალი.



## დმართო მაღალო

ღმერთო მაღალო, მე სიცოცხლეს  
არ ვემდურები,  
თუმცა ომებმა გამიმნარეს  
ლალი ბავშვობა,  
იყო შიმშილი, ეკლიანი  
საფეხურები,  
თვალებში ცრემლმა ვერ მოასწრო  
ჯერაც გაშრობა.  
ვერ გადავიტან, რომ ვიღაცამ  
ხარბი მიწოდოს,  
და ამიტომაც ნუ იფიქრებ  
ნლები მაჩუქო,  
მამულისათვის მომკალ, მზად ვარ,  
არ შემიცოდო,  
ისე კი მომკალ, რომ მუხლებზე  
არ დამაჩიქო.

## სასაფლაოზე

რაზე ფიქრობდი მაშინ?!  
საფლავზე ყრიდნენ მინას,  
ერთად ისხედით კლასში,  
შორს აცილებდი ვისაც.

მერე შეხედე სურათს,  
სიცარიელის ხლებით,  
ასე ყოფილა, სულაც —  
ყველა უდროოდ ვკვდებით.

ვეღარ გიხილავს მტირალს...  
დაკარგე მოყმე დიდი.  
ჰორიზონტისკენ მზირალს,  
თითქოს ჩაგიტყდა ხიდი.

თავი დაპხროდა ბალახს,  
კვნესა ისმოდა ქვისა,  
დარდი ეფინა ქალაქს,  
დარდი შენი და სხვისა.

## საჭალოებო

ვეტრფი ლვინოს, ქეიფს, ქალებს,  
იუმორს და კაფიას,  
ახლობლებში — სამეგობროს,  
სახელებში ნათიას.

მიყვარს დოლი, საზანდარი,  
ზურნა, თარი, დაირა,  
ვერ ვირწმუნე, ვერ შევძელი  
ყოფა მე სხვანაირად.

\*\*\*

ერთხელ ფორტუნამ მეც მომაპყრო  
ქველი თვალები,  
დაუყოვნებლივ გავისტუმრე  
ძველი ვალები.

## უპატროცო საფლავი

კვალი აღარ ჩანს ნაყარი მინის,  
ველურ ბალახთა ანუხებს ფესვი,  
არავის ახსოვს, არავინ იცის  
როდის, ან როგორ აუგეს წესი.

იქნებ კაცურად განვლო სავალი,  
ახლა ანუხებს ეკალა — ბარდი,  
ალბათ აღარ ჰყავს შთამომავალი...  
ადრე უთუოდ ეყარა ვარდი.

## ჩემი ხოცობი


მეამაყება, გორგასალის  
მქვია სახელი,  
მაგრამ მასავით (სამწუხაროდ)  
როდი ვარ დიდი?!  
ვერ ავაშენე  
(გამოვიბი თუმცა ცხრა ხელი),  
ციხე-კოშკები, მეიდნები,  
აბანო, ხიდი,  
ვერ შემოვარტყი  
მამულს კედლის მტკიცე არშია,  
ჩემი ხოხობი კვლავ დაფრინავს,  
ისევ ცაშია.

## პორდავო

არ დაუკერეს ჯორდანო ბრუნოს,  
კოცონზე დაწვეს თამამი ფიქრი,  
დედამინა კი ქალუმად ბრუნავს,  
და სამყაროში რაშივით მიჰქრის.

არ მოუსმინეს ჯორდანო ბრუნოს,  
არ დააცადეს ბოლოთქმა სიტყვის,  
დედამინა კი კვლავ სნრაფად ბრუნავს,  
ინკვიზიციის მიანგრევს ქვითკირს.

არ აპატიეს ჯორდანო ბრუნოს,  
დიადი აზრი ძირშივე თხარეს,  
დედამინა კი ბურთივით ბრუნავს,  
ეკეკლუცება მზესა და მთვარეს.



# შიში

## ქართველი

### მესაფერა

ძია გრიგოლა ისევ მთვრალი იყო. ლურჯთვა-  
ლება და თეთრკაბიან გოგოს უმღეროდა... ამ  
ცოტა ხნის წინ, ფხიზელს, სოფლის ორლობეში  
შემთხვევით გადავეყარე. სოფელში ახალი ჩა-  
სული ვიყავი და ბევრი მოვისაკლისე...

— ძია გრიგოლ, ამ პატარა ხანში რამდენი  
ხალხი წასულა...

აღარ დამაცადა:

— ჰო, სამუშაო მომემატა... მიდის ხალხი,  
არადა ღმერთსაც სულ კარგები მიჰყავს...

ჩემდა უნებურად წამომცდა:

— რახან ცოცხალი ხარ, შენ ცუდი კაცი ხარ?  
— ეგრეა.

— რომ იცოდე, ძია გრიგოლ, შენი საქმით  
რამხელა სიკეთეს აკეთებ, მაგას აღარ იტყოდი!  
შენ კიდევ დიდხანს უნდა იცოცხელო...

— რაღა მე უნდა ვთხარო...

— აბა, ვინა?... მკვდარი აღარ დავმარხოთ?

— აღარ შემიძლია... თხრას რომ ვიწყებ, კი-  
დევ არაფერი. აი, — სიგარეტი შუამდე დაიყვა-  
ნა, — მოვრჩები, ამოვდივარ, ჩავხედავ ორმოსა

და... გული მიკვდება, კაცო...

— რათა, ძიავ?

— რავი, აბა, მე კი გავნახევრდი და...

საუბარი აღარ გააგრძელა, ჩამქრალი “პრი-  
მა” ხელუკულმა მოისროლა... ხელი ერთხელ  
კიდევ ჩაიქნია, მერე ცივ წყაროს დაენაფა და  
ნაწყენი თვალებით გამშორდა...

ორიოდ საათში მესაფლავე ისევ მთვრალი  
იყო და თავის სიმღერას გაჰკიონდა...

ჰო, მაშინ ვერ გავიგე, მაგრამ მერე და მერე  
კი მივუხვდი გულისტკივილს...

... ეგონა, კაცის სიკვდილში წილი ედო, ეგო-  
ნა... ხვალ და ზეგ მეზობელს რომ ვერ დაინახავ-  
და, მისი ბრალიც იქნებოდა... მაგრამ... თხრიდა  
და თხრიდა. აი, საფლავის ძირს რომ მოასწო-  
რებდა, მაღლა ამოვიდოდა და შიგ ერთხელ კი-  
დევ ჩაიხედავდა, მერე იწყებდა ამაზე ფიქრსა...

ამდენი ხნის გასვლის შემდეგ უკვე აღარ მიკ-  
ვირს, რატომ არიან მესაფლავეების უმეტესობა  
/ვისაც ჯერ კიდევ გული შერჩენია და მესაფლა-  
ვეობა ხელობად არ გაუხდია/ გულჯავრიანები,  
მოღუშულები და მუდამ მთვრალები. რა ქნან?  
თავისი ჭკუისა ვერ უპოვიათ ამ ქვეყანაზე, იქ,  
საფლავის ორმოში, ალბათ, სხვანაირია ეს სამ-  
ყარო, ამოვლენ და... არაყსა და ღვინოში “რეცხ-  
ავენ” თავიანთი გულის ჯავრსა...

ძია გრიგოლა დღესაც ცოცხალია, ისევა  
თხრის და თხრის საფლავებსა, სამუშაოც რომ  
არ ელევა?! /უკვე მეორე თაობას ისტუმრებს  
იმ ქვეყანაზე/, ჭირისუფალიც არ ამაღლის ჭი-  
ქა ღვინოსა და ლუკმა პურსა, იციან, მთვრალი  
არავის აუხილება და სიმღერას გააყოლებს  
გულის ხვაშიადს...

ხალხი კი... ეჱ, ხალხი მიდის, სოფელს დაკლე-  
ბულნი... სასაფლაოს ავსებენ...

### მავითობა სვასისეოვანი

ამას წინათ, საკვირაო წირვის დროს, საკურ-  
თხევლიდან გამოსულს, ერთი უცხო პიროვნე-  
ბა შემეფეთა. არ ვიცი, ჩემი წლოვანების გამო  
სადმე ვყავდი ნანახი, არადა ამ ოც წელიწადში  
ვინ აღარ შემხვედრია და ვის აღარ ვუნახივარ  
სვეტიცხოველში, ჰო... მიზეზი ვერ გავიგე...  
პირდაპირ მოვიდა და მკითხა:

— ჩემი ბიძაშვილი მოკლეს აქ... დავითი...  
ზესტაფონელი... მორჩილი იყო... დღეს თორ-  
მეტი წელი შესრულდა იმ დღიდან... ეჱ, როგორ  
გარბის დრო... რუსეთში ვარ წასული, ახლა ცო-  
ტა ხნით ჩამოვედი და აი, მოვედი.

მე ჯერ დავიბენი, მერე კი ყველაფერმა კი-  
ნოს კადრებივით გაირბინა თვალნინ...

— ვიცი, ორივეს ვიცნობდი, მკვლელსაც და  
მოკლულსაც... დათო კარგი ბიჭი იყო... ღმერ-  
თმა აცხონოს.

— ხომ ვერ მაჩვენებთ, რა ადგილზე მოკ-  
ლეს... შეიძლება ამას დიდი მნიშვნელობა არცა  
ჰქონდეს, მაგრამ სანთელი მინდა ავუნთო...

— როგორ არა... აგერ “ცაგერის ღვთისმშობ-  
ლის” წინ გდებულა საწყალი...

დათოს ბიძაშვილს თვალები აუნყლიანდა, მინიშნებული ადგილისკენ დაიძრა, მისულმა ნუთიერი დუმილით სცა პატივი უღვთოდ ნაწამებსა და სასტიკად მოკლულ ახლობელს.

მერე ჩემთან მოვიდა და რამდენიმე შეკითხვა დამისვა... ვპასუხობდი, მაგრამ თან ვფრთხილობდი, რა ვიცი, ვინ არის, შეიძლება ბიძაშვილიარც იყოს... არადა, შესახედავად კი ჰგავდა... ამ საუბრისას, ჩვენი ერთ-ერთი მოძღვარიც შემოგვესწრო და მეც გავერიდე... ისე კი, სული გვარიანად ამიფორიაქდა, ისევ განმიახლდა ძველი ტკივილი, რაც სვეტიცხოველში დალვრილმა სისხლმა გამოიწვია... სისხლმა, მონდომებულმა რეცხვა-ხეხვამ რომ ვერ ამოშალა ქვის იატაკიდან, ბოლოს ზეთი რომ დაასხეს და გაამუქეს...

სახლში მისულმა ძველ ნაწერებს მოვუყარეთავი, შევადგინე გეგმა და დავიწყე წერა. რაც გამოვიდა, თავად ნახავთ და შეაფასებთ.

პირველად გიორგი სვეტიცხოველში ვნახე, წირვას ესწრებოდა. თავისი გარეგნობითა და ჩაცმულობით ყველასგან გამოირჩეოდა: თმადა ნვერი დევრიშივით მოეშვა, თანაც ეტყობოდა, კაი ხნის დაუბანელი, დაუვარცხნელი ჰქონდა... ტანზეც ძველმანები ჩაეცვა და რომ შევხედე... მაპატიე, უფალო და, თითქოს შუა საუკუნეების მწირი შემოსულიყო ტაძარში, მაგრამ... როცა უფრო დავაკვირდი, შევეჭვდი, ხან იცინოდა, ხანაც თავისთვის ბუტბუტებდა... აკანკალებდა კიდევაც... მე კი...

ამ დღის შემდეგ, კარგა ხანს აღარ შემხვედრია... ერთხელ მამაჩემმა (მაშინ ცოცხალი იყო საწყალი) მითხრა: ვიღაცა შერეეილი შემხვდა გზაზე, ორი ფიცარი ეჭირა, ნაიღებდა, ას-ორას ნაბიჯზე დადებდა, ახლა სხვებს მოუბრუნდებოდა, ერთი შავი "სუმკაც" მიჰქონდა... ჰო, მართლა, მეც რომ ვნახე, ეს "სუმკაც" გვერდზე ედგა, გატენილ-გაძეძვილი, არ ვიცი, რა ენყო, არადა, ზემოდან დაყრილი, დამჭერარი ვაშლები დამამახსოვრდა კარგად. რომ გამისწორდა /ისევ მამაჩემი ამბობდა/, ახლოს მოვიდა და მკითხა: — სახლის აშენებას ვაპირებ და ეს ფიცრები მეყოფაო? ...

— შვილო, ოცდახუთი წელია სახლს ვაშენებ, კიდევ ვერ დამიმთავრებია და შენ რა, ოთახი ფიცრით გინდა ააშენო?! ისე, მაგ ფიცრებით კარგი ტახტი გამოგივა...

— ერთი შენცა ყოფილხარ, შენ რა იცი სახლისაო... რაღაცა თქვა კიდევ და ნავიდაო...

მერე ჩემს ძმასაც ენახა ტყეში, წყლის ასაღებად ჩასულიყო ხევში და გიორგიც დასდგომოდა თავს... კარგა ხანი ელაპარაკათ, რა ვიცი ბერი მეგონაო, თქვა ჩემმა ძმამ, მაგრამ მერე და მერე მიმხვდარიყო ვისთან ჰქონდა საქმე... ისევ სახლის აშენებას აპირებდა, ვენახი უნდა გაეშენებინა, საქონელი მოემრავლებინა...

ჩემმა მორიგეობამაც მოაღნია და ნავედი ძროხების სამწყემსად, ის უკვე ვიცოდი, სადაც იყო და შევედი ნიშში...

პირველი, რაც თვალში მომხვდა, მისი არეული თვალები და სახე იყო, წინ პატარა ხატები

დაელაგებინა და რაღაცას ბუტბუტებდა, თან კიდევ რაღაცებს ინიშნავდა ფურცელზე... ცოტა შემეშინდა და ესლა მოვახერხე:

— რომელი საათია-მეთქი?

— არა მაქვსო...

ისეთი ხმით მითხრა, მაშინვე უკან გამოვტრიალდი...

მეორე მორიგეობაზე გზაში შემხვდა, მცხეთისკენ მიდიოდა, მოგეხმარები-მეთქი — არ მინდაო... /ისევ იმ ხმაზე მითხრა/.

მერე სვეტიცხოველში ვნახე, ეზოს ასუფთავებდა, ხელში დანა ეჭირა... ჰო, სწორედ ის დანა... რას მოვიფიქრებდი, კაცო, ორიოდე კვირაში რა მოხდებოდა... დარჩა და დარჩა ეკლესიაში...

დათოც ახალი მოსული იყო, სვეტიცხოვლის ახალ წინამდვარს მონასტრის დაარსება დაავალეს და იგი მორჩილად მიიღეს.

ერთხელ მესანთლეს ვკითხე: ვინ არის-მეთქი?

თბილისელია, გიორგი ჰქვია, ცოტას ურევსო... დედა ამოვიდა, უნდა წაეყვანა, მაგრამ არ გაჰყვაო — აქ უნდა განვიკურნო და მერე წამოვალო... აკი, "განიკურნა" კიდევაც...

თითქოს სახე დაუწყნარდა, სულ წიგნები დაჰქონდა, "ფსალმუნების" კითხვა უყვარდა, ხან რომელ ხატთან იდგა და ხან რომელ ხატთან... განსაკუთრებით "ცაგერის ღვთისმშობელთან" იდგა ხოლმე საათობით. ბოლოს ქადაგებაც სცადა, რაზეც მღვდლები ხუმრობდნენ, — გიორგი ყველას გაგვრეკავსო... მღვდლებისა ეშინოდა, უფრო კი იმ ჯვრის შიში ჰქონდა, მღვდლებს რომ ჰქონდათ მკერდზე ჩამოკიდებული..

თბილისიდან ერთი მორნმუნე ქალი ამოდიოდა — წინო. ერთხელ გადავწყვიტეთ დაგვესუფთავებინა ტაძარი და დათქმულ დღეს საქმესაც შევუდექით...

არ ვიცი, გიორგი საიდან მოვიდა, იქვე ჩამოვდა. ჰო, დალაგება "წმინდა წიკოლოზის" ტაძრიდან დავიწყეთ... ჯერ ჩაეძინა, მერე კი კითხვა დაიწყო. კედლებს ვასუფთავებდი და გიორგის რომ გავუსწორდი, გავაფრთხილე — იქით გადამჯდარიყო.

— არა უშავს...

მტვერმა რომ შეაწუხა, აყვირდა:

— როცა წაკითხვა მინდა, მაშინ მოგინდებათ ხოლმე დასუფთავება... ნუ წვალობთ, ღმერთი მაინც არ მიიღებს...

ამ ხმაურზე საწყალმა დათომ შემოიხედა. გააგდო... პირველად მაშინ დავინახე მასში ჩაბუდებული მძვინვარე მხეცი, თვალები აერია და აკივლდა:

— თქვენი დროც მოვა... სულ ყველას დაგხოვენ... ჰო, სულ ყველას...

მერე დედათა მონასტრში დაიდო ბინა. ერთხელ, დაუჭერია ქაღალდი და კალამი, რაღაცას ზომავს და თან ინიშნავს, ჩაფიქრდება, გაზომავს, ჩაწერს... დამინახა, ახლოს მივედი:

— როგორა ხარ, გიორგი?

— არა მიშავს, კარგად. ეს რკინის კარები ვინ

ჩამოაბა, ან ეს ლობე ვინ ააშენა...

— არ ვიცი. რა არის?

— არაფერი. წადიშენ გზაზე, წადი, არა მჭირ-  
დები...

მერე და მერე აურია, წირვაზე აღარავის აც-  
ლიდა ლაპარაკს. ხან ვის აუხირდებოდა, ხან  
ვის... ბოლოს დანითაც კი დაემუქრა ზოგიერ-  
თებს, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია  
— გიუიაო და თითქოს გაამართლეს მისი ასეთი  
ქცევები.

იმ დღეს რა დამავიწყებს... პარასკევი იყო...  
მცხეთაში ტყვიასავით გავარდა ხმა — სვე-  
ტიცხოველში კაცი მოკლესო! ჯერ არა მჯერო-  
და, მაგრამ რომ თქვეს გიორგიმ მოკლაო — და-  
ვიჯერე.

ტაძარში მალევე მივედი, ხალხი უკვე შეერ-  
ბილიყო... იდგა სვეტიცხოველი დამწუხრებუ-  
ლი, ჰო, პირქუში მეჩვენა ტაძარი, არადა თით-  
ქოს არ უნდა გაგვავირვებოდა სისხლი — 9 აპ-  
რილი, სამოქალაქო ომი, ცხინვალი, სოხუმი...  
მაგრამ ტაძარში დაღვრილი სისხლი სულ სხვა  
იყო — სვეტიცხოველი და სისხლი ერთად? —  
ეს აზრი ამეცვიატა და გონიერაში სულ ეს მიტრი-  
ალებდა.

მერე ნანილობრივ, ხან ვისგან და ხანაც ვის-  
გან გავარკვიე, რაც მომხდარიყო და შეძლების-  
დაგვარად მოგიყვებით:

— ის იყო წირვა მორჩა, მე და მედავითნე  
ჩემს ოთახში ვისხედით — ამას მესანთლე ქალი  
მიყვება.

— საიდანლაც შემოეხეტა ეგ სამინე, ეგა. და-  
თოც აქა ტრიალებდა. უცებ შუქი ჩაქრა. მივ-  
ხვდით, გიორგი იქნებოდა, უჲ, რა სახელს აფუ-  
ჭებს; დათო ნავიდა, ავანთებო, ეტყობა, ეჩხუბა,  
სხვა დროსაც ეჩხუბებოდა ხოლმე...

— უცებ ჩხუბის ხმა გავიგე და გავედი — ეს  
მედავითნეა, — შუქი აინთო... ბიჭები იქვე, ნმ.  
ნინოს ხატთან იდგნენ (ძველ მრევლს ემახსოვ-  
რება, ნმინდა ნინოს ხატი სადაც იყო — ილიას  
ტაძრის მხარეს, სვეტიზე ეკიდა, ახლა ლვთის-  
მშობლის ხატი ჰერიდია იქა) და კამათობდნენ...  
მერე გიორგიმ დანა ამოილო და მოუღერა.  
სანყალ დათოს ოპერაცია ახალი გაკეთებული  
ჰქონდა და ვერ გაიქცა... უკან-უკან ნამოვიდა.  
— თან მაჩვენებს როგორ მოდიოდა, ის კი მოს-  
დევდა... — დავუძახე, რას შვრები, გიორგი, რა  
მოგივიდა... ეხლაც ვკანკალებ, რა ქნა მაგ არგა-  
სახარებელმა. ერთი რომ მოუქნია, კისერში ჩა-  
არტყა, ჩაარტყა და ნაიქცა სანყალი, მერე ზედ  
დააჯდა...

— მე რომ გამოვედი, ზედ ეჯდა, მეგონა  
მუშტს ურტყამდა, — ეს ისევ მესანთლეა, —  
მაგრამ ამან რომ ნივილი დაინყო /მედავითნე-  
ზე მანიშნებს/, მღვდლებთან გავიქცი...

— რომ შემოვედი /ეს ახლად ნაკურთხი ბე-  
რია/, თავი უკვე გაენებებინა, დათო უკვე  
მკვდარი იყო, რომ დამინახა, სისხლიანი დანით  
ჩემკენ გამოქანდა, გამოვექცი, გარეთ გამომ-  
ყვა. აქ კი დიაკვანმა დაუძახა:

— სატანავ, აისრულე წადილი, მოკალი...  
ლმუოდა, დანას იქნევდა, მართლა ეშმაკი იყო,

გიორგის არსებაში ჩაბუდებული...

— კიბეზე რომ ამორბოდა, — (ეს მათხოვა-  
რია), — დანა აი, ესე ეჭირა და ჩვენს კენ გამოიქ-  
ცა თანა ყვიროდა: „სუ ყველას დაგხოცავთო“,  
დანაც სისხლიანი იყო... შემეშინდა რომელია,  
შენ არ შეგეშინდებოდა?! ეგეთი რამე არ მინა-  
ხავს, რასა ჰგავდა, კაცოო, — მეორე მათხოვა-  
რი ჩაერია საუბარში.

— შვილო, მეც კინაღამ მომკლა, — მოხუცი  
მრევლი, სოფო ბებო მეუბნება, — სახლში მივ-  
დიოდი ხანხალით და გზაში დამენია... გამას-  
ნრო და გაიქცა... რად უნდოდათ აქამდე რომ  
ჰყავდათ, ნაეყვანათ სადმე...

გიორგი ტაძრიდან ქალაქში გავარდა, იქვე  
სკვერში დაიჭირა მილიციამ, ხუთი კაცი ვერ  
უმკლავდებოდა, მანქანაში ძლივს ჩატენეს, რა  
მაგარი ყოფილა... სცემესო? სულ კონდახები  
ურტყეს...

დღევანდელი გადასახედიდან, არადა ამა-  
ზე ბევრი მაქვს ნაფიქრი, გიორგი გიუი არ იყო,  
მან თავისი „მისია“ აღასრულა, ნმინდა ტაძარ-  
ში სისხლი დაღვარა, ჰო, რიტუალი აღასრულა,  
რომელიც დღემდე გრძელდება, დღე არ გა-  
ვა ვინმე არ მოკლან და უმეტესობა ახალგაზ-  
რდა...

ამდენი წლის შემდეგ, იმ ადგილს რომ ჩა-  
უვლი, კიდევა მაქვს შინაგანი შიში, რომელიც  
კარგა ხანს გამყვება, ვგრძნობ, დამძიმებულ  
აურას... არადა, დღემდე ბევრს, ვისაც ახსოვს  
ეს ამბავი, ბოლომდე ვერ გაუაზრებია, თუ რა  
მოხდა იმ დღეს...

ეჲ, მოსახდენი მოხდა... ჰო, ამას არაფერი ეშ-  
ველება, მაგრამ შველა ადრევე შეიძლებოდა,  
სოფო ბებოსი არ იყოს, ამდენი ხანი რატომ გაა-  
ჩირეს ამ ნმინდა ალაგს ეს გადარეული...

ახლა, როცა დაწყნარებული და ცივი გო-  
ნებით ვწერ, ერთ რამეს მაინც ვერ ვხვდები...  
მართლა, არ დამავიწყდეს, გიორგი საგიურეთში  
ნაიყვანეს, იქ კი ეზოში თუ ეზოსთან უნახავთ  
მკვდარი... ჰო, ერთ რამეს ვერ ვხვდები, მაინც  
ვინ იყო გიორგი სატანასთან ნილნაყარი თუ  
ღმერთის გაფრთხილება — ადამიანებო, იყავით  
ფხიზლად... ან იქნება... ან იქნება... ან იქნება...

P.S.

— აგე, ბათუმში ეკლესია დაანგრიეს, ჯვრე-  
ბიდახსნეს, კაცოო, შარაძეც მოიშორეს, მკალა-  
ვიშვილია და... მღვდელი და ციხე? არა, ამათი  
დროუმოვიდა, შვილო... — მეუბნება ნაცნობი,  
მოხუცი მოსე.

ეჲ, რას ვიზამთ, მართლაც რომ ამათი დრო  
მოვიდა...

რაღა თქმა უნდა, — დროებით!



# კუნძული

## მანანალა

— ნერნე!!! — გაისმა ზარის ხმა.

— გადი, აიღე ყურმილი, ხომ ხედავ, ცომში მაქვს ხელი.

— უნდა გამოვრთო ეს ტელეფონი, აღარ შემიძლია. — დაიჩივლა კაცმა, წიგნი გადადო.

— ალო? ალო? დიახ! მე გახლავარ. გისმენთ. როგორი ცოლი მყავს?!

— ვინაა ადამიანო.

— მოიცა, სუუ! — ანიშნა ცოლს, რომელსაც ისე უხდებოდა ჩითის წინსაფარი, ცეცხლისგან შეფაკლული სახე, წაბლისფერი თმები და სიყვარულით ანთებული თვალები, გადაეხეოდა, შორს რომ არ მდგარიყო. — დიახ! არაა შინ. ვინ მომცა მაგის ბედი.

— საქმე არ აქვს მაგ ოჯახდასაქცევს? მიდი ერთი მიხედვე ბავშვს.

პატარა საწლიდან ჩამოსულიყო და იატაკზე დააბიჯებდა. კაცმა აიტაცა, ჩაეხუტა,

ჩაკოცნა და ისევ საწლიზე დასვა.

— ნერნე!!!

— ალო! ალო!

— მოცლილია ვიღაცაა.

კაცს ძველი პერანგი შეულილავად გადმოეშვა ზემოდან და ბოლთას სცემდა. „ნამდვილად ისაა, ხმაზე ვიცანი“ — იფიქრა და სიბრაზე მოერია. „ეგ მაცემინა ეხლა და თუ გინდა მომკლა მერე. ჰმ! იცის, რომ ცოლი მყავს და შვილი, რას გადამეკიდა. არ მოექცევი მამაკაცურად? წავა და თავს მოგჭრის, კაცი არააო. მოექცევი და ყველა უნდა დაკარგო. დაგარქმევენ გაფუჭებულ ადამიანს და იტყვიან ცხოველიაო. არა ვარ წატონო, ცხოველი, არც სულნასული, მაგრამ კაცი ვარ და ამ ჩემს კაცურ ბუნებას რას უჩიჩინებ, რომ არ აგავდებინებ თავს, არ იცი? იცი და შენც ეგ გინდა, არ მეშვები, ხომ? ჰოდა მე შენ ისეთ დღეს დაგაყრი, სულ შეგძულდეს კაცი. ცხვირში ამოგადენ მაგ სიცილს. — და ისევ დაუჭიმა ძარღვები ჩუმმა ქირქილმა: შენ რა კაცი ხარ.

— მე რა კაცი ვარ, ხომ?! სირცხვილის გრძნობა რომ მაქვს, მე რა კაცი ვარ, ხომ? მოდი ახლა და ასეთ დედაკაცს... მოდი ახლა და შეინახე მისი ქმარმატვილის ხათრი. ვერ ვხედავ ყველა კაბაში ქალს და მომქალით თუ გინდათ. ჩემს გარდა რომ ქვეყანას მოინანნალებს, არ მინდა მასეთი და მომქალით თუ გინდათ” — და ისე ეზიზლებოდა მისი გათქვირული თეძოები, გული ერეოდა. ათიათასი კაცის ხელს ხედავდა ზედ. სძულდა მისი ურცხვი, ირიბად გაჭრილი თვალები, თითი რომ ჩაგეკრა, ერთხელ რომ არ დაახამხამებდა. ეზიზლებოდა მისი ჩამოთლილი ნვივები, ყველას რომ ეკუთვნოდა. ეზიზლებოდა წითლად დაბურცული ტუჩები, ყველა შემხვედრისაგან დადორბლილი. მისთვის ის მძორი იყო, გაშიშვლებული, ურცხვი მძორი, რომელსაც ყველგან თან დაპქონდა ლოგინი და ხმამაღლა დაიძახა: ვაი მაგის პატრონს? რა ეშველება ქვეყანას ამდენი სულელი რომ ჰყავს?

— რა ეშველება და ეს ბავშვი უნდა გავზარდოთ ხეირიანად, თორემ იმდენმა გაუზრდელმა მოიყარა თავი, მართლა საკითხავი გახდება ყველაფერი. — მიუგო ქალმა და სამზარეულოს მიაშურა.

## მოსილი

იდგა და უცქერდა, რამდენი ლამაზი ქალი ჩაივლიდა. ნდომით ყლაპავდა ნერწყვს და უსაქმურობისაგან ათასი საზიზლარი სურვილი უტრიალებდა. თმები მხრებამდე სწვდებოდა. სქელლანჩიან ფეხსაცმელებზე შემდგარიყო, ახალთ-წხალი პიჯაკი ეცვა. სახის ნაკვთები უზადო ჰქონდა. მერე მოწყინდა, შინ გასწია,

## კრიტიკა

მზესუმზირის ცმაცუნით შეაღო კარები, ჩენჩო გადმოყარა და სავარძელში ჩაჯდა.

მხრებში მოხრილი მოხუცი მაისურის ამარა მიმოდიოდა, ჩაღრმავებულ თვალებში თეთრი წარბები ჩამოსწეოდა, ცხვირს ისრესდა და ჩაუანგებულ თითებს აწვალებდა.

— ადამიანო, ჩაიცვი რამე. — უთხრა შვილმა.

— არ მინდა. უნდა გიყურო, რამდენს ჩაიცვამ, რამდენს შეჭამ და რამდენს ისეირნებ. თუ ქვეყანაში მაგ პრიალა ფეხსაცმელები გამოგიყვანს და ცარიელ თავს ფასი დაედო, ეგეც უნდა ვნახო. კი ბატონო, იუთავე ხალათი და დააცქერდი შარვლის ნაკეცებს. სხვა რა გეკითხება. ოჟ, რომ მცოდნოდა ასეთი უდარდელი გამოხვიდოდი... მაგრამ ახლა რაღა მოგიხერხო?

— იჯერე გული ჩემი ლანძლვით? მომეცი ერთი ათი მანეთი.

— როდემდე?

— სულ მალე, ა, სულ მალე. დავინუებ მუშაობას და...

— ხუთი წელი გავიდა, ხუთსაც გარჩენ და მერე აღარც მე ვიქნები. ჩემმა შექმნილმა როგორ უნდა მანყევლინოს სიცოცხლე. წელებზე ფეხს ვიდგამ, იქნებ ადამიანი გამოვიდეს-თქო. ასე უსინდისოდ რატომ უნდა ისარგებლო ჩემი ჯანდონით და სიყვარულით? არ გრცხვენია ბიჭო?

— გადამაყოლე ახლა ერთ პიჯაკს.

— ეჟ, ნერგს გაზრდა უნდა თორემ, თუ ხე მრუდედ წავიდა, ველარ გაასწრებ. — გულის-ტკივილით თქვა კაცმა და თავი ჩაჰქიდა.

ნიან თქვენზე, ჩვენზე, რომ ძნელია დედაკაცის საიდუმლოს გაგება, ვიდრე მათებურად არ ეზიარები მინას. სიყვარულის მეტი არა მინდოდა შენგან და, ალბათ იმიტომ გადაიკარგე. თქვენ ხომ ყველაფერს შეგიძლიათ შეპირდეთ უზადო, ცაში მოფარფატე უწმინდეს ფანტელს, ვიდრე მინაზე დაეშვებოდეს. შენ კი არც გამიმეტე მინისათვის და არც სიხარული დამიტოვე”.

თათანამ იგრძნო, ქარიშხალს გადაევლო. რაღაც გავიდა მისი არსებიდან და ჩუმად მოიხურა კარი. რაღაცამ დატოვა, რაც ასე უნგრევდა გულის ფიცარს, ანყდებოდა ტვინს, წვავდა მკერდს და შეუნელებლად ადენდა ცრემლს. მიხვდა, დათოს დანახვის სურვილი გაპარულიყო. წარმოუდგენელ ტკივილს გაეგდო იგი და ნელ-ნელა უბრუნდებოდა გული მკერდს, გონება თავს, ძარღვები სხეულს. აქამდე ყალყზე შემდგარი ყოველი გრძნობათა ორგანო, წყნარდებოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მის არსებაში სხეულის ცალკეულ ნაწილებს დავა მოუვიდათ. გულს აუჯანყდა ძარღვები, ძარღვებს ტვინი, ტვინს მხედველობა, მხედველობას სმენა, სმენას ფილტვები, ფილტვებს ძვლები და ერთმანეთი სასიკვდილოდ სცემეს. სავარძელზე მისვენებულიყო, წარბები წვრილად გადასჭიმოდა საფეთქლამდე. ფერმკრთალი იყო, თხელი ტუჩები და გრძელი, აგრეხილი წამნამები ჰქონდა. ყვითელი, პრიალა ხალათი შეისწორა და დიდი ხნის ნაავადმყოფარივით გადადგა ფეხები. იგრძნო, ღონე აკლდა. მოდუნებული მუხლები დაემორჩილა სურვილს, ისევ სავარძელზე ჩამომჯდარიყო.

## ჩოგა.

## თათანა

ორი კვირა გავიდა, თათანა ინვა და ძლივს შევძლო სიარული. იმის მაგივრად, რომ ყველა-ფერი დავინუებოდა, უფრო ახსოვდა და ალბათ, უთვალავჯერ იმეორებდა გონებაში მისი წერილების შინაარსს: “მომენატრე, ჩემო სიხარულო და თანაც შემეცოდე, თორემ მე მინდოდა უფრო რიგიანად დამეზუსტებინა პასუხი. მაგრამ შემდეგ შევძლებ, ალბათ, გითხრა ყოველივე ის, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენთვის, ჩვენი სიყვარულისთვის.”

— ხა, ხა, ხა! ჩვენი სიყვარულისთვის! — წამოიძახა ხმამაღლა გოგომ და იფიქრა: “მხოლოდ გული მინდოდა შენი და, ალბათ, იმიტომ ვერ გაძელო ჩემთან. თქვენ ხომ არაფერი გენანებათ ისე, როგორც სიყვარულის გაცემა. ბრიყვი, ხელუხლებელი სინმინდე კი სიცოცხლის დასასრულამდე ქვითინებს, რადგან ჩვენგან წასულები ვიღაც დედაკაცებს უძღვნით ჩვენგან მოტაცებულ გულებს და ხარხარებენ დედაკაცები თქვენით განებივრებულნი. იცი-

\*\*\*

— თათანა!

ისე მოჰკვეთა ხმამ, გოგოს მოეჩვენა, თითქოს მუხლებში ჩაარტყა ვიღაცამ. მაშინვე იცნო და სადაც მოუსწრო ბერამ, იქ გაქვავდა.

— გამარჯობა, როგორ მინდოდა შენი ნახვა.

— „არრცხვენია. არაფრის ერიდება. ახლა რომ ვუთხრა, მთელ დღეს ჩემთან გაატარებს და საღამოს იგივე სიტყვებს ეტყვის ცოლს, რასაც მე“.

— მემდური?

— ეს ყველაფერი მართალია?

ბიჭი უფრო მიხვდა, რას ეკითხებოდა, ვიდრე გაიგონა. შავი პერანგის ერთი ღილი შეიხსნა და ყელზე მოიფათურა ხელი. მზედაკრული სახე უფრო გაუმუქდა, თვალები ოდნავ აეცრემლა.

— შენ არ იცი, რა საშინელებაა, როცა მომენტს ეძებენ და არა აღამიანს.

— ნეტავ რას იტყვის კიდევ? ფიქრობს მჯერა მისი?

— თათანა, ჩემო პატარავ.

გოგოს ხმის ამოღება არ შეეძლო, თითქოს სასაზე მიეკრო ენა.

„პო, შენთვის სულ მუდამ პატარა ვიყავი. მაშინაც ვერ შეამჩნიე ჩემი გაზრდა, როცა სიყვარული მასწავლე.“

— უნდა მაპატიო და შემინდო ეს სულნასულობა. შენ უნდა იყო ბედნიერი. ხომ ხედავ რა უღვთოდ გაგყიდე და გაგცვალე.

— როცა ნათქვამი უკან მიგაქვს, ადამიანი შენს თავს დალატობ, ხოლო თუ შენს თავს დალატობ, ვიღასი ერთგულება უნდა შეძლო? ნუღარ დამენახვები. — გოგომ ტაქსი დაინახა, ხელი დაუქნია. მანქანა გაჩერდა. თათანამ კარგი გამოლო, დაჯდა და მიიხურა. ბიჭს მოეჩვენა იმ კარებში მოჰყვა გული, ისეთი მწვავე ტკივილი იგრძნო.

\*\*\*

— ოჟ, რა მხეცი ყოფილა ადამიანი! — თქვა, როგორც კი შინ შევიდა და სავარძელზე დაეშვა.

— რას იზამშვილო! — ნუნარად გამოეპასუხა დედა და მის გამხდარ, ნაზი სულის გოგოს თმებზე გადაუსვა ხელი. — ომია მუდამ სამყაროში სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის, კეთილსა და ბოროტს შორის.

— ეჟ, არაფერი არ ყოფილა ამ ქვეყნად.

— ყველაფერია, შვილო, მხოლოდ უნდა ვიცოდეთ, ვისაც ის ერგო, მისთვის ხომაა. აი, ამას უნდა ვეჩვეოდეთ, ეს უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ტკივილით მორჩია ვიღაც და აღარ გეტკინება. არ უნდა იყო ისე მნარე, ვეღარაფერმა გაანელოს შენი გემო. შენ ნუ იფიქრებ დაუშავო ვინმეს და თვითონ თუ დაგიშავა, სინდისთან უვალო იქნები. სიყვარულის ვალი ნუ დაგრჩება და რა მოხდა მერე, სიძულვილს თუ ვერ გადაიხდი.

— ასე მგონია, სულ მარტო ვარ.

— არა, შენს არსებაში მუდამ დაგვყვება ვიღაც და პასუხს გთხოვს. თუ დაივინყერა უნდა უპასუხო, თუ აღარ გაგახსენდა რისთვის არსებობს, დაკარგული ხარ და შენს თავს დაეძებ. ამიტომ ვერ ვიფიქრებთ მხოლოდ პირადზე. მოვა ვინმე და შეგიყვარდება. მხოლოდ სულსწრაფი ნუ იქნები. მოვა და გაოცდები. იმან თუ დააშავა, შენ გამოისყიდე. იმან თუ გატყიდა, შენ დაფარე. ყველას მისი ნილი აქვს ამ ქვეყნად და როცა შენსას ეპოტინებიან აჩუქე, მაგრამ არ ნაგართვას. გესმის, შვილო! აჩუქე პირადი და არა რნმენა. რნმენა ხალხისაა.

— მარტო მე გავუფრთხილდე რნმენას?

— ყური დამიგდე! ნარსულსა და მომავალს შორის უხილავი ჯაჭვია გაბმული. ეს ჯაჭვი ჩვენს ხელთაა და მისი განყვეტის გვეშინია. უნდა გვეშინოდეს კიდეც, რადგან ადამიანი დაბადებიდან ქვეყანას ეკუთვნის.

თანანამ დედას შეხედა. მაღალი, ნაო-

ჭებჩამდგარი ჭალარა ქალი ისე მისჩერებოდა, თითქოს ახლა ძერწავდა მის სიცოცხლეს.

“ღალატი მარტო ჩვენში არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს. — განაგრძო ნუნარად ქალმა. ადამიანების შეგნებისა და შეუგნებლობის ზღვარი ვერასოდეს მიაღწევს კრიტიკულ ნერტილს. ერთისაგან ჩადენილმა სიმხეცემ შეიძლება გააფერმკრთალოს მილიონი სიკეთე, რადგან ცუდი ისეთი დამღაა სულის, რომელსაც ძნელად ნაშლი. კაცობრიობამ საკუთარი სიცოცხლითაც ვერ გამოისყიდა უხსოვარი დროიდან ჩადენილი ცოდვა. ეს ცოდვა ასე იტრიალებს სულ, რადგან არ ვიცით ურჩეული იბადება თუ ანგელოზი. პატარა ყველა ანგელოზსა ჰგავს, იმიტომ ვევლებით პატარას თავზე, მაგრამ თუ იმ ანგელოზს ერთი ნუთით თვალი მოაცილე, ეშმაკი მოგტაცებს მის სულს და მერე ძნელია შველა.

— ეჟ, შენ მუდამ მთელ დედამინას დარღობ.

— მინასაც სჭირდება სითბო და სიკეთე. სამყარო ძაგძაგებს, ეშმინია ამ საუკუნის. ადამიანთა მოდგმა მუდამ ებრძოდა ვერაგობას და არავის არა აქვს უფლება არ ებრძოლოს.

თანანა გრძნობდა, როგორ სათუთად უხვევდა დედა ჭრილობას და უფსკრულიდან ამოჰყავდა სასონარკვეთილი სული.

## უმოძაბილი

ეძებდნენ და სტიროდნენ არქეოლოგები: ასტრონომებმა მთვარეს გადახვიესო ხელი, ენერგეტიკოსებმა წყალს გამოართვესო სინათლე, ქიმიკოსებმა ატომით ააცახვახესო კაცობრიობა, გეოლოგებმა ქვიშისაგან გამოიტანესო ოქრო, ჩვენა?! ვეძებთ, ვპოულობთ და ის მაინც არ არის რასაც ვეძებთ. სად არისო თამარ მეფის საფლავი?!

— რას ეძებთ?! მოისმა ხმა უსასრულობიდან და გაოცებული შეხედეს ზეცას.

— რას ეძებთ? განმეორდა კითხვა და ახლამინას დახედეს. მინამა მოითვინა და მკერდი გადილება: ხომ მიყურებთ, როგორ მაქვს შებოლილი — დაიბუხუნა ხმამ, — კოცონზე დამწვეს და არ დაინვა ჩემი გონება; წყალში დამახრჩვეს და არ ჩაიძირა ჩემი სიტყვები; შანთზე ააგეს და ვერ დაადუმეს ჩემი ენა; უთვალავი დარჩეული ქალ-ვაჟი მომტაცეს, ვერ გადააშენეს ლამაზთა მოდგმა; კავკასიის ქედი შემომარტყეს, ორი ზღვა მომიჩნეს, მაინც ვერ დამატყვევეს. მტრის ხახასთან იყო მხოლოდ გზა, მაინც ვერ გადამყლაპეს. უთვალავჯერ გამძარცვეს, ისევ მდიდარი ვარ. ოქროს სანმისის დაკარგვის შემდეგ მოსვენება არ მქონია. მტრად მიხდებოდნენ

სიკარგისათვის. ფლეთდნენ ლეჩაქს და ჯაჭვის პერანგს ვიცვამდით, რომ სუფთად შეგვენახა ნამუსი. ჩეხდნენ შვილებს და ფეხზე იდგნენ დედები, ვიდრე არ მოვიდოდნენ, რომ ჩაებარებინათ უკვდავება. ასე გავიკაფე ხმლით გზა.

გახსოვდეთ! ვინც მტრად შემოვა, აქვე დამარხეთ; ვინც მოყვარედ, ლხინით დაათვრეთ. დაე, იცოდეთ, თამარ მეფე ყველგან მარხია, ფრჩხილის ტოლა ადგილსაც გაუფრთხილდით. თვითონ მე — საქართველო მთლიანადა ვარ მისი საფლავი და გადამეფარეთ თუ მტრები კვლავ მომძებნიან ამოსათხრელად.

## მახსო ალენი

ისინი აივანზე იდგნენ. ერთი მაღალი, ყელამდე შეღილული შავი პერანგით, მეორე ოდნავ სქელი, კუნაპეტივით შავი თვალებით ჭადარს დაშტერებოდა.

— ალბათ იმას გეუბნები, რაც უკვე იცი, მაგრამ მარტო სათავიდან არ იმღვრევა მდინარე. ყველგან იპოვნი უსუგულოს, მთავარია როგორმე წესრიგი დამყარდეს და ყველაფერს ეშველება.

დოდა დარდიანი უხმოდ უსმენდა მარტო ალალს, რომელიც ლაპარაკს განაგრძობდა:

— ხალხი დაღლილი და გულგატებილია, გამონაელისები ვერ გვშველიან. არავითრი ნაცნობობა არ დაუშვა მისაღებ გამოცდებზე.

— როგორ, როცა ამდენი ნაცნობი გვაკრავს და ყველას სურს ისე გაუკეთო, ტვინის განძრევა არ დასჭირდეს. შორს რად მიდიხარ. აგერ, ა, ავყია ფერდაძე. დღეს სემინარი გვაქვს. ეგ კითხულობს მინერალოგიაზე. ხვალ დისერტაციას დაიცავს და ზეგ თითის ქნევას დაგინყებას.

— შესვენება იწყება, ვითამაშოთ ჭადრაკი? — შეანუკეტინა საუბარი ჩიტომ.

— ვითამაშოთ.

ოთახში შემობრუნდნენ. იქ სხვებსაც მოეყარათ თავი.

— შეიძლება? — მრავალმნიშვნელოვნად იკითხა თათულიმ და ლამაზი თითებით სიგარეტი დაიჭირა. ბიჭებს ასანთი სთხოვა. ჩიტომ აანთო, მიანოდა, სკამიც მიართვა.

— ყოჩალ! — შეაქო ქალმა. ფეხი-ფეხზე გადაიდო და დაამატა; სულ არ მაინტერესებს თქვენი ჭადრაკი. მარტო, რატომ ხარ ასე უყურადლებო?

— თამაშს ვუცეკერ.

— კარგი ერთი. მერე პატივისცემის გამოხატვას რა ვიშლის?

— პატივისცემა სამეფო საგვარეულო ტიტული არაა, რომ მემკვიდრეობით მიიღო. იგი უნდა დაიმსახურო.

— დოდა, უთხარი რამე.

დოდამ თავი გააქნია, ანიშნა მოეშვიო.

— უჲ! რა მეტიჩარაა. — არ ცხრებოდა თათული.

— რატომ ქალბატონო? — თავშეკავებული ზიზლით ჰეითხა ბიჭმა. რაში მდებთ ბრალს? რომ არ შემიძლია კარგად მოვექცე ადამიანს, რომელზედაც კარგს არ ვფიქრობ?

— კარგი ერთი — არაფერი არ უნდა ვიკვირდეს.

— დიახ, არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხოარ არ არის, მაგრამ საინტერესოა, რას თვლი ადამიანურად, ტალახში ყოფნა მარტო ლორს სიამოვნებს.

— ნუ გავინყდება, რომ ადამიანი ყველაზე დიდი ცხოველია.

— მაგრამ, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იცოდნენ, რომ “პოლიტიკური ცხოველია, ან სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს, ან საზოგადოებას”.

— რატომ არ ვეკუთვნი საზოგადოებას, იმიტომ, რომ როგორც მესიამოვნება ისევ ვიქცევი?

— მე უფრო მარტივ რაღაცას ვერ ვიგებ — თქვა მარტომ და ფანჯარასთან დადგა. ახოვანი ტანი პქონდა, მუქი, თაფლისფერი თვალებით სათითაოდ შეათვალიერა ყველა, ვინც იქ ისხდნენ. ის მოჩიტიფიცე, გაციებულთვალებიანი ქოზმავაც, ჩათეთქვილტუჩებიანი სქელი სარქისოვიც. მწითური, აკანკალებული მამედოვიც. დამფრთხალი ზურაშვილიც, სხვებიც, ვინც სემინარის მოლოდინში შესვენების დამთავრებას უცდიდა. მათ სახეზე ნეიტრალური დამოკიდებულება და სეირის მოყვარულთა სურვილი ამოიკითხა. იმათშიც კი, ვინც ზურაშვილი თათულის და ავყიას ლანძღავდა. მარტოს გაეღიმა და გაიმეორა: მე უფრო მარტივ რაღაცას ვერ ვიგებ. აქვს თუ არა ადამიანს უფლება, სულიერ საგანძურში არაფერი გააჩნდეს, თუ აქვს, არის თუ არა მისი ადგილი საზოგადოებაში და თუ არის, მაშინ ვინ არ უნდა ეკუთვნოდეს საზოგადოებას.

დოდამ თავი მიანება თამაშს. ჩიტომც გაიტრუნა.

— საინტერესოა, რა გამნარებს ასე. თავისი ტვინით ათასში ერთი დადის.

— ყავა არ გინდათ? — იკითხა ფეფომ და ფინჯანი მოამზადა.

— მოგვართვი აქეთ არისტოკრატებს. — თქვა ავყიამ და ჩაიხითხითა.

— არისტოკრატი უნდა იყო სულით და არა კუჭით. — უთხა მარტომ და დააყოლა: საცოდავი არისტოკრატები, თუ ისინი თქვენგვარები იყვნენ.

მარტოს თვალნინ ნარმოუდგა თათულის მეუღლე, მოსხლეტილი ვაუკაცი, ცოლის ურცხვობას რომ მინასთან გაესწორებინა. გაოცებული და დაბნეული ნარმოუდგენელი ლა-

ლატისაგან, მორცხვი ბავშვივით ერიდებოდა ნაცნობებს. მზის სადარი სახე დამწვარივით ალანძლოდა და ისე დასჩერებოდა მინას, თითქოს შიგ ჩაძრომას ლამობდა “დავლაჩრდით თუ რა ჯანდაბა დაგვემართა. დავძაბუნდით თუ ჩემთვისაა მარტო ქვეყნის ნგრევა ცოლისაგან ქმარშვილის ლალატი. მოიშალა საზოგადოება თუ”... ფიქრებიდან თათულიმ გამოაფხიზლა.

— არ მომნონს შენი დამოკიდებულება ჩემს მიმართ.

— მსაყვედურობ? რისთვის? გინდა თქვენს ქცევას ტაში დავუკრა? მთავარია თქვენი სიამოვნება, დანარჩენის ნერა კი არაფერი არ არის? სად, რომელ ქვეყანაში აქვს დედას უფლება არ აინტერესებდეს სამი ნლის ბავშვი და სხვისი შვილის მამასთან ერთობოდეს? ნუ-თუ თავშეკავება საჭირო აღარ არის? თუ ვცდები, ცოფს ნუკი მაყრით, ცოდნა დამაყარეთ.

\*\*\*

სემინარი დაიწყო. ყურს უგდებდნენ ავყია ფერაძე მოსნავლესავით რომ ყვებოდა მინერალოგის შესახებ. როცა თხრობას მორჩა, ყველანი აქებდნენ, მარტო ალალი იყო ჩუმად, გაოცებულიც, რომ ეს ხალხი ჩვეულებრივად უსმენდა და უღიმოდა ავყია ფერდაძეს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. თითქოს მეგობრისა და თანამშრომლის ცოლი თათული კი არ გახდომოდეს ხასად, საკუთარი დაბრუნებოდეს, ისიც კარგად ახსოვდა, ნინა სემინარზე კინაღამ რომ შეჭამეს ერთმანეთი შენიშვნებისათვის. ისიც „ნუ ამხილებ უკეთურთა რათა არა მოგიძულონ შენ, ამხილენ ბრძენსა და შეგიყუარონ შენ“. მაგრამ როცა საქმე სიმართლეს ეხებოდა, მას არ შეეძლო დუმილი.

— თუ შეიძლება შენიშვნა მაქვს.

— გისმენთ! — ნება დართო ლაბორატორიის უფროსმა.

— უკვე მესამე სემინარი ჩატარდა და საკმარისია დასკვნა გავაკეთო. მეცნიერება უნდა იყოს ზუსტი. ეს აქ არ იგრძნობა. სპეციალისტს მე არ უნდა ვუთხრა, რომ მინერალოგიის პირველი საფულები “ქვათა შესახებ” არისტოტელეს მოსნავლემ თეოფრასტემ დაწერა და არა პომეროსმა. ამიტომ აინშტაინის ფორმულას თუ დავიმახსოვრებთ, აინშტაინი ნუ გვეგონება თავი, თორემ მარტო ჯარისკაცზე არ იტყოდა: “ამათთვის ზურგის ტვინიც საქმარისი იქნებოდა”. ჰეგელი ბევრით თუ არა, ცოტათი მაინც იყო ჩვენზე ჭკვიანი და თქვა: “ყველაფერი კარგია, რაც გონივრულია” — და გონივრულობას ვერ ვხედავ თქვენს ნააზრევში და მოქმედებაში.

ხმა არავის ამოულია. ყველა გაოცებული უცქერდა. მუშაობა მაინც დადებითად შეაფასეს. სემინარი დამთავრდა და როცა გამგე გავიდა, დაბალი, ჩასუქებული ავყია მზარეულს რომ

უფრო ჰგავდა, ვიდრე მეცნიერ-მუშაქს მიგორდა მარტოსთან და უთხრა: — გშურს ბიძიუმ ჩემი და იმიტომ იკბინები.

— შენ, ჩემო ავყია, ჩემდა სამნუხაროდ ვერასოდს იქნები ვერც მეცნიერი, ვერც ალმზრდელი, ვერც ადამიანი, რადგან ცალ ხელს გაითავისუფლებ თუ არა მაშინვე საანგარიშოს იღებ და ითვლი ვინ შეგისრულებს სურვილს, ვინ აგინყობს სქმებს. ვინ გაგისნორებს ნაწერს, ვინ გაგიყვანს ფულის შემოსავალ გზასთან, მაგრამ როცა საქმოსანი ხარ და არა საქმიანი, გაჩუმდი მაინც.

— შენ ცხოვრება არ გინდა?

— სხვისი ნაგლეჯვით არა.

— მე ასე მინდა.

— აი, მაგ განაცხადის უაზრობაში ვერ ვერკვევი. ბატონებო! მარტო ფიზიკა — მათემატიკას არ გააჩნია საუკუნეებით დადგენილი ჭეშმარიტება, რომელსაც თითს ვერავინ დააკარებს და თუ დააკარებს და დაიყვირებს, რომ “კათეტების კვადრატების ჯამი არ უდრის პიპოტენუზის კვადრატს” უნდა შეეძლოს დასაბუთება, თორემ თავდაყირა დადგება გეომეტრია. თუ მაინცა და მაინც სიგიურ გსურთ, ლირი იყავით და არა დაბადებით გონებანაკლული. ვის სჭირდება დღევანდელი დღე, თუ ადამიანი შეგნებით ისევ ჩამორჩენილი იქნება? ჭიას კი არ უნდა ვახარებდეთ, არამედ გულს და თუ არ გვაქვს გული, სხვას ნუ მოვუკლავთ.

— რომელ საუკუნეში არ ყოფილა ადამიანი ბილნი და მრუში? — იკითხა თათულიმ.


— არცერთში, მაგრამ დღეს ტექნიკამ გახსნა მსოფლიო. თანამედროვეობა არ ნიშნავს დაკარგო ადამიანური თვისებები

— მაინც რა არის ადამიანური? ამიხსენი, რა არის კარგი და ცუდი. რაც შენ გრგებს, მე იქნებ მომკლას, რაც შენ გულს გირევს, მე მსიამოვნებს, აი, გამარკვიე.

— ყველაფერი კარგია, რაც არ შეგარცხვენს და სხვას უბედურებას არ მოუტანს.

— გააჭირვა საქმე შენმა სირცხვილმა.

— თუ ამ სიტყვამ დაკარგა მნიშვნელობა, მაშინ რაში მჭირდება თქვენი მეცნიერება. ადამიანი არ დაბადებულა ნელს ქვემოთ კმაყოფილებისათვის. მე ამაში შევედავები სამყაროს და იგი ვერ შემომედავება, რადგან ორმოცი საუკუნის ისტორიით დავუსაბუთებ. მე ჭკუას არ გარიგებთ, ეს თქვენ იცით, მაგრამ თურმე აღარ არის საინტერესო, რატომ?



მ/ქუს

ოთხი თუნი

თამა მაჟირისა...

/პიესა ორ ნაწილად /

მოქმედი:

1. დედა.
2. ბენიამინ /ბენო/ — თანამდებობის პირი.
3. ლალა — ცოლი მისი.
4. ცეცო — მდივანი გოგო.
5. უუტუ — მძღოლი.
6. მოხუცი ქალი — მთხოვნელი.
7. გამომძიებელი.

## ნაწილი პირველი

### სურათი პირველი

საძინებელი ოთახი. წყვილი საწოლის ორივე მხარეს, ღამის ერთნაირი ნათურებია. უცნაური ძველმოდური ტახტი, თითქოს მისი ადგილი აქ არც უნდა იყოს. კარები და ფანჯრები ფარდებითაა დახურული.

გვიანი ღამეა. ლაურას თავისი ნათურა უნთია და საბანში გახვეული ტრიალებს. ღელავს, შფოთავს, მაღვიძარა საათს დასცეკრის. ოხრავს. მანქანის ხმა მოისმის, წამოვარდება, გადასწევს ფანჯრის ფარდას, მინას შუბლით ებჯინება, მანქანამ ჩაიარა. მოდის, ეცემა საწოლზე. იღებს წიგნს, გაშლის, არც ჩაიხედავს, ისე მიაგდებს. ტელეფონის ყურმილს აიტაცებს, რამოდენიმე ციფრს აკრიბავს და გადაიფიქრებს, ყურმილს აპარატზე დაახეთქებს.

**ლალა.** /საათს დახედა და შებრუნდა/ გავგლევ, გავთხლეშ, თმებისაგან გავცლი... / წამოვარდება, ადგება, დაჯდება, ადგება, სინათლეს ანთებს, კარადის სარკეში იცქირება/ სახეს დავუკანრავ, ცხვირ-პირს დავაგლევ, მდუღარეს დავასხამ... / საწოლზე ჯდება/ ღმერთო... / თითქოს დაშოშმინდა. გულალმა გადაწვა. ისევ გაიქროლა ქუჩაში მანქანამ, მიაყურა./ არა... არ დავინდობ, თმებისაგან გავცლი... გავწენავ, გავბდლვნი... ვერა... ვერ მოგართვეს, გომბიო, მორჩა, გათავდა, შენი ფეხი არ უნდა იქნეს... ფეხებს დავამტვრევ... შენი სახსენებელი უნდა მოისპოს, შენი სინსილა უნდა განყდეს, გომბიო, გომბიო, გომბიო... / ხმა უნყდება,. საათი აიღო, დახედა და ბალიშქვეშ შეაგდო, ზედ დააწვა, ზედ მოიკალათა, ატირდა/ რა ვარ, ვინა ვარ?.. გაცვლილი, ხელნაკრავი, ნაღალატევი... ნაძველა ძონძი... / შეცბა, პერანგის კალთით თვალები შეიმშრალა/ ვისთვის ვტირი, ვინაა ის... ვინაა... ვინაა ვისთვისაც ცრემლებს ვლვრი?.. ჩემს ფრჩხილად ლირს? თუ მე არ ვლირვარ... არა და არა... არ შემიძლია... ვინც უნდა იყოს... არა და არა, არ შევარჩენ, გავგლევ, გავთხლეშ ლუკმა-ლუკმა ვაქცევ / მანქანა სახლთან გაჩერდა. მივარდა, ფანჯარას ცალი ფარდა ჩამოაგლივა, კარისაკენ გაიქცა/. ვინ გიზის... მანქანაში გიზის... / გადაიფიქრა/ არა, სახლში მიიყვანდა, სახლში მიაბრძანებდა... / ისევ ფანჯარას მიუბრუნდა/ ვის ელაპარაკება, ან რას ელაპარაკება ამდენ ხანს?.. შოფერი ახლა ნახა? ერთად არ ეყარნენ... მარტო იყვნენ... შოფერს თან როგორ ნაიყვანდნენ... არ დავზოგავ... არც ერთს არ დავინდობ, არც ჩემს ქმარს და არც შოფერს. იმ

გომბიოს ხომ... /ხელებს იჭამს და ლასლასით  
მიდის სანოლისაკენ/ არც ერთს არ დავინ-  
დობ... არა, არა და არა... /ლეიბის ქვევიდან  
აბი გამოიღო, გადაყლაპა. უწყლოდ ყელში  
ვერ გადააქვს. თითქოს მაინც დაშოშმინდა.

შემოდის დაღლილი, განამებული სახით,  
პიჯაკის საყელოანეული, ხალათამოჩაჩული,  
ჰალსტუხჩამოგლეჯილი, თმაჩამოშლილი ბე-  
ნო. კარი ღიად დარჩა. ფანჯარას მიადგა ნე-  
ლინყვეტით. მანქანა წავიდა. ის კი დგას და  
გასცერის ბნელს. ლალა ადგა. ხმაურით გა-  
იარა და კარი მიახეთქა. ბენო შეერთა და მიტ-  
რიალდა./

**ბენო** — შენ ხარ... /ისევ ფანჯარას მიუბ-  
რუნდა/

**ლალა** — დიახ მე გახლავარ...

**ბენო** — ჰო... შენ... შენ.

**ლალა** — დიიიახ მე... როგორ აქაც სხვას  
ელოდი? აქაც აღარ გახსოვდი? დღეს სულ  
დაგიკარგავს გონი. მთლად ხელიდან წასულ-  
ხართ... ბევრი მიირთვით თუ, ბევრი... ალერ-  
სი უფრო მათრობელაა, ვინემ ბევრი ღვინო?..  
თუ ორივე ერთად...

**ბენო** — ნეტავი შენ...

**ლალა** — ნეტავი მე, თუ ნეტავი შენ... ხა,  
ხა, ხა... ვინ ვის შენატრის?.. ვის ვისი შურს?..  
ვინ ვის?.. დიდებული თანამდებობა, ამდენი  
სულელი თაყვანისმცემელი, მლიქვნელი და  
ლაქია, შავი მანქანა, ბნელი ღამე და მშვენი-  
ერი კახპა...

**ბენო** — /უცებ გამოერკვა/ ვინ კახპა?..

**ლალა** — ჩვენში ასე ეძახდნენ: კახპა, მე-  
ძავი, მრუში, გარყვნილი, გათახსირებული...  
თქვენ, ძლიერნი ამა ქვეყნისანი რას ეძა-  
ხით?..

**ბენო** — ლალა...

**ლალა** — ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი  
ვარ... ჩემი სახელი კიდევ გხსომებია... „ლა-  
ლა... ლა-ლა-ლა-ლა...“

**ბენო** — გაჩუმდი...

**ლალა** — გავჩუმდე აპ?.. გავჩუმდები... თუ  
ხმა არ ამომელება გავჩუმდები..

**ბენო** — გაჩუმდი, როგორმე დღეს შეიკავე  
თავი, როგორმე, როგორმე... ჩემი უბედურე-  
ბაც მეყოფა..

**ლალა** — შეგეძალა, ბედნიერება.

**ბენო** — ნეტავი მართლა... სადღაა... ბედ-  
ნიერება კი არა უბედურებაც...

**ლალა** — რაო, გაგაჯავრა იმ უსინდისომ?  
და ისიც როგორ, რომ თავბედი განყევლინა,  
რას დაუმგვანებიხარ?.. როგორ გაბედა?.. ასე  
არ იცოდა... არა, იცოდა როგორ არ იცოდა,  
მაგრამ იცოდა, როგორც უნდა სცოდნოდა,  
როგორც მაგისთანებმა იციან, მაგრამ დღეს  
მეტისმეტი მოსვლია. არა უშავს, მე ქალი ვარ

და ქალის ბუნებას უკეთესად ვიცნობ, ეშმა-  
კობს ცუგრუმელა... სიყვარულის ცეცხლს  
აღვივებს ჰგონია... არ უნდა დაღონდე და ხე-  
ლი არ უნდა ჩაიქნიო... ბოლოს და ბოლოს, შენ  
ვინმე უბრალო კახპა და მექალთანე არა, არა  
ხარ, ხალხის და ქვეყნის ბედი გაბარია...

**ბენო** — ლალა, ინამე ღმერთი, ამაღამ...  
ამაღამ მაინც როგორმე დამანებე თავი...  
უბედურებაა...

**ლალა** — ხვალ, როცა ის ცუგრუმელა წყა-  
ლობას გაიღებს და მოგაგუნებებს, შენც მო-  
იცლი ჩემთვის და მისგან ბოძებულ ხიბლსა  
და ალერსს მეც მიწილადებ?..

**ბენო** — ღმერთო, რატომ გამაჩინე ასე  
უბედური?!.

**ლალა** — ასე ძნელია, ჩემო ბენია, ან, რო-  
გორც ის ცუგრუმელა ალბათ უღუტულებს  
„ბატონო ბენიამინ“. ჩვენ ხშირად ვართ  
თქვენგან ასეთ დღეში. შენ კი, შე კაცო, რა  
მოხდა ერთ ღამეს არ ჩამოგეკიდენ კისერ-  
ზე და ასე ბედნიერი კაცი თავს უბედურად  
თვლი?!

**ბენო** — არ შემიძლია, ხედავ ვიტანჯები...  
ვიღუპები... ადამიანი არ ხარ?

**ლალა** — მართლადა. ამაღამ ფარცაგი ხომ  
არაფერია? რაო, ციცუნიამ ბრჭყალი გაგერა,  
თუ თქვენს შორის შავმა კატამ გაირბინა.  
რაო, რა მოხდა?!.. ხომ არ მიგეპარა?.. იციან  
ასე, თაფლიან ქოთანს, რომ თავს მოხდი. რო-  
გორ გაბედა?!.. ხვალე პასუხისგებაში მიეცი  
ის არამზადები და ციხეში ჩაყარე!.. დაჭირვა  
ინდომოთ და მიზეზის მეტი რაა, დღეს ჩვენში  
ყველა დამნაშავეა.

**ბენო** — პასუხისგებაში?!.. /გონდაბნეუ-  
ლად/ ვინ? ის რატომ!.. დამნაშავეა, ყველა  
დამნაშავეა... /გონს მოეგო/ ვიცი, შენთვის  
ეს წარმოუდგენლად ძნელია... შენ ყველაფე-  
რი უნდა ილაპარაკო, რაც ენაზე მოგადგება,  
ლა-ლა-ლა-ლა, ლაი-ლაი, მაგრამ ამაღამ...  
იქნებ ამაღამ...

**ლალა** — არა, რატომ შეშინდი? პასუხის-  
გებაში ორივე კი არა, ის... ის მიმპარავი მი-  
ეცი. მეორე... ღმერთო ჩემო, იმან რამდენიც  
არ უნდა შეცოდოს, მაინც ყველა ქალზე ნმინ-  
დანი დარჩება!.

**ბენო** — /აყვირდება/ ვინ? — ვინ ვინ დარ-  
ჩება?!

**ლალა** — /შეცბება/ ი-ის... ის... ვინცაა...

**ბენო** — და ვინაა?

**ლალა** — ი-ი-ის ვინცაა...

**ბენო** — და ვინაა? ვინაა თქვი!

**ლალა** — /შეშინებული/ ვინაა... ვინაა ის...

**ბენო** — ვინ, ვინ, ვინ ის...

**ლალა** — /მოისაზრა/ ის... ის მიწაგასახეთ-  
ი...

**ბენო** — და ვინ, ვინაა?..

**ლალა** — ის... ის ვინც კარებში გიზის...

**ბენო** — ვინ მიზის...

**ლალა** — ვინც კარებში და კალთაში გიზის, შენი მდივანი გომბიო...

**ბენო** — /თითქოს დაშოშმინდა/ რატომ სვრი იმ საცოდავ გოგოს ტალახში, რა აიჩე- მე ეს?

**ლალა** — საცოდავს კი არა, „უპატიოსნეს გოგოს”, ასე არ იცი თქმა?..

**ბენო** — რაც გინდა ის ილაპარაკე. თუ სინ- დისი სუფთაა, რა მნიშვნელობა აქვს შენს ლაპარაკს, მაგრამ ამალამ დამანებე თავი. ისედაც ჭკუაზე არ ვარ. ისედაც დაღუპულია ყველაფერი...

**ლალა** — მაგის თქმა არ გაბედო! „სინდისი სუფთა აქვს” მე დაგითხოვე, მაგი არ თქვა- მეთქი! მეორეჯერ არ წამოგცდეს, თორემ გა- დავირევი, ქვეყანაში გამოგაჭენებო შენ და შენს გარყვნილ გომბიოს!.. დღეს მართლა გა- უბედურებული ჩანხარ, რაო, მეტოქესთან წა- ასწარი? რა ვუყოთ მერე, შენს თანამდებობას მარტო მე ვუფრთხილდები, რომ სკამიდან არ გადმოგაბრძანონ და არ გამოგაპანლურონ, თორემ აბა იმას რაში ენაღვლები? შენ წახ- ვალ, შენს ადგილზე სხვა მოვა, მე შენ გეტყვი რბილ სავარძელს, შავ მანქანას და ლამაზმა- ნებს მუშტარი დაელევა.

**ბენო** — ჯანდაბას ყველაფერი!..

**ლალა** — ააა! ჯანდაბას?.. არა, რას ბრძა- ნებ! მე ხომ დიდი ხანია იმ გომბიოს მანაცვა- ლე, მაგრამ ახლა ისე დაგარეტიანა, თანამდე- ბობას, სახელს, ფუფუნებას და ყველაფერს სწირავ?!

**ბენო** — ყველაფერი დაღუპულია.

**ლალა** — რას ბრძანებ? ვინ მოგახსენა?! მე ამიტომ ვითმენდი და ვითმენ ამდენ შეუ- რაცხვოფას და თავის მოჭრას, რომ ყველა- ფერი მაინც იმ გომბიოში გაგეცვალა? ვერ მოგართვეს! მე შვილი მყავს, ნერვიული და გულისმანვიანი ბავშვი, რისთვისაც თავი და- ვივინყე. მე ოჯახი მაქვს და სამსახური. ძმები მყავს, რომლებსაც თავს ვერ მოვჭრი და კარ- ზე ვერ მივადგები. მე თავმოყვარე დედ—მამა მყავს! არა, გენაცვალე, ვერ მოგართვეს! ის გომბიო უნდა მოსცილდეს აქაურობას და შენ შენს ადგილზე უნდა იქნე, ჩემს შვილს მომა- ვალი უნდა. მე ქუჩა-ქუჩა გამოჭენებული ვერ ვივლი! ჩემი ძმები და დედ-მამა...

**ბენო** — /კარისკენ მიდის/ წავალ, ალარ შე- მიძლია!..

**ლალა** — /გადაუდგა, კარებს აეფარა/ ლა- პარაკის ნებაც არ მაქვს?!

**ბენო** — არა გაქვს, უთავბოლო სისულე- ლების ჩახვის ნება! ალარ შემიძლია გისმი-

ნო... და, საერთოდ, დღეს ისედაც არ ვიცი რა მჭირს... დავიღუპე!..

**ლალა** — უთავბოლო სისულელები...

**ბენო** — უთავბოლო, უსულგულო, ავად- მყოფური...

**ლალა** — მოსპე იმ გომბიოს სახსენებელი!

**ბენო** — არ შემიძლია. უდანაშაულო ადა- მიანს რას ვემართლები. შენ რომ ჭკუა არ გე- კითხებოდეს. ის რომ გაუშვა, სხვა მოვა... და იმ სხვა ვინმეს ამოიჩემებ...

**ლალა** — შოთერთან ხომ დაბრძანდება?.. შოთერი ხომ ეკურკურება?

**ბენო** — არ ვიცი, არაა ჩემი საქმე. მე ჩემი უბედურება მყოფნის, არ ვიცი.

**ლალა** — რატომ უნახავ ნამუსს, შენ თუ მასთან ნახშირნაჭამი არ ხარ?..

**ბენო** — უყვარს, ალბათ.

**ლალა** — /ისტერიულად/ ტყუილია, ტყუი- ლია. განგებ, განგებ, ხალხის და ჩემი თვალის ასახვევად... ვითომ მათ უყვართ ერთმანეთი და შენ არაფერ შუაში ხარ? ვითომ... მაგრამ დღეს მგონი სინამდვილედ გიქციუს. გაები, შენს დაგებულ ხაფანგში? და ველარა ხარ გუ- ნებაზე. თაფლიან ქოთანს თავი არ უნდა მოე- ხადოს, თორემ ბუზს მერე შენ დაამაგრებ?

**ბენო** — მაინც თავის მოსაკლავადა მაქვს საქმე და მაცალე ერთი ლამე!

**ლალა** — თავის მოსაკლავად გაქვს საქმე? ვისთვის? რისთვის? იმ გომბიოს...

**ბენო** — ქალო, გაჩუმდი! თუ არა, დედის სულს ვფიცავვარ...

**ლალა** — დედას ფიცავხარ?! ვისთვის ფი- ცავხარ დედას, შენს „დვთაებრივ დედას“. მე არ მაძლევ მისი სახელის ხსენების ნებას და ვისთვის?!

**ბენო** — ხომ იცი... დედაჩემის სული დავი- ფიცედა თუ ენას არ ჩაიკმენდ!.. შენ ათასჯერ გიქაქანია მსგავსი სისულელები, მაგრამ მე დედაჩემი არ მიხსენებია...

**ლალა** — ახლა რა დაგემართა?!

**ბენო** — რა დამემართა?.. შენ რა, რომ გითხრა გაიგებ, მოისმენ, ან დაიჯერებ?

**ლალა** — არა, არა და არა! სანამ იმ გომბი- ოს არ მოიშორებ არც არაფერს


მოვისმენ, არც გავიგებ და არც დავიჯე- რებ.

**ბენო** — ხოდა, რა აზრი აქვს რომ გელაპა- რაკო, ან ლაპარაკის თავი ვისა აქვს.

**ლალა** — მუდამ ასე არ იყავი! სანამ ცოცხ- ალი იყო, დედაშენს უკაკლავდი ყველაფერს. ის გამოყრუებული ბებერი უფრო დიდი მე- გობარი იყო, ვინემ...

**ბენო** — დედაჩემის ხსენება როდის დაინყე ასე უშვერად...

**ლალა** — ღმერთო ჩემო, რა შარს მდება? ვთქვი რომ მოხუცი იყო? რა ვუყოთ, რომ შენ



არ გემეტებოდა სიბერისა და სიკვდილისათვის...

**ბენო** — /დიდი სინანულით/ ეჱ, დედაჩემო, დედაჩემო...

**ლალა** — შენთვის ის ეხლაც ცოცხალია, მთელ წელინადს შეშლილივით ელაპარაკებოდი მის სურათს. ახლახან, საწოლის თავს ძლივს ჩამოვხსენით... მთელი ღამე არ მეძინა /ტახტზევით მიაშვერს ხელებს/ თავზე მკვდარი მადგა...

**ბენო** — მანამდე არ მოისვენე... დიდ ოთახში ორმოცამდე არ გააჩერე... მერე აქ გამოვიტანე და აქაც... დამანებე თავი, დამანებე!

**ლალა** — ვისაც უყვარხარ... მე, ალბათ, არ მიყვარხარ, რაკი დედაშენისა და მამაშენის გადიდებული სურათები ხატებივით არ მიკიდია... როგორ, ისე არ შეიძლება პატივისცემა, მაინცდამაინც თუ შავჩარჩოიანი სურათები არ დაიკიდე?

**ბენო** — კარგი, დამანებე თავი! არ შემიღია, არ გეყურება?!

**ლალა** — ჩემი ყველაფერი რომ უკუღმა გეჩენება... კარგი, მე არ ვცემდი პატივს შენს მშობლებს, ყველა ჩემსავით უგულო ხომ არაა, მაგრამ უშველებელი სურათები არავის უკიდია.

**ბენო** — ვიცი, ვიცი. მაშინაც ამ „მოსაზრებით“ ჩამოხსენი.

**ლალა** — მარტო შენ გიყვარს დედ-მამა?

**ბენო** — ქალო! გაიგე, ნუ გამიშრე სისხლი, ისედაც ჭუაზე შევიშალო... მე მიყვარს...

**ლალა** — ვინ გიყვარს?.. /პირში ეცა/.

**ბენო** — ვინ მიყვარს... დედაჩემი... მამა არ ვიცი, მიყვარს თუ არა, არც მახსოვს ხეირიანად, მაგრამ დედაჩემი!.. შენ ეს უნდა იცოდე... /ლეიბი და საბანი აახვია და მეორე ოთახისაკენ მიაქვს. ტელეფონმა დარეკა. ბენომ გველნაკენივით გააგდო ქვეშაგები ხელიდან და ტელეფონს ეცა/. ალო, ალო! გისმენ, გისმენ! ალო!

**ლალა** — ეს რა ამბავია! /ჯერ ქვეშაგებს მივარდა, მერე მეორე ტელეფონისაკენ დააპირა გაქცევა, ბენო ხელში წვდა და გააჩერა. /აჱ, ისაა; ხომ, ხომ!.. /ბენო მკლავში უჭერს ისე მაგრად, ქალს სახე ემანჭება./ ხომ... ი-ი-ს, ისააა!

**ბენო** — ჰო, მე ვარ, რაო? ცეცო, შენ საიდან, ამ ნაშუალამევს?!

**ლალა** — /სიმწრით/ გომბიოო! ისააა!

**ბენო** — /კიდევ უფრო უჭერს და ღმუის./ გაჩუმდი! /ყურმილში/ მერე შენ ვინ, საიდან... ვინ გაგაგებინა... /უსმენს/ რატომ მოერიდეთ, რა დროს მორიდებაა... მაშინვე დაერეკათ... უუტუმ დაგირეკა? თვითონ მოვიდა? როდის! გამოგიარა?.. სანამ საავადმყოფოში მიიყვანდა?

**ლალა** — გამიშვი! იქნებ მე მირეკავენ საავადმყოფოდან...

**ბენო** — გაჩუმდი! ჰო, ჰო, გისმენ! რაო, რა მოსვლია?.. არაო?.. აბა ვისო? ვის მოსვლია... არც შენთვის უთქვამს? რა იცი?!.. ნდობა, ნდობა, მაგრამ ასეთ დროს?! არ ვიცი!.. ჰო... ჰო... მერე შენ რაო?.. ჰო, ნუ გერიდება... რა დროს მორიდება და მოკრძალებაა...

**ლალა** — რაღა დროს თქვენი ერთმანეთთან მორიდებაა...

**ბენო** — /ხელი გადაუგრიხა/ მაცალე!

**ლალა** — ვიკივლებ! ბავშვის გაღვიძების რომ არ მეშინოდეს, ვიკივლებ!

**ბენო** — /ხელი აუშვა და უბიძგა, მოიშორა/ ალო, ჰო, რაო, მერე... მე.. მე რა შემიძლია... მე კი არ ვწერ კანონებს!

**ლალა** — რომ წერდე, მაგისთვის სხვანაირ კანონებს დანერდი... /მიდის თავის საწოლთან და ზედ ემხობა. ტირის, ცახცახებს./

**ბენო** — არა, თანამდებობის გამო? აბა რატომ, რატომ!.. არ იცი? არ კითხე? რატომ არ ამბობ?.. რა აქვს სათქმელი!.. /უსმენს ხარბად. თითქოს მშვიდდება/ რა ვუყოთ... აბა რა ეთქვა... არა გვონია მისი ბრალია? იქნებ ვინმე მანანნალა, ან... მოხუცი? მერე რა, ყველა მოხუცი კეთილსინდისიერია, ან... უკვე დაუკავებიათ? კი მაგრამ, მე არ მკითხეს!.. მხოლოდ მე?! რატომ... ახლა მე რომ... ჩემი შოთერი რომ იყო... თანამდებობა თუ არაფერ შუაში არაა, მაშინ არ ვიცი!.. არაფერი ვიცი!.. ხვალ, ხვალ!.. არ ვიცი, არაფერი ვიცი!.. /გაუჯავრდა/ კი მაგრამ... მაცალე!.. მომეშვი!.. რომ გეუბნები!.. მე რა უნდა ვიცოდე? აბა, კმარა! კმარა, კმარა!.. შენ როდის იყავი ასეთი... მერე მე რა ვქნა!.. კარგი, კმარა!.. ხვალ! ხვალ! /ყურმილი დაუდვა, გონარეული დგას. ისევ დარეკა ტელეფონმა. აიტაცა უკვე გაბრაზებულმა და ცივი ხმით/ რა გინდა გოგო! ხომ გითხარი! გითხარი მე, შენ!.. კარგი, კმარა, რომ გეუბნებიან!.. უყურე ამას!.. /ყურმილი სასწრაფოდ დადო, მობრუნდა, საწოლზე დამხობილ ცოლს დახედა. მერე ნაუცხათევად, ფაციფუცით იატაკზე დაყრილ ქვეშაგებს ხელი დასტაცა და კარისკენ გაიქცა. ისევ ატეხა რეკვა ტელეფონმა. ბენო ქვეშაგებით კარებში გაეხიდა. რეკავს ტელეფონი. გაუცვივდა ქვეშაგები, მაგრამ როგორც იყო გააღნია და კარი ორივე ხელით მიიგდო. ტელეფონი რეკავს, ნამოინია ატირებულმა ლალამ და მთლიანად გამორთო. გამორთო სინათლეც/.

ფარდა

სურათი მეორე  
დილაა. საუფროსო კაბინეტი. მაგიდები.

მუშამბა გადაკრულ კარს შემოაღებს და-  
ბოლმილი ნამტირალევი ცეცო და ვიღაცას  
იწვევს.

**ცეცო** — მობრძანდით, მობრძანდით, ბე-  
ბია. /ეტყობა „ბებია“ ფეხს ითრევს/ მობ-  
რძანდით, ნუ გერიდებათ. აქ ჯერ არავინ  
არაა. მობრძანდით!.. /შემოდის ჯოხდაბიჯ-  
გებული, შავოსანი მოხუცი ქალი, კართან  
პირჯვარს გადაინერს, ჩიტჩიფით ღმერთს  
რაღაცას შესთხოვს და კედელთან მიდგება/.

**მოხუცი** — მამაზეციერი გადაგიხდის ბე-  
ბია სამაგიეროს...

**ცეცო** — სკამზე დაბრძანდით. /ბოდიშების  
თავი არა აქვს, მაგრამ, ეტყობა, ჩვევის გამო  
აკეთებს/.

**მოხუცი** — /ჯოხს დაეყრდნობა/ მოგეცა  
სიკეთე, ვიქნები, შვილო, რაკი აქ შემომიშვი  
ანი რაღა მიჭირს.

**ცეცო** — არა, არა, დაბრძანდით. რამდენი  
სკამია...

**მოხუცი** — რომაა, დედა, ჩემთვის კი  
არაა.

**ცეცო** — /სკამს მიუტანს/ დაბრძანდით,  
ამ ხნის ქალი, ასე ფეხზე დამდგარი... უფრო-  
სი გამიჯავრდება.

**მოხუცი** — მე უბედურმა რომ დავჯდე,  
ამიტომ გაჯავრდება მგონია. /მოკრძალებუ-  
ლად ჯდება/.

**ცეცო** — /გასვლას აპირებს/ ვეტყვი, რომ  
არ დამიჯერეთ და უნებართვოდ შემოდით.  
არ გამთქვათ.

**მოხუცი** — მოგეცა სიკეთე. უთხარი, შვი-  
ლო, რავარც შენთვის ჯობდეს ისე უთხარი. /  
ცეცო გასვლას აპირებს. მოხუცი რიდით შე-  
აჩერებს/.

**ცეცო** — რა გნებავთ, ბებია.

**მოხუცი** — დედაშვილობამ... შენს გახარე-  
ბას.

**ცეცო** — თქვით, თქვით.

**მოხუცი** — დედა... ისა... შენს გაბედნიერე-  
ბას... მალე მოვა?

**ცეცო** — მეც მოუთმენლად ველოდები,  
მოვა... თქვენ რაღაცა სხვა გინდოდათ რომ  
ვეთქვათ.

**მოხუცი** — მე, შვილო, ყველაფერი მომე-  
ტევება... გამნარებულ დედას ყველაფერი  
მომეტევება.

**ცეცო** — ბრძანეთ, ბრძანეთ.

**მოხუცი** — ღვთისმშობელი დედობას გა-  
ლირსებს... ამ ჩვენს უფროსს... დედა თუ  
ჰყავს?..

**ცეცო** — არა, ბებია, მეორე წელია რაც  
გარდაეცვალა. ძალიან უყვარდა. დედასავით,  
მგონი, არავინ ახლაც არ უყვარს... /კარს გა-  
მოაღებს/.

**მოხუცი** — ამ სიკეთისთვის თუ საყვედუ-  
რი შეგხვდება, გარეთ დევიცდი...

**ცეცო** — კი, ბებია, მაგრამ როგორც კი მო-  
ვა იმნუთას მოადგილები და თანაშემწები  
შემოუცვივდებიან. დაინყებენ ქაქანს, თათ-  
ბირს; მერე ფოსტა, განცხადებები, საჩივრე-  
ბი, ტელეფონები, მთხოვნელები...

**მოხუცი** — დავლუპულვარ, ჩემთვის ვინ  
მოაცლევინებს!.. რა მეშველება. დედა, არა  
აქ უნდა დავხვდე და შევეხვენო, რამენაირად  
ჩემი გაჭირვება უნდა გავაგებინო. დედასა-  
ვით უნდა მიგდოს ყური...

**ცეცო** — მე არავის შემოვუშვებ... ვეტყვი,  
რომ თქვენ... ნათესავი ხართ... დეიდა ხართ...

**მოხუცი** — მე, დედა ვარ, შვილო.

**ცეცო** — არავინ დამიჯერებს, ყველამ  
იცის, რომ მეორე წელია დედა გარდაეცვა-  
ლა...

**მოხუცი** — მოგეცა დიდი დღე. რავარც  
შენთვის ჯობდეს ისე სთქვი. /ცეცო გადის.  
მოხუცი დგება, პირჯვარს ინერს... თავის-  
თვის ჩიტჩიფებს./ ღმერთო, შენ დამიფარე  
ავისაგან, ღმერთო, შენ დამიფარე მაცდური-  
საგან, ვიჯმნი ეშმაკისაგან! /კოჭებამდე ათ-  
რეულ შავ კაბას ინევს, ქვედაკაბის ჯიბიდან  
ცხვირსახოცში გამოკრულს იღებს და გრძე-  
ლი მაგიდის ბოლოში დებს. უკან დაიხედავს  
და კედელთან აეტუზება ჯოხდაბიჯგებული.  
ისევ გადაინერს პირჯვარს. შემოდის ბენია-  
მინი. კარს ღიად ტოვებს. მაშინვე შემოიხე-  
დავს ცეცო და მოხუცს ანიშნებს — ესაა და  
უთხარი, ნუ გერიდებაო. კარს მიიხურავს. ბე-  
ნიამინი სანერ მაგიდასთან ჯდება, უჯრიდან  
პაპიროსს იღებს, უკიდებს, ნევს, ახველებს.  
თავზე ხელებს შემოიდგამს და ნინ უაზროდ  
იცქირება. ხედავს კედელთან დამდგარ შავო-  
სან ქალს/.

**ბენო** — დედა?!.. /პაპიროსის ბოლში უც-  
ქერის მოხუცს/ დედაჩემო... დედა... /მიხედ-  
მოხედა იქაურობას, მოათვალიერა, მოხუცს  
დააჩერდა და მაგიდის თავში გამოკრული  
ცხვირსახოცი შენიშნა. თანდათან გონის მოე-  
გო. მოხუციც შეირხა, ბენო სკამიდან ნამო-  
ინია/. რა გნებავთ?.. დედა... ვინა ხართ?.. ამ  
დილა უთენია... აქ საიდან გაჩინდით?!

**მოხუცი** — ნუ მინყენ ... დედაშვილობას,  
ნუ მინყენ... ნურც ნურავის გაუჯავრდები.  
ჩემი შვილის ტოლი ხარ... შვილზე არ გაგამ-  
ნარებს ღვთისმშობელი. /ნინ ნამოსვლას ვერ  
ბედავს/.

**ბენო** — მობრძანდით, მობრძანდით... აქ  
არავინ იყო? ვინ შემოგიშვათ... /ხელი

ზარისეუნ ნაიღო/.

**მოხუცი** — /ნინ მოდის/ დედას გაფიცებ...  
დედის სულს... როგორც შენს დედას, ისე მა-

პატიე... ჩემი ბრალია, დედა. მიჭირს, შვილო. გორამალალადან ფეხით ჩამოვედი...

**ბენო** — სოფელ გორამალამდე ოცი კილომეტრია?!

**მოხუცი** — მოგეცა დიდი დღე, ოცი ვერსი იქნება.

**ბენო** — ფეხით?.. ამ დილაუთენია?!

**მოხუცი** — მთელი ღამე გზაში ვარ შვილო...

**ბენო** — რატომ? მანქანები... ავტობუსები...

**მოხუცი** — კი, დედა, ყველაფერია, მის მეტი რაა, მარა მე, შავდღეზე გაჩენილს, დიდი გასაჭირი მადგას. ჭირი არ მოეშალა შვილო შენს ავად მახსენებელს და დამანყევარს.

**ბენო** — მესმის, ქალბატონო...

**მოხუცი** — დედაშვილობამ... მე დედაშენის ხნისა ვარ, დედა მითხარი, შენ არაფერი დაგიშავდება და მე გული იმედათ მექნება, რომ დედაშვილურად გამიგონებ...

**ბენო** — დედა... დედაჩემიც ასევე... დიახ, დედასავით... აბა, როგორ...

**მოხუცი** — შვილო, გლახა დღე მადგას...

**ბენო** — მერედა, ფეხით რატომ...

**მოხუცი** — დედა მითხარი... დედაშენს პირნათლად შევეყარე იმიერს... მეც დღე-დღეზე წასავალი ვარ იმიერს...

**ბენო** — დედა... კი, ბატონო, დედა... ვერ გამიგია, ამ ხნის ქალი, მთელი ღამე... ამდენი გზა, ამდენი ტყე და ველი...

**მოხუცი** — ნუ გაგიკვირდება, ისე დედალ-ვთისა გაბედნიერებს, ალთქმა მქონდა, შვილო, დადებული.

**ბენო** — რისი ალთქმა... როგორ, ამოდენა გზა... მოხუცი, მარტოხელა?..

**მოხუცი** — ფეხშიშველი უნდა წამოვსულიყავი მარა, ვერ ჩამოვალნევდი, შენი უნახავი არ მინდოდა სიკვდილი. აქედან, თუ შენი ნყალობა მექნა, ფეხშიშველი გავბრუნდები...

**ბენო** — არა, დედა, შვილებს გაფიცებ, მაგი არ ქნა... კიდევ შენი ცოდვა არ დამადვა...

**მოხუცი** — ალთქმა მაქვს, დედა, დადებული. ღმერთთან ისედაც ცოდვილი ვარ და...

**ბენო** — შენ, დედა, რა უნდა შეგეცოდა, ამ ხნის ქალს... /შეხვეულზე ანიშნებს/ ეს თქვენ?! თუ აქ დაგხვდათ?

**მოხუცი** — ეს მე მოვიტანე... შენ მოგიტანე და სანამ ღმერთთან წარვდგებოდე, შენ უნდა გითხრა ალსარება.

**ბენო** — /სულ დაიბნა/ ამას, როგორც ვატყობ, კარგი სუნი არ უდის...

**მოხუცი** — ფულია, შვილო, მაგაზე მყრალი არც ღმერთს და არც კაცს არაფერი მოუგონია.

**ბენო** — მერედა, მე მომიტანე?!

**მოხუცი** — დედა მითხარი, დედად გეკუთვნი! შენ მოგიტანე, რაკი ჩვენი ბედი შენთვის ჩაუბარებიათ, რაკი ჩვენი ღმერთიც და კაციც შენ ყოფილხარ. შენ მოგიტანე და, საშვალიც შენ უნდა გამიჩინო... /რეკავს ტელეფონის ზარი/ დედაშვილობამ, არა... იმ შენი დედის უცოდველ სულს გაფიცებ, გააჩუმე მაგ სარეკელა. /ბენო იღებს ყურმილს და დებს/ გლახა დღე მჭირს, შვილო!.. ავი დღე არ მოეშალა შენს ავად მახსენებელს... შვილი უნდა გადამირჩინო!..

**ბენო** — თუ რამე შემიძლია... მე კანონს ვემსახურები... /ფულზე აჩვენებს/ ამ ხნის ქალმა, დედის ტოლმა ქალმა... ეს როგორ იფიქრე?!. თქვენ, გეტყობათ, მორნმუნე ხართ; ღმერთის მაინც არ შეგეშინდათ?

**მოხუცი** — ღმერთისაც მეშინია და კაცისაც, შვილო. გამჩენისაც მრცხვენია და შენიც...

**ბენო** — დალუპულა ქვეყანა, თუ შენისთანებიც ამ სამარცხვინო ქრთამის გზას დაადგა...

**მოხუცი** — არა, დედა, ქვეყანას ჩემისთანა დრომოქმული და სამარეში ფეხჩადგმული დედაბრები ვერ დალუპავენ, მაგრამ ჩემი შვილისთანა და შენისთანა, თუ მოინდომებს, კი დააქცევს.

**ბენო** — მერე, ბატონო, რატომ გგონია, რომ ჩვენ ვაქცევთ.

**მოხუცი** — დედა მითხარი, თუ გინდა შენი ნათქვამი დავიჯერო და შენზე ვილოცო.

**ბენო** — /ფულზე აჩვენებს/ როგორ გითხრა... ეს რაა...

**მოხუცი** — უნდა მენდო ისე, როგორც დედაშენს, რომელიც, ღმერთმა მისი სული გაანათლოს და, იმიერსაა, სადაც ჩვენ ყველანი უნდა წავიდეთ და, როგორც ახლა ის პირნათელია, ისე პირნათელი ვარ მეც. მეც იქავარ...

**ბენო** — დედა, კარგად იყავით, თქვენი სიკვდილი არ მისურვებია.

**მოხუცი** — არა, შვილო, მე არც შენი და არც ჩემი შვილების სურვილით მოვსულვარ და არც თქვენი და არც თქვენი სურვილი დამტოვებს ამქვეყნად. მე კარგა ხანია სტუმარი ვარ, მეყოფა. გუდა-ნაბადი შეკრული მაქვს, მაგრამ თუ არ მომეხმარე, იქ მისასვლელი პირი არა მაქვს.

**ბენო** — /ფულს დახედავს, მერე მოხუცს/ არაფერი შემიძლია, თქვენ ამის საშუალებას არ მაძლევთ, მე თქვენ ვერ მოგისმენთ!

**მოხუცი** — ღმერთმა გზა მართალს გარებიოს... ამას რო ასე ავი თვალით უყურებ. აქედან რო წავალ, ფეხშიშველი მივალ ჩვენი მაცხოვრის ეკლესიის ნანგრევებთან და დედაშენს წმინდა სანთელს ავუნთებ!

- ბენო —** კი მაგრამ, მცდილით თუ...  
**მოხუცი —** აბა, მე და დედაშენი რა გამომ-  
 ცდელი ვართ, სულილა დავრჩით...
- ბენო —** /გონდაბნეული/ მე ჩემი უბედუ-  
 რებაც მყოფნის, დედა, და ვერაფერი გამი-  
 გია.
- მოხუცი —** შვილი გადამირჩინე, სული არ  
 ნამინყმიდო, დედაშენს მინდა პირნათლად  
 შევცვდე.
- ბენო —** რა ჭირს შენ შვილს, დაიჭირეს?  
 ციხეშია? გადაასახლეს?..
- მოხუცი —** უარესი ჭირს, დედა...
- ბენო —** სიკვდილმისჯილია?.. მერე, მე რა  
 შემიძლია.
- მოხუცი —** მაშინ, ვისაც შეუძლია, იმას-  
 თან გამიშვი.
- ბენო —** დედა, აიღე ეს, შეინახე და მომის-  
 მინე.
- მოხუცი —** მაშინ მითხარი ვის შეუძლია  
 და იმას მივუტან.
- ბენო —** გაიგე, რომ გეუბნები...
- მოხუცი —** დედა მითხარი, თუ გინდა ყვე-  
 ლაფერი დაგიჯერო, რასაც მეტყვი.
- ბენო —** ვერ გეტყვი. ამას დედაჩემი არა-  
 სოდეს ჩაიდენდა, მე რომ მის თვალნინ ვინ-  
 დეს ვენამებინე... იგი ქრთამით არ მოინდო-  
 მებდა...
- მოხუცი —** ღმერთო, გაანათლე მისი სუ-  
 ლი!
- ბენო —** იგი ეცდებოდა სიმართლე ეძებნა,  
 შენსავით ფეხშიშველი ევლო და სამართალი  
 ეპოვნა.
- მოხუცი —** მეც სიმართლეს ვეძებ, შვილო,  
 აბა შენთან რამ მომიყვანა?
- ბენო —** სიმართლეს ამ გზით ეძებ?! /შე-  
 ფუთულს გახსნის და ფულს მაგიდაზე ყრის/.
- მოხუცი —** ამისი შოვნის გზას ვეძებ, ამას  
 ამდენს რომ კაცი იშოვნის, ის, შვილო, გზა-  
 მართალი დადის?
- ბენო —** ვისია, ბატონო... დედა, ეს ოხრად-  
 დასარჩენი.
- მოხუცი —** აი, ეს მინდოდა რომ მეკითხა,  
 შვილო.
- ბენო —** /მხარზე ხელი დაადო/ იპოვე?..  
 ნახე? თუ... მილიციას უნდა ჩააბარო.
- მოხუცი —** მე მინდა, შვილო, ისე მელაპა-  
 რაკო, როგორც დედაშენის სულს. თქვენ —  
 შვილებს, რატომ გგონიათ, რომ ჩვენ სიბერე  
 ან სიკვდილი აზრსა და გონებას გვართმევს?!  
 მე, ოთხ კედელში მოქცეულ დედაბერს სად  
 უნდა მენახა... ისიც ამდენი?..
- ბენო —** მაშინ, მითხარით... გამიგონე დე-  
 და.
- მოხუცი —** გითხარი, შვილო, არ გითხა-  
 რი? დედაშენს დაუმალავს შენთან რაიმე? და

გითხარი, ამ ოხრადდასარჩენს, ამდენს რომ  
 შვილი დედას ერთ ჩამოსვლაზე დოუტო-  
 ვებს...

**ბენო —** შვილმა დაგიტოვათ?..

**მოხუცი —** ასე დალუპა! ..

**ბენო —** რად გინდა? რატომ გიტოვებო?  
 მთვრალი იყო?

**მოხუცი —** ნამეტანი. ეს, დედაჩემოო... ასე  
 შენისთანა თვალტანადი ახლდა კიდევ — ამ-  
 ხანაგიაო. მანქანაში ქალები კისკისებდნენ...  
 ადგომა დავაპირე: ამ შუალამეზე რომ დამე-  
 ცით, დღე სად იყავით, შვილებო, რა ვქნა ახ-  
 ლა-თქვა?!.. „არაო“, — საბანი დამახურეს  
 და შემომიკეცეს, — ჩვენ რაიმე გვაკლიაო?!.  
 „ბიჭო, სტუმარს იმიტომ კი არ ვხვდებოდით,  
 რომ რაიმე აკლდა-თქვა!“ — გავუწყერი...  
 „შენი გამოსწორება არ იქნებაო“, — იცინა  
 და აცინა ის მეორე, ასე შენსავით თვალტანა-  
 დი... ჭიშკართან ქალების ხმა მესმის. ე, ბიჭო,  
 იმ ავტომობილში ვინაა, ჩემი რძალი ხომ არაა,  
 დედა-თქვა? „შენი რძალიაო“... — ახლა ამაზე  
 იცინეს. გული მომივიდა: ჩემი რძალი თუა, რა  
 გაცინებს-თქვა!.. იმ, შენსავით თვალტანად-  
 ზეც მომივიდა გული: „ო, შე გამოუსწორებე-  
 ლოო!“ იცინა ჩემმა დამლუპველმა შვილმა. იმ  
 მეორემ: „ინტერესნი დედა ხარო“, გარეთ მან-  
 ქანას აპიპინებენ, ქალები ტკარცალობენ...  
 ცოცხლად მმარხავ, სტუმარს ჭიშკრიდან უშ-  
 ვებ-თქვა! „აი, რა დედა მყავსო!“ — გეიჯგიმა  
 ჩემი უბედური ვაიშვილი... შვილს თუ ამხანა-  
 გობაში ჩემისთანა მიხრნილი დედის გარდა,  
 თავმოსაწონებელი სხვა არაფერი გააჩნია,  
 დალუპული არა? „აბა, წავედითო“ — შეახ-  
 სენა იმ, შენსავით, თვალტანადმა. „კიო“ —  
 ნამოცვინდნენ და გასწიეს — „აბა შენ იციო“  
 ე, ბიჭო, ასე რავა მიხვალთ — მივაძახე —  
 შენს ნახვას ვეღირსე და ასე მტოვებ-თქვა?..  
 „აბა, როგორ უნდა დაგტოვოთო“ — კარში  
 გეიშტიმენ. ე, ბიჭო, მენატრები, შენი ამბა-  
 ვი მაკითხვინე, ჩემი მათქმევინე... იქნებ მი-  
 ჭირს, მილხინს. „გიჭირსო?!” — მომვარდნენ  
 ორივე. — რა გიჭირსო!..“ — ამოიღეს და და-  
 მაყარეს და დამაყარეს... რაღაცას იღებენ და  
 ყრიან. რაა, ბიჭო, ეს ქალალდები, რად მინდა-  
 მეთქი. „ფულიაო! — დამყვირეს — შენ რავა  
 გაგიჭირვებთო!...“ მეორემ, ასე, შენსავით  
 თვალტანადი რომ იყო, ჩემს ბიჭს გადაულა-  
 პარაკა: „ასეთი დედა რომ მყავდესო... მო-  
 დიო — უთხრა ჩემს დამლუპველ ვაუიშვილს  
 — დედას ლოგინი სულ ფულით დავუფარო-  
 თო!“ გარეთ ავტომობილმა ნეილო ყურები...  
 ან იმ, ენაჩასაციებლებს, იმდენს რა აცინებ-  
 დათ... ჩემმა ბიჭმაც: „დედაჩემის ამბავი შენ  
 არ იციო“/ შენსავით თვალტანადმა: „რავა არ  
 ვიციო. ამოიღე, რა ჯანდაბად გინდა, იქნე-

ბა მაინც ოხრად დაგვრჩესო“ და მოდგენ და აწყვენ, აწყვენ და სიცილ-სიცილით გავარდნენ. სინათლე ანთებული დატოვეს, დავხედე საბანს, რას ვხედავ! ნაჭრის საბანივით არაა მოჩითული?!

**ბენო — ეუპ!**

**მოხუცი —** ამის უარესი კაცის შვილს და-მართოდეს, გინახავს, დედა?!

**ბენო —** როდის მოხდა ეს ამბავი?

**მოხუცი —** როდის?.. წუხელი, მამლის მე-ორე ყივილზე.

**ბენო —** შინდისფერი მანქანით ხომ არ იყვნენ.

**მოხუცი —** ვიცი, დედა? ვინ მაჩვინა... რო დავხედე და ენა ჩამივარდა, გავშეშდი, არ ვი-ცირამდენ ხანს ვიყავი ასე თვალგაშტერებუ-ლი, რომ უცებ ისევ სიცილი მემესმა. მივიხე-დე, თავზე ორი იმისთანა ქალი მადგას... შენ, შვილო, კარქი თვალ-ტანადი კაცი გეთქმის, მარა, დალაპარაკებას ვერ გოუბედავ. მიყუ-რებენ ფულებში დამარხულ დედაბერს და იცინიან... მე, შვილო, ყოველდღე სიკვდილს ველი და რა სიზმარს არ ვხედავ, მარა ამის-თანა არაფერი მოსწრებია ჩემი გატანჯული სიბერე...

**ბენო —** /მოხუცს ორივე ხელი მოხვია, მე-რე მოაგონდა სკამის მოტანა/ დაბრძანდით, დედა, დაბრძანდით.

**მოხუცი —** არა, შვილო, ფეხშიშველი უნდა ვიარო. რა შევცოდე ამისთანა მამაზეციერს, რა დღეს მომასწრო!..

**ბენო —** სხვა დროს ... ადრე გაუკეთებია? არ უქნია ეს?..

**მოხუცი —** აპა რამ გამიმნარა სიბერე... არა, ასე და ამდენი არა, მარა... თვე-ნახევრის წინ გამეიარა. ორი კაცი ახლდა. ერთს თვალი ვერ ოუნვდინე... ქალების ხმა არ გამიგონია... და დამიტოვა. ამდენი კი არა, მარა, მე რო ორ ნელინადს მეყოფოდა — იმდენი. ჩვენს თავ-მჯდომარეს ვუთხარი, ჩვენებური კაცია, ასე და ასეა... შენ მთავრობის კაცი გქვია, ე, ბიჭი, რაიმე გლახაგზასარადგეს-მეთქი. „ნადი, ბე-ბია, შენ პური ჭამე, მეპურეს რას კითხულო-ბო!“ მეპურეს რავა არ ვკითხულობ-მეთქი? აბა, ვის პურს ვჭამ, არ უნდა ვიცოდე-თქვა?!. „შენ რომ იცოდი და შენ რომ მშიერ-მნყურ-ვალი იყავი ის დრო აღარაა ახლაო“. ბიჭი, რავა არ ვიცი-თქვა, გოუნყერი — თვალში არ ვიხედები, ამ ქვეყანაზე არ ვარ და მეზობე-ლი არ მყავს-მეთქი? „შენი მეზობელივით თუ ნდომებოდა შენს ვაჟბატონს ცხოვრება, შენ-თან დარჩებოდა და ასე უპატრონოდ კი არ მიგატოვებდაო!“ კი მარა, იქ რა იშოვა ამნაი-რი-თქვა? „არ ვიცი, მაგრამ თუ გულით გინ-და, შენი გაზრდილია და შენ გეცოდინებაო!“

მას მერე მე ძილი არ მქონია. ჩემს სიბერეს და-ლვთისთვის ჩასაბარებელ სულს ეს უნდოდა? /ტელეფონი რეკავს/ მიდი, შვილო, დაელაპა-რაკე იქნება ვინმე ჩემისთანა გაჭირვებულია და შველა უნდა, ან ვინ იცის, ჩემი დამღუპ-ველი შვილია, იქნებ არ მოვძულებივარ მამა-ზეციერს და შეაწუხა სინდისმა. /ბენო იღებს ყურმილს და დებს. შემოდის მდივანი, ხედავს მაგიდა ფულებითაა სავსე, ენა ჩაუვარდება/.

**ბენო —** /დაიბნევა მდივნის დანახვისას და ბოდიშივით/ აი, აქ რა ამბებია... უნდა დამე-რეკა...

**ცეცო —** რა ხანია გელოდებიან /თვალები ცრემლებით ევსება, საათს დახედა/ თათბი-რის დრო გადავიცილდა...

**ბენო —** დაუძახე! /ცეცომ ფულს გადახე-და/. დაუძახე, დაუძახე! /თითქოს შვება იგ-რძნო/ დაუძახე!

**ცეცო —** /ატირდება/ ბატონო ბენია-მინ, ტყუილად იღუპება ადამიანი... თქვენც იცით...

**ბენო —** /მოულოდნელად გაცეცხლდა/ მე რა ვიცი... რა ვიცი, მე, გოგო!

**ცეცო —** როგორ არ იცით... ბატონო ბენია-მინ, უუტუ... /აქვითინდება/ ვინ არ იცის, მე იმას ბრმად ვენდობი... ტყვილად დაიღუპება. /კარს მივარდება და მოაგონდება/ ბატონო ბენიამინ, თქვენი მეუღლე რეკავს... მე ჩემი გაჭირვება მეყოფა...

**ბენო —** მაგის თავი მაქვს ახლა!

**ცეცო —** მე რა ვქნა... ნეტავ ვიცოდე ვის რა დავუშავე...

**ბენო —** კარგი, კარგი!

**ცეცო —** თქვენთან გადმოვრთავ ტელე-ფონს... /გადის ატირებული/.

**ბენო —** ჰო... /მოხუცს უცქერის/ დიახ... დედა...

**მოხუცი —** ვიცი, შვილო, აქაც ნამეტანი გასაჭირი ყოფილა. იმ გოგოს არ მოვეშვი, მიშველე, მიხსენი-თქვა, და თვითონ უარესი გაჭირვებული ჩანს... შენც, შვილო, ნამეტანი ჯავრიანად მეჩვენები, ჩემს სატკივარს ვიღა უნამლებს... არადა, სულიან-ხორციან-შვი-ლიან-მომავლიანად ვიღუპები...

**ბენო —** რა ვქნათ, დედა, ჩვენ რა შეგვიძლია.

**მოხუცი —** შენზე დიდი კაცი... იმნაირი, ჩემი და ჩემისთანების შველა რომ შეეძლოს, თუ გეგულება, ცხრა მთას იქით რომ იყოს, დედაშვილობას გაფიცებ, არ დამიმალო. ფეხშიშველი მივალ... შევცოდე უფალს, შენ-თანაც ფეხშიშველი რომ არ მოვედი და დამ-საჯა.

**ბენო —** ფეხშიშველი სიარული, დედა, რა საჭიროა, თუ რაიმე შეიძლება ჩვენც აგერ არა ვართ?

**მოხუცი** — აგერრომხარ, შვილო, თვითონ შენ თუ უსაშველო გაქვს გაჩენილი, მე რა უნდა მიწამლო... /რეკავს ტელეფონი/. ელაპარაკე, შვილო, ვიღაცაა. ეტყობა მაგიც გაჭირვებულია.

**ბენო** — დიახ!.. ჰო... რა გინდა, ქალო, ამ დილაუთენია... მაცალე... საავადმყოფოში?.. ჰო, საავადმყოფოდან რეკავ? ვის მოუკლავსო! არა, კაცო... რა ვიცი... გამოარკვევენ... არ ვიცი მე... თათბირს მოვრჩები და... რა დროს მოვედი?.. არ იცი შენ რა დროს მოვედი? /დაიბნა/ არაფერი... არაფერი... მოშორდი, ქალო, აქედან!.. /ყურმილი დააგდო/

**მოხუცი** — ხო მივხვდი, შვილო, მაგი ჩემზე დაღუპულია, ვიღაცა მოუკლავთ?.. მკვდარი გელაპარაკებოდა?

**ბენო** — მკვდარი მელაპარაკებოდა? ჩემთან რა უნდა!.. არა, არა, დედა, ეს მეუღლე მელაპარაკებოდა... ჰო, თქვენი საქმე ასეა: ჩვენ შევეცდებით... ხომ ხედავთ, აქ იმდენი ამბები ტრიალებს... თუ დაუმტკიცდა თქვენ შვილს, რომ გამფლანგველია ან მიმთვისებელი, სამართალში მივცემთ...

**მოხუცი** — დედა, აპა ნაარამი ვის შერჩენია, მარა მაგი რო ვიცი, ამიტომაა, ნუხელ კინალამ გზაში დავტოვე ღვთისთვის ჩასაბარებელი სული. სანამ დროა, დედა, თვარა, თქვენც მეტ ზარალს ნახავთ და მეც ხომ სულიან-ხორციანად დამღუპავთ... აგერაა, დედა /ფულებზე/ ეს ოხრადდასარჩენი და თუ სადმე კიდევ რამე ექნება... აპა, ყველას მე ხომ არ დამიტოვებდა, გამოართვით და ისეთი საქმე მიეცით საციხოდ და საციხეროდ შვილს ნუ გამიხდით! შვილის მამა იქნები, შვილის სიმწარეს ნუ მოგასწრებს დედაღვთისა ღვთისმშობელი /კარისაკენ მიდის/.

**ბენო** — ვიცით, დედა, ვიცით მაგრამ ჩვენს ნებაზე რომ არაა საქმე.

**მოხუცი** — აბა ვის ნებაზეა, შვილო? იცით! /გაკვირვებული მობრუნდება/ იცით?! იცით, რომ ჩემი შვილი კაი გზაზე არ ადგას და გაჩუმებული ხართ?!

**ბენო** — შეიძლება ითქვას, ზოგი რამ ვიცით!...

**მოხუცი** — იცით?! ჯავრით არ ვიყავი, დაგტანჯე კაციშვილი, მეგონა. „რაღაცას ვთათბირობთო“ საქმეს მოგაცდინე, მეგონა. იცი და სხვა რამეს მუსაიფობ? საიმქვეყნიო დედისტოლა... დედა... დედა გეხვენები, ღვთისთვის ჩასაბარებელი სული გადამირჩინე-თქვა და მუსაიფობ! აგერ ღვთისნიერი გოგო ტირის, ვიღაცა ტყუილუბრალოდ იღუპებათ, ვიღაცა კოლოფიდან... მოკვდათ, თუ მკვდარი გელაპარაკება, აპა ცოცხალი არავინ ჩანდა და... მუსაიფობ?!

**ბენო** — დედა, ახლა მარტო თქვენთვის ხომ არა ვართ... ამოდენა ქვეყანას რამდენი უნდა: მეურნეობა, ყანა, ვენახი, გეგმა, შესრულება, ათასი საქმეა: სახლია ასაშენებელი, ხიდია ასაგები, გზა გასაყვანი... პატრონი ხომ უნდა?..

**მოხუცი** — პატრონი მე მინდა და ჩემის-ვა... თანებს... გზას იმ შავ კუპრს დააგოზავთ თუ არა, და სახლის თავზე დროშას დაამაგრებთ თუ არა, მაგას რა მუსაიფი უნდა. მე დღეიდან ალთქმა უნდა დავდო, რო ღმერთმა მაპატიოს, მაინც ფეხშიშველმა უნდა ვიარო და ტალახი მირჩევნია... თუ იცი, რომ ჩემი შვილი უკუღმართ გზაზე დადის, შენ ფართო შარას უგებ? თუ გზას უკეტავ... მე, ჩემ შვილს კი არა, შენ დაგიღუპივარ, ჩემო ბატონო...

**ბენო** — ქალბატონო...

**მოხუცი** — ჰო, ჰო? დედა არ მითხრა, მე არა ვარ არც შენი და არც ჩემი შვილის დედა. არც ქალბატონი მინდა... ლამაზ-ლამაზი სიტყვები არ მინდა...

**ბენო** — ჩვენ რა, თქვენი შვილი... ჩვენი რა ბრალია?

**მოხუცი** — კი, კი, მე /ფულზე/ ეს იუდას მოგონილი ახლა მოვიტანე, როცა ორივე ფეხი სამარეში მიდგას, თვარა... /პირჯვარი გადაინერა/ ღმერთო, ცოდვილი ვარ, მინა ჩემს ენას. თექვსმეტი წლის რო ვიყავი, ღმერთიც მე მეგონა ჩემი თავი და ხატიც. ვერც კი გეტყვი ამ ღვთის მოღალატის მოგონილს მოგიტანდი თუ არა. თუმცა მაშინ ეკლესია ჩემს გორმაღალაში გაჩაღებული იყო და ყოველ ზიარებაზე აღსარებას ვაბარებდი მამაზეციერს...

**ბენო** — არა, ჩვენ მივხედავთ ამ საქმეს... მივხედავთ, აბა როგორ იქნება, მაგრამ ამას მაინც დრო უნდა. ასე იქნებ უდანაშაულო...

**მოხუცი** — უდანაშაულო?! რა მიხედვა უნდა, ეს რო აგერ ყრია, ჭყინტი ყველი გავყიდე და იმისი გგონია?... შენ დაგიღუპივარ მე, შენ ნაგინყმედია ჩემი სული! /მდივანი შემოაღებს კარს. ბენო ანიშნებს, გაიყვანეო. ცეცო მიდის, მოხუცს ხელს გამოდებს და მიყავს/ კი, ჩემი შვილი ცოდვაც შენს კისერზე იყოს და ჩემი ნაწყმედაც! შენზე... და დედაშენის სულმა ნიკოს... დედაშენის სულმა!.. /გადიან. თავგზაბნეული ბენო ბოლთას სცემს. რეკავს ტელეფონი, მაგრამ აღარაფერი არ ესმის. მოხუცი ისევ შემოაღებს კარს, ცეცოც მოჰყვება, ისევ უპირებს ნაყვანას/.


**ცეცო** — ქალბატონო.

**მოხუცი** — არ მინდა მე ლამაზ-ლამაზი სიტყვები! /ბენოს/ დღესვე გზაში ამომხდება ტანჯული სული და დედაშენი რაფერ შემხვდება?!.. რაფერ აპირებს ამისთანა ცოდვის ნიკვას იმას ვკითხავ, უფალთან ვკითხავ.

**ცეცო** — დედა, ქალბატონო... ბიცოლა... /გაჰყავს/

ფარდა

გაგრძელება იქნება



# შეკრისტიანიზმი მონაზონი

მონაზონი

ნამიყვანეს ლონშანში. იქამდე დედაჩემა მიმაცილა. ბატონ სიმონენთან გამოთხოვების უფლება არც მითხოვია. მართალი გითხრათ, გზაზელა გამახსენდა. მონასტერში უკვე მელოდნენ. იქამდეც მისულიყო ხმები ჩემს ამბავზე და ჩემს ნიჭიერებაზე. უმთავრესზე არავის არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ, ყველა ჩქარობდა დაენახა, თუ რად ღირდა ის განძი, რაზედაც ამდენი შრომა დაიხარჯა. აქეთურზე და იქითურზე დიდხანს ვილაპარაკეთ. უმეტესად კი იმაზე, რაც თავს ვადამხდა. არც ღმერთზე, არც მონაზენის მონდებაზე, არც საერო ცხოვრების უკეთურობაზე, არც მონასტრული ცხოვრების სიამეზე სიტყვა არ თქმულა. საღვთო სისულელეებზე საუბარიც ვერ გაბედეს, რაზეც, პირველ ხანებში უთუოდ ლაპარაკობენ ხოლმე. ბოლოს მონასტრის ნინამდლვარშა მითხრა: "მადმუაზელ, თქვენ უკრავთ,

მღერით; ჩვენ კლავესინი გვაქვს, თუ გნებავთ, მისალებ ოთახში გავიდეთ...". გული შეკუმშული მქონდა, მაგრამ ზიზღის დრო არ იყო. დედაჩემი ნინ წავიდა, მე უკან მივყვებოდი. მონასტრის ნინამდლვარი, ცნობისნადილით შეპყრობილ რამდენიმე მონაზონთან ერთად ამ პროცესის ამთავრებდა. ეს მოხდა მწუხრისას. შემოიტანეს სანთლები. მე კლავესინს მივუჯექი. დიდხანს ვუკრავდი. გონებაში ვეძებდი შესაფერ მუსიკალურ ნაწყვეტებს, მაგრამ ვერ ვპოულობდი. ნინამდლვარი კი მაჩქარებდა, გინდა თუ არა, იმდერეოდა, ჩემდა უნებურად, როგორც ჩვეული ვიყავი, დავინყე ერთი კარგად ცნობილი არია: "სევდიანი სამზადისი. მიმქრალი ჩირალდნები. დღე უფრო წყვდიადია, ვიდრე ღამე ..." და ასე შემდეგ. არ ვიცი, რა შთაბეჭდილება მოვახდინე, მაგრამ დიდხანს მისმენდნენ. სიმღერა ქებით შემანყვეტინეს. ძალზე გავოცდი, რომ ეს ქება ასე მაღე და ასე ადვილად დავიმსახურე. დედაჩემმა ჩემითავი ნინამდლვარს ჩააბარა, მე ხელი გამომინოდა საკოცნელად და წავიდა.

და აი, უკვე სხვა მონასტერში ვარ, გამოსაცდელი ვადით, თანაც ჩემი ნება-სურვილით მოსული. ახლა ხომ ყველაფერი იცით, რაც კი აქამდე მოხდა, მონყალეო ბატონო, რას ფიქრობთ, როგორია თქვენი აზრი? დიდი ნაწილი იმისა, რაც აქ გითხარით, სულაც არ მომიხსენებია მაშინ, ჩემი ალთქმის დარღვევა რომ მოვინადინე. ზოგი რამ იმიტომ, რომ საფუძვლიანი საბუთებით ვერ დაუამტკიცებდი, ზოგიც იმიტომ, მსმენელთ ჩემდამი ზიზღის აღვუძრავდი, სარგებელს კი ვერაფერს მომიტანდა. ხალხი ჩემში მარტოდენ გულქვა შვილს დაინახავდა, რომელიც თავისუფლების მოსაპოვებლად არაფერს ერიდება და მშობლების ხსოვნასაც ლაფში სვრის. მათ ჰქონდათ ჩემი სანინააღმდეგო საბუთი, ჩემთვის სასარგებლო საბუთს კი ვერ დავასახელებდი და ვერც დავამტკიცებდი. ის კი არა, სულაც არ მინდოდა, მოსამართლეებს ეჭვი აღძვროდათ ჩემი დაბადების გარემოებათა შესახებ. ზოგიერთი, კანონში ჩაუხედავი პიროვნება, მირჩევდა საქმეში დედაჩემის სულიერი მოძღვარი ჩამება, რომელიც ადრე ჩემი მოძღვარიც ბრძანდებოდა. ეს კი შეუძლებელი იყო. და შესაძლებელიც რომ ყოფილიყო, ამას თვითონ არ ვიზამდი. ვძიშობ არ დამავინყდეს და ბარემ ახლავე გეტყვით, თუ სურვილი გექნებათ და დამეხმარებით, მონყალეო ბატონო, მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეთ, თუკი, რა თქმა უნდა, თქვენც ასე მიიჩნევთ, რომ არავინ უნდა გაიგოს კლავესინზე ჩემი დაკვრისა და სიმღერის ამბავი. ესეც საქმარისი იქნება, რომ ადვილად მიპოვონ. ამ ნიჭით ყოყოჩამ შეიძლება ყველაფერი წყალში ჩამიყაროს. ჩემს დღეში ჩავარდნილთ არ შეუძლიათ არც სიმღერა და არც დაკვრა, ე.ი. არც მე უნდა შემეტყოს ამისი ცოდნა. თუ მოხდება და სამშობლოდან გადახვენა მომინევს, აი, მაშინ გამომადგება ეს ხელობა საარსებოდ. სამ-

1. არია რამოს ოპერიდან "კასტორი და პოლუკსი".

შობლოდან გადახვენა! მითხარით, რად მაშინებს ეს აზრი? ალბათ, იმიტომ, რომ არ ვიცი, რა გზას დავადგე. ალბათ, იმიტომ, რომ ახალგაზრდა ვარ და გამოუცდელი; ალბათ, იმიტომ, რომ სილარიბის, ხალხის და ბინიერებისა მეშინია. იმიტომ, რომ მუდამ ჩაკეტილი ვცხოვრობდი და თუ პარიზში არ ვიყავი, თავს ამქვეყნად დაკარგულად ვვრდნობდი. შეიძლება ყველაფერი ასე არაა, მაგრამ ეს ის მაინც არის, რასაც ვვრდნობ. მოწყალეობატონო, არ ვიცი, რა გზას დავადგე. არ ვიცი, რა გვაკეთო და ყველაფერში მხოლოდ თქვენი იმედი მაქვს.

ლონშანში, ისევე, როგორც სხვა უმრავლეს მონასტერში, ნინამძღვარი სამ წელინადში ერთხელ იცვლება. როცა ამ მონასტერში მომიყვანეს, ნინამძღვრად, ვინმე ქალბატონი მონი იყო ახლად დანიშნული. არ ძალმიძს აღვნერო მისი უზომოდ დიდი სიკეთის ამბავი. ამისი აღნერა ჩემს ძალას აღემატება, მაგრამ სწორედ ეს სიკეთე მაშინებდა. ის ჭკვიანი ქალი იყო და ადამიანთა გულების დიდებული მცოდნე; შემწყნარებლობაც შეეძლო, თუმცა ამის საჭიროებას სულაც არ გრძნობდა, ჩვენ მისი შვილები ვიყავით. იგი მხოლოდ იმგვარ დანაშაულს ხედავდა, რომლის დაუნახაობაც არ შეიძლებოდა, ანდა იმდენად დიდს, რომელზედაც თვალის დახუჭვა შეუძლებელი იყო. ყოველივე ამას პირუთვნელად ვლაპარაკობ, რადგან ჩემს მოვალეობას მუდამ ჩინებულად ვასრულებდი; ის კი მაძლევდა მხოლოდ იმას, რასაც მართლა ვიმსახურებდი; ერთი დანაშაულიც არ ჩამიდენია, რომელიც ან დასჯას იმსახურებდა, ანდა პატიებას. თუ ვინმეს უპირატესობას მიანიჭებდა, ეს უპირატესობა მუდამ დამსახურებული იყო. ამის შემდეგ, არ ვიცი, უხერხული ხომ არ იქნება თქმა, რომ ნაზად შემიყვარა და მის ფავორიტთა შორის უკანასკნელი ადგილი არ მეჭირა. ვიცი, ეს დიდი ქებაა ჩემთვის, უფრო დიდი, ვიდრე თქვენ შეგიძლიათ ნარმოიდგინოთ, რადგან მას პირადად არ იცნობდით. დანარჩენი მონაზენები ფავორიტებს, შურით, ნინამძღვრის საყვარლებს ეძახიან. თუ ქალბატონ დე მონის რამეში შეიძლება ვუსაყველურო, მარტო ესაა, რომ თავის სიყვარულს სათხოების, ლმობიერების, გულწრფელობის, სიმშვიდის, მომადლებული ნიჭისა და პატიოსნებისადმი აშკარად გამოხატავდა, თუმცა კარგად უნყოდა, ვინც ამგვარ თვისებებს არ ფლობდნენ, თავს აშკარად დამცირებულად გრძნობდნენ. მას იმისი ნიჭიც ჰქონდა, რაც მონასტერში უფრო გვხვდება, ვიდრე საერო ცხოვრებაში, — სწრაფად ამოეცნო ადამიანის სული. იძვიათად ყოფილა, რომ მონაზონი, რომელიც თავიდანვე არ მოსწონებია, მერე მოსწონებოდეს. მან უცბად შემიყვარა და მეც თავიდანვე მივენდე. ვაი, იმ მონაზონს, რომლის მიმართაც კეთილად არ იყო განწყობილი! ისინი აუცილებლად ბოროტი, დაკნინებული ქალები აღმოჩენდებოდნენ და ამას თვითვე აღიარებდნენ. ნინამძღვარმა თავადვე დაიწყო იმაზე ლაპარაკი, რაც წმინდა მარიამის მონასტერში გადამხდა. ყველაფერი ისევე დაუფარავად ვუამბე, როგორადაც თქვენ გიამბობთ. უუთხარი ყველაფერი, რაზეც ახლახან გნერდით. არაფერი გამომრჩენია,

არც ის, როგორ დავიბადე, და არც ის — როგორ ვენამე. მას შევებრალე, თანაგრძნობით აღივსო, დამაწყნარა და სასიკეთო მომავლით დამაიმედა.

ამასობაში ჩემი გამოცდის დროც გავიდა და დადგა მორჩილობის უამი. გავხდი მორჩილი. მორჩილობის ვადაც ყოველგვარი ზიზღის გარეშე მოვიხადე. იმ ორ წელს ერთბაშად აღვნერ, რადგან განსაკუთრებული მტკიცნეული არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იდუმალ მწუხარებას იმაზე, რომ წელ-წელა ვუახლოვდებოდი სამყაროს, რომლისთვისაც არ ვიყავი შექმნილი. ხანდახან ეს გრძნობა მთელი სიმძლავრით იფეხ-ქებდა ჩემში და მაშინვე კეთილ ნინამძღვართან გავრბოდი, რომელიც მყოცნიდა, ნათელს ჰფენდა ჩემს სულს და გონზე მოვყავდი. ბოლოს კი მეტყოდა: “განა სხვა ცხოვრებას არა აქვს თავისი უსიამოვნებანი? ყველას კუთვნილი არ მიეგება? მოდით, შვილო ჩემო, მუხლი მოვიყაროთ და ვილოცოთ...”.

მერე მუხლს მოიყრიდა და ხმამაღლა იწყებდა ლოცვას, იმგვარი გულითადი, მჭერმეტყველი, ტკბილი, ამაღელვებელი, შთამაგონებელი და ზეციური ხმით, თითქოს, თვით უფლის სულმა შთააგონაო. მისი სიტყვა, იერი, სახე, გულის სიღრმემდე სწვდებოდა ადამიანს. უსმენდით, უსმენდით, მერე წელ-წელა ბურუსში გხვევდათ და მის სასოებას უერთდებოდით. სული თრთოდა და უკვე მის ხელთ იყავით. თქვენი დაპყრობა არც ჰქონდა განზრახული, მაგრამ ჭეშმარიტად გიპყრობდათ და მისგან მწველი გულით მიღიოდით. თქვენს სახეზე ბედნიერი აღტაცება თრთოდა. სიხარულის ცრემლებს ლვრიდით! ამგვარივე გრძნობა ეუფლებოდა თავადაც, რაც კარგა ხანს ვეღარ ივინყებდით. ეს გრძნობა მარტო მე არ გამომიცდია. ეს გამოსცადა ყველა მონაზონმა. ზოგიერთი მეუბნებოდა, რომ ამგვარი სასოების შემდეგ უდიდეს ნუგეშს ჰპოვებდნენ და რომ ეს ნუგეში მოთხოვნილებადაც ექცათ. მაგრამ ვაი, რომ მე სულ სხვა გრძნობები მანუხებდა, რაც ხელს მიძლიდა სრულად განმეცადა იგივე, რასაც სხვები გრძნობდნენ.

აღკვეცის უამის ნინ ისეთმა დიდმა მელანქოლიამ შემიპყრო, რომჩემმა კეთილმა ნინამძღვარმა აღარ იცოდა, რა ექნა. ნუგეშისცემის ნიჭმაც კი უღალატა და ამაში თვითონვე გამომიტყდა: „არ ვიცი, რა მემართება, როცა თქვენ მოდიხართ, ასე მგონია, უფალი გამირბის და მისი ხმა დუმდება ჩემში. ამაოდ ვიმხნევებ თავს, ამაოდ ვიკრებ აზრებს, ამაოდ ვცდილობ სულის აღგზნებას. და ვგრძნობ, რომ ჩვეულებრივი, შეზღუდული ქალი ვარ. ლაპარაკისა მეშინია...“. „აპ! დედაო! — ვუპასუხე, — ეს რა საშინელების მომასნავებელია! იქნებ, თვით ღმერთი გიბრძანებთ დუმილს?..“.

ერთ დღეს განსაკუთრებით ნალვლიანი, დათრგუნული ვიყავი და მის სენაქში შევედი. ჩემმა გამოჩენამ შეაცბუნა. შემომხედა და, იქნებ, ერთბაშად მიხვდა, რომ ჩემი აფორიაქებული სულის დამშვიდება მის ძალას აღმატებოდა, ბრძოლა კი არ სურდა, თუ დარწმუნებული არ იქნებოდა გამარჯვებაში. და მაინც ხელი მომკიდა წელ-წელა დაეტყო აღგზნება და რაც უფრო ქარნყლდებოდა

ჩემი მწუხარება, მისი ცეცხლი უფრო მძაფრდებოდა. უცებ მუხლებზე დაეცა და მეც მივბაძე, მომეჩვენა, რომ მზად ვიყავი მისი სასოების გასაზიარებლად. მეც სწორედ ეს მინდოდა. მან კი ერთი-ორი სიტყვა ნარმოთქვა და ერთბაშად მიჩუმდა. ამაოდ ველოდი; მეტი არაფერი უთქვამს, ადგა, ატირდა, ხელი მომკიდა და გულში ჩამიკერა: „აპ! ძვირფასო შვილო, — თქვა მან, — რა საშინლად დამიმორჩილეთ! ვგრძნობ, ნმინდა სულმა მიმატოვა. წადით და დაე, თვით უფალი გელაპარაკოთ, რადგან მას არ სურს ჩემი პირით გამოგიცხადოთ საკუთარი ნება-სურვილი...“.

ვერაფერს მივხვდი. არ ვიცოდი, მართლა დავა-ეჭვე საკუთარ ძალაში, თუ ნამდვილად გავანეც-ტინე კავშირი ზეცასთან. არ ვიცი, მაგრამ მომადლებული ნიჭი ნუგეშისა მეტი აღარ დაბრუნებია. მონაზვნად აღავეცის კვირაძალზე მის მოსანა-ხულებლად წავედი. ისიც ისეთივე სევდიანი იყო, როგორც მე. ტირილი დავიწყე, ისიც ატირდა; მის ფეხებთან დავემხე; მან დამლოცა, წამომა-ყენა, მაკოცა და გამომადევნა სიტყვები: „ — სი-ცოცხლით დავიღალე. სიკვდილი მინდა. უფალს შევთხოვე, შენი ტანჯვის დღეს არ მომასწროს, მაგრამ მისი სურვილი სხვაგვარია. წადით. მე დე-დათქვენს მოველაპარაკები, ღამეს ლოცვაში გა-ვატარებ, თქვენც ილოცეთ. მერე დასაძინებლად წადით. გიბრძანებთ.

— ნება მომეცით, თქვენთან ერთად ვიღოცო.  
— ვთხოვე.

— ნებას გაძლევთ ჩემთან დაჰყოთ ცხრიდან თერთმეტ საათამდე. ათის ნახევარზე ლოცვად დავდგები, თქვენც ასევე მოიქეცით, მაგრამ თერ-თმეტ საათზე სალოცავად მარტოდ დამტოვებთ და მოსასვენებლად წახვალთ. წადით, ძვირფასო შვილო, მთელი ღამის მანძილზე სიმხნევეს მო-ვიკრებ უფლის ნინაშე“.

ლოცვა სურდა, მაგრამ ვერ შეძლო. ვიდრე მე მეძინა, ეს ნმინდანი დერეფანში დადიოდა, მო-ნაზონთა სენაკების კარებზე აკაკუნებდა, აღვი-ძებდა, უხმაუროდ ჩადით მონასტერში, — უბ-რძანებდა. როცა ყველა შეიკრიბა, მონაზვნებს მოუწოდა ელოცათ ჩემთვის და ზეცისთვის შე-ევედრებინათ თავი ჩემი. ჯერ მდუმარედ ლო-ცულობდნენ, მერე ნინამძღვარმა სანთლები ჩა-აქრო; და ყველამ ერთად წაიკითხა „Miserere“<sup>1</sup>, გარდა ნინამძღვრისა, რომელიც საკურთხევლის ნინ დამხობილი, წამებითა თვისითა ღალადებდა: „ო, უფალო! მომიტევე ცოდვანი ჩემნი და შემივ-რდომე. არ გთხოვ შენგან ბოძებული და შენგანვე წართმეული ნუგეშის ნიჭის დაბრუნებას, მაგრამ გევედრები, უფალო, რამეთუ თავად მიხედო იმ უმანკო გოგონას, რომელსაც ახლა სძინავს. გე-ვედრები მისთვის და ვლოცულობ მისთვის. უფა-ლო ჩემო და მწყალობელო ჩემო, დამოძღვრე იგი, დამოძღვრე მისი მშობლები, მე კი მომიტევე ცოდვანი ჩემნი“.

მეორე დღეს, უთენია, ჩემს სენაკში შემოვიდა; მისი ფეხის ხმა არც გამიგია, რადგან ჯერაც ძილ-მდვიდრად ვიყავი. სანოლის კიდეზე ჩამომიჯდა; ფრთხილად დამადო შუბლზე ხელი და ყურადღე-ბით დამაკვირდა. მოუსვენრობა, დაბნეულობა და

ნაღველი ერთმანეთს ენაცვლებოდა მის სახეზე, სწორედ ამგვარი დავინახე, როცა თვალები გავა-ხილე. არაფერი უთქვამს იმაზე, რაც ღამით მოხ-და, მარტო მკითხა, ადრე თუ დაწექი დასაძინებ-ლადო. ვუპასუხე:

„ — როცა თქვენ მიბრძანეთ.

— გეძინათ?

— მაგრად მეძინა.

— ასეც ვფიქრობდი... თავს როგორა გრძნობთ?

— მშვენივრად. თქვენ, ძვირფასო დედაო?

— ვაი, რომ მორჩილის აღკვეცის ნინ დაწყნა-რებული არასოდეს ვყოფილვარ. მაგრამ არავის-ზე ისე არ შევშოოთებულვარ, როგორც თქვენს გამო ვშფოთავ. როგორ მინდოდა ბედნიერი ყო-ფილიყავით.

— თუ თქვენ მუდამ გეყვარებით, ბედნი-ერი ვიქნები.

— აპ! მარტო ეს რომ კმაროდეს! დამე არაფერ-ზე ფიქრობდით?

— არა.

— სიზმარში არაფერი გინახავთ?

— არაფერი.

— ამ ნუთში რა ხდება თქვენს სულში?

— გაბრუებული ვარ; საკუთარ ბედს და-ვემორჩილე — არც ზიზლს ვგრძნობ და არც ხა-ლისს; აუცილებლობამ წამლეკა და მდინარებას მივყვები. აპ! დედაო, რა ვქნა, ვერ ვგრძნობ იმ ნაზ სიხარულს, იმგვარ თრთოლვას, იმ სევდას, იმ საამო შფოთვას, რასაც ზოგჯერ სხვებში ვხე-დავდი ამგვარ წუთებში. სულელი ვარ, ტირილიც კი არ შემიძლია. ჩემგან, ვიცი, ამას მოითხოვენ ახლა, ვიცი, ასეა საჭირო, ამ ნუთში მხოლოდ ეს აზრი მიტრიალებს... მაგრამ თქვენ არაფერს მე-უბნებით.

— თქვენთან სალაპარაკოდ არ მოვსულ-ვარ. მოვედი, რომ გიყუროთ და გისმინოთ. დე-დათქვენს ველოდები; ეცადეთ არ ამაღელვოთ. დაე, გრძნობამ აავსოს სული ჩემი; როგორც კი ეს მოხდება, დაგტოვებთ. ვიცი, დუმილია საჭირო. ვიცნობ საკუთარ თავს. მე ვულეანი ვარ, გაშმა-გებული, რომელიც, ერთხელაც იქნება, მთელი ძალით ამოხეთქავს და არ მინდა თქვენ დაგატყ-დეთ. ცოტა ხანს კიდევ ინექით, გიყუროთ; მხო-ლოდ რამდენიმე სიტყვა მითხარით და იმის მი-ღების საშუალება მომეცით, რის მისაღებადაც მოვსულვარ. მერე წავალ და დანარჩენს უფალი დაასრულებს...“.

ფრანგულიდან თარგმნა  
დავით კახაბერმა

გაგრძელება იქნება

1. „შეგვინყალენი“ (ლათ.) დავითის 56-ე ფსალ-მუნი.

დაწერილ ნაწარმოებებს ეცნობა, რადგან შორეულ თუ ახლო ნარსული ყოველთვის იძლევა ნაირგვარი ინტერპრეტირების საშუალებას. დღეს, როდესაც ისტორიული ნარსულის თემაზე დაწერილ ტექსტებს ვკითხულობთ, მათ ბუნებრივად ვადარებთ უკვე კლასიკად ქცეულ ქმნილებებს და იოლად ვხვდებით, რას გვთავაზობს ავტორი.

ცნობისწადილი ცხოველდება მაშინ, როცა უკვე არსებობს ძველი წერილობითი ძეგლი და ჩვენი თანამედროვე შემოქმედი ხელახლა ცდილობს ოდინდელი რეალობის ნარმოჩენას. ისტორიული თემატიკა თავისთავად მოითხოვს ამბის საფუძვლიანად გაშლას, თხრობის რიტმის დაურვება, დამაჯერებელ ტონს.

შორეული ეპოქის დორის ქროლვის შეგრძნება აუცილებელი ატრიბუტია ნარმატებული შედეგისათვის. მთლიანი, შეკრული და ჰარმონიული მხატვრული სინამდვილის ხორციელებას ცოტანი ახერხებენ. ამგვარ ავტორთა შესახებ და მათ ნარმატებულ მცდელობათა შესახებ გთავაზობთ ჩვენეულ მოსაზრებებს, რომელიც “ზედამდგომელთა” და “მატვილთა” თემას შეეხება.

იშვიათ შემოქმედებათა შორის არის ნოდარ ნულეისკირი, რომელმაც შემოგვთავაზა “ლვანლი და ნამება აბოსი და იოანესი”. რომანში ავტორი შორეული 786 წლის ამბებს ხელახლა აცოცხლებს, არაბთა “ზედამდგომელობის” პერიოდს ეხება. ჩვენს ნინაშეა აბო ტფილელის ცხოვრების ახალი ინტერპრეტაცია, შესრულებული XX საუკუნის დასასრულს, როცა ქართველთა ეროვნული თვითშეგნება ახალ გზას ეძიებდა, მნიშვნელოვანი სახეს იღებდა და სატანჯველად და გასამარჯვებლად ემზადებოდა.

ნოდარ ნულეისკირმა სარკინოზთა მძღავრობის ქვეშ მყოფი ერის გამოღვიძების დასაწყისი დაგვიხატა, უძლიერესი დამპყრობლების უძლურების ერთი ეპიზოდი გაგვიცოცხლა და კვლავ შეგვახსენა არაერთგზის გათავისებული ჭეშმარიტება — ერს სჭირდება ზნეობრივი მაგალითი და შემდგომ ყველაფერი განგების ნებაზე ჰქიდია.

აბო თბილელი არაბი ჭაბუკი იყო, ნერსე ერისთავს ბალდადიდან ჩამოჰყვა, სამი ნელი ტყვეობაში მყოფს მენელსაცხებელ ემსახურა. მოიხიბლა ნერსეს ვაუკაცობით, სიმტკიცით და კეთილშობილებით და მოისურვა თბილისში გამოჰყოლოდა. ეს ისტორია ყველა ნიგნიერმა ქართველმა იცის, ბალდადელ და შემდგომ თბილელ აბოს მორნმუნენი დღესაც იხსენებენ.

ნოდარ ნულეისკირმა არჩია გაეცოცხლებინა შორეული VII საუკუნე და ამით გამონელილვით და საფუძვლიანად ემსილებინა XX საუკუნის ქართული რეალობა. არაბების დაპყრობითი პოლიტიკა ნარმოაჩინა იმგვარად, რომ იოლდ შეგვძლებოდა პარალელების გავლება საბჭო-

# 75 ქართველი

## სასისხლი მოავიზო: ზედამდგომელი და მატვილი

(ნ. ნულეისკირი, ჯ. ქარჩეაძე)

მნერლობაში თემის შერჩევას გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი როლი მაინც აკისრია. თუ მნერალმა სწორად შეარჩია საკუთარი ტექსტისთვის თემატიკა და ეს თემა მისი ტალანტისთვის დასაძლევია, მაშინ “შინაგანი ნამდვილობის” შეგრძნება იქნება და ეს მცდელობა ნარმატებულია. მკითხველი ყოველთვის იხიბლება იმის ნარმოდგენით, რომ საცაა მის თვალწინ გაცოცხლდება სრულიად ახალი სამყარო, დაოკედება მისი ცნობისწადილი და ისიც გახდება თანამონაწილე მნერლური “ქმნადობის” პროცესისა. ქართველი მკითხველი განსაკუთრებული ინტერესით ისტორიულ თემაზე

თა რუსეთთან. დრო მოითხოვდა “მოიარებით თქმას” და მხილებას, მწერალმაც სწორედ “ზე-დამდგომელთა” არაბული ულლის აუტანლობა აღნერა და ზოგადად დამპყრობლური ბუნების უნივერსალობას გაუსვა ხაზი.

“ღვანლი და ნამება აბოსი და იოანესი” აცოცხლებს იმ ატმოსფეროს, სადაც ტოტალური უნდობლობაა გამეფებული. სტეფანი ერისთავი არაბ ამირასთან ერთად წარმოადგენს ქართლის ხელისუფალს. ნერსე გადაყენებულია, მაგრამ სწორედ მას გააჩნია მორალური ძალაუფლება, იგია საყურადღებო ფიგურა. მწერალი გადმოგვცემს: „.... მთელი საამიროს და სახალიფოს ყურადღება, რატომდაც, ამ პატიარა სასახლისაკენ იყო მიპყრობილი. იქ ნერსე ერისთავი იჯდა და რა ჰქონდა გუნებაში, კაცი ვერ გაიგებდა.“ ნერსე მარტო არ არის, იგი პატიოტ შეთქმულთა მეთაური, შემნე და მფარველია. იოანე საბანისძე მოაზრებულია შეთქმულების მთავარ იდეოლოგად, ეკლესიის სულისკვეთების გამომხატველად, ქართველი ხალხის უერთულეს შველად. იოანე საბანისძე მიჩნეულია აბო თბილელის და გრიგოლ ხანძთელის მასწავლებლადაც. იგი აბოს სათხოებას უნერვას გულში და აჯერებს იმაში, რომ “მახვილთა პყრობილი სჯული” ანუ ისლამი ქრისტიანობასთან შედარებით ნაკლებად ჰუმანურია. იოანეს გან შეიმეცნა ქრისტეს ყოვლისმპყრობელობის იდეა, რომელმაც სიკვდილზე გაიმარჯვა და აბომაც მტკიცედ ინამა, რომ “მესიამ სიკვდილი სიკვდილით დათრგუნა“.

აბოსა და სტეფანი ერისთავის დიალოგში გამჟღავნებულია ამბავი “თაფლით მოვაჭრე ჭანის ენის მოკვეთისა”, რამაც აიძულა არაბი ჭაბუკი პირისპირ შეჯახებოდა თავისი ტომისა და რჯულის ადამიანების უსამართლობას. წინ აღსდგომოდა მათ და თავადვე ენვნია ძალმომრეობის სიმწარე. აბო არწმუნებს სტეფანი: “არა, უფალო, თაფლის ნართმევა არ არის გასაკვირი, გასაკვირი ის გახლავთ, როცა მშობლიურ ენაზე შენთვის დაიჩივლებ და ენას მოვაჭრიან. მსგავსი რამ სადმე ნერია?... ან გაგონილა?” რომანში მრავალია მსგავსი უსამართლობისა და ძალმომერობის მაგალითები. არაბები არა მარტო ხარჯს ადებდნენ დაპყრობილებს, არამედ ყველანირად ზღუდავდნენ და თავმოყვარეობას ულახავდნენ. აბო თავად შეესწრო ენობრივი ბარიერის გამო წარმოშობილ გაუგებრობას, რასაც ტრაგიკული დასასრული მოჰყვა. ენის აბუჩად აგდება, აშკარა უსამართლობა და გაუგებრობა არა მარტო არაბთა პატიონისათვის დამახასიათებელი მოელენაა, არამედ ყველა დროის ძალმომრეობის ერთერთი ატრიბუტია. როდესაც ნოდარ ნულეისკირი ამეპიზოდს წარმოიდგენდა, აღნერდა და გადმოგვცემდა, მას უთუოდ თავისი თანამედროვე XX საუკუნის 70-იანი წლებიც ჰქონდა მხედველობაში. სწორედ ამ დროს გააქტიურდა ენისა

და ეროვნების საკითხი საბჭოებში, რუსთა “ზე-დამდგომელობის” დროს.

სტეფანი ერისთავი მერყევ ადამიანად წარმოგვიდგება, მას არც არაბთაგან ნაბოძები ძალაუფლება ეთმობა და არც ბიძების კეთილგანნობა. ამირა თვალთვალს ყველაგან გრძნობს, თან ეშინია და თან ცდილობს, რაიმე სასიკეთო მოიმოქმედოს ქვეყნისთვის. ლიქნა, ასპირობა, ნელში წყდომა, ნემსის ყუნწში გაძრომა ყოველდღიურად უხდება სტეფანიზს. მწერალი საგანგებოდ ნერს “ასპირობას” და არა “ორპირობას”, რომ კიდევ უფრო გამოკვეთოს არსებულ რეალობის სიმძაფრე და აუტანლობა. საცოდავია მუდამ შიშსა და პოლიტიკურ გაქნილობაში მყოფი სტეფანიზი, რომელსაც ვერსად მოუსვენია და შიშით ფიქრობს: „მაშ, ლოცვის დროსაც შურტები გვითვალთვალებენ, აღსარებას ღმერთსაც ვერ ეტყვი“.

ღმერთის, ლოცვის და აღსარების იდეა პირდაპირ კავშირშია აბოსთან, რომელმაც იწამა ქართველთა მემვეობით და ახალი ცხოვრების დაწყებაც სცადა — ნოდარ ნულეისკირისეული აბო პირველსავე სურათში ასეა წარმოდგენილი, მას: „.... ქართული კაბა ეცვა და შავი ნაბდის ქუდი ეხურა, ქართველს მაინც არ ჰგავდა, არაბიაო, ვერც იმას იტყოდით.“ აბოს ცხოვრება საკმაოდ დაწვრილებით არის აღნერილი, იგი მაირამწმინდაში სწავლობდა ქართულ ნერაკითხვას, ისმენდა ქრისტეს ცხოვრების ამბებს, ესწრებოდა სამოელ კათალიკოსის მიერ მონაფეთა ფეხისბანის რიტუალს. ყველაფერი ეს იმდენად უცხო და იმდენად სათუთუ გახდა აბოსთვის, რომ იგი მოიხიბლა და აღენთო “სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი ქრისტეს” სიყვარულით. აბოს არ უარყვია არაბობა, მაგრამ მიხვდა, რომ არ შეიძლებოდა ისე უდიერად და უხეშად მოქევა, როგორც მისი თანამემამულები ექცეოდნენ დაპყრობილებს. ის ნიუანსი, რომ აბო ქართველს არ ჰგავდა, მაგრამ ვერ არაბს მიამგვანებდით, მინიშნებაა გმირის სულის მდგომარეობაზე. იგი ამაღლდა დამპყრობლის მენტალიტეტზე, ამაღლდა ძალმომრეობის ყოველმომცველობაზე და გახდა მსოფლიო მოქალაქე. აზროვნებით აბო უკვე ზოგადადამიანური ფასეულობების მატარებელია, მის სულში ჰარმონიამდა კაცომოყვარეობამ დაიმკვიდრა და ასე წარმოგვიდგა ქრისტეს მიმსგავსებული, მორნმუნე და მარტვილი.

მრავალ ეპიზოდში ვხვდებით აბოს, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მისი ჯვრისწერის მომენტი. ეს ამბავი მთლიანად მწერლისეული ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ იგი ორგანულად და კანონზომიერად გვეჩვენება. გურამ მცხეთის მამასახლისის და ანო უცნობ არაბ აბოზე გადაწყვეტს დაქორწინებას და ეს აქტი არის ქართველი ქალის პროტესტი მამაკაცთა უნდობლობასა და უმოქმედობაზე. მან იცის, რომ ქალების პროტესტს დიდი ძალა აქვს და დგე-

ბა უამი უკიდურესი ქმედებისა. ანო არის ქართველი ქალის განზოგადებული სახე, რომლის მთავარი სათქმელი ერთ ფრაზაში ჩაეტია; “როცა მანანი მახვილს ძირს ხრიან, დედათა უნდა აღაპყრონ!”. ესეც კლასიკური მნერლობის ტრადიციებში მოქცეული გააზრებაა, რაც სრულიად დამაჯერებელი და ორგანული ნაწილია აბოს ცხოვრებაზე დაწერილი რომანისა. მზეთუნახავი მდიდარი ქალი პატიმარ აბოზე საიდუმლო ვითარებაში ჯვრისნერით პროტესტს უცხადებს ძმასაც და მის მსგავს კარიერას დახარბებულ ქართველებს.

რომანში ცალკე მსჯელობის საგანია აბოს და გრიგოლ ხანძთელის ნაცნობობა. იოანე საბანისძის შვილი მიქაელიც ერთ-ერთი მოქმედი გმირია, ისიც მნერლის მიერ გამოგონილი გმირია, რომელიც ცალკეულ მნიშვნელოვან ეპიზოდებს აერთიანებს და საშუალებას აძლევს მნერალს ერთმანეთთან მოხდენილად დააკავშიროს რომანისეული ეპიზოდები და ორჭოფი და სულმოკლე ადამიანი ბოლოს მტკიცე მებრძოლად ნარმოგვიდგინოს.

მართალია აბო რომანის მთავარი ფიგურაა, მაგრამ მთელი იმდროინდელი პერიპეტიების სულისჩამდგმელი, ბელადი და მამოძრავებელი ქართული ეკლესია, რომელსაც სამოელ კათალიკოსი განავებს და რომლის ნარმომადგენელიც იოანე საბანისძეა. უზომო გასაჭირის უამსფარულად შექმნილა “საღვთო კავშირი სარკინოზთა ზედამდგომელობის ქვეშ მყოფ აღმოსავლეთ საქართველოსა და თავისუფალ დასავლეთ საქართველოს შორის, სადაც არაბები ველარ მძლავრობდნენ. ამავე კავშირში მოიაზრებიან სამხრეთ საქართველოს ერისთავები, სადაც გრიგოლი ჯერ მხოლოდ ინყებს მოქმედებას და ღვანს.

ნოდარ ნულეისკირმა ნარმომადგენა ქართული აზროვნების და ერის მიერ ქმედების შუაზული, რომლის სათავეები ეკლესიას უჟყრია და რასაც გეზია და მიმართულებას სასულიერო პირები აძლევენ.

ნოდარ ნულეისკირი დამაჯერებლად გვიყვება ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელ სამოელზე, მის მცდელობაზე ქართული ენის საეკლესიო ენად ქცევის შესახებ. სამოელის თანამედროვე ეკლესია ასეთია: “ქართველი ხუცები ჯერაც თავიანთ ნიგნს ევანგელეს ეძახდნენ, მშვენიერ ქართულ სიტყვას — სახარებას რატომდაც გვერდს უვლიდნენ, სიტყვა უამისნირვა დავინყნოდათ და ბერძნულ ლიტურლიას ამჯობინებდნენ, საყდარს ეკლესიას არქმევდნენ... ღვთისმსახურების ენა ანკარა უნდა ყოფილიყო, ვითარცა მთის წყარო. ქართულ ენას შეეძლო ღვთისმსახურება, სხვათა დახმარება არ სჭირდებოდა”. ყოველივე ამას სამოელი ავგარებს, არაბები, ბუნებრივია, ხელს უშლიან. სამოელს თავად ქართველებიც ეურჩებიან. პროგრესს ყოველთვის ელობება წინააღმდეგო-

ბები და ამის გადმოშლა საპირისპირო მოვლენათა ფონზე მართლაც შთაბეჭდავია. სამოელ ეპისკოპოსს მცირეთა იმედი ჰქონდა, მნერალი გადმოგვცემს მის ფიქრთა მსვლელობას: “სამოელს ერთგულების იმედი ჰქონდა, ერთგულება საიდუმლოსაც უკეთ ინახავს, უფრო გამბედავიც არის და თავგანნირულიც, როცა საქმე ეხება სამშობლოს, ერთგულება უმაღ მოსახმობია, მხოლოდ ერთგულთ შეუძლიათ სამშობლოსათვის თავდადება. ერთგულება ზნეკეთილი ადამიანების თვისებაა — ფიქრობდა სამოელ”... სამწუხაროდ, ერთგულები და საიმედონი ყველა დროში ცოტანი არიან და ნოდარ ნულეისკირი ამ სატკივარსაც მკაფიოდ წარმოაჩენს.

**გლობალიზაცია** რომ დღევანდელობის პრობლემა არ არის და ოდინდელ პერიპეტიებშიც კარგად ჩანს იგი, ესეც კარგად იქვეთება ნოდარ ნულეისკირის რომანში, სადაც ერთი გზაარეული გმირი ასე მოძღვრავს ხალხს: „დღეს თუ ხვალ მთელი ქვეყანა მუსლიმის იქნებაო, უმტკიცებდა კარიჭ კარიჭისძე ხალხს, ყოველი ერი დედამინის ზურგზე მსუფევი ხვალ ერთ ენაზე — არაბულზე იმეტყველებს, დედამინას ერთი მბრძანებელი ეყოლება — ხალიფა, ქართველი კაცი ვალდებულია ალღო აუღოს ცხოვრებას და მუსლიმი გახდესო“. ისიც ძალიან საინტერესო ფაქტია, რომ კარიჭ კარიჭისძის მსგავსი “შიგნიდან ამფეთქებლები” ყველა ეპოქაში უცვლელნი და საჭირონი არიან. მაგრამ ვისთვის არიან საჭირონი? — აი, ეს არის “ნეკველაკრულვიანი” საკითხავი.

სარკინოზები ანუ არაბები არასასურველნი არიან ქართველებისთვის, მაგრამ ისინი თავიანთი ძლიერების ზენიტში იმყოფებიან და შესაბამისად მათთან ბრძოლა ძალიან ძნელი და სახითათოა. ნოდარ ნულეისკირის ინტერპრეტაციით ხალხი დაღლილი და ყოველდღიური პრობლემებით შენუხებულია, ხალხს არა აქვს ერთიანი აზრი და ახლო მომავალში არც ფიქრობს ეროვნული ღირსების დაცვაზე. სტეფანიზ ერისთავი საგანგებოდ გაიყოლებს იოანე საბანიძეს ახლომახლო სოფელში და აშკარად დაანახვებს, რომ ერს არ სურს ამაო სისხლის ღვრა. მნერალ ამგვარი სურათს გვთავაზობს: “ერისმთავარი მართალი იყო. ერს არ უნდოდა ბრძოლა, შეოთხა და სისხლისღვრას მორჩილებაში მშვიდად ყოფნა ერჩია. ომებში მოქანცულიყო და მონობას შეგუებოდა. თავისუფლება დავიწყნოდა, უბატონოდ და უმფარველოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინა, ხალიფატის უზარმაზარი იმპერია თავის სამშობლოდ მიაჩნდა და ამაყობდა კიდეც თავისი ძლიერი მფარველით.“ მნერალი რეალისტურად ხატავს დამონებული და ამ მონობას შეგუებული ერის სურათს, მასა უკვე ქედდადრეკილია და გარდუვალობას დამორჩილებული. ამის პარალელურად “ქედფი ცხელი“ ქართველებიც არსებობენ, ისინი ძირითადად ნიგნიერი და მოაზროვნე ხალ-

ხია, ისინი ქმნიან აზრს, ავრცელებენ მას და შესაბამისად თავსატეხს უჩენენ ხელისუფალთ. ყოველი ხელისუფალი წუხდება “ქედფიცხელი” ქვეშევრდომების არსებობით და სრულიად ბუნებრივია სტეფანოზ ერისთავის შიში, წუხილი და ავი წინათგრძნობა.

ერისთავთა სახლეული ლომებად და ცხვრებად გაჰყო ნოდარ წულეისკირმა. სტეფანოზი ცხვრად მონათლა, ნერსე და აშოტი ლომებად. დეგრადირებულ ყოფას ლომები აცოცხლებენ, ხოლო ცხვრები მოვლენებს კვალს ვეღარ ატყობენ. შესაბამისად ნერსე, აშოტი, აფხაზთა მთავარი ლეონი გვევლინებიან ერისთვის აუცილებელ თავააცებად, რომლებიც სასულიერო ხელისუფლებას ნდობით მიჰყვებიან დასახულ მიზნისკენ. აშკარად არის გამოკვეთილი ქრისტიანული რელიგიის შემპარავი ძლიერება და გამძლეობა, მისი როლი ჩვენი ერის სიცოცხლისუნარიანობისა და თავისთავადობაში.

“ღვანლი და წამება აბოსი და იოანესი” ორი კაცის, არაბისა და ქართველის მონამებრივ აღსასრულს აღვვინერს. აბოს ამბავი საყოველთაოდ, ცნობილია, მაგრამ იოანე საბანისძის ცხოვრებაზე ბევრი არაფერია ცნობილი. ნოდარ წულეისკირი იოანე საბანისძის არსებობას, მის ღვანლს და ამქვეყნიდან წასვლას დიდ სიმბოლურ დატვირთვას აძლევს. იოანე ისეთი ვეტრაგიულად აღესრულება მის წიგნში, როგორც არაერთი დიდი მამულიშვილი.

იოანე საბანისძე ქართველების ხელით იღუპება, იგი ხიდის ყურეში ქვით ჩაიქოლება. არაბებმა წინასწარ შეადგინეს გეგმა, რომლის მიხედვით იოანე ქართველების მოღალატედ გამოაცხადეს, მასავე დაბრალდა ქართლში არაბთა დამატებითი ლაშქრის შემოყვანა და ხალხის ორმაგად ანიოება. იოანე გამოაცხადეს მოუსვენარ ადამიანდ, რომელიც თავს აბეზრებდა არაბებს და ვნებდა ქართველებსაც. ხალხის რისხვის გასაღვივებლად დაქირავებული ქართველები “ძალად განრისხებული სახეებით” მსჯავრს დებდნენ იოანეს და მოითხოვდნენ მის დასჯას.

ნოდარ წულეისკირმა ზედმინევნით კარგად შეძლო დამპყრობლის მზაკვრული ბუნების გადმოცემა, დამაჯერებლად და სარწმუნოდ დაგვიხატა მთელი მისი ხერხები და ილეთები, სისასტიკეც და მახვილი ჭკუაც. იოანეს დასჯის ეპიზოდი შემზარავი და სასტიკია, ქართველი ხალხი საკუთარი ხელით კლავს თავის საუკეთესო შვილთაგანს და არავინ არის ამის დამშლელი. მისი გაეპასება სულ სხვა არის გამოწვეული, ხალხი საკუთარ უძლურებას და გასაჭირს უცოდველ ადამიანს გადააბრალებს და მტრის სახეირო საქციელს სჩადის. მასის სიბოროტე, მისი უპიროვნო სახე და სიტუაციის არსი ფსიქოლოგიურად კარგად არის გადმოცემული. მნერალი აშკარად ჩვენს ისტორიულ გამოცდილებას ეყრდნობა და კარგად აქვს გა-

სიგრძეგანებული ვაჟა-ფუაველას მნუხარებაც — „თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება?“

თითქმის ოცი წელი გავიდა მას შემდგომ, რაც გამოიცა “ღვანლი და წამება აბოსი და იოანესი” და დღესაც გვაოცებს მისი რეალისტური მსოფლალქმა. ალბათ ყოველთვის იქნება აქტუალური ქართული ენის სათანადოდ პატრონობის საკითხი, ყოველთვის იქნებიან დაქირავებული “ძალად განრისხებული” მგმობელები, ყოველთვის დასჯიან მართლისმთქმელ შემოქმედი, გვეყოლებიან სხვისი ჩავონებით და ჩვენი ხელით მოკლულ ერისკაცები და ყოველთვის მოგვცემს ვინმე დიდ ზნეობრივ მაგალითს. ყველაფერი ეს იყო მაშინ, როცა გვყავდა “ზედამდგომელნი” და იქნება ამ “ზედამდგომელთა” ვითომ არყოლის პერიოდშიც...

“ღვანლი და წამება აბოსი და იოანესი” ნოდარ წულეისკირმა 1988 წელს გამოაქვეყნა, ერთი წლით ადრე ჯემალ ქარჩხაძემ გამოსცა მოთხოვნების კრებული “დავითი და ანტონიო”, სადაც ერთ-ერთი ტექსტი თევდორე მღვდლის თავდადებას ეძღვნება. მოთხოვნებას “რაპათრუსუმი” ენოდება და მასში გიორგი სააკაძის, ლუარსაბ მეფის და თევდორე თავდადებულის ძვირფას სახელებს ვხვდებით.

“რაპათ-ლუსუმი” 1609 წლის ამბებს ეხება, აյ არაბების ნაცვლად თურქები ფიგურირებენ. ახლა ისინი არიან “ზედამდგომელები” და მოძალადენი. იაკობ გოგებაშვილმა თავისი ისტორიული მოთხოვნები გამოსცა “თავდადებული ქართველნის” საერთო სათაურით და იქ დაწვრილებით აღნერა ცხირეთში მყოფი ლუარსაბის საფრთხეში მყოფობის ამბავი. ასე რომ თევდორე თავდადებულის ამბავიც საყოველთაოდ ცნობილი და ძვირფასია ყველა ქართველისათვის. ჩვენს ინტერესს ინვევს ამ ამბის ახალი ინტერპრეტაცია, რომელიც ჯემალ ქარჩხაძემ შემოგვთავაზა. მნერალმა სრულიად ახალი კუთხით შეხედა ამ მოვლენას და ტრადიციულ თემატიკას ახალი გამომსახველობით სიცოცხლე შთაბერა. მან თვალნათლივ დაგვანასა დამპყრობლის ბუნება, მრავალმხრივ საკუთარი თვალსაზრისი და პირადი დაკვირვებები ევროპელი პერსონაჟების დახმარებით მოიტანა ჩვენამდე.

ჯემალ ქარჩხაძემ ევროპელი ელჩისა თუ მოგზაურის სტამბოლში სტუმრობას აღვინერს, რომელიც სრულიად შემთხვევით გახდა შორეული და უცნობი საქართველოს ამბების მცნობი და ყოველივეს ალბათ მორიგ აღმოსავლურ ზღაპრად მიიჩნევს.

უცხო თვალით დანახულ და შეფასებულ საქართველოს ჩვენება ჩვენს მნერლობაში აპრობირებული ხერხია. ეს არის კარგი ცდა — გამიჯნო საგანს და შორიდან შეუდგე მის აღქმას და აღნერას. ჯემალ ქარჩხაძე თურქი სულეიმანის სატეივარს გადმოგვცემს, მისი აღზრდილი

ომან ფაშას ავად დასრულებულ სიცოცხლეზე მოგვითხრობს. სულეიმანი იძულებული გამხდარა ჩამოშორებოდა ქვეყნის მმართველობას, რადგან მისი აღზრდილი ომან ფაშა საქართველოში ერთი მღვდლის სიჯიუტესა და სიკერპეს შეენირა. ზის ეს ბევრისმნახველი მოხუცი კაცი სტამბოლის ქუჩაში და ტკბილეულს ყიდის. მან იცის უეჭველი რამ, რომ გურჯის ლამაზი ქვეყანა ყველაზე გამოუცნობი და ვერაგია, რომ ვერაფერს გაუგებ მის მცხოვრებლებს და სულ ტყუილად გექნება იმედი პლაცდარმად გამოიყენოს.

ჯემალ ქარჩხაძე გვთავაზობს ტრადიციულ სქემას: ჩვენ და მტრები ანუ ჩვენი და თურქები. მნერლის ოსტატონისა და ინტუიციის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ამ ტრადიციულ სქემას იგი სწორხაზოვნად სულაც არ განავრცობს. ანტაგონისტური ტონი უარყოფილია და მხოლოდ თემის დინჯად განსჯა და გაანალიზება წარმოდგენილი. “რაპათ-ლუხუმის” უპირველესი ლირსება ისაა, რომ მასშო სულაც არ არის თვალშისაცემი ურაპატრიოტული ნოტა და ყველაფერი ზნეობრივ-მორალურ პლანშია გადაწყვეტილი.

მნერალი ერიდება ყოველგვარ გადაჭარბებას და გადახვევას მოცემული თემიდან, ევროპული მოგზაურის თვალით სინჯავს ამბავს და თურქის პირით გადმოგვცემს ქართული ხასიათის თავისებურებებს. სულეიმანი ნამდვილი აღმოსავლელია, მას საკუთარ შესაძლებლობებზე ყოველთვის გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდა. ევროპელის თვალშიც მნიშვლეოვან პიროვნებად უნდა გამოჩნდეს და ხშირად შეახსენებს თავის სატკივარს: „მე, ვინც სახელმწიფო საქმეებს უნდა ვწყვეტდე, სტამბოლის ქუჩებში რაპათ-ლუხუმს ვყიდი, ისინი კი, ვინც რაპათ-ლუხუმის გამყიდველად არ ვარგიან, სასახლეში სხედან და სახელნიფო საქმეებს წყვეტდნენ“. შეიძლება ეს სიტყვები სიმართლედ მივიჩნიოთ, შეიძლება გადაჭარბებად ჩავთვალოთ, მაგრამ მნერალი გვაგრძნობინებს, რომ ყველა დროში და ყოველ საქმეში წინასწარი დაგეგმვისა და დიდი ძალისხმევის გარეშე შედეგს ვერ მიაღწევ. თავად სულეიმანის სიტყვებში ცხადდება თუ სად დევს და მისი შეგირდის მარცხის მიზეზი. ეს კაცი დაუდეგარი და ცნობისმოყვარე იყო, ბევრი რამ აინტერესებდა, თავად ამბობს: “ბოლომდე არცერთ საქმეს არ მოვყოლივარ. დაუდგომელი გული მქონდა, ყველაფერი მალე მყირჭდებოდა და ერთ ადგილას დიდხანს ვერ ვძლებდი. თავად არ ვიცოდი, რა მინდოდა“... ბოლოს სულეიმანი ომარ ფაშას აღმზრდელი ხდება და იმედი აქვს მისი მომავლის. ზერელე და ღრმად არაფრისმცოდნე აღმზრდელი ოცნებებს ომანის გასულთნებაზე, თავად მის ვეზირად და პირველ კარისკაცად წარმოუდგენია თავი. მტკიცედ სჯერა, რომ: “აღაპის ბრწყინვალე მზის ქვეშ საუკეთესო შე-

გირდმა საუკეთესო ოსტატი იპოვა”. მომავალში ეს ბრწყინვალე გათვლა და თამამი მიზნები ქართული ხასიათის ზერელედ ცოდნას შეენირება.

ქართველების ეროვნული ხასიათი თურქი პერსონაჟების აზომვით მთლიანად ოქროს მონობაზეა მონოდებული. ალი მირზა არიგებს სულეიმანს და ომან ფაშას, რომ გურჯები ზედმეტად არც უნდა დააფასო და არც გადააფასო.

ალი მირზამ ისე დაავერა სულეიმანი და ომან ფაშა იმაში, რომ გურჯებს ოქროთი ყველაფერს გააკეთებინებ, რომ ეჭვიც არ შეპპარვიათ მის სიტყვებში. ალი მირზა მოძღვრავდა სულეიმანს და ომან ფაშას: “გურჯი ოქროს დახარბდება და მონად გაგიხდება, ხოლო რაკი მონად გაგიხდება, არც ოქროს დაკარგავ, რადგან შენი მონის ოქრო იგივე შენი ოქროა“. ალი მირზა ნამსახური იყო ქართველი მეფის კარზე და კარგად იცოდა კარისკაცთა ბუნება, იგი საქმაოდ საზრიანად აფასებს მეფის გარემომცველ ქართველებს, მაგრამ არ იცის, რომ ხალხი და სასახლის კარი სხვადასხვა რამ არის. ალი მირზა ამბობს: “გურჯი უნდა აქო, თავი ისე უნდა მოაჩვენო, ვითომ შენ იმის ფერხთა მტკრად არა ლირხარო, გურჯი გულუბრყვილო, თანაც გადამთიელის ნათქვამს ყოველთვის უფრო იოლად იჯერებს, ვიდრე თავისიანისას, ამიტომ სწრაფად მოგენდობა და შეუყვარდები, ხოლო რაკი შენ შეუყვარდები, საკუთარი ძმა შესძულდება, რადგან ერთი გურჯის გულშიორი სიყვარულივერტევაო“. ალი მირზას ყოველ სიტყვას ხალას ჭეშმარიტებად ჩათვლიან მისი მსმენელები.

სულეიმანი არ არის გულუბრყვილო კაცი, მაგრამ სწრაფ იმან დაღუპა, რომ ყველა ფულის მონა ჰვონია, ყველა ერთნაირი და ერთ ტაფაში მოხალული. ალი მირზა ბევრ რამეში მართალია, მან თვითონ ინვინა ქართველებისგან ყველა “სიკეთე”, მაგრამ სხვათა გამოცდილება მხოლოდ ერთი მხარე საკუთარი თვალთახედვის ჩამოყალიბებაში. მართალია ალი მირზას დაკვირვება: “მაძლარი გურჯი კარგი გურჯია, მაძლარ გურჯს ბრძოლა არ უყვარს, მაძლარ გურჯს მხართებოზე წოლა და სლოკინი უყვარს“... ასევე სწრანი შეხედულება: “გურჯი არხეინია და უზრუნველი, მუდამ ღვთის იმედზეა და თავისი გასაკეთებელიც ღმერთს უნდა გააკეთებინოს“... მაგრამ რეალობა სულ სხვაგვარ გურჯთან შეახვედრებს სულეიმანს და მის არნივს.

ჯემალ ქარჩხაძე კარგად გვიჩვენებს თურქი პერსონაჟების ხასიათს, მნერლის მიერდახატული გმირები რთული ბუნების და ცხოვრებისეული გზის ადამიანები არიან. აქვთ მახვილი თვალი და დიდი ამბიციები. საქართველო მათთვის არის სამოქმედო ასპარეზი, რომ აქ თავი გამოიჩინონ და სამშობლოში სასურველი კარიერა გაიკეთონ. სრულიად გასაგებია მათი მისწრაფება წინასწარ გაისიგრძეგანონ მოსალოდნელი სიძ-

ნელეები. ამასთანავე ისინი ზედმეტად პრაგმატული ადამიანები არიან, ზედმეტად ენდობიან ერთმანეთს მოსაზრებებს და არ ფიქრობენ რა-მე სხვა თვისებაც დაინახონ მოწინააღმდეგენი. ოქრო სულეიმანსაც და ომან ფაშასაც ყველა-ფერს ერჩიათ, მათ საკუთარი სისუსტე იოლად განავრცეს სხვებზეც და ამით შეცდნენ. ისინი ემონებოდნენ და ეთაყვანებოდნენ ოქროს, მას-ში განსხეულებულ ამქვეყნიურ ძალაუფლებას და ვერც ნარმოიდგენდნენ სხვებიც ასეთი არ ყოფილიყვნენ. ფაქტიურად ალი მირზა ამბობ-და სწორედ იმას ქართველთა შესახებ, რასაც ომან ფაშა და სულეიმანი იოლად ირწმუნებოდ-ნენ და მოიწონებდნენ...

ჯემალ ქარჩხაძის მოთხოვნაში არის ერთი პერიფერიული პერსონაჟი, ლურსაბ მეფისა-გან გამოქცეული ქართველი კაცი, რომელიც საფასურის გადახდის შემთხვევაში მზადაა გა-ყიდოს საკუთარი ქვეყანა. სულეიმანს ეს პერ-სონაჟი კიდევ უფრო არწმუნებს ალი მირზას სიტყვების სისწორეში. ამ კაცის გაცნობისა და საქმიანი ურთიერთობის შემდგომ სულეიმანი ასკვნის, რომ: “როცა გურჯი მხრებს ასე ათა-მაშებს, ეს იმის ნიშანია, რომ სინდისი სულთა არა აქვს.” ასე ორიგინალურად დაუკავშირდა ერთმანეთს სინდისი და სიარულის მანერა, რაც აშკარად საინტერესო დეტალია და პირდაპირ უკავშირდება მნერლისეულ დაკვირვებას.

ომან ფაშას და სულეიმანმა მოსყიდული ქართველის დახმარებით მესაზღვრე ჯარი გაანადგურეს და არხეინად გაემართნენ ლუარსაბ მეფის შესაპყრობად. გზად ქართველი გამყოლიც მოუკვდაო და სპარსელიც და ალალბედზე პირველივე შემხვედრს დააკისრეს ეს მისია. პირველივე შემხვედრი ქართველი კი არც მეტი, არც ნაკლები; მღვდელი თევდორე აღმოჩნდა.


ჯემალ ქარჩხაძემ არავის აღუნერია თევდო-  
რე თავდადებულის პორტრეტი, მისი გარეგ-  
ნობა და იერსახე. ჩვენ მხოლოდ მისი საარაკო  
ნამების და მისი თავშენირვის მისტერია ვიცო-  
დით. ჯემალ ქარჩხაძის თევდორე დაახლოებით  
ოცდათხუთმეტი წლისაა, ქერანვერ-ულვაში და  
თაფლისფერი თვალები აქვს, მრგვალი პირისა-  
ხე და მხრებში ოდნავ მოხრილია. არ არის არც  
ერთი ზედმეტი სიტყვა, არც სენტიმენტალუ-  
რი კლიშეები და მაღალფარდოვნება. საამაყო  
და ძვირფასი ნამებულ ჩვეულებრივ ადამიანად  
არის დახატული. იგი გარემოებამ და მომენ-  
ტმა აქცია ვმირად, ალბათ არასოდეს უფიქრია,  
ოდესმე მარტვილთა რიგებს რომ შეუერთდე-  
ბოდა და უკვდავებას ჰპოვებდა. ჯემალ ქარჩხა-  
ძე ამ შეხვედრას ასე აგვინერს: “ამოდენა ლაშ-  
ქარი, რომ დაინახა, ფერი დაკარგა, ნამით შეტ-  
რიალება და გაქცევა დააპირა, მაგრამ მაშინვე  
მიხვდა, რომ ვერსად ნაგვივიდოდა და გადაი-  
ფიქრა. იჯდა ჯორზე გახევებული, კანკალებდა  
და უაზროდ შემოგვცეკეროდა”... მოგვიანებით  
ამ ადამიანმა სიკვდილი ისე მიიღო, როგორც

თავად არჩია, ხოლო მნერალმა ასე წარმოიდგინა მისი აღსასრული: “მღვდელი არც იძვროდა და არც ხმას იღებდა. ომან ფაშა კი უკვე გონდა-კარგული იყო. ჯერ ცერა თითი აძგერა და ცალი თვალი ამოუგდო, მერე ყელში კბილებით ჩააფ-რინდა და ძიძგნა დაუნეო, თან უაზროდ იმეო-რებდა: “გაგვიძლვები თუ არა... გვასწავლი თუ არა გზას”... წყეულ მღვდელს კრინტი არ დაუძ-რავს და ერთი კვნესაც არ დასცდენია. მხოლოდ მაშინ, როცა ფეხზე დგომა ვეღარ შეძლო და ძალანართმეული მუხლებზე დავარდა, მისუსტე-ბული, ძლივესგასაგონი ხმით თქვა: “გმადლობ, უფალო...” მერე წამოდგომა დაპირა, წამოინია კიდეც, მაგრამ ძალა არ ეყო, გვერდზე გადაი-ხარა და მარცხენა მხარით დაეცა ძირს”. ჯემალ ქარჩხაძე ასევე შთამბეჭდავად ჰყვება ომან ფა-შას აღსასრულზე. სულეიმანის ოცნებების ჩა-ფუშვასა და განგების ოინზე.

"რაპათ-ლუხუმის" სამყარო ზღაპრული აღმოსავლეთია ნებისმიერი ევროპელისთვის, ბრჭყვიალა და ფერადოვანი. სინამდვილეში ეს ბრჭყვიალება მოჩვენებითია და ზერელე თვალიერებისთვის განკუთვნილი. უფრო ღრმად გაცილებით სერიოზული ვნებები ჩქეფს და პრაგმატული გეგმები ისახება.

ნოდარ წულეისკირის „ნამება და ღვანლი აბოსი და ითანესი“ რომანია, ჯემალ ქარჩხაძის „რაპეთ-ლუხუმი“ მოთხერობა, ორივე XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს გამოქვეყნდა და ორივეს ერთი ქვეტექსტი უდევს საფუძვლად – როცა საბჭოთა იდეოლოგიამ ამოძირვა ღვთის სახსენებელი, როცა რელიგია ბანგად გამოაცხადა საბჭოთა ბელადმა, ერის ქვეცნობიერმა, პროტესტის ნიშნად, სწორედ ღმერთთან და სულიერებასთან მიახლოება მიიჩნია აუცილებელ ქმედებად. ეს მყის აირეკლა მნერლობაში, რომელიც ყოველთვის პროგრესული იდეებით ხელმძღვანელობდა. აბისა და თევდორე მღვდლის მონამეობრივი აღსასრული სხვადასხვა უანრის ტექსტში განსხვავებულად აისახა და ნარმოჩინდა.

"ზედამდგომელობა" ყოველთვის ცდილობდა თავისი წესები ეკარნახა და დაებეჩავებინა ერი, მაგრამ ვერაფერს უხერხებდა აზროვნების თავისუფლებას. ჩვენი წმინდანები უპირველესად მოაზროვნე და ნიგნიერი პიროვნებები იყვნენ, ისინი ზნეობრივ მაგალითს იძლეოდნენ, სხვა დანარჩენი მათი ამ საქციელით გამოწვეულ რეზონანსზე იყო დამოკიდებული.



# ცურაული ხანხების უძინვესი

იმაზე ცოტა მეტი ვარ,  
შენ რომ გგონია მტერო!

(ნერილი პოეზიის საღამოზე უნდა წაკითხულიყო)

გავკალნიერდები და ამ სიტყვებით და-  
ვინცებ ჩემს გამოსვლას. მისალმების საოც-  
რად პოეტური ფორმით და რამდენადაც პო-  
ეტურია, იმდენად საამაყოა ჩემთვის, რომ  
ასეთი მისალმება ჩემს ქვეყანაში, ჩემს ხალხს  
შეუძლია. სწორედ მან მოუძებნა სიბერემო-  
რეულ სამყაროს შესაფერისი პოეტური სახე  
მისალმებისა. მეც სწორედ ამიტომ ავირჩიე  
ასეთნაირად მოგსალმებოდით, რადგან დღეს  
პოეზიის საღამოა და მართლადაც ღირსია  
ასეთი გვირგვინი იყო მისი მაღალი და ნათე-  
ლი შუბლის სამკაული.

პოეზიის საღამოა. ისეთი საღამო, როცა  
პოეზიის ხსენებაზე უხერხეულ მდგომარეობა-  
ში არ ვარდები, საღამოზე, რომელიც მთლი-  
ანად პოეზიითა გაჯერებული. შენელებული  
პოეზიის უმაღლესი ფერით, ღირიკის ფერით.

ღირიკაა ის განმასხვავებელი ნიშანის ცაჟა-  
ოთარაშვილის შემოქმედებისა, რომელიც ად-  
ვილად საცნაურია. თავისი სილალით, ღექსის  
მართვის შესაშური ოსტატობით. ღირიკაა  
ყველგან აზროვნების ყველა დინებაში. არა-  
და, როგორ მოუხდება დღევანდელობას ასე-  
თი სილალე. ასეთი შინაგანი თავისუფლება.  
მხოლოდ ასეთ საღამოებს შეუძლია ქართუ-  
ლი ჯიშის მარადიული ფორიაქი, ქართული  
სისხლის შეუნელებელი დუღილი. მადლობა  
გამჩენს, რომ ჩემს ქვეყანას ასეთ მეომართ  
არ ულევთ.

ნუ შეგაკრთობთ ბატონებო, სიტყვა მე-  
ომარი დღეს ყველაზე მეტად ეს თვისება  
გვაკლია. თვისება მეომრის — მარადიული  
სიფხიზლე, მარადიული უინი ქვეყნის მსახუ-  
რებისადმი, ესეც ვაჟა ოთარაშვილის პოეზი-  
ის ლიბოა. რაც ზემოთ მოგახსენეთ, მხოლოდ  
ძმადნაფიცის ტონად რომ არ ჩამეთვალოს.  
მისი შემოქმედებიდან ორ ღექსს გამოვყოფ,  
მხოლოდ ორ ღექსზე შევაჩერებ თქვენს ყუ-  
რადლებას და თქვენთან ერთად დიდი სია-  
მოვნებით კიდევ ერთხელ დავუგდებ ყურს,  
თუ როგორ სუნთქავს სტრიქონი, რა პარმო-  
ნიულია პოეტის ყოველი ნერვისა და ღექსის  
ყოველი ბგერის შეფარული ურუოლვა, რომე-  
ლიც მისი პოეზიის ერთი თვალის გადავლე-  
ბით იოლად გაგეპარებათ, რადგან ღექსის  
გარეგნული ეფექტის ტყვეობაში ექცევით და  
იმ ეფექტის შემდგომ ნაკითხულ ორ ღექსზე  
საუბარს, ჩემეულ ხედვას მოგახსენებთ.

“იმაზე ცოტა მეტი ვარ,  
შენ რომ გგონია მტერო”.

ვერ გაგამტყუნებ. ხარ ეფექტის ტყვეო-  
ბაში, რადგან ემოციაა გონების ნინმსნრები,  
რადგან გული იღებს პირველ იმპულსს ემო-  
ციისას, რადგან ის უფრო აქტიურია. გონება  
მხოლოდ მაშინ ერთვება, როცა მიღებულ ინ-  
ფორმაციას კარგად გადაამუშავებს და ამი-  
ტომაც პირველი ორი სტრიქონის ტყვეობაში  
მოვექეცით და უყურადღებოდ გავატარეთ  
შემდეგი ორი სტრიქონი:

შენთვის რომ დედა მეტირა  
დღეს იქნებოდი მტერი.

დააკვირდით, როგორი ლალია პირველი  
ორი სტრიქონი, მაგრამ შემდეგი ორით —  
თითქოს სამდურავს უთვლიდეს თავის თავს,  
ასე მოგეჩვენათ. მართალი ხართ. მეც ასე  
მომეჩვენა პირველი სტროფის ნაკითხვისას,  
მაგრამ როდესაც ღექსი ხელმეორედ ნავი-  
კითხე, მივხვდი სადაც შევცდი, რის გამოც  
შევცდი და ამიტომაც გავპედე და ჩემი ღამით  
ნაფიქრით თქვენთან სასაუბროდ მოვედი.

ახლა კი ჩემი ფიქრის მიმართულების,  
გეზის მიმცემ სტროფს მივადგები და ცოტა  
ხანს თქვენც მოგინევთ შეჩერება, თორემ, თუ

ისევ ცალ-ცალკე ვიარეთ, ისევ ჩვენ ჩვენს აზ-რზე ვიდგებით და ვერც ვერავინ შეგვაცვლე-ვინებს. თუ პირველ სტროფში ხედავ გმირს, რომელიც მითოლოგიურ იერს ატარებს, რომ-ლისთვისაც ომი და მტრის ხატი ლხინი, ხორ-ციელი ლტოლვა სურვილია სისხლის მარადი-ული სიფხიზლისა, არც ომში აკლია სილალე და არც ომის მერე, აი რატომ.

**“იმაზე კარგად ვმღერივარ  
შენ რომ გვინია ქალავ,  
ლერნამის ორი ლერი ვართ,  
გვნვავს სიყვარულის ძალა”.**

გაიგე ჩემო მსმენელო, — ლერნამის ორი ლერი ვართო და სიყვარულის ძალა გვნვავსო. ხედავ რა გამისხლტა ხელიდან გულის შემწე-ობით და რა დალექა გონებამ თავის მუდმი-ვად მოძრავ დანთებულ ქურაში. სწორედ ის სიყვარულის ძალა, რომელმაც პირველ ორ სტიქონში ნაგრძნობი სინანულის გრძნობა-ზე უარი მათქმევინა და მიმაჩნევინა, რომ ეს მხოლოდ ხერხია პოეტის, პოეტური ხერხი, რადგან თუ შენში პოეტური სულია, მიზანი მისი არაა მტრის ფიზიკური განადგურება, ამიტომ უშვებს მტვრადქცევის შესაძლებლო-ბას, რადგან დღეს თუ ხვალ მტვერს შეუძლია გარკვეული ფორმის მიღება და ამ შემთხვე-ვაში პოეტი ფიზიკური დაწყვილების მეტად ორიგინალურ, ლირიულ ხერხს მიმართავს. აქ საუბარია მეორე სტროფზე. სადაც უფრო მინიშნებითაა ნათქვამი, რომ მხოლოდ მეო-რის ყოფნას შეუძლია პირველის ყოფნა გაა-მართლოს და შინაარსი შესძინოს და შემდგომ უკვე ადვილად მისახვედრია, საოცრად ლალი ფინალი.

**“ქარი ვარ შარახვეტია  
გზები რომ აგიმტვერო,  
იმაზე ცოტა მეტი ვარ,  
შენ რომ გვინია მტერო”.**

მე ვფიქრობ აქ უკვე ჩემის დახმარებით იოლად იპოვი ბოლომდე გასასვლელ ფონს. მაგრამ თუ გაგიჭირდა და ჩემი გვერდში დგომა მოისურვე, ჩათვალეთ რომ მზადა ვარ თქვენთან სამუსაიფოდ, ეს ჩემთვისაც გონე-ბის ერთგვარი ვარჯიშია.

ახლა, როგორც შეგპირდით მხოლოდ ორ ლექსზე ვისაუბროთ. პირველზე გრძლად სა-უბრისთვის გებოდიშებით და მეორე ლექსს შემოგთავაზებთ.

ამგვარად, ჩემო მეტისმეტად თავაზიანო მსმენელო! მეტისმეტადო — ამას თავმდაბ-ლობის გამო არ მოგახსენებთ, ჩემნაირად, გა-უგებრად მოსაუბრე კაცს, ყოველთვის მეტის-მეტობის განცდა ანუხებს, მხოლოდ თქვენი ხასიათი რომ ვიცი, ახლაც არ შეგიშლით ხელს და მე თუ არ დავუმოკლე სადავე კალამს და გონებას არ ვაგრძნობინე, რომ ჯერ კიდევ შე-

მიძლია მისი სტიქიური დინებათა მართვა, ვინ იცის სადამდე გაგრძელდეს ჩვენი საუბარი და თუ თანაც არცთუ ძან დიდი იმედი მაქვა თქვენი ხანგრძლივი -თმენისა. ძირითადი მი-ზანი ჩემი თქვენი დახმარებისა იმაში, გამოი-ხატება, რომ ჩემთვის უფრო ნაცნობია ხერხი პოეტური ინტრიგისა, დაგეხმაროთ მის მო-ძიებაში. ვაჟა ოთარაშვილის პოეზიისთვის კი ეს ინტრიგა კარგის გაგებით უცხო არაა. პირ-ველ რიგში, აუცილებელია ვიცოდეთ თუ რო-გორ მოძრაობს პოეტი, ერთი მდგომარეობი-დან მეორეში, სტატისტიკურიდან დინამიურ-ში და დროსა და სივრცეში. პირველ ლექსში ამის შესახებ არაფერი გითხარით, რადგან ეს უფრო მეორე ლექსისთვის მჭირდებოდა, და რაკი ჩემთვის ნაცნობია თქვენი საზრიანობა მსგავსებას პირველსა და მეორეს შორის ად-ვილად დაინახავთ.

როგორც იქნა მივადექით მეორე ლექ-სსაც.

**„ა იმ ქედებზე პაპაჩემის პაპის ძვლებია“**

და შენ ჩემო მსმენელო, თუ მაინცდა მაინც ახირებული არა ხარ, არ დაგჭირდე-ბა ჩასვლა ნოსტეში, შენი სახლიდანაც ადვი-ლად დასანახია ის, რის დანახვასაც პოეტი ნოსტედან ცდილობს. განა შენს ნინ რომ სამ-შობლოს ქედებია ჩამომდგარი და მათ კალ-თებზე ამოყრილი ნაცრისფერი კლდეები. — შენი ნინაპრების ამოყრილ ძვლებს არ გაგ-ნებს, შენივე სათაყვანებელი მამულის კალ-თებზე?! როგორ არ გაგონებს და ამისთვის ვაჟა ოთარაშვილის ომახიანი, ტკივილით გა-ჯერებული შეძახილი დაგვჭირდა, რათა ამ სურათის ხილვისას დაძრული ფიქრი ერთის მიმართულებით გვემართა, ზემოთ დროში მოძრაობაზე მოგახსენებდით. აი ნათელი მა-გალითი ამ მოძრაობისა, აი, რა შეუძლია პოე-ტის გონება-განაფულობას. როგორ ეიოლება პოეტს ნარსულიდან დღევანდელობაში ისე გადმოგვიყვანოს, რომ მძაფრი განცდა პირ-ველის ხილვისა არ გაგინელოს და გააფერ-მკრთალოს დღევანდელი დღის სახე. ნოსტეში მივყართ, სადაც ნოსტელ ბიჭების ნყალზე ჩარეკილ ცხენებისა და ამ ბიჭების ფუსფუს-ში დაგანახოს ნარსულისა და დღევანდელის უწყვეტი ჯაჭვი. ნარსულის იმ ქედებზე დანა-ხული პაპიჩემის პაპის ძვლებში და ნოსტელ ბიჭებში, რომელნიც მომავალთათვის ასევე პაპის პაპის ძვლები იქნებიან.

მადლობა მინდა ვუთხრა პოეტს და თუ თქვენი სურვილიც იქნება, ერთიანად უფრო არ გამიჭირდება, რადგან ის ამის ლირსია.

ეკუთვნის უფლის მაღლმა ეკუთვნის!



# წიგნის ცენტრი

## ტიციან ტაბიძის ცხოველი ნაშრომები

**ეგნატე ინგოროვა—ნინოშვილი** (1861—1894) არის ფუძემდებელი ქართული მარქსიზმისა. მის საფლავზე გამოცხადდა ახალგაზრდა მარქსისტთა პროგრამა. ე. ნინოშვილი ნერდა პუბლიცისტურ ნერილებს ისტორიული მატერიალიზმის დასაცავად, მაგრამ უპირველესად ნინოშვილი ცნობილია როგორც ბელეტრისტი.

იგი დაიბადა 1861 წელს ლარიბი გურული გლეხის ოჯახში. ფსევდონიმი აიღო თავისი დედის ნინოსაგან. ადრე დაობლებულმა ეგნატემ ბავშვობიდანვე გამოცადა მნარე გაჭირვება. რვა წლის ასაკიდან მოჯამაგირეობ-

და ერთ მღვდელთან, შემდეგ მოხვდა ფოთშიან ტყის მენარმესთან. აქედან ბათუმში პორტის მუშა ხდება, მაგრამ დიდხანს ფეხი ვერ მოიკიდა. ჯერ კიდევ მოჯამაგირეობაში ისწავლა ნერა—კითხვა, შევიდა სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ აქიდან უკანასკნელი კურსიდან გარიცხეს არეულობაში მონაწილეობისათვის. მოემზადა და დაიჭირა გამოცდა სოფლის მასწავლებლობაზე მაგრამ დიდხანს არ უმასწავლებლია და აქაც დევნა განიცადა, როგორც შფოთიანმა ელემენტმა. შედარებით დიდხანს მსახურობდა ზესტაფონში ერთ მარგანეცის მნარმოებლის კანტორაში და ბათუმში, როტშილდის ქარხანაში. თავის ავტობიოგრაფიაში იგი აღნერს საშინელ სამუშაო პირობებს. ისედაც ავადმყოფ ჭაბუკს არ შეეძლო დიდხანს გაძლება. ტუბერკულიოზით დაავადდა და სიცოცხლე 33 წლისამ დაასრულა. ბედმა ინება, რომ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მას ბევრი წყენა და გაჭირვება მოემკო, რათა სამუდამოდ ჩამოყალიბებულიყო მარქსისტად და გაეცნობიერებინა მუშების კლასობრივი ინტერესები.

მეგობრებმა მას მოუწყვეს უცხოეთში გამგზავრება. ორი წელი იგი უმუშევრად ხეტიალობდა საფრანგეთში. შესაძლოა იქ მან ბევრი ვერაფერი ისწავლა, მაგრამ სამაგიერდ მიეჩინა ბურუუაზიული წყობის სიძულვილს და განიმსჭვალა კლასობრივი შეგნებით.

ნერა ნინოშვილმა ადრე დაიწყო. მისმა მოთხოვებმა უცებ იპოვა მეტობელი, ამ პერიოდს განეკუთვნება მისი სიახლოვე გ. ნერეთელთან. თავის ნანარმოებებში ე. ნინოშვილი აღნერს სოფელზე კაპიტალიზმის დამანგრეველ მოქმედებას და შექმნილ ეკონომიკურ ურთიერთობებს. დაუნდობელი კაპიტალი გზას მიიკვლევს სოფლისაკენ. ყველაზე უკეთ ეს ნაჩვენებია მოთხოვების “პალიასტომის ტბა”. ლარიბ გლეხს ივანეს ქალიშვილის გათხოვება უნდა, მაგრამ ამისთვის საჭიროა მზითევის მომზადება და საერთოდ ფულის მომარაგება. იგი ტოვებს ოჯახს და სამოვარზე მიღის. პალიასტომის ტბაზე მან დაამზადა შეშა, მაგრამ ტივების გადატანისას ამოვარდა ქარიშხალი და ივანე დაიღუპა თავის ვაჟთან ერთად. გლეხის სტიქიასთან ბრძოლის ეს შემზარები სურათი მნერალმა განსაკუთრებული ოსტატობით დახატა.

ამავე თემაზე, როგორ ერეკება კაპიტალი გლეხს სოფლიდან და როგორ იღუპება იგი ამ ბრძოლაში, ნინოშვილს დაწერილი აქვს რიგი მოთხოვებისა. იწყება გლეხების კლასობრივი დაშლა. ზოგიერთს აღაზევებს ვაჭრობა და მათ კაბალაში ჰყავთ დანარჩენები.

მოთხოვება “სიმონაში” აღნერილია ასეთი

ტიპები დავით დროიძისა და მისი ვაჟის სახით. დავით დროიძემ შეძლო გამდიდრება სანარდო სამუშაოებით; მას სოფელი მარნუხებში ჰყავს მოქცეული. ქალაქიდან დაბრუნებულ მის შვილს მოეწონება ლარიბი გლეხის სიმონას ცოლი. დროიძე ისე მოაწყობს, სიმონას დაბეზლებით დაპატიმრებენ. უმცროსი დროიძე ძალით დაეუფლება პატიმრის ცოლს, მაგრამ დაბრუნებული სიმონა კლავს თავის მტერს და ყაჩალად გავარდება.

ამავე თემაზეა დაწერილი მოთხრობა "მოსე მწერალი". სოფლის მწერალი მოსე ლარიბი გლეხიდან გადაიქცევა სისხლისმსმელ ჩინოვნიკად. მახეს უგებს უმეცარ გლეხობას და ქრთამის წყალობით დიდ ქონებას აგროვებს. ერთხელ იგი ჩავარდა სიყალბეზე, თუმცა მოახერხა თავის დაძვრენა. დაზარალდნენ გლეხები და ხუცესი, რომელიც მას ენდო.

ქალაქი გამხრნელად მოქმედებს სოფელზე. აი, ერთმა გლეხმა თავი დააღნია სოფელს; ქალაქში ერთ დიდ ვაჭართან "პრიკაზჩიკად" მოეწყო. აქ იგი საშინელი სენით დაავადდა. დაბრუნდება თავის სოფელში, დაქორნინდება ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე ქალშვილზე და დაღუპავს მის ცხოვრებას. სხვა დროს იგი დაეუფლება ერთი გლეხეაცის ცოლს და მოღალატე ცოლთან ერთად მისი შვილებიც დაიღუპებიან.

საერთოდ ქორნინების პრობლემა ხშირად არის აღძრული ნინოშვილის ნანარმოებებში. მიზეზი ყველა უბედურებისა ისევ ეკონომიკური უთანასწორობაა. ქალიშვილს ათხოვებენ ანგარებით, მაგრამ მალე თავს იჩენს სიყვარული, მაგრამ სიყვარული იღუპება მოტყუებული ქმრის უცაბედი ნასწრებით.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ე. ნინოშვილის მოთხრობა "ქრისტინე". აქ უბედურების მიზეზია ნოდებრივი უთანასწორობა. ახალგაზრდა ქრისტინეს შეუყვარდება აზნაური სიკო. საყვარელი მას მალე მიატოვებს და იგი ბავშვიანად სოფელში აუტანელ პირობებში აღმოჩნდება. მშობლები მას სახლიდან გააგდებენ და მას შეიფარებს ქალაქიდან ჩასული საეჭვო ყოფაქცევის მეგობარი სონა, რომელიც ასეთივე სიყვარულის შემდეგ მოხვდება საროსკიპოში. ქრისტინე ქალაქში მარტო აღმოჩნდა. იგი მალე დაიყოლიეს გარყვნილებაზე და მან საშინელ ნამებაში დაასრულა სიცოცხლე სადღაც ქალაქის გარეუბნის დუქანში სასიკვდილოდ დაჭრილმა ნაჩეუბებული კავალრებისაგან.

გადაგვარებულ აზნაურთა თავაშვებულობა აღნერილია მოთხრობაში "ჩვენი ქვეყნის რაინდი". აქ თავზეხელალებული და გარყვნილი თავად მკლავაძის მსხვერპლია სოფლის

მასნავლებლის სპირიდონ მცირიშვილის ცოლი დესპინე. ცოლ-ქმარი ელოდება მატარებელს, რომელიც ზვავების გამო იგვიანებს. ისინი იძულებული არიან ღამე გაათიონ დუქანში. იქ მათ მიუხტება ტარიელ მკლავაძე თავის თანამეინახეებთან ერთად. თავდასხმა მოგერიებული იქნა. მეორე დღეს სპირიდონ მცირიშვილმა ნერილი მისნერა ტარიელს, მოუბოდიშა, რომ არ შეეძლო სტუმრის მიღება ღამით. ტარიელ მკლავაძე შეურაცხყოფილია იმით, რომ მისთვის ნერილის მინერას ბედავს ვიღაც სოფლის მასნავლებელი მცირიშვილი და ცემს მას ცოლის თვალნინ. მცირიშვილის ცოლს ნერვიული აშლილობა დაემართა. ის კოშმარულ სიზმრებს ნახულობს, თითქოს დათვი მიათრევს ბუნაგში. მალე იგი კვდება. სპირიდონ მცირიშვილმა გულში ჩაიდო შურისძიება, ხვდება თავადს იმავე სადგურზე და რევოლვერის გასროლით კლავს. რასაკვირველია, გავლენიანი თავადის მკვლელობისათვის მას გააციმბირებენ.

ნინოშვილის ყველა ტიპი გამოხატავს გარდამავალი ეპოქის ცხოვრებას, იმას, თუ როგორ გადალაგდნენ ისინი 80—იანი ნლების სოციალურ ვითარებაში.

გლეხობის დაყოფა, კლასებისა და ნოდებათა ურთიერთობები—აი, მისი რომანების საგანი..

იგი ამხელს უმეცრებას, ძველ ცრურნმენებსა და ადათ-ნესებს პატრიარქალური ყოფისა და ძველი სამეურნეო ფორმების რღვევის უამს.

მის ნანარმოებებში უპირატესად დამუშავებულია გურიის მასალა, იგი შესანიშნავად იცნობდა გურიის სოფელს და მთელი სისრულით ასახა იგი.

მისი სოციალური იდეალი ყველა მის ნანარმოებში ჩანს, არ არის გამუქებული პესიმიზმით, როგორც სხვებთან. მას მგზნებარედ ნამს აღმავალი კლასისა და მისი კულტურის მომავლისა.

მის უახლოეს მოსნავლედ უნდა ჩაითვალოს ერთი ყველაზე ნიჭიერი მწერალი XX საუკუნისა—ჭოლა ლომთათიძე.

ეგნატე ნინოშვილი ნარმოადგენს პროლეტარული მნერლობის მამამთავარს საქართველოში. მის მიერ დაყენებული პრობლემები აქტუალურია სადღეისოდაც და მთელი რიგი პროლეტმნერლების მიერ მუშავდება.

ნერილ აზნაურთა აგონია გამოხატა დავით კლდიაშვილმა. თავად გამოსული ამ წრიდან, იგი ბავშვობიდან აკვირდებოდა, თუ რა ტემპით მიმდინარეობდა აზნაურთა დეკლასირება. ზოგჯერ გვეჩვენება, რომ დავით

კლდიაშვილმა პროზაში გამოხატა ის, რაც ემილ ვერპარნმა ლექსებში, განსაკუთრებით ციკლში "სოფელი აჩრდილი".

ქალაქი სულ უფრო მეტად შლის თავის საცეცებს და ანგრევს წვრილ აზნაურთა ბუდეებს, მაგრამ მინასთან ატავისტური სიახლოვე გამომგონებლობის სასწაულებს ახდენს, რათა შეინარჩუნოს თავისი ბუდეები. მაგრამ ნიადაგი დღითიდლე უფრო მეტად ირყევა. ყოველი დღე ახალ უბედურებას უქადის და დავით კლდიაშვილის გმირებიც საშინლად კომიკურ მდგომარეობაში ცვივიან.

რომანისტი არ ახდენს აქცენტირებას იდეოლოგიაზე. სატირული ნოველის განსაკუთრებული ანუ გამონაგონი უანრი მომენტური ოფორტებით გაღატაკებულ აზნაურთა ისეთ გამაოგნებელ ტიპებს იძლევა, თითქოს ყველაფერი კომიკური პასაუებისათვის არის მოხმობილი. დრამა იმდენად ღრმაა, რომ სიცილის ნაცვლად თვალზე ცრემლი გვადგება. თითქოს ყველაფერი სასაცილოა, ამბობს ავტორი, მაგრამ რატომლაც ისე გამოდის, რომ სევდა ცვლის სიცილს.

გავერანების საშინელება, მარტოობის სევდა დავით კლდიაშვილის გმირებს მაინც ვერ ართმევს აქტიურობას. ერთ აზნაურს თავი იმით გააქვს, რომ მონადირე ძალლი შოულობს მისთვის სადილს. მან ისე განვრთნა ძალლი, რომ ასწავლა გლეხებისათვის ქათმებისა და მჭადის პარვა, რასაც უზიდავს თავის პატრონს.. მეორე აზნაური, ბიბლიური სოლომონის მოსახელე, მაჭანკლობას ეწევა. იგი ახერხებს ერთი ლარიბი აზნაურის ქალიშვილი გაურიგოს მომავალ მღვდელს, მაგრამ მისი მეზობელი ვერაგულად მოატყუებს, არ მისცემს დაპირებულ ფულს. სოლომანის ვაჭრობა მის მომტყუებელ მეზობელთან და სასიძოსთან განსაკუთრებული იუმორითაა დაწერილი.

შესანიშნავია ასევე აზნაურ სამანიშვილის თავგადასავალი. პლატონ სამანიშვილი ერთ დღეს თავისდა სამნუხაროდ, შეიტყობს, რომ მამამისს ცოლის შერთვა გადაუწყვეტია. იგი დიდხანს ცდილობს, გადაათქმევინოს, მაგრამ მოხუცი თავისაზე დგას. მაშინ იგი თავად თავაზობს მოხუცს საპატარძლოს ძებნას. ეძებს ქვრივს, რომელიც იყო ორჯერ გათხოვილი და არც ერთხელ არ ჰყოლია შვილი. შვილის მოგზაურობა სადედინაცვლოს მოსაძებნად აღსავსეა სასაცილო შემთხვევებით. ბოლოს და ბოლოს იგი მაინც მოტყუებული რჩება: დედინაცვალმა ბიჭი შვა. მას მოუწევს მემკვიდრეობის გაყოფა. კარდაკარ სიარული სადედინაცვლოს მოსაძებნად ავტორს ხელ-

საყრელ საბაბს აძლევს გაღატაკებული აზნა-110 ურების ეპოპეის დასაწერად.

"კალმასობის" შემდეგ დ. კლდიაშვილმა პირველმა ააღორძინა საქართველოში მხატვრული იუმორი და კრიტიკაში მან დაიმკვიდრა მცირებამულიან იმერელ დონ კიხოტთა სერვანტესის სახელი.

სხვა გამოჩენილი ბელეტრისტი ამ ეპოქისაში არაგვისპირელია. როგორც გარდამავალი მომენტის გამომხატველი, მთლიანად გამსჭვალულია ბნელი პესიმიზმით.

შიო არაგვისპირელმა, იმყოფებოდა რა მოპასანის ძლიერი გავლენის ქვეშ, პირველმა შემოიტანა ქართულ პროზაში ნოველა. მაგრამ მალე იგი თავისუფლდება უცაბედად შემონაქროლი სატანიზმისაგან და პოულობს თავის სატემელს. სხვადასხვა ადრეულ თხზულებებში, ფსიქოლოგიური ეტიუდების გამოკლებით, იგი ახლოს იდგა ხალხის ცხოვრებასთან.

გლეხვაცთა სახეები გაცილებით ცხოვრებისეულია და მხატვრულად ღირებული, ვიდრე ხალხოსნებთან. განსაკუთრებით ეხერხებოდა მას მუსულმანი გლეხების ხატვა. აქ პირველად ალაპარაკდა მათ შესახებ და ამომნურავად გადმოსცა მათი ყოფა.

სიცოცხლის ბოლოს არაგვისპირელმა მკვეთრი შემობრუნება გააკეთა—დაწერა ერთადერთი რომანი "გაბზარული გული". ეს მისი პირველი დიდი ქმნილებაა, თუ არ ჩავთვლით "გიულის", მოთხოვთას ბორჩალოელი თათრების ცხოვრებიდან.

ამ რომანში არაგვისპირელმა აღწერა ძველი ხელოსნებისა და ფერდალების საქართველო. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რომანი აგებულია ისტორიულ, ხან ლეგენდურ მასალაზე, ავტორმა შექმნა გასაოცარი გალერეა ხასიათებისა.

ისტორიული საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-კოშკების უთვალავ ოსტატ-მშენებელთა ტიპები არაგვისპირელთან აღდგნენ ახალი სიცოცხლისათვის. მათ მან აღორძინების ხანის ადამიანთა სიცოცხლე შთაბერა. ასევე კარგადაა გამოსახული ფერდალთა ტიპები, განსაკუთრებით რომანის გმირი მშვენიერი ეთერი.

უსახელო ოსტატ მახარეს შეუყვარდება გავლენიანი თავადის ასული. რომ დაანთოს სიყვარულის ცეცხლი ამაყი ლამაზი ასულის გულში, მან შექმნა ლითონის საგანი, რომელიც უტკბილეს ხმებს გამოსცემს. ქალს სურს მიიღოს ეს ლითონის ზარი, მაგრამ იგი უარზეა. მამა ეხმარება ასულს, მაგრამ ოსტატი გაჯიუტდა, თავადს კი არა აქვს უფლება

ძალით წაართვას ზარი. ბოლოს და ბოლოს ოსტატი დაუთმობს შეყვარებულს ამ ზარს — გულს. ქალსაც შეუყვარდება ოსტატი, მაგრამ მალე პატივმოყვარეობა თავისას იზამს. იგი მიატოვებს ოსტატს და მეფისწულს გაჰყება. მახარე შეძრნუნებულია, მიატოვებს კეთილ ოსტატებს, გადაიქცევა რაინდად და ავლენს გმირულ სულს. გათხოვებისას ჯადოსნური ზარი — გული ჩანყდა და აღარ ისმის ჯადოსნური ხმა. მაგრამ ეთერი ისე მიეჩვია გულს, რომ ნაღველისაგან კვდება. ბოლოს და ბოლოს მიჯნურები შეხვდებიან ერთმანეთს და რომანი მთავრდება მოზეიმე სიყვარულის სიმღერით.

დასასრული რომანისა ოდნავ ნაუცბათევის შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ იგი მაინც საუკეთესოა ქართულ პროზაში, ისევე გამძლე, როგორც “ტრისტან და იზოლდა”.

XX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში შეინიშნება საზოგადოებრივი გამოცოცხლება, მოძრაობა გარევეულ ფორმებს იძენს და აგრარული მოძრაობის საფუძველზე თამაშდება დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები.

მოძრაობის ხელმძღვანელობას ხელში იღებს სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელმაც იმ დროისათვის მოასწრო ქალაქის პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის მასობრივ პარტიად გადაქცევა.

როცა გათამაშდა 1905 წელი, როგორც კლასობრივი ბრძოლების გენერალური რეპეტიცია, ქალაქის პროლეტარიატს უკვე ჰყავდა თავისი მომღერლები. აქ განსაკუთრებით გამოირჩა იროდიონ ევდოშვილი. იგი მაშინვე მოექცა ახალი დემოკრატიული მნერლობის სკოლის სათავეში და გარევევით განიმსჭვალა კლასობრივი იდეალით.

ი. ევდოშვილის ამ პერიოდის ლექსები ნაღარასავით უდერდა. მან არნახული პოპულარობა მოიპოვა მოსახლეობის ფართო ფენებში და მართლაც გამოხატავდა აღმავალი კლასის მისწრაფებებს. მაგრამ როგორც კი რევოლუციის ტალღა ჩაცხრა, მას გული აუცრუვდა თავის იდეალებზე და გადავიდა ლიბერალური ინტელიგენციის ბანაკში. მიზეზი გახდა იღია ჭავჭავაძის მკვლელობა. მოულოდნელად იროდიონ ევდოშვილმა თავის გუშინ დედ მეგობრებს პამჟლეტით მიმართა. მალე იგი გარდაიცვალა ტუბერკულიოზით, საშინელ გაჭირვებაში. მისმა ახალმა მეგობრებმა დაივინყეს ავადმყოფი პოეტი. მან თავისი ლექსების სრული კრებულის გამოსვლამდეც კი ვერ იცოცხელა. მაგრამ პირველი პერიოდის იროდიონ ევდოშვილი აქამდე ითვლება პრო-

ლეტარული პოეზიის მამამთავრად. მან შექმნა მთელი სკოლა დემოკრატიული მნერლებისა. თვით პირველი განვევის პროლეტარი პოეტებიც კი აქამდე ვერ განთავისუფლებულან მისი გავლენისაგან.

იროდიონ ევდოშვილის უახლოეს მონაფეებად ითვლებიან დემოკრატიული პოეტები ვარლამ რუხაძე, გიორგი ქუჩიშვილი, ნოე ჩხიცვაძე; პროლეტარ მნერალთაგან ნოე ზომლეთელი და სანდრო ეული.

პირველი ჯგუფის პოეტები თავიანთ ლექსებში ევდოშვილზე შორს ვერ ნავიდნენ, სამაგიეროდ ბოლომდე განავითარეს მისი თემები. მათგან ყველაზე მეტად დანინაურდა ვარლამ რუხაძე, მაგრამ ოქტომბრის შემდეგ მინელდა და მის ლექსებში აღარაა ადრინდელი ენთუზიაზმი. სხვებზე ნიჭიერი იყო ნოე ჩხიცვაძე, მაგრამ იგი ადრე გარდაიცვალა და ვერ მოასწრო თვითგამოხატვა. ზოგიერთ მის ნახელავს ვერპარნული ლექსის იერი დაპკრავს. მას აქვს ინტიმურობით აღსავსე ლექსებიც. დიდი ტემპერამენტი გიორგი ქუჩიშვილისა პოეზიაში ვერ პოულობს გამოხატვას. მისი ლექსები ერთფეროვანია, თუმცა აღბეჭდილია რევოლუციური სიფხიზლით.

ამ ჯგუფში ცალკედ დგას ალექსანდრე აბაშელი. მან დაინუო ევდოშვილის მოტივებით. მაგრამ ადრეულ რუს სიმბოლისტთა გავლენის ქვეშ მოექცა, ყველაზე მეტად კ. ბალმონტისა. მისი ლექსები დახვენილობით განსხვავდება ამ ჯგუფის პოეტთა ლექსებისაგან, მაგრამ მისი ოსტატობა მაინც ვერ ხდება კონცენსირება ერთგვარი სიმშრალისა და განყენებულობისა. ოქტომბრის შემდეგ მასში გარდატეხა მოხდა. თავიდან მას არ ესმოდა სოციალური რევოლუციის თემები, მაგრამ მასში თანდათან ჩამოყალიბდა თანამგზავრი. მისი ლექსები საბჭოთა აღმშენებლობაზე ერთგვარად საუკეთესოებად ითვლება.

პროზაში დემოკრატიულმა სკოლამ ნამოსნია ბრწყინვალე ნოველისტი ჭოლა ლომთათიძე. მისი მოთხოვნები, რომლებსაც იგი უმეტესად ციხეებში წერდა, რევოლუციური პათოსითა და აღტკინებით სუნთქავს. იგი ერთგული მონაფეა ეგნატე ნინოშვილისა, გაიარა ისეთივე ცხოვრების გზა. მეორე სახელმწიფო დუმის ნევრი დემოკრატიული ფრაქციიდან,, იგი ნლების მანძილზე მეფის ციხეებში იჯდა და იქვე გარდაიცვალა.

თავის ნანარმოებებში სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა რწმენა პროლეტარიატის შემოქმედებითი ძლიერებისა. 1905 წლის აქტიურმა მონაწილემ, ლომთათიძემ თავის

მოთხოვდებში გადმოსცა პირველი რევოლუციის რომანტიკა, მშობლიურ გურულ სოფელთან სიახლოვემ, ხოლო გურია ითვლებოდა რევოლუციის კერად, მას მისცა შესაძლებლობა აესახა ხალხთა მასების რევოლუციური აღმაფრენა.

ნერის მანერით იგი არ არის სუფთა რეალისტი. მასზე დიდია გავლენა კნუტ ჰამსუნისა ცხოვრების შეგრძნობის გადმოცემაში. ამ უკანასკნელმა მას არ შეუშალა ხელი ბოლომდე ჰქონოდა კლასობრივი შეგნება და კოლექტივიზმის რწმენა.

მის ნანარმოებთაგან მნიშვნელოვანია “ძე კაცისა” დაუმთავრებელი რომანი. სოციალ-დემოკრატიული გაზეთიც ჩხერეკისას უანდარმებმა წაიღეს “თეთრი ღამის” ხელნანერის ბოლი, რომელიც ტუსალის დღიურის ფორმითაა დაწერილი.

მოთხოვდაში “პირველი მაისი” გამოყვანილია ლენინი. ეს პირველი მხატვრული ნანარმოებია,, რომელშიაც რევოლუციამდე გვხვდება ლენინი.

უახლოესი მონაფეები ჭოლა ლომთათიძისა არიან ლეო ქიაჩელი და დ. ლიხელი. განსაკუთრებით დაწინაურდა ლეო ქიაჩელი, რომელმაც დაწერა რომანი 1905 წლის ეპოქიდან “ტარიელ გოლუა”. პირველი ტომი იმავე 1905 წლის ეპოქაზე შექმნილი რომანისა “სისხლი” ნელს გამოვიდა და ერთსულოვანი ქება დაიმსახურა მარქსისტული კრიტიკისა. მოთხოვდები დ. ლიხელისა, ასევე 1905 წლის რევოლუციის მონაწილისა, მხოლოდ ეპიზოდებს გადმოსცემს. მან ჯერ ვერ მოახერხა დიდ ტილოზე გაშლა.

XX საუკუნის პოეზიის მეორე მიმართულებას მეთაურობდა კოტე მაყაშვილი. მან გადაიღო მოდერნისტების გარეგნული მანერა, ცდილობდა ლექსის რეფორმირებას, თუმცა განსაკუთრებული ნარმატება არ ჰქონია. უფრო მეტად გამოიჩინეს თავი მისმა მიმდევრებმა ალექსანდრე შანშიაშვილმა და იოსებ გრიშაშვილმა.

ალექსანდრე შანშიაშვილი წმინდა პოეზიის ლოზუნგით გამოვიდა. თავიდან იმყოფებოდა გერმანელ და ქართველ რომანტიკოსთა გავლენის ქვეშ. ამ პერიოდის მის პოემებსა და დრამებს ასევე ატყვია აღრეული სიმბოლიზმის ნაკვალევი, მაგრამ შემდეგ ეროვნულ თემებზე გადაინაცვლა გლეხური განხრით. შემდეგში მისი ლექსები და დრამები აშეარად თანამგზავრულია და იგი ითვლება გლეხი პოეტების სკოლის დამაარსებლად.

იოსებ გრიშაშვილმა ასევე მოინდომა მოდერნიზება ქალაქის ხელოსანთა კლასის აღმოსავლურ-სექსუალური პოეზიისა. აშუღუ-

რი პოეზიის ღრმად შესწავლა დაეხმარა მას ასეთი სახის პოეზიისათვის ახალი ელფერის მინიჭებაში, სამაგიეროდ იგი მოკლებულია ნამდვილი აშუღების ორგანულობას, თუმცა მისი ლექსები უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობდა, რასაც დიდად ეხმარება ოსტატური კითხვა. ლექსი იგი შეგნებულად უდგება, თუმცა ხშირად ვარდება იაფფასიან ვირტუოზობაში. უკანასკნელ ხანს დაწერა ორი წიგნი ძველი თბილისის ყოფასა და საიათ-ნოვას ცხოვრებაზე..

დემოკრატიულ პოეტებთან ერთად გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძე, მაგრამ მათ მაღლედასცილდა. ადრეული მისი ლექსები ძველი რუსი პოეტებისა და ადრეული ბლოკის გავლენის კვალს შეიცავს. მაგრამ დემოკრატიული ჯგუფის პოეტთაგან იგი ყველაზე მეტად ფლობს ჰანგს. ზოგიერთი მისი ლექსი ახალი პოეზიის საუკეთესო მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მისი პალიტრის თავისებურება არაჩვეულებრივი ლირიზმია.

უკანასკნელ ხანს მან მკვეთრად შეცვალა თავისი პოეზიის ტონი და წერს გამორჩეულად რევოლუციურ თემებზე. ამათგან საუკეთესოდ ითვლება პოემა “ჯონ რიდი”, თუმცა იგი ბუნდოვანია და აუნყობელი.

აკადემიურ ასოციაციაში გაერთიანებული არიან განსაკუთრებული მიმართულების არმქონე პოეტები და მნერლები და ისინი ძალიან ბევრი არიან. მათ შორის აღსანიშნავია უხუცესი ვასილ ბარნოვი, ბევრი ისტორიული რომანისა და მოთხოვდაში ავტორი თბილისის ხელოსანთა კლასის ცხოვრებაზე.

მიხეილ ჯავახიშვილი, რომელმაც თავისი სამნერლო მოღვაწეობა დაიწყო მაქსიმ გორგის გავლენით, შემდეგ ემიგრაციაში წავიდა ევროპაში და თითქმის 25 წელი მნერლობას აღარ მისდევდა. ხელახლა დაიწყო წერა გასაბჭოების შემდეგ 1923 წელს და უცებ მიიცია ყურადღება მოთხოვდებით თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ თემებზე. პირველი მისი ნანარმოებები მარქსისტულმა კრიტიკამ თანაგრძნობით მიიღო, მაგრამ შემდეგ შესამჩნევად გამემარჯვენდა. ექვსი წლის განმავლობაში დაწერა რამდენიმე დიდი რომანი და მოთხოვდა. მკითხველთა შორის დიდად პოპულარულია. თარგმნეს მრავალ ენაზე, მათ შორის რამდენიმე წიგნი გამოცემულია რუსულ ენაზედაც.

ნიკო ლორთქიფანიძე ნიჭიერ ბელეტრისტია, წერს ნოველებს ალტენბერგის მანერაზე, მაგრამ თანდათან დიდ სამუშაოზე გადადის. იმერეთის ყოფაზე შექმნილმა ნანარმო-

სა", მესამე—უურნალ "შვილდოსანისა".

ამ ჯგუფს განეკუთვნებიან:

**გრიგოლ რობაქიძე,** ბევრი ლექსის, პიესებისა და კრიტიკული ცდების ავტორი. მისი უკანასკნელი რომანი "გველის პერანგი" გამოვიდა გერმანულ ენაზე მტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით. წიგნს გერმანული პრესა თანაგრძნობით შეხვდა.

**ნიკოლო მინიშვილი,** პოეტი და რომანისტი. საქართველოში ნამონია დოკუმენტური პროზის პრინციპი. ამ უანრშია შესრულებული მისი წიგნი "თებარვალი" (გასაბჭოების ეპოქა) და "ეპოპეა", ევროპაში ქართული ემიგრაციის ცხოვრებიდან. ორივე ეს წიგნი ნათარგმნია რამდენიმე ენაზე.

"ცისფერყანნელების" ჯგუფში დასახელებულ მწერალთა გარდა ითვლებიან **ნიკოლოზ ნადირაძე,** გიორგი ლეონიძე, რაჟდენ გვეტაძე, **შალვა აფხაძე,** სერგო კლდიაშვილი, ალი არსენიშვილი, ივანე ყიფიანი, ელენე დარიანი, **შალვა კარმელი,** სანდრო ცირეკიძე. ორი უკანასკნელი პოეტი ამ სამი წლის წინ გარდაიცვალა.

ბრძოლა თვითმყოფადი მსოფლმხედველობისათვის ამ სეოლაში დიდი ხანია მიმდინარეობდა. გასაბჭოების შემდეგ ზოგიერთმა ამ პოეტთაგან ზურგი აქცია ნარსულს და აქტიურ სამუშაოზე გადავიდა, დაინყო რევოლუციური თემების დამუშავება.

რუსული "ლეფის" მსგავსად უკანასკნელ ხანს ჩაისახა ქართული "ლეფი", მიიღო რა "ლეფის" იდეოლოგიური პლატფორმა, ქართველი "ლეფელები" მასალაზე დამოუკიდებელ მუშაობას ცდილობენ. ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ არ გათავისუფლებულა უფროსი თაობის პოეტების გავლენისაგან. მათზე გავლენას ახდენენ ასევე პროლეტარული პოეტები.

ქართველ ლეფისტთა შორის პოეზიაში გამოირჩევა სიმონ ჩიქოვანი, ბევრი ლექსისა და საბჭოთა პოემის ავტორი. იგი რედაქტორობს ჯგუფის უურნალ "მემარცხენეობასაც". პროზაშია—დემნა შენგელაია, ავტორი რამდენიმე დიდი მოთხრობისა და რომანისა "სანავარდო", რომელიც თარგმნილია რუსულ ენაზე.

დ. შენგელაია შემოქმედებითი მეთოდით უფრო სიმბოლისტების სკოლასთანაა ახლოს. შესამჩნევია ბ. პილნიაკის გავლენაც, მაგრამ თანდათან თავისუფლდება გავლენისაგან და საკუთარ მასალას ამუშავებს.

"ლეფის" სხვა მონაწილენი საბჭოთა მუშაობას ენევიან ხელოვნების სხვადასხვა სფეროში: კინოში, კლუბებსა და თეატრებში.

ებებმა დიდი ნარმატება მოუტანა. დალიან მომთხოვნი მხატვარი ცოტას წერს, მაგრამ ყველა მისი ნახელავი მხატვრულად გასრულებულია და დიდი ოსტატობით აღბეჭდილი.

**შალვა დადიანი,** ცნობილი რეჟისორი და დრამატურგი, ავტორია ბევრი მოთხრობისა და დიდი ისტორიული რომანისა თამარ მეფის ცხოვრებიდან "უბედური რუსი".

შ. დადიანი დადიანების ძველ არისტოკრატულ ოჯახში აღიზარდა. ბავშვობიდან შეისწავლა კლასიკური ქართული ენა და ენის სრულყოფილი ცოდნით ნარმატებით გამოირჩევა ყველა თანამედროვე ქართველ მწერალთა შორის. თავის პროზაში იგი

შესანიშნავად სარგებლობს ამ უპირატესობით. შალვა დადიანი მემარჯვენე თანამგზავრად ითვლება.

**არისტო ჭუმბაძე** ექსპრესიონისტია, პროზაიკოსი. პირველი მისი თხზულებები დანერილია კნუტ ჰემსუნისა და სკანდინავიელი მწერლების ზეგავლენით. დიდხანს ცხოვრობდა ევროპაში, უკანასკნელ წლებში—სკანდინავიაში. საბჭოთა თემებზე დაწერილი მისი მოთხრობები გამოირჩევა გულახდილობითა და ოსტატობით.

1915 წელს გამოვიდა ახალი სკოლა პოეტებისა "ცისფერი ყანნები". ამ პოეტების გამოსვლა დაემთხვა სიმბოლიზმის სკოლის დასრულებას და ფუტურიზმის დასაწყისის ეპოქას. თავის მანიფესტებში ეს სკოლა პოეტებისა აცხადებდა პოეზიაში ამ ორი მიმართულების შერწყმას, თუმცა მაინც ფრანგული სიმბოლიზმისაკენ იხრებოდა.

განსაკუთრებით თვალშისაცემია ზეგავლენა ბოდლერის, რემბოს, მალარმეს, ლაფორგისა და ვერლენისა, რომელთა ლექსებსაც ისინი თარგმნიდნენ და გამოსცემდნენ.

მაგრამ "ცისფერყანნელმა" პოეტებმა მიაგნეს თავის ეროვნულ ფორმას და ნამოაყენეს ლოზუნგი მინასთან დაბრუნებისა.

ქართულმა ლექსმა, ხელუხლებელმა აკაკი წერეთლის დროიდან, მათში ახალი რეფორმატორები ჰპოვა. ამაშია ამ პოეტების უდაოდამსახურება ქართული პოეზიის წინაშე. მათ რამდენიმე ახალი სალექსო საზომი შემოიტანეს და პირველებმა დაწერეს სწორი სონეტები, ტრიოლეტები, ოქტავები, კანცონები და ბალადები.

ჯგუფი დააარსეს პოეტებმა პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ და ვალერიან გაფრინდაშვილმა, უპირატესად ლირიკოსებმა. პირველი უურნალ "ცისფერი ყანნების" რედაქტორი იყო, მეორე—გაზეთ "ბარიკედი-

ახალგაზრდა კინორეჟისორთა შორის დაწინაურდა ნიკოლოზ შენგელაია, კინოფილმ „ელისოს“ ავტორი.

გასაბჭოების დროიდან მტკიცდება პროლეტარულ მნერალთა სკოლა. ზოგიერთი მათგანი ოქტომბრის რევოლუციამდეც წერდა ლექსებსა და ცნობილი იყო პოეზიაში. ამ თაობის პოეტთა შორის გამოირჩევიან ნოე ზომლეთელი და სანდრო ეული.

ნოე ზომლეთელმა ლექსების გარდა დაწერა მთელი რიგი პოემებისა 1905 წლის ეპოქიდან, გამოჩენილ რევოლუციონერ-ბოლშევიკის კამოს ცხოვრებიდან. ზომლეთელის სხვა პოემებში აღნერილია საბჭოთა სოფლის ყოფა და სოციალისტური მშენებლობის გაშლილი ფრონტი. მან დაწერა რომანიც იგივე 1905 წლის ეპოქაზე — „იფქლი“, ითარგმნება რუსულ ენაზე. ყველა პერიოდულ გამოცემაში შეიძლება შევხვდეთ მის ნანარმოებებს. მას განსაკუთრებით ეხერხება სატირა და იუმორი. ამ მხრივ მას ადარებენ დემიან ბედნის.

ზომლეთელის წერის მანერა ძველია. იგი შეგნებულად აგრძელებს პოეზიაში აკაკი წერეთლისგზას, ხალხურ შემოქმედებაზე აქცენტირებით.

სანდრო ეულიც ლექსების გარდა წერს პოემებს. უკანასკნელი მისი პოემები ეძღვნება თანამედროვეობის ყველაზე აქტიურ თემებს: სოფლის კოლექტივიზაციას და მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას. მას როგორც ძველ მუშას, ასეთი თემები ყველზე მეტად ეხერხება. ამ პოემებიდან ცნობილია „კომუნა“ და „ჩათახი“.

სანდრო ეულის ლექსები იდეოლოგიურად სხვაზე მეტად გამართულია.

სანდრო ეული წარმოადგენს პროლეტარული პოეტების ასოციაციის დამაარსებელს საქართველოში.

პროლეტარულ პოეტთა ამავე თაობას განეკუთვნებიან იონა ვაკელი, პ. სამსონაძე, იაკინთე ლისაშვილი.

უკანასკნელთაგან უფრო დაწინაურებულია ი. ვაკელი, თუმცა ბევრ ზეგავლენას განიცდის, განსაკუთრებით კლასიკოსებისას. შემდეგ მოდიან პროლეტმნერლები, კომკავშირელთა რიგებიდან გამოსული. 1925 წელს მათ შექმნეს ჯგუფი „პროლეტარი“. ესენია: ბენიტო ბუაჩიძე, პლატონ ქიქოძე, შალვა რადიანი, ალიო მაშაშვილი, კარლო კალაძე და კონსტანტინე ლორთქიფანიძე. პირველი სამი მარქსისტული კრიტიკის სფეროში მუშაობს, დანარჩენები პოეზიაში. ამუამად უმთავრესად ისინი ენევიან აქტიურ მუშაობის პროცესში; პროლეტარულ მნერალთა მთელი მნერალთა ამიერკავკასიის ასოციაციის უურნალში „აღმოსავლეთის საზღვარზე“ და საქართველოს პროლეტარულ მნერალთა ორგანოში „პროლეტარული მნერლობა“, ასევე სხვა გამოცემებში ყოველმა მათგანმა გამოსცა კრიტიკული წერილებისა და ლექსების რამდენიმე წიგნი. ამ ჯგუფის პოეტები ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე კ. კალაძე უფრო ორგანულად შეიგრძნობენ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციას და ეხმაურებიან თანამედროვეობის აქტუალურ თემებს. კ. ლორთქიფანიძე მუშაობს პროზაში და აქვს საგრძნობი წარმატებები. კ. კალაძემ დაწერა პირველი პროლეტარული დრამა, რომელიც გასულ სეზონში მიღიოდა კ. მარჯანიშვილის დადგმით.

გაძლიერებული მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე კომკავშირელ ახალგაზრდობაში. მათ შორის არიან მომავლის მქონე პოეტები. განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან მუშა პოეტები და ძველი ბოლშევიკები: შ. ნავთლულელი, გ. თიანეთელი და გ. ხეჩიუაშვილი.

პროლეტარულ პროზაში გარდა ზომლეთელისა და ლორთქიფანიძისა, მუშაობენ ე. პოლუმორდვინოვი და ნ. ასლამაზაშვილი. ე. პოლუმორდვინოვი ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ უეჭველად ნიჭირია.

საერთოდ პროლეტარული მნერლების მხატვრული კვალიფიკაცია შესამჩნევად იზრდება. ამაში მათ ეხმარება აღმავალ კლასთან სიახლოეს, რომელიც მთელი ძალების დაძაბვით ქმნის პროლეტარულ კულტურას.

## თარგმანი თემურ ჯაგოდნიშვილმა

დასახული



# კუს მუსა ქვიში

ჭახთალი მასინალებელი  
ფოცელობის ესთატისტები  
პოლისტალები

მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობას ფოლკლორის სამეცნიერო შესწავლის უმდიდრესი გამოცდილება გააჩნია, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა უდერდეს, ფოლკლორის ესთეტიკური ბუნების, ესთეტიკური რაობის, მისი, როგორც კულტურის თავისთავადი მოვლენის, ესთეტიკური იერსახის განმსაზღვრელი პრინციპის კვლევას ყველაზე ნაკლები ყურადღება ეთმობა. ეს განსაკუთრებით ხაზგასმით ქართული ფოლკლორისტიკის მისამართით შეიძლება.

როგორც ჩანს, ამ შეუსაბამობას აქვს თავისი ლოგიკური ახსნა, თუმცა, ამჟამად ამის კვლევას არ შევუდგებით. ჩვენს ამოცანად გვსურს დავსახოთ, ფოლკლორის, სახელ-დობრ, მუსიკალური ფოლკლორის, და კიდევ უფრო კონკრეტულად, ქართული მუსიკალური ფოლკლორის ერთი მნიშვნელოვანი, მრავლისმეტყველი თავისებურების განხილვა ესთეტიკურ ჭრილში. ვგულისხმობთ მოვლენას, რომელიც მეტ-ნაკლები ხარისხით მსოფლიოს ყველა ხალხის ფოლკლორში იჩენს თავს, ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში კი განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება; ამასთან, იგი სპეციფიკურად ფოლკლორული მოვლენაა და მას პროფესიულ ხელოვნებაში ფაქტობრივად არა აქვს ანალოგია. ეს გახლავთ სხვადასხვა ეპოქის ისტორიულ-სოციალურ პირობებში შექმნილი, სახისმეტყველების პრინციპებითა და ენობრივი სირთულის ხარისხით ძირეულად განსხვავებული ფოლკლორული ნანარმოებების თანაარსებობის საკითხი.

ერთი შეხედვით, აქ უცნაური თითქოს არაფერია. მარტივი და რთული, ნაკლებად განვითარებული და ზედმინევნით რაფინირებული, ისტორიულ-ესთეტიკურ დროებათა ნიშნით აღბეჭდილი მხატვრული ნიმუშების ერთდროული არსებობა სრულიად ბუნებრივი, ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ფაქტია პროფესიული ხელოვნების ნებისმიერი დარგისთვის, თუნდაც იმავე პროფესიული მუსიკისთვის. ამავე დროს, ეს ობიექტური რეალობაა ყოველი ერის ხალხურ შემოქმედებაში, მაგალითად, ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში, რომლის შემქმნელი ხალხი მე-20 საუკუნის ჩათვლით, თვით უკანასკნელ დრომდე, ასრულებდა მუსიკალური ფუძე-ენის ინტონაციურ ბირთვებზე აგებულ საკულტო თუ სანესო სიმღერებსა და სუფრული უანრის ურთულეს ნიმუშებს, არქაული იერის, მარტივი მუსიკალურ-მხატვრული სტრუქტურის შელოცვებსა თუ მითვლებს და გრანდიოზული მასშტაბის შრომის სიმღერებს, ნადურებს, ერთხმიან „დიდებას“, „ლაზარეს“, „იავნანას“ და სამხმიან „ჩაკრულოსა“ თუ „მრავალუამიერს“. მაგრამ ფოლკლორში უბრალო მღერასთან ანუ უბრალო შესრულებასთან არა გვაქვს საქმე და არც შეიძლება გვქონდეს, ვინაიდან აქ შესრულება მუდამ ნიღნაყარია შემოქმედებასთან და, ფაქტობრივად, მასთან ერთად ამბივალენტური ბუნების მქონე რთულ ესთეტიკურ მოვლენას ნარმოადგენს, რასაც „ფოლკლორული შემოქმედება“ შეგვიძლია ვუნოდოთ. სწორედ ეს არის ის ერთი უმთავრესი ფაქტორი, რაც ზემოხსენებულ მოვლენას პარადოქსულ ელფერს სძენს.

ფოლკლორში სინამდვილისადმი დამოკიდებულების ესთეტიკური გამოხატვის

თავისებურებას ნარმოადგენს დამთხვევა, თითქმის იგივეობა საკუთრივ შემოქმედებისა და ე.ნ. შესრულებისა, ესთეტიკური განცდის ობიექტისა და სუბიექტისა, აქედან გამომდინარე, მხატვრული საქმიანობის ობიექტისა და სუბიექტისა. მხოლოდ ფოლკლორში იჩენს თავს ცნობილი ტრიადის — ავტორი — შემსრულებელი — შემფასებელი — ერთიანობა, რომლის ორგანულ მთლიანობას უზრუნველყოფს ხალხი, როგორც „ერთიანი კრებითი სუბიექტი“ (3).

შესაბამისად, როდესაც მოცემული ერის რეალურად მუღერ მუსიკალურ-ფოლკლორულ ნიმუშებშიჩვენ ვხვდებით ეპოქალურად, ესთეტიკურად, მხატვრულ-ენობრივად სრულიად განსხვავებული ნიშან-თვისების მქონე ერთეულებს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფოლკლორული ონტიურობის გამო თითოეული მათგანი არა მარტო სრულდება, არამედ გამუდმებით იქმნება მოცემული დროის კრებითი სუბიექტის (3) მიერ და რეპროდუცირების უნივერტი პროცესის წყალობით იძენს ყოფიერებას. ანუ, საუბარი გვაქვს არა უბრალო თანაარსებობაზე, ერთსა და იმავე დროში, ერთსა და იმავე საზოგადოებაში მათ ერთდროულ ემპირიულ მოცემულობაზე, არამედ სპეციფიკურ შემოქმედებით პროცესზე. იგი, წესით და რიგით, ლრმად ნინააღმდეგობრივ ესთეტიკურ პლანში უნდა მიმდინარეობდეს, რასაც შინაგანი ნინააღმდეგობები და შეჯახებები უნდა მოსდევდეს, მაგრამ, როგორც ცნობილია, ფოლკლორში მსგავსი არაფერი შეინიშნება.

ამასთან, ფოლკლორი, როგორც მხატვრული ნანარმოებების მატერიალურად არაფიქსირებული გადაცემის ხელოვნება, მოკლებულია იმის საშუალებას, რომ მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობა ნერილობითი სახით გადასცეს შთამომავლობას. სწორედ თაობიდან თაობაზე ცოცხალი, ზეპირი გადაცემა ნარმოადგენს ფოლკლორული ნანარმოების ცხოველმყოფელობის ერთადერთ ფორმას და, იმავდროულად, მის არსებით ესთეტიკურ კატეგორიას. მუსიკალური ფოლკლორი ვლინდება არა მხოლოდ რეალურ მხატვრულ პრაქტიკაში, შესრულებისა და აღქმის ურთიერთქმედების აქტებში, არამედ ხალხის მეხსიერებაში, რომელიც ამ აქტების ფიქსირებას ახდენს. იგი შედის ხალხის ყოფის მთელ კომპლექსში და მის ორგანულ ნაწილს შეადგენს. ამიტომ, სახისმეტყველების სირთულითა და ხარისხით განსხვავებული ფოლკლორული ნიმუშების თანაარსებობასა და თანაქმნადობას ვერც მათი ოდესლაც შექმნისა და შემდგომი მატერიალური შენახვა-გადაცემის მექანიზმით ავხსნით.

თუკი ერთხელ, ერთმა რომელიმე თაობამ მსოფლმხედველობითი, ესთეტიკური, სოციალური თუ რაიმე სხვა მოტივით უარი

თქვა ფოლკლორულ ნიმუშებზე, აღადასცა ისინი მომდევნო თაობას და ამოშალა საკუთარი მეხსიერებიდან, არ არსებობს მათი გადარჩენის არანაირი გზა. გადარჩენის ერთადერთი საშუალება იქნება, თუკი თავად ხალხი ინებებს ამ ფოლკლორული ნიმუშების რეანიმაციას და მოახდენს მათ აქტუალიზებას, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხალხის ცნობიერების რომელიმე შრეშია დალექილი. ამ დროს ამოქმედდება ფოლკლორისტიკაში კარგად ცნობილი ფოლკლორული ნანარმოების ლატენტური, ფარული არსებობის ნესი (2). თუმცა, მივიწყებულის გაცოცხლებაცა და მისი შემდგომი ფუნქციონირებაც ისევ ზეპირი მეხსიერებით განხორციელდება.

ასე რომ, ზეპირობა, გარდა იმისა, რომ ფოლკლორის განუყოფელი ატრიბუტია, ამასთან ქმედითი საშუალებაცა ყოველივე ესთეტიკურად დრომოჭმულის დასავინყებლად. არანერილობითი ტრადიციის ხელოვნება, როგორც ხალხის ყოფის ნანილი, ცოცხლობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხალხური შემოქმედების მხატვრული სახეები უნივერტ კავშირში იმყოფებიან ხალხის მსოფლმხედველობასთან და ისინი ერთმანეთს იდეურად და ესთეტიკურად შეესატყვისებიან (5). ამიტომ, ფოლკლორული ნანარმოების არსებობის, მისი გადარჩენისა და საუკუნეთა ტევრში გამოვლის ფაქტი თავისთავად მონმობს მის აქტუალობასა და ესთეტიკურ ვარგისიანობას. ფოლკლორული ნანარმოების სოციალურ-ესთეტიკური ფუნქციონირება, ჩვენი აზრით, ფოლკლორის ერთ-ერთი უმთავრესი აქსიოლოგიური კრიტერიუმია.

აქედან გამომდინარე, ფოლკლორში ყველაფერი თანამედროვეა, ახალიც, ძველიც; უფრომეტიც, თავადახლისადაცველის ცნება ფოლკლორისტიკისთვისაა ცნობილი და ღირებული, თორემ ფოლკლორი მას არ იცნობს, შესაბამისად, არც ითვალისწინებს. ფოლკლორისთვის ყველაფერი თანადროულია და, აქედან გამომდინარე, „თანამედროვეა“. ეს, ასე ვთქვათ, თანამედროვეობის ფოლკლორული გაგებაა, უფრო ზუსტად, ფოლკლორული თანამედროვეობაა. სწორედ ამ ფოლკლორულ თანამედროვეობაში ვლინდება ზემოთ აღნერილი მოვლენა სრული სიცხადითა და პარადოქსულობით. თუმცა, ეს პარადოქსულობა არაფოლკლორულია, იგი ფოლკლორისთვის ორგანული მოვლენის გონებაჭვრეტითი აღქმით მიღებული შთაბეჭდილებაა, რისი საფუძველიც ის მეტაესთეტიკური განსხვავებაა, რომელიც ფოლკლორულსა და არაფოლკლორულ კულტურებს შორის არსებობს. ფოლკლორი თავად არაფერის პარადოქსულს ამ მოვლენაში არ ხედავს და უმტკიცენეულოდ ითავსებს იმას, რაც ხელოვნების ვერც ერთ სხვა სახეობაში ვერ თავსდება და თუკი ამ უკანასკნელში

მაინც იჩენს თავს, მხოლოდ მცირედი დროით, ძირითადად, მხატვრულ-ესთეტიკურ ეპოქათა გასაყარზე, რასაც, როგორც წესი, ძველის ძირეული სახეცვლა ან, სულაც, ძველის ახლით ჩანაცვლება მოჰყვება ხოლმე.

რატომ არ შეინიშნება ფოლკლორში მსგავსი რამ, მით უმეტეს, როგორც აღვნიშნეთ, ზეპირობა გამორიცხავს ნინარე ესთეტიკური მოდელების მექანიკურ შემონახვას? რით შეიძლება აიხსნას ის, რომ ერს საუკუნეების მანძილზე გამომუშავებული აქვს მხატვრული აზროვნების საკუთარი პრინციპები, ამ პრინციპების შესატყვისი მხატვრული ენა, რომელიც ევოლუციურად ვითარდება, რთულდება, განიცდის ნაირგვარ მეტამორფოზებს და ევოლუციური განვითარების მაღალ სტადიებზე, ახლად შემუშავებული სახის-მეტყველების ნორმების პარალელურად(!), იგივე ერი ქმნის ისეთივე ნიმუშებს, როგორსაც საუკუნეების ნინათ და ამავე საუკუნეთა მანძილზე ქმნიდა, ინახავდა, ამუშავებდა და რეპროდუცირებდა?! მეტყველებს იმავე მხატვრულ ენაზე, რაზეც ამ ნაწარმოებების თავდაპირველი ავტორი — გარდასულ ეპოქათა კრებითი სუბიექტი (3) მეტყველებდა?! ანდა, რა უშლიდა ხელს ამ კრებით სუბიექტს შეენარჩუნებინა წეს-ჩვეულებები, მაგრამ გარდაექმნა, „გაეთანამედროვებინა“ მხატვრული ენა, ანუ მოეხდინა ესთეტიკური ცნობიერების ერთგვარი სტანდარტზაფია, რაც სრულიად ბუნებრივი მოვლენა იქნებოდა ინდივიდუალური ხელოვნების ესთეტიკის თვალთახედვით?!

ჩვენი აზრით, ამ მოვლენის ახსნა მხოლოდ ესთეტიკურ პლანშია შესაძლებელი. ვფიქრობთ, მას განაპირობებს ფოლკლორის ესთეტიკური პოლისტადიურობა, რომლის საფუძველიც ფოლკლორის შემქმნელი კრებითი სუბიექტის (3) ტევადი ესთეტიკური ცნობიერებაა. ზოგადად იდეა ფოლკლორის პოლისტადიურობის შესახებ ფოლკლორისტიკისთვის ახალი არ არის. მაგალითად, იგი მკაფიოდ აქვს გამოთქმული ი. ზემცოვსკის ნაშრომში „fhijlyfz vepsrf b cjdhtvtyyjenom“ (4), ოღონდაც მასთან აქცენტი ფოლკლორის ონტიურ თავისებურებებსა და სოციალურისტორიულ ბუნებაზეა გადატანილი. ჩვენ კი გვსურს გამოვთქვათ მოსაზრება ფოლკლორის ესთეტიკური პოლისტადიურობის შესახებ, რადგანაც ვთვლით, რომ პოლისტადიურია, პირველ რიგში, მისი ესთეტიკური ბუნება, რომელიც ერის ცხოვრების მოცემული დროით-სივრცული მონაკვეთის ვერტიკალურ განასერში ფოლკლორის ესთეტიკურ მრავალსახეობად ნარმოგვიდგება.

ვფიქრობთ, პროფესიული ხელოვნებისა-გან განსხვავებით, ფოლკლორში გაფართოებულია სამყაროს ესთეტიკური ათვისება-გადამუშავების ფარგლები. სპეციფიკურია თა-

ვად ესთეტიკური სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულება. ფოლკლორული სუბიექტი, ანუ ფოლკლორული კულტურის შემქმნელი, ამთვისებელი და მუდმივი ინტერპრეტატორი, ახერხებს ქრონოლოგიურად დაშორებული ისტორიული ეპოქების ესთეტიკური მოდელების შემონახვას; ის კი არ ანაცვლებს ერთიმეორეს, არამედ აფართოებს საკუთარი ესთეტიკური ცნობიერების საზღვრებს, რომელშიც მუდმივი ქმნადობის პრინციპით, უმტკივნეულოდ თანაარსებობს განსხვავებული ესთეტიკური ბუნების ფოლკლორული ნაწარმოებები.

ფოლკლორი ტრადიციული ხელოვნებაა და აქ ახალი მხატვრულ-საზროვნო სისტემა ნინარეს მოშლის, გადალახვის, ძველის აფეთქების გარეშე ახერხებს თვითდამკვიდრებას (4). სწორედ ამიტომ, ფოლკლორშიარ ხდება ერთი მხატვრული მეთოდის მიერ მეორის სწრაფი ცვლა. აქ საქმე გვაქვს თანაარსებული მეთოდების სისტემის თანდათანობით და ნელ სახეცვლასთან (3). სხვადასხვა ესთეტიკური მიმართების, ესთეტიკურ სუბიექტ-სა და ობიექტს შორის არსებული რეალური, ვიტალური კავშირ-ურთიერთობების მოხსნისა და ესთეტიკურ ურთიერთობაში შენახვის განსხვავებული ხარისხით ნიშანდებული ნაწარმოებების თანაარსებობა ადასტურებს „ერთიანი კრებითი სუბიექტის“ (3) უნიკალურ კოლექტიურუნარს შეითავსოს, ერთიან ესთეტიკურ ცნობიერებაში უკონფლიქტოდ მოაქციოს ის, რაც ვერ თავსდება პროფესიულ ხელოვნებაში.

ჩვენი აზრით, ეს ყველა ერის ფოლკლორის ზოგადი ესთეტიკური კანონზომიერებაა, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ ქართული მუსიკალური ფოლკლორის აქტივში არსებული ნაწარმოებების მაგალითზე იკითხება. ვფიქრობთ, ეს რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას: 1) როგორც ჩანს, ქართველი ხალხის ესთეტიკური ცნობიერება გამოკვეთილი მრავალსახეობითა და ტევადობით ხასიათდება; 2) ქართველი ერის ზეპირმა მეხსიერებამ ხანგრძლივად შემოინახა მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური განვითარების განსხვავებულ ეტაპებზე შექმნილი მუსიკალურ-ფოლკლორული ნიმუშების ფართო სპექტრი, რაც შესაძლებელს ხდის მათ რეტროსპექტულ განხილვასა და ისტორიულ უკუფენას; 3) ქართულ ხალხურ მუსიკაში შეიქმნა ურთულესი მხატვრული ნიმუშები, რომელთა გვერდითაც მარტივი მუსიკალურ-ესთეტიკური სტრუქტურის სიმღერებიც განაგრძობდა არსებობას. ამდენად, ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში თვალში საცემია მხატვრული აზროვნების ისტორიული განვითარების ძალზე ფართო ამპლიტუდა, რაც ნათლად ნარმოაჩენს ესთეტიკურ პოლისტადიურობას.



იქნები

მეტო

ჭანიძე

ქახთალი ხაცევი

ქოჩობიაფის

ლილაჭაბი

ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება დიდი ხანია მთელი ჩვენი საზოგადოების, ასევე უცხოელ მკვლევართა ყურადღებას იშურობს. დაიბეჭდა არა ერთი საინტერესო ნერილი, გამოქვეყნდა მონოგრაფიული გამოკვლევები, სადაც გაანალიზდა ცეკვის ნარმოშობის, მისი ისტორიული განვითარებისა და მიმდევრული განვითარების შესახებ დაგროვილი ინფორმაცია და მეცნიერული მონაცემები, გარკვეულ ცოდნას გვაძლევს მეორე მიმართულებითაც, ამ შემთხვევაში ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეროს ირგვლივ. აღნიშნული საკითხი ჩვენ შემთხვევაში არ დაგვიყენებია. რაც გაკეთდა (გაკეთებული კი საკმაოდ ბევრია), ჯერ მხოლოდ, ალბათ, მაინც მასალაა საიმისოდ, რომ მომავალში დაინეროს საფუძვლიანი, მეცნიერული ისტორია და თეორია. ამ საქმეში, ბუნებრივია, ნამყვანი როლი ქორეოგრაფიული ხელოვნების მკვლევარებს უნდა ეკუთვნოდეთ, მაგრამ ისინი, ცხადია, გვერდს ვერ აუგლიან იმ უმდიდრეს მემკვიდრეობას, რომელიც ქართველმა ისტორიკოსებმა, ფილოლოგებმა თუ მუსიკათმცოდნებმა დააგროვეს. ნათქვამის საილუსტრაციოდ ჩვენი ნინამდებარე გამოკვლევაც გამოდგება, რომელიც აშკარად აჩვენებს, რომ ხალხურ ფესვებზე აღმოცენებული ხელოვნების განვითარების ისტორიული კანონზომიერებანი, გარკვეულნილად კომპლექსური ხასიათისაა და მისი ანალიზიც სწორედ ამგვარ კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. აქ კი მომიჯნავე მეცნიერებათა მიგნების გათვალისწინებას კარგი სამსახურის განვითარების შეუძლია.

ნინამდებარე ნაშრომში გვინდა ერთი, ჩვენი აზრით მნიშვნელოვანი საკითხი დავაყენოთ, კერძოდ ეს არის ქორეოგრაფიული დიალექტების პრობლემა. ამჯერად შემოვიფარგლებით მხოლოდ საკითხის დასმით, რადგან მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემა მრავალმხრივ თეორიულ-პრაქტიკული, ასევე ისტორიული მასალების შედარებით განხილვას მოითხოვს.

მიგვაჩნია, რომ ქართული ხალხური ქორე-



## რაჭკულები

ოგრაფიული ხელოვნება ისევე შედგება დიალექტებისაგან, როგორც, ვთქვათ, ხალხური სიმღერა (მუსიკა). იგი სწორედ დიალექტების ერთობლიობაა. აკად. ა. ჩიქობავა თავის ფუნდამენტალურ გამოკვლევაში "ზოგადი ენათმეცნიერება" აღნიშნავდა, რომ "უმნერლო ენებში ისტორიის ტვირთი გეოგრაფიამ უნდა ზიდოს: "კილოებმა და კილოკავებმა". თუ "კილოებისა და კილოკავების" ადგილზე "დიალექტებს" ვიგულისხმებთ, ამასთან საცეკვაო ხელოვნებას პლასტიკური გამომსახველობით განსხეულებულ "უმნერლო ენად" მივიჩნევთ, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ისტორიის სრული სურათის ნარმოდგენა შეუძლებელია ცალკეულ დიალექტთა შესწავლისა და მათი ურთიერთმიმართების თავისებურებათა შესწავლის გარეშე.

საკითხის ამგვარად დასმა ძალიან ბევრ სირთულეს უკავშირდება და რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას მოითხოვს. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ცალკეულ ქორეოგრაფიულ დიალექტთა დადგენა - კლასიფიკაცია, რაც, ბუნებრივია გარკვეულ თეორიულ პრინციპებს, საყველთაოდ მისაღებ დებულებებს უნდა ემყარებოდეს. სამნუხაროდ, ქართული საცეკვაო ფოლკლორისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი პრინციპები შემუშავებული არ არის. ერთადერთი მეთოდი რითაც ჩვენი სპეციალისტები დღემდე ხელ-

მძღვანელობენ, ესაა ეგრეთ წოდებული აღნერის მეთოდი. იგი გვიხასიათებს როგორია ესა თუ ის ცეკვა, მაგრამ არაფერს გვეუბნება იმის შესახებ თუ რატომაა იგი ასეთი და არა სხვაგვარი, კონკრეტული რეგიონის ფარგლებში.

აქედან გამომდინარე ქართული საცეკვაო ხელოვნების ბედით დაინტერესებული მკვლევარებისათვის ისახება კონკრეტული მიზანი, კერძოდ საჭიროა ქორეოგრაფიულ დიალექტთა გამოვლენისა და დახასიათების ძირითადი პრინციპების დადგენა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის საცეკვაო ხელოვნების ძირითადი თავისებურებების განსაზღვრა და კლასიფიკაცია, ასევე დიალექტთა ურთიერთმიმართებების დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენა და ამით ქორეოგრაფიული ენის განვითარების ზოგადი კანონზომიერების განსაზღვრა. აქვე შევნიშნავთ, ჩვენი ნაშრომი, ამჯერად აღნიშნულ საკითხებს ვერ ჩაულირმავდება და მისი მიზანი უფრო მოკრძალებულია. ჩვენ, როგორც ითქვა, მხოლოდ საკითხის დასმით შემოვიფარგლებით.

ხალხური ხელოვნების დარგების ისტორიისა და თეორიის მკვლევართა შორის დიალექტის ცნებას უმეტესნილად მუსიკათმცოდნები იყენებენ. თვითონ ტერმინი "დიალექტი" (ბერძნულად დიალეკტის) ნასესხებია ენათმეცნიერებიდან. იგი თავისი კლასიკური გაების ფარგლებში ერთი საერთო ენის დიფერენციაციის შედეგად მიღებულ განშტოებას ნარმოადგენს. ცნობილია, რომ მუსიკათმცოდნეობაში "დიალექტის" ცნება შემოიტანა უნგრელმა კომპოზიტორმა ბელა ბარტოკმა. მ. შილაკაძის აზრით, უფრო ადრე აღნიშნულ საკითხს შეეხო დ. არაყიშვილი, მაგრამ მას არ უხმარია "დიალექტის" ცნება და მის მაგივრად იყენებს ტერმინს „შტო“, რაც არსებითად იგივეობრივი შინაარსის მქონეა. ჩვენს მიერ აქ ციტირებული ავტორის მონოგრაფიაში მოტანილია მუსიკალური დიალექტის განსაზღვრა, რომელსაც იძლევა ცნობილი მკვლევარი ვ. მიშოვსკი. მისი აზრით "მუსიკალური დიალექტი-ესაა მუსიკალური ფოლკლორის სხვადასხვა სტილისტიკული თავისებურებების კომპლექსი, გავრცელებული გარკვეულ ტერიტორიაზე". ჩვენ უფრო სრულყოფილად და გასაზიარებლად გვეჩვენება მუსიკალური დიალექტის ის განმარტება, რომელსაც იძლევა ქართველი მკვლევარი ე. გარაყანიძე. მისი აზრით "მუსიკალური დიალექტი ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის განშტოებაა. იგი გავრცელებულია გარკვეულ ტერიტორიაზე, ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის ფარგლებში და ხასიათ-

დება სტილისტური თავისებურებების კომპლექსით” ამგვარი ზოგადი და არსებითად სწორი განსაზღვრება სრულიად მისაღები უნდა იყოს ქორეოგრაფიული ფოლკლორის-თვისაც, მაგრამ მას უთუოდ დასჭირდება გარკვეული დაზუსტება ქორეოგრაფიული ხელოვნების ცალკეულ, უანრობრივ სხვადასხვაობასთან მიმართებაში. აქ დიალექტიკური განსაზღვრულობა შეიძლება წარმოშვას “ქორეოგრაფიულ-ტერიტორიული” ერთეულის შიგნით გავრცელებულმა შესრულების მანერამ, ეთნიკური ჯგუფისათვის ნიშანდობლივმა თავისებურებებმა, ინდივიდუალური თუ ჯგუფური ცეკვების ხასიათმა და ა.შ.

როდესაც აღნიშნულ საკითხებზე ვმსჯელობთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ კრიტერიუმების მოძიებას თუ რა პრინციპის, რა ნიშან-თავისებურებების ბაზაზე შეიძლება გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ესა თუ ის ქორეოგრაფიული დიალექტი. თუ თვალს გადავავლებთ ქართულ ქორეოგრაფიაში არსებულ სადლეისო ვითარებას აღმოვაჩინთ, რომ ამგვარ გამიჯვნას ხშირად საფუძვლად უდევს ისტორიულ-გეოგრაფიული, ანუ საკუთრივ არაქორეოგრაფიული მოსაზრებები. ჩვენში ხშირად გამოიყენება ტერმინები “სვანური ფერხულები”, “აჭარული ცეკვები”, “მეგრული ცეკვები”, “მთიულური ცეკვები”. ამგვარი სახელდობის დროს ნინა პლანზე, როგორც უკვე ითქვა ისტორიულ-გეოგრაფიული მოტივი ან კიდევ ეთნი-

კური ნიშანი გამოდის. სპეციალისტისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, საინტერესო უნდა იყოს ის კონკრეტული მახასიათებელი, რომელიც საკუთრივ ქორეოგრაფიული საწყისიდან მოდის. მაგალითად, იგივე “სვანური ფერხულების” სრულფასოვანი კლასიფიკაციისთვის აუცილებელია მისი ზემო და ქვემო რეგიონებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, ასევე მათი მიმართება მომიჯნავე რეგიონებისათვის ნიშანდობლივ თავისებურებებთან. იგივე შეიძლება ითქვას სხვა რეგიონების მიმართაც.

ვფიქრობთ, ქართული ქორეოგრაფიული დიალექტების გამოყოფის პრინციპებით დაინტერესებულმა მკვლევარმა უნდა გაიზიაროს და დაეყრდნოს საკუთრივ ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ენობრივ “დიალექტთა გამოყოფას სამი ძირითადი პრინციპი ედება საფუძვლად: ა/ საკუთრივ ენობრივი; ბ/ ეთნიკური; გ/ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური.”

თუ აღნიშნულ დებულებას გავიზიარებთ და მას სახელმძღვანელოდ მივიჩნევთ მაშინ გამოვა, რომ ქორეოგრაფიული დიალექტის თავისებურებათა ფიქსირებაში უმთავრესი იქნება საკუთრივ ქორეონის სპეციფიკის პრობლემა. ეს ნიშნავს ზუსტად დავაფიქსიროთ ის სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც ფოლკლორულ საცეკვაო ვარიანტებს ახასიათებს მოცემული კონკრეტული რეგიონის ფარგლებში და რომელიც სხვაგან არ გვხვდება, ან თუ გვხვდება მხოლოდ ნახესხები სახით.

როდესაც ქორეოდიალექტების პრობლემაზე ვმსჯელობთ და მას ერთიანი ფილკლორული სისტემის ნანილად განვიხილავთ, ბუნებრივად ნამოიჭრება საკითხი — შეიძლება თუ არა ვივარაუდოთ გარკვეული ისტორიულ ეტაპზე ქორეოგრაფიული ფუძე-ენის არსებობა, როგორც ამას მუსიკალურ ხელოვნებასთან მიმართებაში ჰქონდა ადგილი?

როგორც ჩანს, ამგვარი შესაძლებლობა უნდა დაუშვათ, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ქართული ენის ცალკეული დიალექტი უშორეს ისტორიულ ნარსულში ერთიანი ფუძე-ენის დაძლის შედეგად ნარმოიშვა. იგივე პროცესი განვითარდა მუსიკალურ ხელოვნებაშიც, კერძოდ დაიშალა ერთიანი მუსიკალური ფუძე-ენა და ნარმოიშვა მისი ცალკეული შტოები ანუ დიალექტები.

ცნობილია აგრეთვე, რომ მუსიკალურ ხელოვნებაში დიფერენციაციის პროცესი ისეთივე ღრმა არ ყოფილა, როგორც ეს ენაში მოხდა. იგივე შეიძლება ითქვას ქორეოგრა-



ქახვები



## ქართლურები

ფიაზეც, თუმცა გარკვეულ ნიშან-თავისებურებათა თუ შესრულების მანერის განსხვავებაზე საუბარი, ცხადია შეიძლება. მიუხედავად ამისა, ქორეოგრაფიული დიალექტი მაინც ქორეო-ენის განშტოებას, მის კერძო გამოხატულებას ნარმოადგენს.

დასასრულს, რაკი ჩვენ ქორეოგრაფიული დიალექტების გამოყოფის პრობლემაზე საუბრისას ძირითადი მაინც მუსუკალური ხელოვნების ანალოგით ვსარგებლობთ მოვიტანთ მკვლევართა მიერ გამოყოფილი დიალექტების ჩამონათვალს. დ. არაყიშვილის მიხედვით (იგი, როგორც ითქვა, დიალექტის მაგივრად იყენებს "შტოს") ქართულ ხალხურ მუსიკაში გამოყოფა შემდეგი შტოები: ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულური, ქართლ-კახური, სვანური, რაჭულ-ლეჩებური, მეგრული, იმერული, გურული (აქ გამოტოვებულია მესხეთის, აჭარის, ლაზეთის შტოები).

შ. ასლანიშვილი გამოყოფს სვანურ, გურულ, აჭარულ, მეგრულ, ქართლ-კახურ, მოხეურ, მთიულურ, ფშავ-ხევსურულ, თუშურ, მესხურ, იმერულ, რაჭულ (ან რაჭულ-ლეჩებურ) დიალექტებს.

იგი ამ დიალექტებს გარკვეულ ჯგუფებათაც ყოფს:

1. სვანურ, გურულ, აჭარულ, მეგრული;
  2. ქართლ-კახური, მოხეური, მთიულური;
  3. ფშავ-ხევსურული, თუშური, მესხური;
- რაც შეეხება რაჭულ (ან რაჭულ-ლეჩებურს) იგი განიხილება, როგორც გარდა-

მავალი დიალექტები, რომლებიც შეიცავენ როგორც პირველი, ასევე მეორე ჯგუფის ნიშნებსაც. გ.ჩხიკვაძის აზრით ქართული მუსიკალური დიალექტები შემდეგია: ხევსურული, თუშური, ფშაური, მოხეური, მთიულური, ქართლური, კახური, მესხური, იმერული, გურული, მეგრული, რაჭული, სვანური, აჭარული, ლაზური. მოგვიანებით გ.ჩხიკვაძემ რაჭულს ლეჩებურიც დაუმატა.

გ.უორდანიას მიხედვით ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში შემდეგი დიალექტები გამოიჩინა: ხევსურული, ფშაური, მოხეური, მთიულური, ქართლური, კახური, მესხური, რაჭული, სვანური, იმერული, გურული, აჭარული, მეგრული, ლაზური.

აღნიშნულ კლასიფიკაციას ო. ჩიჯავაძე ამატებს ლეჩებურ დიალექტს და, მიიჩნევს, მუსიკალურ ფოლკლორში სამი ძირითადი ჯგუფი უნდა გამოიყოს. თითოეული მათგანის ნარმოქმნა კი ქართული კულტურის ისტორიაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ეტაპებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, "სვანური" დიალექტი უძველეს საერთო ქართულ მუსიკალურ კულტურას ემყარება; ხევსურული, თუშური, ფშაური, მოხეური, მთიულური, ქართლური, კახური, მესხური და ჯავახური დიალექტები — თრიალეთურ მუსიკალურ კულტურას, ხოლო რაჭული, ლეჩებური, იმერული, მეგრული, გურული, აჭარული და კახური დიალექტები — კოლხურ მუსიკალურ კულტურას".

ამრიგად, ჩამოთვლა რომ აღარ გავაგრძელოთ ფაქტია, რომ საქართველოს მცირე ტერიტორიაზე შეინიშნება დიალექტთა გასაოცარი სიმრავლე, თუ სხვადასხვა ავტორის თვალსაზრისს შევაჯერებთ გამოვა, რომ მათი საერთო რაოდენობა თხუთმეტს მაინც აღნევს. საინტერესო ისაა, რომ ამ სიმრავლეში ბევრი საერთო ზოგადქართული ნიშანი იკითხება, თუმცა განსხვავებებიც თვალში საცემია. მაგრამ უმთავრესი სხვაობა მაინც ისაა, რომ გამორჩეულია აღმოსავლური და დასავლური დიალექტური დიდი ნრეები. ლიხის ქედით გამიჯნული აღმოსავლეთის და დასავლეთის განსხვავებები აისახა ენაშიც, ნესშიც, ტრადიციებშიც, მრავალხმიანობის ტიპებშიც. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ის რაც აქ მუსიკალური ფოლკლორის მიმართ ითქვა სავსებით და მთლიანად შეიძლება გავრცელდეს ქორეოგრაფიული ფოლკლორის მიმართაც. ჩვენ ვთვლით, რომ ქართულ ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში შეიძლება გამოიყოს: ხევსურული, ფშაური, თუშური, მოხეური, მთიულური, ქართლური, კახური, მესხური, რაჭული, ლეჩებური, სვანური, იმერული, გურული, აჭარული, მეგრუ-

ლი, ლაზური დიალექტები (ასევე ქალაქური ფოლკლორი).

მათ შიგნით აგრეთვე შესაძლებელია მთისა და ბარის დიალექტების ფიქსირება. მათი შედარება კი აჩვენებს, რომ ბარის ქორეოგრაფიული დიალექტი უფრო განვითარებულია, ხოლო მთა თავისი ბუნებრივი კარჩაკეტილობის გამო შედარებით მეტ სტაბილურობასა და პირველსახეს ინარჩუნებს. ეს ფაქტი კარგად აქვთ შენიშნული ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების მკვლევარებს / დ. ჯავრიშვილი, დ. ჯანელიძე, ლ. გვარამიძე, ავ. თათარაძე.../ ამდენად მასზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

მომავალში ვინც ქორეოდიალექტების საკითხით დაინტერესდება, განსაკუთრებული დაკვირვების საგნად უნდა იქცეს შეიძლება თუ არა უძველესი დიალექტების ფიქსირება სადღეისო დონეზე. მაგალითად, მუსიკათმცოდნები ხევსურულ მუსიკალურ დიალექტს გამოყოფენ როგორც არქაული მუსიკალური აზროვნების საუკეთესო ნიმუშს. იგი დ. არაყიშვილის აზრით ზოგადად, მიახლოებით მაინც აჩვენებს იმას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ზოგადქართული მუსიკა უძველეს ნარსულში. აი, ამ ანალოგითაც საძებარია ის უძველესი ქორეოგრაფიული დიალექტი, თუ მისი ცალცალკეული გამოვლინებანი, რომელიც სწორედ უძველესი ქორეოენის თავისებურებებზე მიგვანიშნებდა.

მომდევნო საკითხი, რომელიც ასევე შესნავლას მოითხოვს ისაა, შეიძლება თუ არა განვითარების საწყისი და აღმავალი ხაზის ფიქსირება დიალექტების განვითარებაში. მაგალითად, მუსიკათმცოდნები აღმოსავლურ-ქართული დიალექტების საერთო მდინარებაში ასეთ აღმავალ ხაზს ხედავენ: თუ-შურ- ფშაურ – გუდამაყრული – მოხეური-მთიულური – ქართ-კახური.

ამგვარი თვალსაზრისით ქართლ-კახური აღმოსავლურ-ქართული დიალექტების გვირგვინს ნარმოადგენს. განცალკევებით დგას მესხური, რომელიც მძიმე ისტორიული პირობების გამო, გარკვეული თვალსაზრისით ერთგვარად დეგრადირებულია. განცალკევებულია თუშურიც. რადგან იგი სხვებზე ადრე უნდა ჩამოყალიბებულიყო დიალექტად და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია არაქართველ მოსახლეობასთან ახლობლობით თავისებურ სახეს იძენდა.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ ასეთი მდგომარეობა გვაქვს. აღმავალი ხაზი მოდის შემდეგი მიმართულებით: სვანური – რაჭული – ლეჩეუმური – აფარულ-შავშეური – იმერული – გურული.

ასეთია მუსიკალური დიალექტების განვი-

თარების ხაზი. ბუნებრივად დგება საკითხი – იგივე ვითარება შეიძლება დავაფიქსიროთ თუ არა ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში?

ცხადია, ამგვარი ძიება თვითმიზანი არ არის. ეს არის ლოგიკური აუცილებლობა, რადგან ამგვარი ცოდნის გარეშე ჩვენ ვერასოდეს ნარმოვიდგენთ ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების მთლიან სურათს. რაკი ქორეოგრაფიული დიალექტი, საერთოდ ყოველგვარი დიალექტის მსგავსად ერთი საერთო ქორეოგრაფიული ფუძე-ენის (მათ შორისაა მუსიკალური ენა, ქორეოგრაფიული პანტომიმის ენა და ა. შ.) დიფერენციის შედეგად მიღებული განშტოებაა, ბუნებრივია ამ უკანასკნელის შესახებ შემუშავებული ობიექტური თვალსაზრისი საბოლოო ჯამში ცოდნას სწორედ იმ საერთოს შესახებ გვაძლევს, რის ნანილსაც მოცემული რეგიონის ქორეოგრაფიული ხელოვნება ნარმოადგენს.

ამრიგად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ქართული ხალხური ქორეოგრაფიული ხელოვნება, ფოლკლორის სხვა დარგების მსგავსად მეტად მდიდარია თავისი ფორმით, შედგენილობით და შინაარსით. იგი მრავალი ქორეოდიალექტებისაგან შედგება. ყველა მათგანს ახასიათებს ბევრი საერთო და განმასხვავებელი ნიშანი, რომელთა გამოვლენა-გათვალისწინება აუცილებელია ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საერთო სურათის დასადგენად. ამდენად, აღნიშნული მიმართულებით კვლევის გაგრძელება, ჩვენ, პერსპექტიულად გვეჩვენება.



ქართველები



# ეროვნული ქართული

ჩამ ბეჭყარებს,  
ყველაფეხი რქო ახა

XX საუკუნის დასასრულს ქართული ანიმაციური კინო მოგვევლინა როგორც მრავალპლანიანი განვითარებადი ხელოვნება. მას ხელენიფეროდა ადამიანის სულის სპეციფიკური მულტიპლიკაციური გამოსახვაც, ხალხური იუმორის რეალიზაციაც, ცხოვრების სატირული მიმოხილვაც, მარად მომხიბვლელი, ჭკუის სასწავლებელი, ბრძნული საბავშვო ზღაპრის გაცოცხლებაც. ამაყად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართული ანიმაციური კინო მსოფლიო სტანდარტების დონეზე იდგა. ამასთან, ქართული ეროვნული ხასიათის გადატანა ეკრანზე ამდიდრებდა მის შინაარსს, განუმეორებელ ხიბლს ანიჭებდა მის ფორმას. ეს

კი ქმნიდა კლასიკურ ქართულ მულტიპლიკაციას. უანრობრივად ქართული ანიმაცია მეტად მრავალფეროვანი იყო, რაც პირველ რიგში ქართული სინამდვილიდან იღებდა სათავეს: ანიმაციური დრამა, ნოველა, ლეგენდა, იგავი, ანდაზა, ზღაპარი, კომედია. კონკრეტული ისტორიული ეპოქის და კონკრეტული ერის ეროვნული სტილის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეროვნული შეგნების ფაქტორს, გამოხატულს არა იმდენად ხელოვანის შემოქმედებითი აზროვნების განსაკუთრებული სახით, რამდენადაც მისი მისწრაფებით— ჩაულრმავდეს, ახლებურად გახსნას ეროვნული ტრადიციების აზრი და მნიშვნელობა. ძალიან ბევრი ნათელი მაგალითის მოყვანა შეიძლება: „ჩხიკვთა ქორნილი“—(1957)“მტრობა“! (1960 წ.), „ნუნა და ნრუნუნა“ (1961)“რეჟ. ა.ხინთიბიძე, „ჯადოსნური კვერცხი“ სამეული(1974წ.) “სალამურას თავგადასავალი“ რეჟ. კ. სულაკაური(1979 წ.), “გულუბრყვილო ბატი ტასიკოს თავგადასავალი” რეჟ. ლ. ჭყონია(1984წ.) 80-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ქართული ანიმაციური კინოს განვითარება შეაფერხა, რასაც მოჰყვა 25 წლიანი შემოქმედებითი კრიზისი. სწორედ ამის შედეგად ქართული ტელეეკრანი დაიპყრო უცხოურმა, ძირითადად უგემოვნო პროდუქციამ, რომლის ჩვენებაც სრულიად უსისტემოდ ხდებოდა და ხდება. თვალი გადავავლოთ თუ რას უყურებენ ბავშვები და მოზარდები დღეს, რამდენად მნიშვნელოვანია დროულად დავფიქრდეთ და ხმა ავიმაღლოთ. სწორედ მულტფილმების საშუალებით ეცნობიან პატარები მედია სივრცეს და დამერნმუნეთ გაუაზრებელად, მექანიკურად ყველა ბევრი რეკლამირებული ნაწარმოების ნახვა სრულიად დაუშვებელია.

ვნახოთ, როგორ მუშაობს მექანიზმი, რომლის მიზანია შეცვალოს ჯერ ქცევა, მერე პიროვნება და საბოლოოდ ჩვენი მომავლის ბედი. მოდელირების თეორიის თანახმად, როგორც ბავშვები, ასევე უფროსებიც ითვისებენ მოქმედების ახალ ტიპებს, ახალ ლირებულებებს, ხდება ნებსით თუ უნებლიერ მოწოდებული “გმირების” კოპირება. შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ ხდება სოციალური მოდელირება, ადამიანის ცნობიერების პროგრამირება ახალი ნორმებით ინფორმაციის მასობრივი საშუალებების გამოყენებით. ტელევიზიასა და პრესაში იქმნება ადამიანის ახალი მოდელი. დესტრუქციული ქცევა არათუ არ გვაღიზიანებს, არამედ ისეთი შეფუთვითაა ეს



მოწოდებული და იმდენად კარგადაა გათვლილი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რომ ჩვენ ასეთი "გმირის" გულშემატყივარიც კი ვხდებით.

საზიანო შინაარსისა და აზრის მიმზიდველად და ლამაზად დანერგვის ყველაზე იოლი საშუალებაა, თუ რომანტიკულ გმირს, რომელსაც ბავშვი ბაძავს და თანაუგრძნობს, მივაწერთ ისეთ თვისებებს როგორციაა ბოროტება, მრისხანება და ა.შ. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ციგანი ქალი ("კუზიანი ნოტერდამიდან"), უასმინი ან ტროლი ("შრეკი"). ისინი არათუ აგრესიულები არიან, არამედ ამას ძალიან მხიარულად და გადამდებად აკეთებენ. ეს ხომ ყველაზე პოპულარული მულტფილმებია. ქალისათვის მამაკაცის ფუნქციების მინიჭებას მულტიპლიკაციაში მივყავართ რეალურ ცხოვრებაში მამაკაცისა და ქალის ფუნქციების არევისაკენ.. რამაც, შესაძლოა, შემდგომ სექსუალური ორიენტაციის არევაც კი გამოინვიოს, ახალგაზრდული უნისექსის სტილი ცხოვრებაში, შესაძლოა, მულტიპლიკაციური უნისექსის გაგრძელებად მივიჩნიოთ. თვალშისაცემია თუ როგორ კარგავს ქალურ თვისებებს მულტიპლიკაციური გმირი და იქცევა არა როგორც უბრალოდ კაცი, არამედ როგორც სუპერმენი. ამის აპოთეოზად შეიძლება მივიჩნიოთ მულტფილმი რობოტებზე "ლუიემ" აქ ქალი გმირები მხოლოდ გარეგნულ ფორმას ინარჩუნებენ, საოცარი ძალის მატარებლები არიან და პირდაპირ ჯოჯოხეთის მოციქულებად გვევლინებიან.

უთუოდ უნდა შევეხოთ სადიზმსა და ლალატს. ცნობილი ფილმი "შრეკი", რომლის ნახვის დროსაც ბავშვები იცინიან, არის დასტური იმისა, თუ როგორ ხდება ცნობიერების თანამიმდევრული რღვევა. და ჩვენს თვალნინ როგორ იცვლება მოზარდი თაობის ფსიქიკა. გავიხსენოთ ეპიზოდი ამ ფილმიდან: მთავრი გმირი უმღერის პატარა ჩიტს, რომელიც ბუდეში კვერცხებს აზის,

მთავარი გმირი ჩიტთან ერთად რომანტიკულ დუეტს ასრულებს, ეპიზოდის კულმინაცია: გმირი მაღალ რეგისტრში მღერის და მისი ხმის სიძლიერისგან ჩიტი იბერება და სკდება, ანუ კვდება. ეს არ არის უბრალოდ სიკვდილის ლამაზად გადაღებული სცენა, ეს არის სიკვდილის დევალვაცია, ეს ეპიზოდი შლის მთელ მიზეზ-შედეგობრივ სისტემას ბავშვის ცნობიერებაში. მთავარი გმირებისათვის ღვთის წყალობად მხოლოდ მოკლული ჩიტისათვის წართმეული სამი კვერცხის ერბოკვერცხი რჩება. ამის ფონზე ორი რეპტილიის მკვლელობაც, რომელიც მხოლოდ გართობისკენ არის მიმართული, უმანკოებად გვეჩვენება. ესაა ბაყაყისა და გველის მკვლელობა. რომლებსაც "დადებითი" გმირები უბრალოდ ბერავენ და მათგან მიღებული ბუშტებით ხელში ბედნიერად აგრძელებენ გზას. ამ ზღაპარში ბაყაყი, ანუ სიმახინჯე, ლამაზ პრინცესად კი არ გადაიქცევა, არამედ პირუკუ, ნაჩვენებია დეგრადაციის პროცესი, ოღონდ ძალიან ფერადოვნად შეფუთული. საერთოდ, ამ ანტიზღაპარს ასეთივე ანტიმეტაფორები ავსებს.



აუცილებელია სიძულვილზე, დაუნდობლობასა და სექსუალობაზე გავამახვილოთ ყურადღება? გავიხსენოთ ტრადიციული ქართული ფილმების ქალი პერსონაჟები ბაია ("სალამურა"), მეფის ასული ("სიზმარა"), ნუნა ("ნუნა და ნრუნუნა"), გოგონა (-"თოვლის გუნდა"). აქ ქალური ატრიბუტიკა არ არის ხაზგასმული, პირობითია, და ქალურობა გამოხატულია გმირების სულიერებით. ხოლო მათი უცხოური ანტიპოდები, პირიქით... ისინი რეალისტური, არიან, ზრდასრული ქალისთვის დამახასიათებელი განვითარებული, სექსუალური ფორმებით და ამავდროულად ძალიან კარგად იციან ამ ფორმების გამოყენება. ამ გმირი ქალების საქციელში არ არის უმანკოება. ანუ ის, რამაც ნესით საპავშვო მულტფილ-

მები დიდების მულტფილმებისაგან უნდა განასხვაოს. მთავარი გმირი ქალების საქ-ციელი ხშირ შემთხვევაში ძალიან მანერული, ვულგარული და კონკრეტულად მაც-დურია, გმირის სახე კი არ გამოხატავს მის სულიერ მდგომარეობას, არამედ ძალიან ფუნქციონალურია. არ უნდა დაგვავინყდეს, რომ მთავარი გმირის მანერებს ბავშვები ბაძავენ, შეიძლება ითქვას, მათ კოპირებას ახდენენ.

ახლა შეხებაზე და კოცნაზე. ქართულ ფილმებში ეროტიკა დაფარულია ბავშვებისაგან, ვთქვათ, კოცნა მხოლოდ პირობითია, ხოლო უცხოურ ფილმებში ყველაფე-




რი პირიქით ხდება. ქალის შეხება დასაშვებია ყველანაირი ფორმით. მაგალითად, კუზიანს ქალი ("კუზიანი ნოტერდამიდან") ისე უჭირავს, როგორც ცხოველი. "შრეკში" ტომარასავით ყავთ მხარზე გადავდებული, ისე ერთობიან ქალით, როგორც რეალურ ცხოვრებაში მიუღებელია, მაგრამ ეს გამართლებულია, რადგან მათ ეს მოსწონთ... ფსიქოლოგების აზრით ბავშვისთვის დამანგრეველია ისეთი ფილმების ნახვა, სადაც აშკარა ეროტიკაა ნაჩვენები. ეს მით უფრო საშინელია თუ ფილმის გმირები მხოლოდ გარეგნულად არიან ცხოველები, ხოლო იდეით ადამიანური თვისებების მატარებლები არიან. გავიხსენოთ სატრიუალო და სასიყვარულო სცენები პოპულარული ფილმიდან "ტომი და ჯერი". ჯერის ქცევა სხვა არაფერია, თუ არა ვულგარული ქალის, მედავის ქცევის ენციკლოპედია. ხაზგასმითაა ნაჩვენები აშკარა ეროტიკული პოზები და ურთიერთობები. საყურედლებოა მამაკაცი კატის საქციელიც. ესაა მაგალითი იმისა, თუ როგორ თავხედურად შეიძლება მოიქცე ქალთან და როგორ უნდა აღიქვას ეს საქციელი ქალმა. ფსიქოლოგების აზრით, ასეთი სტერეოტიპების ჩამოყალიბება შემდგომში გამორიცხავს საპირისპირო სქესთან ნორმალურ ურთიერთობას,

ურთიერთპატივისცემას და ერთგულებას. ანუ ყალიბდება ოდენ სექსუალური პარტნიორის პოვნის სურვილი, მხოლოდ სექსუალური პარტნიორობა კი თავისთავად გამორიცხავს ნორმალური ოჯახის შექმნის სურვილს. ეროტიკის ჩვენება აღძრავს ნაადრევ სექსუალურ ლტოლვას რისთვისაც მორალურად და ფიზიკურად ბავშვი მოუმზადებელია, ეს ყოველივე კი ანგრევს მოზარდის ფსიქიკას, იწვევს ორიენტაციის რღვევას და საბოლოოდ მოქმედებს ოჯახის ინსტიტუტზე. ასეთი მულტფილმები ახდენს მოზარდის პროვოცირებას. ადრეულ ასაკში ბავშვს ესაჭიროება ზღაპარი, ლამაზირომანტიული ურთიერთობები რაც განაპირობებს მათ ჯანმრთელ და სწორ პიროვნებად ჩამოყალიბებას..

სწორედ, რომ ქართული მულტფილმების გმირები ცდილობდნენ არა აგრესიით, არამედ სიყვარულით დაეძლიათ ბოროტება და ბოროტი გმირებიც კეთილ გზაზე დაეყენებინათ. ქართველი რეჟისორები მულტიპლიკაციური ფილმის შექმნისას ყოველთვის ცდილობდნენ, რომ ფილმი ყოფილიყო საინტერესო არა მხოლოდ ფორმის, გამომსახველობითი მხარის თვალსაზრისით, არამედ მასში ჩაედოთ ღრმა აზრი და გრძნობა. ქართული ანიმაციური ფილმები ყოველთვის იყო საოცრად ჰუმანური და მაღალი სულიერი მუხტის მატარებელი. ეს ფილმები ხელს უწყობდა მაყურებელში ზნეობრივი მაქსიმების ჩამოყალიბებას. აქ ყოველთვის სიკეთე იმარჯვებდა ბოროტებაზე. სწორედ ეს თვისებები განაპირობებდა ქართული ანიმაციისადმი მაყურებლის დიდ სიყვარულსა და სიმპათიას.

საერთოდ, გლობალიზაცია ბუნებრივი პროცესია. საზოგადოების განვითარება, ალბათ, გლობალიზაციის ტემპის დაჩქარებას გულისხმობს. ეს გარდაუვალი პროცესია, ასეთ პირობებში გადარჩება, ანუ თვითმყოფადობას შეინარჩუნებს ის ერი, რომელიც შეძლებს ხალხების ერთობაში შევიდეს თავისი სპეციფიკური სულიერი საგანძურით, თავისი ზნეობრიობით, თავისი ჰუმანისტური ტრადიციებით, თავისი რწმენით, ესე იგი, მთელი თავისი კულტურით. სწორედ ამისათვის არ უნდა დავკარგოთ ის მუხტი, რომელიც ნიშანდობლივია ქართული ფენომენისათვის.



# რობერტ ქუთავის — 70

რობერტ სტურუას მთელ შემოქმედებას ცხოვრების იმგვარი მეტაფიზიკური შეგრძნება განსაზღვრავს, რომელიც განათლებულ ადამიანს შეეფერება — დაემორჩილო საკუთარ მოწოდებას, ემსახურო მას, სხვათა გმირობას არ დაელოდო და პიროვნულ-ყოფითი გამოცდა საკუთარ თავზე ჩატარო.... აი, სწორედ აქ ეყრება საფუძველი ადამიანურ მორალს...

რობერტ სტურუა თავის სპექტაკლებში ფაქტობრივად მხოლოდ ამაზე საუბრობს, იგი გამუდმებით წარმოაჩენს, რომ ზნეობრივ საქციელს გარეგანი კეთილდღეობა, სიყვარული, ბედნიერებისაკენ სწრაფვა კი არ განსაზღვრავენ, არამედ თავად ზნეობრივი კანონის პატივისცემა და მოვალეობის გრძნობა, ის, რაც ადამიანს საკუთარი თავისუფლების ცხოვრებისეულ რწმენას აძლევს.

ამგვარი აზროვნება და არსებობის სოციალური ფორმა უმნიშვნელოვანესია რობერტ სტურუასათვის. საკუთარი შემოქმედების მა-

გალითზე იგი ისწრაფვის ქვეყნის მიერ ისტორიულად განცდილი ტოტალური ბოროტება სიმბოლურ-სახეობრივ რეალობად აქციოს და ქართულ კულტურაში ერთგვარი ექსპერიმენტი ჩატაროს.

ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ სწორედ ამგვარი ექსპერიმენტის საფუძველზე დაიბადა სამყარო, რომელსაც დღეს რობერტ სტურუას სამყარო შეიძლება ვუწოდოთ, პრეტენზით, რომელიც მას არც არასოდეს დაუმალავს, გადაელახა მთელი ქვეყნის აზროვნებითი გაუნათლებლობა...

\*\*\*

(რობერტ სტურუა ფიქრობს... ხატავს...)

\*\*\*

დიახ, რობერტ სტურუა ხატავს!..


ხატავს მშვენივრად, თუმცა მორიდებით... თითქმის არგამხელილი სიყვარული ახლავს მის ამ გატაცებას...

ხატავს ბავშვობიდან და არც არის გასაკვირი, იგი ხომ ცნობილი ქართველი მხატვრის, ფერთა ქართული კოლორიტითა და სისავსით გამორჩეული მხატვრის, რობერტ სტურუას ვაჟია...

ხატავს, და ამით, მისი ყოვლისმომცველი ნიჭიერების გამოვლენა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება...

\*\*\*

...ახალგაზრდობაში მიმაჩნდა, რომ თეატრს სავსებით შეეძლო მხატვრისათვის გვერდის



ავლა. მაშინ “რეუისორული თეატრის” ცნებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეძენილი სალანდლავი ელფერი, მოდური იყო, პროგრესულად უდერდა. აზრი იმის შესახებ, რომ რეუისორი სპექტაკლის სრულუფლებიანი ბატონია, მომნონდა და ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი სიმსუბუქით, აბსურდულობით ვავითარებდი მას...

ყოველთვის კარგად ვხატავდი, ინსტიტუტში თვითონ ვაფორმებდი ჩემს სტუდენტურ სპექტაკლებს, თავად ვქმნიდი ესკიზს... მაგრამ მეჩვენებოდა, რომ მას შემდეგ, რაც პიესაში მიაგნებ შენთვის საინტერესო სერიოზულ აზრს, საჭირო აღარ არის მისი დეკორირება და მორთვა... სხვა სიტყვებით, რომ ვთქვა, მხატვარს სავსებით უტილიტარულად აღვიქვამდი. საუკეთესო შემთხვევაში, როგორც საკუთრივ მისი სცენოგრაფიული იდეების შემსრულებელს, უარეს შემთხვევაში — როგორც “მხატვრულ ნაწილში” რეუისორის მორჩილ თანაშემწეს. მხოლოდ ახლა მესმის, რამდენად ვძარცვავდი საკუთარ თავს. სპექტაკლი ხომ კოლექტიური შემოქმედებაა, კოლექტიური ჩანაფიქრი, სადაც თითოეული შემქმნელის ნაღვანი მნიშვნელოვანი და ფასეულია, მით უმეტეს, მხატვრის. იგი ხომ უპირველესია ჩემს მეგობრებს, თანამონანილებსა და თანამოაზრეთა შორის. სწორედ მხატვარი ახდენს თეატრალური სიურცის ორგანიზებას,



აგებს, ასულიერებს სამყაროს, რომელშიც მოგვიხდება მოქმედება მეც და ჩემს მსახიობებსაც. თავისი ბუნებით მხატვარიც ხომ რეუისორია... მრავალფიგურიანი კომპოზიციის შექმნა, სურათის ფერწერული გადაწყვეტა, ნატურმორტების შეთხზვა — რა არის ეს, თუ არა რეუისურა? დღეს დარწმუნებული ვარ, რომ შეუძლებელია თეატრმა მხატვრის გარეშე იარსებოს. უაზრობაა რაიმე პრინციპული მოსაზრების გამო მასზე უარის თქმა. მაშინაც კი, როდესაც სპექტაკლის დეკორაცია მხატვრის თვალსაჩინო დახმარების გარეშე გადის ფონს — ესეც დეკორაციაა, ესეც მხატვრის გადაწყვეტაა, ესეც ამ წესის დამადასტურებელი გამონაკლისია. საბერძნეთში, ლია ცის ქვეშ დადგმულ სპექტაკლებს, მხატვარი არა ჰყავს, მაგრამ ბუნებრივი დეკორაციები გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს...

\*\*\*

...თეატრში შექმნილი მხატვრისა და რეუისორის დუეტი, ისეთი, როგორიცაა ახმეტელისა და გამრეკელის, ედ. კოჩერგინისა და გ. ტოვსტონოვის, დ. ბოროვსკისა და ი. ლუბიმოვის, ი. პოპოვისა და ა. ვასილიევის, ო. შეინიცისა და მ. ზახაროვის, მეტად ნაყოფიერია... ორ ადამიანს სასწაულის მოხდენაც კი შეუძლია, რასაც მარტოკაცი ვერ ჩაიდენს. ეს სიყვარულით ქორნინებასავითაა. მეც ჩემს მხატვრებთან რაღაც სიყვარულით ქორნინების მაგვარი მაკავშირებს და ხშირად, როგორც “ბებერი, მრისხანე ქმარი” ღალატად აღვიქვამ, როდესაც რომელიმე მათგანი სხვა თეატრში მიდის დადგმაზე. მეჩვენება, რომ მათ თან მიაქვთ ის, რისი მოფიქრებაც და ხორცესხმაც ჩვენ ერთად შეგვეძლო... და მიუხედავად ამისა, ძალზე მდიდარი ვარ, მყავს მხატვრები, რომლებთანაც მუდმივად ვმუშაობ, რომლებიც ნახევარი სიტყვითაც კი მიგებენ. კაცმა რომ თქვას, მუშაობა მხოლოდ ასე შეიძლება... ზოგადად ვუამბობ ხოლმე ჩემს ჩანაფიქრს, ისევე, როგორც მსახიობებს პიესის პირველი კითხვისას და მათგან შემხვედრ იდეებს ველი, შემდეგ ვსაუბრობთ ხოლმე, ვაკონკრეტებთ, საბოლოო კონდიციამდე მიგვყავს. სიტყვა “თანამონანილენი” ყველაზე უფრო ზუსტად განსაზღვრავს ჩვენს ურთიერთობებს.

\*\*\*

...ჩემი მხატვრები კარგად მიცნობენ და იციან რა მინდა მათგან... წინათ პრაქტიკულად მე ვხატავდი, რაღაცას დავხატავდი, ვუჩვენებდი მხატვარს, ის კი იქიდან მართალია ზუსტად ისეთს არა, მაგრამ დაახლოებით მსგავსს აკეთებდა. მერე კი იმ დასკვნამდე მივედი, რომ

ამგვარად საკუთარ თავს ვქურდავ, ვაღარი-  
ბებ. ესეიზი სხვამ უნდა მოგიტანოს, რეფისო-  
რი მაინც ჩარჩოებში ზის და ნახატი ძალიან  
სქემატური გამოსდის, ისეთი, როგორიც მას  
უნდა. ამიტომ ახლა აღარც ვუჩვენებ და აღა-  
რც ვუხატავ, უფრო ვუყვები იმ ატმოსფეროს,  
განწყობილების, სახეების, ფერების, გამის  
შესახებ, რომელიც მინდა, რომ სპექტაკლში  
იყოს, შემდეგ რასაკვირველია ვუხსნი “სპექ-  
ტაკლის მარცვალს”, რომ ვუწოდებთ რეუი-  
სორები, ანუ ძირითად მეტაფორას, თუ რაზეა  
სპექტაკლი, როგორი ხასიათი უნდა ჰქონდეს,  
რომელი სტილის მხატვარს უნდა ჰგავდეს  
სცენოგრაფიულად... მაგალითად “რიჩარდში”  
მაყურებელი ვერ ამჩნევს, იქ კი ციტატები  
პირდაპირ ბრეიგელიდან და ბოსხიდანაც არის  
აღებული...

\*\*\*


...მე მომწონს გოგი მესხიშვილისეული —  
ოპტიმისტური, ამაღლებული, ფერადოვა-  
ნი აღქმა, მისი ფანტასტიკური თეატრალობა,  
მუსიკალური საბალეტო ფერწერულობა, მისი  
უნარი ორგანულად და ჰარმონიულად დაუკავ-  
შიროს ერთმანეთს თითქოსდა შეუთავსებელი,  
შექმნას ეპოქის ფაქიზი და ირონიული სტილი-  
ზება, იპოვოს და შეიგრძნოს საკუთარი შემოქ-  
მედება ზოგად კულტურულ კონტექსტში, ერთ  
ნამუშევარში კონკრეტულის — საერთოსთან,  
ეროვნულის — ზოგადსაკაცობრიოსთან, მა-  
რადიულის — ისტორიულთან შეჯერება-შეპი-  
რისპირებას მიაღწიოს. მეჩვენება, რომ სწორედ  
გოგის მხატვრული აზროვნების კოსმიურობი-  
დან იღებს სათავეს მთელი მისი ფერწერა, იგი  
თავისი არსით სწორედ ფერმნერია, მშვენიერი  
პორტრეტებისა და კომპოზიციების ავტორი,  
რომლებიც, უნდა ითქვას რომ აბსოლუტურად  
თეატრალურად არის “რეუისირებული”.

რატომ ვთხოვე, რომ სწორედ მას გაეფორ-  
მებინა ჩემი სპექტაკლები “ვარიაციები თანა-  
მედროვე თემაზე” და “კონცერტი ორი ვიოლი-  
ნოსათვის აღმოსავლური საკრავების თანხლე-  
ბით”?.. ეს პიესები თეატრში, რეპეტიციებზე  
იმ პრინციპით ითხზვებოდა, რომ ტექსტი მთა-  
ვარი არ არის — მთავარია იდეა და იმისათვის,  
რომ როგორმე დამეფარა ჩემი “გრაფომანული”  
ძიებები, მჭირდებოდა ბრნყინვალე მსახიობები  
და ბრნყინვალე მხატვარი, თანამოაზრე მხატ-  
ვარი, რომელიც დრამატურგიის პუბლიცისტუ-  
რი სიმწვავისათვის მხატვრული თვისებების  
მინიჭებას შეძლებდა. მე და გოგის ბევრჯერ  
გვიმუშავია უცხოეთშიც, დღემდე ვიგონებ დი-  
უსელდორფში შექსპირის პიესის “როგორც გე-  
ნებოთ” გოგისეულ მშვენიერ გადაწყვეტას...

\*\*\*

...სულ სხვანაირი მხატვარია მირიან შველი-  
ძე, მოღუშული, მიუკარებელი, რაღაცნაირი  
მისტიკური, განმარტოებული და ეს არა მარ-  
ტო და არა იმდენად მისი ხასიათის თვისებაა,  
რამდენადაც მისი მხატვრული მსოფლალქმა.  
იგი “საგანია თავისთავში” და ყოველ ცალ-  
კეულ შემთხვევაში ნინასნარ გაუგებარია,  
რა სახით გადმოიღვრება ჩვენი მუშაობა. იგი  
ტიპიური თბილისელი კაცია. ასე მგონია, მა-  
შინ მუშაობს, როცა სურს (მე შემიძლია თავს  
უფლება მივცე ასე გავეხუმრო იმ მხატვარს,  
რომელთან ერთადაც რამდენიმე შექსპირული  
სპექტაკლი შევთხზე და არცთუ ისე ნარუმა-  
ტებლად). დღემდე მგონია, რომ სათანადოდ  
ვერ შეფასდა კაკაბაძის “ყვარყვარეს” შველი-  
ძისეული სცენური გადაწყვეტა. მაშინ, როდე-  
საც მასში მიგნებულმა მხატვრულმა პრინცი-  
პებმა შემდეგ ჩვენს სხვა სპექტაკლებში ჰპოვა  
ლოგიკური განვითარება.

რატომ შევთავაზე სწორედ მას “რიჩარდ III”  
გაფორმება? იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტა თა-  
ვიდანვე აღოგიკური ჩანდა. დღეს, როდესაც  
რეფისორი და მხატვარი, მით უმეტეს ციდან  
ვარსკევლავების მოწყვეტას რომ არ ცდილო-  
ბენ, შექსპირის თამამი დეკორირება ყველაზე  
ადვილი ამოცანაა, ძლიერია ტრადიციული,  
მტკიცე ნვრილმანებამდე დამუშავებული რე-  
ჟისორული და სცენოგრაფიული სტერეოტი-  
პი. მირიანი კი, ყოველივე ამისაგან იმთავითვე



თავისუფალი იყო. მისგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო, ბანალობის გარდა, და გამოვიდა ის, რაც გამოვიდა. მაკეტი გარეგნულად უფერული იყო, არაეფექტური, რაღაცნაირად გადადღაბნილ-ნაშლილიც კი, მაგრამ სცენაზე განათების ქვეშ თავისი ჭეშმარიტი მრავალმნიშვნელოვნება და ნარმოულგენელი მოცულობა შეიძინა. გამოიკვეთა ფაქტურა — ხე, თუნუქი, თითქოს ჩამუქებულ სისხლში ამოსვრილი, ნახევრადმიხრნილი ქსოვილი (მირიანისათვის ფაქტურა ყოველთვის ძალზე მნიშვნელოვანია). “ათამაშდნენ” მსახიობთა კოსტუმები და აქსესუარები, ფანტასტიკურად დიდი, ავბედითად მთრთოლვარე ინგლისის რუკა, რომლის შუაგულში ერკინებოდნენ რიჩარდი და რიჩმონდი და უცებ, სიგიურდე მოგვინდა ამ დეკორაციაში თამაში.

მე მგონი, მირიანი სხვებზე უფრო ხშირად მუშაობს მაკეტზე. ამუამად, ეს თითქოს აღარ-ცაა პოპულარული, სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, მას ვერ უპოვით ვერც ერთ, უკვე დადგმული სპექტაკლის მთლიან მაკეტს, დეკორაციის აგებისას, იგი თავად შლის მაკეტს ნაწილებად და მხატვარ-შემსრულებლებს ურიგებს. იგი უანგარო ადამიანია, ოსტატი-ხელოსანი, პატივს სცემს სხვის შრომას და საერთო მონდომებას და ამიტომაც თავისი ჩანაფიქრი სკრუპულობურად დაჰყავს გონებამდე.

\*\*\*

...“რიჩარდის” კოსტუმებს შემთხვევით მივაგენით. თავიდან მათი ისტორიული უტყუარობის ხაზგასმა გვსურდა, მირიანთან და გოგისთან ერთად დიდხანს განვიხილავდით ამ იდეას, შემდეგ კი თეატრის გარდერობში ჩავედით და კოსტუმების შეთხზვა იქიდან დავინყეთ, რაც იქ გვეგულებოდა. ამან კიდევ უფრო დააკონკრეტა ჩვენი ჩანაფიქრი — “რიჩარდის” ტრაგედია გაგვეთამაშებინა, როგორც მოხეტიალე მსახიობების ღარიბი დასის მიერ ბოსელში გამართული ბალაგანი. ბუნებრივია მათ ტანისამოსი არ ყოფნით, შემდეგ კი ეს ჩანაფიქრი სპექტაკლში გადაიზარდა, მართალია, ეს ჩანაფიქრი დღეს საკმაოდ სწორხაზოვანი მეჩვენება, მაგრამ კოსტუმები დარჩა...

\*\*\*

...“ლირში” ნაკრები კოსტუმების იდეა უკვე შეგნებულად, თუმცა ცოტა სხვანაირად გამოვიყენეთ. საზღვარი ლირის სამეფოს დაყოფის პირველ სცენასა და დანარჩენ სპექტაკლს შორის გადიოდა. ვიდრე ლირი ძალაუფლების სათავეში იყო, მისი ქვეშევრდომები, მთელი სამეფო, თავისებურ უნიფორმაში იყო ჩაცმული. ამგვარი კოსტუმები სიმბოლო იყო ლირისეული სამყაროს იმ ნესრიგისა, რომელიც ნებისმიერ პიროვნებას, ნებისმიერ ინდივიდუალო-

ბას ანადგურებს, შლის. შემდეგ კი მოწყენილი, მოწყურებულ-მოშიებული სამყარო თითქოს ტანსაცმელსაც დაიხელთებს და თავისუფლებასაც და... აქ კვლავ მიეცა გასაქანი მხატვრის ფანტაზიას — ჩვენი თეატრის რეალურ გარდერობს, მირიანმა 40-იანი წლების თეატრალურ კოსტუმზე დაყრდნობით, სპექტაკლის ახალი მხატვრული სამყარო შეთხზა.

ზოგჯერ მეკითხებიან — რატომ იგრძნობა სპექტაკლის მეორე ნაწილში ასე ძლიერად აღმოსავლეთის გავლენა? არ ვიცი, ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ ეს უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა დაპირისპირებისათვის, გმირთა ყველა განწყობილების კონკრეტული ნარმჩენისათვის...

\*\*\*

...თემურ ნინუა ასევე ჩემი მხატვარია, მომნონს მისი უჩვეულო ხედვა, სხვებს არ ჰგავს, რეალობას საინტერესოდ ხედავს და ყოველთვის ახალი კუთხით, თავისებური მეგრული სილბოთი და მოხდენილობით, რაღაც განსაკუთრებით საინტერესოდ დაგვანახებს ხოლმე მოვლენას... მომნონს მის მიერ შემოთავაზებული სიმბოლოები, სახეები, ფერების გრაფიკული გადაწყვეტა.

\*\*\*

...დიდი ხანი ვოცნებობდი ეროვნული ლიტერატურული მასალის საფუძველზე სპექტაკლის დადგმას. ამავე დროს არავითარ შემ-



თხვევაში არც შეჯიბრსა და არც პოლემიზირებას არ ვაპირებდი გენიალურ ახმეტელთან, რომლის "ლამარაც" მის ერთ-ერთ საუკეთესო ქმნილებადა მიჩნეული... სამწუხაროდ დრო შეუქცევადია, დრო — მხატვრის უბედურებაა. სცენოგრაფიული იდეები, რეჟისორულზე უფრო სწრაფად, გრიპოზული ბაცილებივით ვრცელდება და მხატვარი ყველაზე ნაკლებადა დამნაშავე თავისი მიგნებების ტირაუირებაში. მე მვონი, ჩვენ ყველამ აშკარად შევიგრძენით სათეატრო სტილისტიკის ერთგვარი საერთო დაშტამპულობა. დღეისათვის, თეატრმა და თეატრალურმა მხატვარმა, უკვე გამოიმუშავა გარკვეული, რთული პლასტიკური ენა, რომელსაც მაყურებელი მიეჩვია, მისი ამოცნობაც ისწავლა, მაგრამ ერთხელ აღმოჩენილი სიმბოლოები არ შეიძლება დიდხანს აკმაყოფილებდეს ნამდვილ ოსტატს.

ის, რომ მხატვარი ყოველთვის მარტოა, განმარტოებული ქმნის ტილოზე საღებავებით, ხელსაც უნყობს მას და უშლის კიდევაც. მე მეჩვენება, რომ სცენოგრაფიაში დღეს კიდევ უფრო რთულია ორიგინალობით გაითქვა სახელი.

...და მაინც, რატომ ვირჩევ ამა თუ იმ მხატვარს ჩემი სპექტაკლებისათვის?.. კი, მაგრამ, რატომ მოგვწონს ესა თუ ის ქალი?.. არ შეგიძლიათ მიპასუხოთ?.. აი, მეც არ შემიძლია...

\*\*\*

...რა არის ცხოვრებაში მთავარი? მვონია, რომ ზნეობა! საქმე იმაში კი არ არის, რომ მხოლოდ ზნეობრივად მოიქცე, ასეთი რამ ალბათ არ ხდება, მაგრამ საერთო ზნეობრივ ნესებს უნდა მისდიო. ჩვენს დროში პრაგმატულობა იმდენად ყოვლისმომცველი გახდა, რომ ზოგადმსოფლიო თვალთახედვით უზნეო საქციელის ჩადენა, უზნეობად აღარ ითვლება. რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ, რომ თუნდაც ერთი ბრნყინვალე სპექტაკლით ადამიანები ნუთისოფლის ამაოებას დაივინყებენ, ერთბა- შად კარგები და კეთილები გახდებიან, მაგრამ მჯერა, რომ თეატრის ზემოქმედება უკვალოდ არ ჩაივლის, რომ სიკეთის ძალების გასამარჯვებლად აუცილებელ ზნეობრივ სამუშაოს მაინც ჩაატარებს. მთავარი თეატრის მოქალაქეობრიობაა, ის, რასაც სტანისლავსკი ზეამოცანას უნდებდა. გულგრილობა ხელოვნებისათვის დამღუპველია, სიმართლის თქმა კი — ძნელი...

\*\*\*

...ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, სიხარულია, აზროვნების სიხარული, არ არსებობს არანაირი განცდა ხელოვნებისა, რომელიც დაკავშირებული არ იქნება რაღაც განსაკუთრებულ, სულის განმსჭვალავ სიხარულთან,

იქნებ ნიჭთან, რაც თავისთავად უკვე ხელოვნებაა. აზროვნებას, ჭეშმარიტების კრიტერიუმს თავისი ესთეტიკა გააჩნია და ზოგჯერ სხვა არაფერი დაგვრჩენია თუ არა, ამ აზრის ნათელი სიხარულის განცდისა. ეს გრძნობა ალბათ ყველას გამოუცდია, როდესაც საიდანლაც მოვლენილი ღვთაებრივი ნაპერნკალი უეცრად აენთება, დაგეუფლება უცნაურად მტკიცნეული და ამავდროულად რაღაც ნოსტალგიური თუ ტკბილად სევდიანი სინათლე, რომელიც ყველა საკითხზე პასუხს გაგცემს. ამ მოწერიალე და რაც არ უნდა უცნაური იყოს, სასიხარულო ნოტაზე, უბედურებაც კი არაფრად ჩანს. თურმე მაშინაც კი შეგძლებია აზროვნება და სიხარულის განცდა, როცა გტკივა, როცა ყველაფერს ნათლად ხედავ და არავის შეუძლია იმისი ნართმევა, რასაც ხედავ, თუ რა თქმა უნდა, ხედავ... ადამიანის ლირსება მის პატიოსან აზროვნებაში გამოიხატება, ხშირად, რასაც ვაკეთებთ, დამოკიდებული არ არის ჩვენს გმირობასა თუ ლაჩრობაზე, მაგრამ არის რაღაც ნერტილი, სადაც ბუნებისა თუ საზოგადოების ყველა ძალთა სანინააღმდეგოდ, ჩვენ თუნდაც პატიოსნად ფიქრი მაინც შეგვიძლია.

\*\*\*

...მე ბრალსა მდებდნენ გარეგნული ფორმებით გატაცებაში, მაგრამ თეატრი განა სანახაობა არ არის?..

მე ბრალსა მდებდნენ ეროვნული ქართული ტრადიციებიდან გადახვევაში, მაგრამ განა ქართული თეატრისათვის უცხოა ყველა დროის ზოგადსაკაცობრიო?..

მე ბრალსა მდებდნენ, რომ ჩემს ნოვატორულ ძიებაში მინას ვწყდები, მაგრამ განა შეიძლება ასე იმსჯელო ფანტაზიაზე, რომლის საფუძველიც გმირების ფსიქოლოგიური მოქმედებაა?..

კრიტიკა ყოველთვის ოპტიმიზმით მასულ-დგმულებდა, მის გარეშე შეუძლებელია ნამდვილი თეატრის არსებობა, ისევე როვორც შეუძლებელია მისი უკონფლიქტობა. იმიტომ, რომ თეატრი ყოველთვის ამიშვლებს საზოგადოების იარებს, ცხოვრების ნყლულებს, იგი ყოველთვის იმაზე ლაპარაკობს, რაც ყველას აღელვებს.

\*\*\*

...ჩვენ გვინდა მაყურებელი გავაფრთხილოთ, რომ ბოროტება არსებობს, რომ იგი ყოველთვის დაბრუნდება, თუკი ყურადღებით არ ვიქნებით და გზა, რომლითაც რიჩარდი ხელისუფლებისაკენ მიინევს, მასვე აცარიელებს და ანადგურებს. რაც უფრო სწრაფად უახლოვდება იგი ხელისუფლებას, მით უფრო

ლრმად ეფლობა უზნეობის ჭაობში.

\*\*\*

...ავად რომ გავხდი, ოდნავ უფრო მეტად დავთიქრდი სიკვდილზე და ამანაც არ შემცვალა. საერთოდ, იცვლება დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ, თორემ ხასიათი — არა. ამიტომაც შემრჩაის ხასიათი, ბავშვობაში რომ მქონდა. მეცოდება უბედური, უსახლვარო ადამიანი, რომელიც გრძნობს, რომ ვერ აისრულებს იმას, რაც ძალიან სურდა და თანაც იცის, რომ ვერაფერს შეცვლის... კაცმა პოზიცია უნდა შეიცვალოს, მარტო იდიოტია მუდამ ერთი აზრის მქონე. ბრეხტს ერთი არაკი აქვს, დიდი ხნის უნახავი მეგობრები ხვდებიან ერთმანეთს და ერთი მეორეს ეუბნება, სულ არ შეცვლილხარო, — ნუთუო?.. პასუხობს შიშისაგან გაფითრებული მეორე... ეს იმიტომ, რომ არ შეცვლილა...

როცა ვხედავ, რომ ადამიანი მზად არის XXI საუკუნის ყველაზე უცნაურ იარაღად, ადამიან-ბომბად იქცეს, რომელიც ხალხში შედის, საკუთარ თავსაც იფეთქებს და სხვებსაც... ამ სატანურ გამოვლინებას მინდა განათლება დავუპირისპირო. შეიძლება არ იკითხო, არც ბევრი იცოდე, მაგრამ ადამიანის გაგება უნდა შეგეძლოს და სიყვარული, შენი ნინაპრების სიყვარული... კონფუცი წერდა, რომ ნინაპრების პატივისცემაა საჭირო. სიყმანვილეში სისულელედ მეჩვენებოდა და მხოლოდ ახლა ვინყებ იმის გაგებას, რამდენად მნიშვნელოვანია ახლობელთა საფლავების მოვლა-პატრონობა. ამის გარეშე ჩვენსა და ნარსულს შორის კავშირი ნყდება და მარტოსულ ადამიანს ყველაფრის ჩადენა შეუძლია. სიყვარულის სხივი, რომელსაც ოჯახი ანთებს, თანდათან ქრება, ოჯახიც ქრება, სამყარო სულ უფრო ბოროტდება. ის ყოველთვის ამდაგვარი იყო, მაგრამ ახალმა სისატიკემ სწორედ ჩვენი თობა დააბნია.

ერთხელ ჩემს მეგობრებთან ვთქვი, საერთოდ არ მეშინია სიკვდილის, ახლავე რომ მოვიდეს და ჩემს ნინაშე იმქვეყნის კარი გააღოს, ჩემს კუთვნილ ჭიქა ღვინოს მშვიდად შევსვამ და იქეთ გავეშურები, მაგრამ კარის გამოხურვა კი... ძალიან დამენანება...

ალბათ უფრო ხშირად ვფიქრობ სიკვდილზე, ვიდრე საჭიროა და მასზე ფიქრიც უფრო ადრე დავინყე, ვიდრე საჭიროა... ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, მშვიდობინად ვემზადები დასასრულისათვის.

მინდა რაღაც ისეთით დავკავდე, რაც არა-სოდეს გამიკეთებია და რაც გავუშვი ჩემს ცხოვრებაში...

მინდა, კუნძული მქონდეს, ადრიატიკის ან

ეგეოსის ზღვაში და გვერდით ჩავლილ ხომალდებს ვუყურო... დგება რაღაც ნუთი, როცა თეატრში შემოქმედებითი აქტის ჩადენა უკვე აღარ შეგიძლია. ხდება, რომ ენერგია და ძალა გყოფნის, მაგრამ არტისტს ახალს ვერაფერს აძლევ, ის კი ყოველთვის უნდა გრძნობდეს, რომ შენ იმაზე უფრო ბევრი გაქვს მარაგში, ვიდრე ამ ნუთას აძლევ მას. ასე რომ, თეატრიდან ნასასვლელად ადრიანად უნდა მოემზადო...


\*\*\*

ამგვარია რობერტ სტურუას აზროვნების ესთეტიკა, რომელიც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს კიდეც მის ზნეობრივ კოდექსს.

P.S.

რაც შეეხება უურნალში წარმოდგენილ ესკიზებს სპექტაკლისათვის “მეფე ლირი”, რობერტ სტურუამ ისინი რეპეტიციებისას შექმნა და მათში კარგად ჩანს რეჟისორის თვალთახედვა, თითოეული გმირის გააზრება. ფანქარში შესრულებული ესკიზები თითქმის ფეხდაფეხ მიჰყვება პიესას და საწყის ეტაპზე მიზანსცენის დადგენასაც ცდილობს, არც არის გასაკვირი, ამ დადგმაზე იგი თითქმის ხუთი წელი ფიქრობდა და ლირის პარალელური გმირის — გლოსტერის ნინასნარმეტყველური ფრაზა — ოდესმე ეს სამყაროც ასე დაინგრევა! — თავზარდამცემ, საბედისნერო ზეამოცანად აქცია. რუსთაველის თეატრში მიმდინარე რემონტი და შენობაში გამეფებული ქაოსი რეჟისორის გამძაფრებულ მსოფლშეგრძნებებს დაემთხვა. მისი განწყობილებანი სცენაზე წარმოდგენილ დეკორაციაში სრულიად ორგანულად ასახა, ნგრევის საყოველთაო მასშტაბს ნმინდა თეატრალური სახე მიეცა და შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ თეატრალური შენობის ნგრევით შეძრნუნებულმა მაყურებელმა აღარ იცოდა, შემდეგ რა დაინგრეოდა. წარმოდგენა მას, როგორც ზნეობრივი აქტი უნდა გაეცნობიერებინა. დამდგმელმა ჯგუფმა მარადიული პრობლემები “ზედროულ, მითოსურ მასშტაბში წარმოაჩინა, სადაც დღევანდელი დღე ამ მარადისობის მხოლოდ ნაწილია, შესაძლოა მისი უკანასკნელი წამი...”

**მოამზადა მანანა თევზაძემ**



# საქონი კულტურა

"მოით, ვიზონიართ  
ჩვენი "საყვაჩიო"  
საჩილდის შესახებ"


ე.წ „პერესტროიკის“ შემდგებ, პოსტსაბჭოურმა ქვეყნებმა „ხარბად“ გაულო კარი ბევრ კულტურულ მოვლენასა და მიმდინარეობას, ისე რომ ბევრი არც უფიქროათ და „გაუფილტრავად“ მოარგეს ახალ ცხოვრებას და ყოველდღიურობას.

რა თქმა უნდა „ახლად დამოუკიდებლობა მიღებული ქვეყანა, რთულ სოციალურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა, საჭირო გახდა „დამშეული“ ხალხის „გამოკვება“ და ცნობილი პიპოტების „პური და სანახაობის“ ქართულ რეალობაში „გათამაშება“, „პურად“ „ბაზარი-ბაზრობა“ იქ-

ცა სანახაობად – „ტელევიზორი“, უფრო სწორედ კი ტელესერიალები.

ბევრი დამეთანხმება, რომ ადამიანი „კომუნიკაციების ეპოქაში“ სწორედ, რომ კომუნიკაციის დეფიციტს განიცდის, მაგრამ არა „ტექნიკური კომუნიკაციის“, არამედ ცოცხალი ურთიერთობების დეფიციტს, ისიც ფაქტია, დღეს ტელევიზორი „ოთახის კუთხეში“ გაცილებით მეტი გახდა, ვიდრე უბრალოდ ინფორმაციის წყარო. ამ პრობლემის სიმწვავეს ბევრი გრძნობს, მაგრამ თითქოს არც რეალური გამოსავალი ჩანს სადმე (ქმედით ნაბიჯებზე, რომ არაფერი ვთქვათ). გავიხსენოთ იასიზირუ ოზუს ფილმი „სალამი“, სადაც ტელევიზორის „გამოჩენა აღიქმება, როგორც ცივილიზაციის ის მიღწევა, რომელიც კაცობრიობას „კარგს არავერს მოუტანს“, ან დაახლოებით „ყოფის იმ პირიბებს“ შექმნის, როგორიც სოფია კოპოლას „თარგმანში დაკარგულებში“ – გვხვდება. პრობლემა პრობლემად რჩება. შედგები კი ერთია – კინო და ტელეკინოს ისეთი სპეციფიკური სახეობა, როგორიც ტელესერიალია კომპენსირებას ახდენს ან უფრო ხშირად დროებით კომპენსირებას ახდენენ კომუნიკაციის დეფიციტისა და ყოველდღიური პრობლემებით დაბაბულ მაყურებელს განტვირთვის და ხში-





რად „ემოციებით დატვირთვის“ საშუალებას აძლევს, მაგრამ რამდენად სწორედ „ტვირთავს“ მაყურებელს „ემოციებით“ ეს ნაკლებ აღელვებს „სატელევიზიო მარკებინგს“.

ტელევიზიებს მაყურებლის ეკრანებთან მისაზიდად აპრობირებული „რეცეპტები“ აქვთ, ტელე-შოუების და ტელესარიალების სახით, სწორედ ამიტომ ტელევიზიებში („გლობალიზმის ეპოქაში“) ყველაზე დიდი ფული – „შოუების“ და სერიალების შეძენა, შექმნაზე იხარჯება.


მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ტელესერიალი კინობაზრისათვის საკმაოდ საიმედო და მომგებიან პროდუქტს წარმოადგენს, როგორც აღვნიშნე, „საპნის ოპერები“ დომინირებენ მსოფლიოს წამყვანი ტელეარხების პროგრამულ ბადეში, რაც შესანიშნავი ნიმუშია იმისა, თუ რა რეიტინგით სარგებლობენ „სერიალები“ „მასობრივ“ მაყურებელში. ტელესერიალი გამოსვლისთანავე გახდა ძალიან „მასობრივი კინო“. ბევრი ალბათ „სწობიზმში“ ჩამითვლის, ან „უბრალოდ, არ დამეთანხმება ტელესერიალის მაყურებლისათვის „მასის“ „იარლიუს მიკერებისა“ და თავად ტელესერიალების „მასობრივ“ სანახაობად „გამოცხადების“ გამო, მაგრამ მერწმუნეთ, ეს მხოლოდ ჩემი აზრი არ არის და თავად მაყურებლის „კატეგორიის“ კვლევაც ამჯერად არ წარმოადგენს ჩემს მიზანს, ამასთან, შორსაც წაგვიყვანს. რა თქმა უნდა, ტელესერიალების კატეგორიებად დაყოფაც შესაძლებელია და


ზემოთ ნახსენები „გაფილტვრაც“, თუმცა ამისათვის ჯერ არავის სცალია (იმედი მაქვს ჯერ)...

ბევრი ჩვენთაგანისათვის ცნობილია ლათინოამერიკული (დღემდე ყველაზე დიდი მონოპოლისტი ამ „სფეროში“) სერიალები, რომლებიც განსაკუთრებულად განვითარებად ქვეყნებში აღმოჩნდა დიასახლისებისათვის და „დიდი კინოსათვის“ მოუმწიფებელი მაყურებლისათვის მისაღები და საყვარელი.

როგორც მხატრულ კინოში („დიდ ავიაციაში“) ვხედებით ეანრულ, თემატურ, მეტრაჟულ მრავალფეროვნებას, ასევე სერიალებშიც შესაძლებელია არჩევანის გაკეთება, თუმცა ვაღიაროთ, რომ ამას „სერიალების ფანები“ თითქმის არ აკეთებენ და მთელი დღის მანძილზე ჩართულნი არიან „სხვის ცხოვრებაში“, „ტრადიციებში“, „რელიგიაში“ და რაღაც დონეზე „მრწამსშიც“ კი.

მაგალითისათვის შორს წასვლა არ მოგვიწევს, საქართველოს ნებისმიერ სოფელსა თუ ქალაქში, სერიალის ჩვენებისას მოსახლეობა სკამით დარბის სამეზობლოში „ხუანისა“ და „როსაურას“ ბედის გასაზიარებლად. ამავდროულად სარეკლამო ჭრის დროს იმის შესაძლებე





ლობა აქვს სხვა არხზე გადართოს და ახლა უკვე „რაფაელის“ ან „მიგელ-ან-ხელის“ „დარდიც იდარდოს“ (ამ „სია-მოვნებას“ არც ერთი არხი არ აქლებს მაყურებელს, რადგან რამდენიც არ უნდა ეცადო ძნელად თუ აღმოაჩენ, რომელიმე ტელეარხზე სხვა გადაცემას, „საპნის ოპე-რის“ გარდა) და ასე ენაცვლება ერთმა-ნეთს „კელური კატა“, „სხვისი ცოდვები“, წარსულის საიდუმლო“, „დედა მთვარე“, „გაქცევა“ და ა.შ (დაკვირვებული მაყუ-რებელი ყურადღებას მიაქცევდა და და-აფიქრებდა ამ სერიალების სარეკლამო რგოლებში გაედრებულ ფრაზებზე: „მა-მის ყოფილ საყვარელზე შეყვარებული ვაჟის ისტორია“ ან სულაც მინაწერი -

„ციხეს ორი კარი აქვს გაიქეცი“, ესეც არ გვაქმარეს და ძვირფასი საეთერო დრო დაუთმეს ტელეგადაცემას სერიალებზე, უფრო სწორედ ერთგვარ გათამაშებას, რომლის მომხიბვლელი წამყვანი ნიშნის მოგებით „მოითხოვს“ „ჩვენგან“, როგორმე არც ერთი სერიალი არ დარჩეს ყურადღ-ების მიღმა, ვაი თუ, მერე „ერთი ბოთლი“ „ლიმონათი“ ვერ მოვიგოთ. პმ, „სასაცი-ლოა, სატირალი რომ არ იყოს“ ...

ზემოთ ჩამოთვლილი სერიალების სი-უკეტი ძირითადად მელოდრამატულია, თუმცა „მენიუშია“ დეტექტიურ-კრიმინა-ლური და კომედიური ქანრის სერიალე-ბიც კი, სადაც „გათამაშებულია“ სხვადას-ხვა სიუკეტური კოლიზიები, სიტუაციები, „საუბრებია“ სხვადასხვა ფასეულობებზე: ოჯახზე, „ეკლესიაზე“ განათლებაზე, ძი-რითადი და წამყვანი თემა კი „ტანჯული“ სიუვარულია (რატომდაც მდიდარსა და დარიბს შორის). ამასთან, ისეთ სერიალს რა ვუთხარი, ერთი - მღვდელი, „საიქი-ოდან“ დაბრუნებული, ამნეზიით გონება დაბინდული და ხუანი თუ არ არის ...

ბოლო რამდენიმე წელია ქართულ არ-ხებზე სამამულო ტელესერიალების პრე-ცენდენტი გვხვდება, მაგრამ იმ განსხვავე-






ბით, რომ ქართულ სერიალებში ჩვენ ვერ ვხვდებით „საოჯახო საგას“, მაგრამ „განებივრებული“ ვართ დატექტიური, სათავ-გადასავლო კრიმინალური ისტორიებით, შიგადაშიგ ჩართული ქართული იუმო-რით. „ცხელი ძაღლის“, „თენდება გვიან“, „ყავა და ლუდის“, „მგლების ხორუმის“ და სხვათა რეჟისორებმა და პროდიუსე-რებმა „ორი კურდლელი დაიჭირეს“ მათ არა მხოლოდ „დაასაქმეს“ რეჟისორები და მსახიობები, არამედ ეკრანებთან მი-იზიდეს და რაღაც დროის მონაკვეთში უცხოური სერიალების „მოყვარული“ და ქართულ კინოს მონატრებული მაუს-რებული „გადმორთეს“ სამამულო პრო-დუქციაზე. წაგებული არც ტელევიზიუმი დარჩნენ თუ „სერიალებში“ განთავსე-ბულ რეკლამების რაოდენობას გავითვა-ლისწინებთ. მე და ბევრ „სხვანაირი“ კ.წ „საავტორო კინოს“ მოყვარულს, შეიძლე-ბა ჩვენი „პრეტენზიები“ და შენიშვნები ზემოთ ჩამოთვლილ „სერიალებთანაც“ გვაქვს, მაგრამ იმდენად დიდია „ექსპან-სია“ უცხოური ტელესერიალებისა, რომ „სამამულო პროდუქციის“ კრიტიკა, ჩვენი მხრიდან ერთგვარ უხერხულობასაც კი იწვევს.

როგორც უკვე აღნიშნე, ტელევიზორი

უბრალოდ გასართობი „ყუთი“არ არის და გარკვეული იდეოლოგიის ჩამოყალიბების და აღრწდის ფუნქციაც „ეკისრება“ „მას-ში“ გაედერებულ თუ ნაჩვენებ თითოეულ სიუჟეტს. და რას ხედავს „ახალი თაობა“ – ერთსა და იმავეს, გაუთავებელ ინტრი-გებს, და დის წინააღმდეგ, ძმა ძმის, მამა შვილის, დედა ბიძის საყვარელი, ნათლუ-ლი ნათლიის „დაკარგული“ შვილის მა-მის მამა, და ასე შემდეგ... და ეს ყველა-ფერი გაუთავებლად და „საგანგაშოდ“ დიდი დოზებით.

„კულისებს მიღმა“ ყველა ვვიშვიშებთ, რეალობაში კი ქმედითი ნაბიჯის გადად-გმისაგან ან სიტყვის თქმისაგან თავს ვი-კავებთ – რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ „ხელს არ გვიშლის?“... თუ კარგად დავ-ფიქრდებით, „ხელსაც გვიშლის“ და „უფ-რო მეტიც. ქართული კინემატოგრაფი ყოველთვის მნიშვნელოვან აღგილს იკა-ვებდა მსოფლიო კინოწარმოებაში, იქნე-ბოდა საინტერესო ფილმები, შედევრები, რომლებმაც მნიშვნელოვანი აღგილი და-იკავეს „მსოფლიოს კინოს ოქროს ფონ-დში“. იქნებ მოვიდა დრო ტრადიციების აღდგენისა, იქნებ მოვიდა დრო ის კაპიტა-ლი, რომელიც გაუთავებლად გაწელილი „საპნის ოპერების“ შეძენა, შექმნას ხმარ-დება ქაერთულ კინოწარმოებაში ჩაიდოს, თორემ „ოპერას“ დავკარგავთ, უხარის-ხო „საპონი“ კი „დიდი ხნის ნაგროვებ და დალექილ ჭუჭყს“ ვერ „ჩამორეცხს“ და მართლა „დავიკარგებით“, დავიკარგებით, როგორც ადამიანები იმ ერისა, სადაც მმა მმობს, მშობელი მშობლობს, შვილს „ვზრდით“, და ჩვენი კარის მეზობელი მხოლოდ მეზობელი და მეგობარია. იქ-ნებ მითხვათ, რომ ცხოვრებაში ყველა-ფერი ხდება... დიახ, ხდება, მაგრამ ჩვენს „მივხედოთ“, ჩვენი „ვიდარდოთ“ და გადა-ვიდოთ „ჩვენი კინო“, რომელიც შეიძლება მხოლოდ ერთი, მარტივი, მოკლემეტრაჟი-ანი ფილმი გამოვიდეს, მაგრამ „ბრაზი-ლიაშ“ „ბევრი გადაიხადოს“... ცხოვრებაში ხომ ყველაფერი ხდება...





# ვერა ჭავჭავაძე

## შამოქალაბის ბანი ან წიგირი „მა"-ს


დიდი ხანია უეჭებ მიზეზს რა აკავშირებს ადამიანს ფურცელთან. ალბათ, უფრო ზუსტი იქნებოდა დამეწერა პასუხებ-მეთქი, მაგრამ თვით მიზეზი უკვე პასუხია. ახლა, მე მიზეზ-შედეგობრივი კავშირის წარმომადას ნამდვილად არ ვიკვლევ. თუმცა, არც ის მინდა გითხრა, რომ ფურცელთან ხიახლოების მიზეზის მოძიებამ მომიყვანა-მეთქი ამ რძისფერ, თუ იქნებ უფრო ფთილისნაირ ხამყაროში. უფერო სხეულმა მიმიზიდა, ხადაც ჩვენს ცოდვებსა თუ ოცნებებს მივუჩენთ ხოლმე ბინას (უფრო სწორად, თავიდან ვიშორებთ, რადგან შემაწუხებელია

მათში და არა მათთან ერთად ყოფნა). შევხიზნავთ ფურცელში დარდად ჩამოდენილ მანქიერებებს ან შევასახლებთ ილუზიებს დვთისმშობლის დიმილივით ცისკაბადონზე, სადაც ყველაფერი ნისლისფერია. და მაინც, ადამიანის სევდა ფურცლისფერი მას შემდეგაა, რაც მარტოობისაგან გაქცეულმა საკუთარი თავი აქ, ამ უსახობაში მოიძია. ვინ იცის, იქნებ არც დამეთანხმო, ვგონებ, ასე უმჯობესი იქნება, რადგან თუ კი ჩვენ ერთმანეთში აქსიომის აბსტრაქციას ჭეშმარიტების მოდერნად ვაქცევთ, ალბათ კაცობრიობა სვლას შეაჩერებს. ამიტომაა გაურკვეველ გეზთა სიმრავლე. ზეცილან მრავლად ეშვება ცრემლთა ცვილები, მაგრამ ყოველი მათგანი დედამიწას ერწყმის, მხოლოდ სხეულის სხვადასხვა ნაწილზე. ნაწილაკებად იშლება განწყობებიც და ეამი ერთიანად შეისუნთქავს მათ არსებობას. ახლა კი დრო, განცდა, ცრემლი თუ ადამიანობის მიზეზთა სხვადასხვაობა ფურცელზე დაეშვა,



დაიწრიტა და მერე მათგან თავდასაღწევად მრავალწერტილი შეერწყა მარტოობას. ისევ მარტოობის უსახრულობისაენ.

სამწუხაროა, როცა მარტოსულობას გაუწიოთ, როგორც სამარცხვინო სენს. ის არც არასდროს ყოფილა ავადმყოფობა. ჩვენ ხომ ყველანი ღმერთის მარტოობა ვართ – დედამიწის უფერო სხეულზე დაწერილი. და შეგვქმნა ღმერთმა სახელ თვისა. შენ კი ადამიანო, შენს სახეს ფურცლებზე ხატავ ხან ანბანის მონგრუული კიდურებით, ხანაც პალიტრის სიფაქიზით, ხან კი ახმაურუბული ქაოსის ნოტებად. შეთხევ შენ, ადამის ძეო, თავი თვისი ფურცლის უკიდუგანობაში.



განა ეს სულის იეროგლიფური განსხვაულება სიმარტოვესთან ზიარება არაა ოდენ. პოდა, სწორედ საკუთარ თავში დაკარგვის წადილია (რაც უფრო პოვნაა) ადამიანის ღვთიური მისია რძისფერ ოლართან ზიარებისას. მე კი ამ წამს სხვის მარტოობაში გზამკვდევი მჭირდებოდა და უურცლის სხეულებზე მიმოვფანტე მასში ნაპოვნი ჩემი ეულობა. ეს სიტყვა ანბანის რვაფეხაა. აბა დაითვალე მისი უსიმეტრიო კიდურები, — ამ საკმაოდ განიერ არსებას რამდენი რამ დაუტევია — განცდა, ეჭვი, (რომელმაც ადამიანობა არა, მაგრამ ადამის ძე ადამიანამდე განავითარა) ცოდვა და ბედისწერა. ნახე, თითქოს პირთამდე აღვხილა, მაგრამ ცარიელია. სწორედ ამიტომ საკუთარ უფალთან — სინდისთან, რომელიც მარტოობის უმაღლესი გონია, პირისპირ დარჩენილებს ჩვენში მოძიებული მეორე მე გვჭირდება, აქ უურცელზე რომ განვასხეულებო და მერე ვკარგავთ. არადალმერთმა ადამის ეგოდ ევა შექმნა — ორი ერთ სულად. ერთი სხეული ორად გაჟყო, რომ ჩვენი სახე ერთმანეთში ამოგვეკითხა, მარტოობას ჩვენში თავი რომ არ ჩამოეხრჩო თეთრი ფურცლებით.

პერგამენტი, ტილო, ხე, ტყავი თუ დედამიწის შიშველი სხეული — ფურცლის სამყაროა, სარეცელი, სადაც საკუთარ მესთან პაემანი გვაქვს. (როგორც ამბობენ, ყველა შემოქმედი უზენაესის მხგავსად შემოქმედებაში თავის თავს დებსო.) მაგრამ, ალბათ, ხელოვანი ის ბედისწერაა, როცა კონკრეტული სახე კი არა, ადამის ძეთა სულის ფერისცვალების ქრონიკა იწერება.

განწყობათა ლაბირინთში მინოტავრის საძიებლად ნამდვილად არ წამოვსულვარ, ეს ყოველივე იმ მხატვრის სამყაროა, ფურცელზე ფერებად მარტოობას რომ ებაასება. მაგრამ შენ მის ეგოდ შესული თანამოზი-

არეობას როდი გრძნობ, რადგან ის თავად არის შენი ფიქრების თანამზრახველი. და ამიტომაც მისი ფერფლისფერი ზამთარი, ხეები რომ მოუბუზია, როდია შემოდგომას გამოქცეული. იქ ჯერ არშობილი გაზაფხულიდან შემოხიზნულა დროთა მემატიანე. ეს უველაფერი კი ჩვენს დაობებულ არქივში ანაქრონიზმის თაროზე შემოგვიდია. იქვე დავუწესეთ მიმდინარეობები: კუბისტურ, მოდერნისტულ, იმპრესიონისტულ, რეალისტური... რაც პეიზაჟური თუ უსაგნო სახისმეტყველებით ავხხენით. ეს ძიგბანი, როგორც სხეულების მიზეზის კვლევა-დიაგნოზი — სპეციალისტების ხელობაა. მე კი აქ მინოტავრად ქცეულ დროსა და სივრცეს გამოქცეული ცხად სიზმრებში დავეხეტები. ჩემთვის არა აქვს დოგმა ხელოვანის რეალისტურ-ილუსიებს. (უთოდ ეს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა იქნებოდა, ან როგორც ამბობენ არაკომპეტენტურობა. არადა, დადგენა როდია ამოცანა). აქ ადამის მოდგმის ფიქრებსა და ოცნებებში ვმოგზაურობ, თვალხილულსა და ხელშესახებ ილოზორულ სამყაროში მოკვდავნი ჩვენს სიმარტოვეს ვეხიზნებით. ჩვენი სულის ანარეკლს ფერთა ტრამალებში ვეძიებთ და მერე მისსავე აჩრდილად ვიქცევით ხოლმე. აქ მხატვარი უფლისმიერ მომაღლებული სიყვარულით (უცხოს ძიებისა საკუთარ თავში, რაც მეორე მეს დაბადებას გვაუწებს) ჩვენი გონების თავისუფლების მაზიარებელია.

ფერები, ხაზები, ფიგურები, წარმოსახვა, იდეა, სიზმარი, რეალობა, შინაარსი, ფორმა, სიუჟეტი და მაინც ეს უველაფერი ხილული სახეებით არის გადმოცემული. აქ არსებულიდან ნატურის არა ფორმა, არამედ იდეა აღებული. მსუსე თუ ფაქიზი მონასმებით, შუქწრდილებით, ფერთა გამებით ბგერებად





დაშლილი მძიმე მუსიკა ერთიან სხეულს ქმნის – განწყობათა ფერისცვალებას. ან-ბანის კიდურები მოგრძო სიმეტრიული უსასრულობას ერწყმის – ფორმა რაღაც ასტრაქტულია, ანუ რეალობილან აღებულია შინაარსი და ეს საზრისი არსებულის პირობითობაა. აქ არ არის ბუნების სახე – ანუ პეიზაჟი, ამ პეიზაჟის ჩანაფიქრია, გარკვეული მონაკვეთი ილუსიის დროში გადა-ადგილებისა, ანუ საგანთა ეგოსტრუქტურა. და ეს ყველაფერი მხატვრის – გეგა ქუთა-თულაძის შემოქმედებითი ბედისწერაა.

როცა მე მის სამყაროში მოგზაურობა გადავწყვიტე, ქრონოსმა ბორბალი უკულმა დაატრიალა. საქართველოს მეერდზე ავ-სულებმა დაიწყეს ბოგინი. მართალია, ამ ტეივილისაგან ხსნა ვერ იქნებოდა ვერც ერთი შემოქმედის წარმოსახვის რეალობაში შეხიზვნა, მაგრამ პერცეპტუალობამ უნაკლოდ შეასრულა ავტოპორტრეტი. ში-შისაგან აწონილი სხეულები გარუჯულ სირუხეში ცნობის წადილით ცას აჟურუ-ბენ, თვით ფანჯრები, შენობის კიდურებიც თითქოს ზემოთ მიიწევენ, ცას კი ნაცრისფე-რი გადაჰკრავს. თითქოს მხატვარმა საქარ-თველოს ახლანდელი სურათი სიზმარივით დაგვიხატა, სიზმარივით, სადაც ჯოჯოხეთის მოლოდინია და გამოღვიძებას იმდენად არ ლამობ, რამდენადაც გამორკვევა გწადია. ეს ყოველივე კი უტყუარი დასტურია დროის

ილუზორულობისა – მას შემოქმედი ქმნის მოკვდავთათვის, რომ წარმავლობის შიშის-გან გვიხსნას. ჩვენ კი მომავლის წინახწარ-მეტყველებას ვუწოდებთ წარსულის სხეულში დაბადებულ უდროო შემოქმედებას. მას უმაღ თარიღსაც მივუსკუპებთ ხოლმე, ფიქრთა განვითარების ქრონომეტრაჟისათვის. როგორც საფლავის ქვაზე ამოტვიფრული ჩვენი ცხოვრების საწყისისა და სასრულის რიცხვით გამოსახულებას არ ძალუბს ახსნას კაცობრიობის ბედისწერა, (ის უბრალოდ, მარადისობის გამართლება) ასევე ხელოვანის ძიების შემოქმედებითი პროცე-სი უასაკოა, როგორც თავად ავტორი.

რთულია ახსნა ასოითი თუ ფერადო-ვან გამათა რეინგარნაცია-გარდასახვები ასე რამ დაამძიმა ახალგაზრდა მხატვრის სულში. მას ხომ ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი კაცობრიობის გენში ჩა-



კარგული საგუთარი თავის მოსაძიებლად. ამ პროცესიას კი მარადისობა ჰქვია, რადგან უსასრულოა უფლისმიერი შემოქმედება. და ალბათ, ამიტომაც არსებობს მანდალას პრინციპით ანტიგურ ეპოქასთან შეხვედრის ჟინი, ბიბლიურ-მითოსური პლასტებიდან, ცნობიერების ნაკადად რომ მოედინება.

ყოველივე ახალი ხომ კარგად დავიწყ-ებული ძველია, საჭრეთლით ამოკვეთილი რელიეფები მხოლოდ სახეცვლილი განსხეულებაა ფურცლის უკიდუგანობაში ფერუ-ბად ჩაღვრილი შემოქმედების გენისა.

გეგა ქუთათელაძე იმ შემოქმედთაგანია, რომელიც ხელოვანის ბედისწერამ უანაბროდ გაიტყუა. კინ იცის, იქნებ მანაც შეძლოს ოლიმპოდან ცუცხლის მოპარვა. მე კი პარნასზე თურმე სიზმრით წამიხემსია.





უცხოელ მნერალთა დელეგაცია საქართველოში. ბათუმი 1985 წ.

სურათზე: პარასონ სოლისბერი, სტენლი პოუტი, უილიამ ჯეი სმიტი, როკფელერის შვილიშვილი ქეთი, მარია დემი, ნორმან ჯაზინსი, ნოდარ დუმბაძე, ფრიდონ ხალგაში, გ. სოლოუხინი, გ. ფედორენკო, გ.კოროტიჩი დ. კუგულტინევი, დ. ვრანინი.

ვისთვისაც ძვირფასია უურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვენიოთ!

### ყურადღება!

უურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:

სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42; ტელ: 37-61-53,

„ელგასერვისი“ იოსებიძის 49 ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02 და

„საქარესა“ ტელ: 51-60-04;

„სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში – 24-45-22; 24-45-12 სახალხო ფოსტა

3 თვით 9ლ; 6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ ნინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დიზაინერი:

გიორგი ქადაგიშვილი

ოპერატორი:

თამარ ტყაბლაძე

რედაქციის მისამართი:


ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4

ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

[litandart@yahoo.com](mailto:litandart@yahoo.com)

[vaja.otarashvili@yahoo.com](mailto:vaja.otarashvili@yahoo.com)

უურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მნერლობის“ სტამბაში



გეგა ქუთათელაძე


ადამიანი



სტუმარი

სადარბაზო


b. 07/33



პარასკევი



საუბარი



ფანა